

3. დონდუა

საისტორიო მიუზანო

II

„მეცნიერება“
თბილისი
1973

9(C 41)1
9(47.922)
დ 742

„საისტორიო ძიებათა“ მეორე ტომში იბეჭდება ვ. ღონღუას სტატიები, მიძღვნილი ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხებისადმი. აქვე განხილულია ქართული წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

სტატიების ნაწილი პირველად ქვეყნდება.

სარედაქციო კოლეგია:

ზ. ალექსიძე, მ. ბერძენიშვილი, რ. კიკნაძე

Редакционная коллегия:

З. Алексидзе, М. Бердзенишвили, Р. Кикнадзе

1-6-2

123-72 ადგ.

M-607



ბაზოგთმცოდნეობა „მეცნიერება“, 1978

ადრემონათმფლობელური ხანის საქართველო

ძმ. წ. II—ახ. წ. III სს-ში

ვითარება იბერიის მიჯობალ ქვეყნებში

სომხური სახელმწიფოები. პონტო. პართია

იბერიის მეზობელ ელინისტურ სახელმწიფოთაგან სომეხთა სამეფოს საფუძველი ჩაეყარა ალექსანდრე მაკედონელის შემკვიდრება („დიადოქოსების“) დროს, აიარაატის ოლქში, მდ. არაქსის შუაწელზე (ძვ. წ. 316 წ.). აიარაატის სამეფოს მმართველ დინასტიად გამოვიდა ერვანდიანთა გვარი. სატახტო ქალაქი იყო არშვირი. ევფრატის ზემო დინებაში შეიქმნა „მცირე არმენიად“ წოდებული სამეფო. სირიის სელევკიან მეფეთა სასატრაპოებს შეადგენდნენ ვანის ტბის აუზი და წოფენი ევფრატის ხეობაში. სელევკიანებმა თავისი ძლიერების ხანაში აიარაატის სამეფო გააუქმეს (220 წ. ძვ. წ.); ასე შეიძინა სირიის სამეფომ ვრცელი სომხური ქვეყანა, ეგრეთ წოდებული „დიდი არმენია“. რამდენსაშე ხანში სომეხთა სამეფო კვლავ აღდგენილ იქნა.

პონტოს ელინისტური სამეფო შეიქმნა ძვ. წ. IV ს., მცირე აზიაში ქართველი (მეგრულ-ქანური) და მისი მონათესავე სხვა ტომების მიწა-წყლის ხარჯზე, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ სანაპირო ზოლში, — აქედან წარმოდგა პონტოს სამეფოს სახელიც (ბერძნულად „პონტოს“ — საერთოდ ზღვას ნიშნავს და, კერძოდ, შავ ზღვას ეწოდებოდა). პონტოს ფარგლებში შედიოდნენ ელინისტური სანაპირო ქალაქები — ტრაპიზონი და სხვ.

პონტოს სამეფომ უდიდეს პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია ძვ. წ. I ს. მითრიდატ მეექვსის დროს. სამეფოს არსებობა დასრულდა რომაელთა მიერ მისი დაპყრობით (ძვ. წ. I ს.).

პართიის სამეფოს საფუძველი ჩაეყარა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე (ძვ. წ. 255 წ.). პართიის ძლიერების ხა-

ნაში, არშაკიანთა დინასტიის მეთაურობით, მისი მიწა-წყალი მდ. ევფრატისა და მდ. ინდუსამდე წვდებოდა. პართიის ელინისტურ ქალაქთა შორის უმნიშვნელოვანესი იყვნენ ეკატანა და ქტეზიფონი.

ა ლ ბ ა ნ ე თ ი . ჩ რ დ ი ლ ო კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ თ ი ე ლ ე ბ ი

ალბანეთი დღევანდელი ჩეჩნი მოძმე აზერბაიჯანისა და დაღესტნის მთიან ნაწილს მოიცავდა. აღმოსავლეთით იგი გაშლილი იყო კასპიის ზღვამდე. ალბანეთი ქართლის სამეფოს ესაზღვრებოდა ალაზანთან, მის გაღმა. კასპიის კარი (მერმინდელი დარუბანდის კარი) ალბანეთს უაღვილებდა ჩრდილოეთის ხალხებთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარებას. ალბანეთის მოსახლეობას იმ დროს შეადგენდნენ ალბანელები, უდიები, ლეგები და სხვ. ალბანელთა ეთნიკური სახელი შემორჩენილია კახეთის ერთი სოფლის სახელში—ალვანი. ალბანეთი ეგრის-იბერიისა და სომხეთის გვერდით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო ამიერკავკასიაში.

იმიერკავკასიის მთიელებს ბერძნული და რომაული წყაროები ერთობლივ სარმატებზე უწოდებდნენ, რომლებშიც იგულისხმებოდნენ მთავარ ქედს გადაღმა, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოსახლე ადიღე და სხ. ტომები; ირანული ტომის იყვნენ ალანები, რომელთა მემკვიდრეები არიან ოსები; უფრო აღმოსავლეთით ცნობილი იყვნენ დიდო, ლეკი („ლეგი“) და სხვ.

იმიერკავკასიის მთიელები ძირითადად ცხოვრობდნენ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში, რომელიც ნაწილობრივ უკვე განიცდიდა რღვევას. მეურნეობაში, მეჭოგეობისა და მონადირეობის გვერდით, თანდათან ვრცელდებოდა მიწათმოქმედება. ჩერქეზებში ელინისტური გავლენა გზას იკვლევდა უფრო ბოსფორის სამეფოსა (ქერჩის მხრიდან) და კოლხეთის მეშვეობით.

მთიელების ნაწილი სახლობდა მთავარი ქედის ღრმა ხევეებში. კავკასია მაშინაც კარგად იყო ცნობილი, როგორც მთავარი ქედის სახელი (ბერძნული დაბოლოებით კავკასიონ, მრ. რიცხვ.— კავკასია). ცნობილი იყო მისი ბუნებრივი ჭიშკარიც, რომელსაც ბერძენ-რომაელები კავკასიის კარს უწოდებდნენ, ხოლო ქართველები, სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში, არაგვის კარსაც და ოვსთა (ალანთა) კარსაც. სპარსულად ამ კარს ერქვა ალანთა კარი („დარ-ი-ალან“; აქედანაა ახლანდელი დარიალა).

ძვ. წ. III ს-ში, როგორც დაეინახეთ, იბერიის ბატონობის ას-პარეზი საკმაოდ ფართო იყო, II ს-ის დამდეგიდან კი ვითარება შე-იცვალა.

რომის ლეგიონებმა დაპყრობითი ომების გაშლით უგეოსის ზღვიდან მოაშურეს მცირე აზიას. აქ იმ დროს ჩამდგარი იყო დამპყრობელი სელევკიანების ლაშქარი. ეს მხედრობა რომაელებმა დაამარცხეს ქ. მაგნეზიასთან (ძვ. წ. 190 წ.).

მალე სელევკიანებს ზურგში აუჯანყდნენ სომხები ზარეპისა და არტაშესის მეთაურობით და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. „დიდ სომხეთში“ მეფე არტაშეს I-ის (189—170 ძვ. წ.) სახელზე ააგეს ახალი სატახტო ქალაქი არტაშატი, შეიერთეს „მცირე სომხეთის“ ნაწილიც.

გაძლიერებული სომხური სამეფოების ლაშქარმა ქართველ ტომთა ტერიტორიაზე დაიკავა ხუთი მომიჯნავე ოლქი — პარიადრი, ხორძენე და გოგარენე, კარინითი (მერმინდელი კარანუ-ქალაქის ანუ არზრუმის ოლქი) და დერქსენე (დერჯანი). ესენი მდებარეობდნენ 5 მდინარის — ჰალისის, ვეფრატის, ჭოროხის, არაქსისა და მტკვრის სათავეებს შორის; გოგარენე (ქვემო ქართლი) მტკვრის შუა წელს ეკვროდა სამხრეთიდან.

ამასობაში იბერიაში გამეფდა ფარნავაზის ვაჟის საურმაგის ძე მირიანი (დაახლოებით ძვ. წ. 189 — 155 წწ.). მეფე მირიანმა დასძრა რაზმები დარიალის ხეობისაკენ, სადაც ისხდნენ ქართალი, ლლილვი (ინგუშების წინაპარი ტომი) და სხვა ტომები, დაეუფლა დარიალას და „შეაბნა კარნი ქვიტკირითა“. შემდეგშიც დიდ ხანს კარი კარგად იყო შეკრული რკინით, ციხე-სიმაგრე კუმანიაც აქ გზას უღობავდა ჩრდილოეთიდან მოწოლილ ტომებს.

ფარნაჯომ მირიანის ძის მეფობაში (დაახლოებით ძვ. წ. 155 — 140 წწ.) მცხეთის გასაძლიერებლად აშენებულ იქნა ციხე ზადენი, ხოლო ყვარლის-წყალზე (ალაზნის შენაკადი) საფუძველი ჩაეყარა ქალაქ ნეკრესს. სომეხთა მეფემ, რომელსაც იბერიის სამხრეთი მიწებიც ეჭირა, ფარნაჯომი ომში დაამარცხა. ამის შემდეგ იბერიაში გამეფდა არტაშესის ძე არშაკი (დაახლოებით ძვ. წ. 140 — 120 წწ.), ქართლის ფარნავაზიანთა ნათესავი.

ი ბ ე რ ი ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო კ ა ვ შ ი რ ი კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ ო ძ მ ე
ხ ა ლ ხ ე ბ თ ა ნ

იმ დროს პართია სირიელთა ნაბატონარ ქვეყნებს ეუფლებო-და. მან ატროპატენე (ირანის აზერბაიჯანი) დაიპყრო, სომხეთის მი-7

წების ნაწილიც შეიერთა. რომაელ და პართელ დამპყრობთა უკუ-საგდებად დაიღო დიდი სამხედრო პოლიტიკური კავშირი პონტოს სამეფოსა და სომხეთს შორის (94 წ. ძვ. წ.). იბერია, ისევე როგორც ალბანეთი, დაუყოვნებლივ მიემხრო მას.

რომაელებს უკვე ხელთ ეპყრათ მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. პართია, თავის მხრივ, საომარ მოქმედებას აძლიერებდა. კავკასიის ხალხებიც ველარ აარიდებდნენ თავს დიდ ომს. სამხედრო კავშირის მეთაური პონტოს მეფე მითრიდატე VI (ტახტზე ავიდა 114 წ.) და სომეხთა მეფე ტიგრან II მაშინ დამოყვარდნენ. მათ წარმატებულ ომს იმთავითვე თან სდევდა უდანაშაულო მცირე ხალხთა რბევა-დაწიოკება. მითრიდატმა თავისი მეფობის პირველ წლებშივე შეიერთა კოლხეთი, სისხლში ჩაახრჩო მონების აჯანყება ტავრიდაში (ყირიმის ნახევარკუნძული) და ბოსფორის სამეფოსაც დაუფულა (II ს. დამლეეს). მოკავშირე სომხეთმა ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება (ძვ. წ. 88 — 85 წწ.) მესოპოტამიაში, ატროპატენეში. ტიგრანის ლაშქრობაც სირიაში წარმატებით დასრულდა (ძვ. წ. 70 წ.).

რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა მოკავშირეებმა წარმატებით დაიწყეს. მითრიდატმა მცირე აზიაში ბითინიის სამეფო დაამარცხა. გაღმოცემის მიხედვით, მან ურთი დღის განმავლობაში ამოკლიტა 80 ათასი რომაელი და საზვიამოდ გამოაცხადა (ძვ. წ. 88 წ.), რომ აზია, ე. ი. რომის მიერ დაპყრობილი ნაწილი მცირე აზიისა, გათავისუფლდა. პონტოს სარდლობას ომის გასაგრძელებლად უღეველი რეზერვები ეგულებოდა კოლხეთში, ბოსფორში. კოლხეთიდან, კერძოდ, აწვდიდნენ მას ფლოტის საშენებელ ხე-ტყეს.

მაგრამ რომის დაჟინებულმა შემოტევებმა მოკავშირეები გასტეხა (სულ მოხდა სამი დამაბული ომი). ომწაგებულმა პონტომ და სომხეთმა, ქართველთა და ალბანელთა მხარდაჭერით, ერთხელ კიდევ სცადეს ბედი — ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა შორის დვივდებოდა სოლიდარობის გრძნობა, რომელიც შემდეგაც, მრავალი საუკუნის მანძილზე უადვილებდა მათ მტერთაგან თავდაცვას. როდესაც რომაელები კულკულის სარდლობის სომხეთის დედაქალაქს არტაშატს დაესხნენ თავს (ძვ. წ. 68 წ.), მათ მოსაგერიებლად სომეხ მეომართა მხარდამხარ ქართველი შუბოსნებიც იბრძოდნენ. სომეხი ხალხის მეთაურებს მშველელ რაზმებში ყველაზე უფრო სანდო, ერთგულ და მამაც მებრძოლებად სწორედ ეს იბერიელი შუბოსნები ეგულებოდათ. მოკავშირეები ბოლოს დამარცხდნენ. მითრიდატემ თავი მოიკლა (63 წ. ძვ. წ.). რომის სარდალმა პომპეუსმა პონტოში მეფობა გააუქმა, სომხეთი დახარკა, შემდეგ კი მთელი ამიერკავკასიის დასამორჩილებლად დაძრა თავისი ლეგიონები.

ამიერკავკასიაში შემოჭრილმა რომაელთა მხედრობამ ჯერ ალბანეთში გადაიხადა ომი. ბრძოლაში ალბანელთა 40-ათასიანი ჯარი მონაწილეობდა. რომაელებმა ალბანელთა მეფე ორისე დაიზავეს და მტკვრის ხეობით შემოვიდნენ ქართლში (65 წ. ძვ. წ.).

იბერიისა და კოლხეთის დაპყრობა, რომის სარდლობის ვარაუდით, იქნებოდა პონტოს მოკავშირეთა საბოლოო განადგურება. ამას გარდა, საქართველოში დამპყრობელს სამართლიანად ეგულებოდა საჭირო სამხედრო ძალა, სხვადასხვა ბუნებრივი რესურსები (მარცვლეული, მატყლი) სატრანსპორტო გზა შავსა და კასპიის ზღვებს შორის, უმოკლესი გზები იმიერკავკასიაში გადასასვლელად, სადაც ადვილი იყო ნედლეულისა და მონების შექმნა და ა. შ. მათ ეწადათ მაგარი ზურგი ჰქონოდათ კავკასიაში აღმოსავლეთში გასაბატონებლად.

ი ბ ე რ ი ე ლ თ ა თ ა ვ დ ა ც ე ი თ ი ო მ ი

ღროის მოსაგებად ქართლის მეფემ არტაგმა პომპეუსს დესპანების მეშვეობით მოლაპარაკება გაუშარტა, ვითომ მასთან პოლიტიკური შეგობრობის დასამყარებლად, მაგრამ ომი მაინც აუცილებელი გახდა.

იბერიას, ალბანეთსავით, შეეძლო დაახლოებით 22 ათასი მხედარი და 60 ათასი ქვეითი შეიარაღებული მეომარი გამოეყვანა. მეფის საკუთარ სპას შეჯავშნული ცხენოსანი რაზმები შეადგენდა. იბერიელი შუბოსნებიც დიდი ძალა იყო. თავდასაცავ სიმაგრეებს შორის ყველაზე საიმედოდ მცხეთის შიდაციხე — არმაზციხე ჰქონდათ. არმაზციხე აღმართული იყო ქალაქ მცხეთის პირისპირ, ახლანდელი ბაგინეთის ტერიტორიაზე. არმაზციხის კილომეტრიანი სამხრეთი ზღუდის სივანე ოთხს, ექვს და ზოგან რვა მეტრსაც უდრის. კლდის ნაკაფში ჩადგმული გალავნის საფუძველად დაგებულია თლილი ქვა, ხოლო ამ საფუძველზე ამოყვანილია ორი-ორნახევარი მეტრის სიმაღლე ალიზის კედელი. ციხეს წყალი მოსდიოდა თიხის წყალსადენი მილებითა და ქვის ღარებით.

იბერიელებმა ომის სამზადისი ვერ დააბოლოვეს, რომაელებმა დაასწრეს სატახტო ქალაქთან მიხდომა. არტაგი დაუყოვნებლივ გადავიდა მტკვარზე და დასწვა ზედა გადებული ხიდი, რათა მტრის წინსვლა დაეზოკოლებინა. არმაზციხე მტერს დანებდა, დაპყრობილ იქნა იბერიის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილი. იბერიის ჯარმა

მტკვარგადამა, ტყით დაბურულ ხეობაში გადაიხადა ფიცხელი ომი. მშვილდოსნები, შუბოსნები, ხელსატევრიანები თავგამეტებით იბრძოდნენ, ხოცავდნენ მომხდურთ და თვითონაც იხოცებოდნენ. მაღალ ხეებზე შესული მებრძოლები ისარს აყრიდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს. თავისი მიწა-წყლისათვის დაიხოცა 900 კაცი, ხოლო 10.000 ტყვე რომაელებმა წინ გაირეკეს.

პომპეუსი დაეზავა მეფე არტაგს და ქართლიდან კოლხეთს მი-აშურა. იბერიის ძლიერი სამეფოს უბრალო პროვინციად ქცევა მტერს არ შეეძლო. საზავო ხელშეკრულების თანახმად, იბერიაში მეფობა ძალაში რჩებოდა. სამაგიეროდ დამპყრობლებმა არტაგს თავზე მოახვიეს რომის პოლიტიკური „მეგობრობა“ და სამხედრო „მოკავშირობა“, ისევე, როგორც სომეხთა მეფეს და ზოგ სხვა გავლენიან ხელმწიფეს. არტაგი იძულებული გახდა შეილებიყ მძევლად მიეცა რომაელებისათვის.

რომში იბერიელებზე ისეთი აზრისა იყვნენ, რომ ეს ხალხი არასოდეს არავისგან დამპყრობილი არ ყოფილა და ვერც ახლა შეურიგდებოდა უღლის ტარებას და რომ საჭირო იყო მათ ციხეებში რომაელთა ჯარის დგომა.

კოლხეთის ანუ ებრისის სამეფო ძვ. ს. II—I სს-ში

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა . ვ ა კ რ ო ბ ა

კოლხეთის სამეფოს დიდი სამეურნეო და კულტურული ტრადიციები ჰქონდა. მეურნეობის სხვადასხვა დარგი და ხელოსნობა საკმაო სახსრებს იძლეოდნენ საარსებოდ. ლითონის დამუშავების, მკედლობის საინტერესო ნიმუშები შემორჩენილა, კერძოდ, რაჭაში, სოფ. ბრილის სამარხებში.

მეტალურგიაში გამოყენებული იყო ცვილის მოღელი, თითოეული ნივთი საკუთარ ყალიბზე კეთდებოდა. ბრინჯაოს მხატვრული ჩამოსხმის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდნენ სარტყელის ჰვირული ბალთები. კერამიკულ ნაწარმში აღრინდელი შეაპრიალა ლამაზი ჭურჭელი შეცვალა წითელი თიხის სადა ნაწარმმა (ხელაღები და სხვ.). ქვევრებში ინახავდნენ ღვინოს, მარცვლეულს. ძვ. წ. VI ს-დან დაწყებული, ამ ქვევრებს ხმარობდნენ მიცვალებულთა სამარხ-ჭურჭულადაც. მეთუნეების ანუ მეექვეების (კეცი — თიხას ნიშნავდა) ნახელავის ნიმუშები უხვად შემონახულა დაბლაგომში. ხელოსნები მასალად ხმარობდნენ რკინისა და თიხის გარდა ბრინჯაოს, ოქრო-ვერცხლს, მინას, პასტას, ქვას.

მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა ნაოსნობას რიო-

ნის ქვემო დინებაში. ტყით დაფარული თბილი ქაობიანი არეები მიმოსვლის გასაადვილებლად, მონური შრომის გამოყენებით, არხებით ჰქონდათ დაქსელოლი. შიგ დატურავდნენ საწნეხელთა მსგავსი ნავეები, ეგრეთ წოდებული ორეები, „ცალფა ხეები“. რომში მოწონება ჰქონდათ კოლხურ საზღვაო ნავეებს. უხვად მზადდებოდა გასასყიდი ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი. ყიდიდნენ მონებსაც. კვლავ იჭრებოდა ფული — როგორც ადგილობრივ მეფეთა სახელით, ისე უცხო მეფეთა (ალექსანდრე მაკედონელი, ლიზიმაქოსი, რომის კეისრები) ფულის მიბაძვით, რადგან აღებმიცემობა წარმოებდა რომთან, პართიასთან და საერთოდ უცხოეთთან.

კოლხეთის სატახტო ქალაქი — მდ. ფასიდზე (რიონზე) მდებარე ა ი ა ძვ. წ. III ს-დან უკვე საკმაოდ დასუსტებული სამეფოს ცენტრი იყო. ერთი თანამედროვის (ძვ. წ. III ს.) გამოთქმით ა ი ა „ახლაც მტკიცედ დგას“.

ფოთში აღმართული იყო ამ ქალაქის „მფარველი“ ქალღმერთის ქანდაკება. ერთი აღწერით (ახ. წ. 134 წ.), ქალღმერთი იჯდა ტახტზე, მას ხელთ ეპყრა კიშბალი (საკრავი), ხოლო ტახტს გამოძერწილი ლომები სდარაჯობდნენ“. ქანდაკებას აღმწერელი აღარებს სახელოვანი ბერძენი მოქანდაკე ფილიასის ერთ-ერთ ნაწარმოებს.

მდ. ყვირილა ერთ ხანს მდ. ფასიდის გაგრძელებად მიიჩნდათ. დიდი ციხე შორაპანიც (ბერძნ. სარაპანისი) ფასიდზე მდებარედ ითვლებოდა. სავაჭრო ნაოსნობა წარმოებდა ფოთიდან შორაპანამდე. ამ ციხეს ზემოთ ნავეები ველარ აღიოდნენ ხეობის სივიწროვისა და ჩქერის გამო. ფასიდ-ყვირილაზე 124 ხიდი ყოფილა ვადებული. მდ. რიონის ზემო დინებას, ყვირილის შესართავს ზემოთ, უწოდებდნენ თავის ნამდვილ სახელს — რიონს. ქ. ციხე-გოჯი მდებარეობდა მდ. ტეხურის ხეობაში.

კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა

უკვე ძვ. წ. III ს-დან, როგორც ვიცით, ეგრისი მოექცა იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. კოლხთა მეფეები ქვეყანას სკეპტუქოსების მეშვეობით მართავდნენ, რომელთაც ენიჭებოდათ ხელისუფლების ნიშანი — კვერთხი (ბერძნ. „სკეპტრონი“). ერთ-ერთი სკეპტუქოსი, ოლთაქესი, იხსენიება ძვ. წ. I ს-ის შუა წლებში.

ძვ. წ. III—II ს-ის კოლხ მეფეთაგან ცნობილი არიან აკი (III ს.), რომლის სახელითაც არის მოქრილი ოქროს ფული, და სავლაკი (II ს.). ეს უკანასკნელი, როგორც „აიეტის შთამომავალი“ მეფე, ულევი ოქრო-ვერცხლის მფლობელად ჰყავდათ რომაელებს მიჩნეული.

ძვ. წ. II—I საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის სამეფოში პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ამის მიზეზი შეიქნა სოციალურ კლასთა შინაგანხეტოვება და, ამას გარდა, გარეპოლიტიკური მოვლენებიც. სახელმწიფოს შიგნით უკმაყოფილო მოსახლეობის მშფოთვარება-აჯანყებებს სამეფო ხელისუფლებისათვის სხვა სიძნელეებიც ემატებოდა. საწარმოო ძალთა საერთო განვითარების შედეგად თავისუფალ თემებში, კერძოდ, მთავორიან ზოლში შავი ზღვის დასამხარზე (აბაზგები, აფშილები და სხვ.) თემობის დაშლის პროცესი ღრმავდებოდა. იქ უფრო და უფრო ძლიერდებოდა სამხედრო დემოკრატია მისი აგრესიულად განწყობილი ბელადებით, რომელთა ადგილობრივი ინტერესები უპირისპირდებოდა მთლიანი სამეფოს ინტერესებს. შინაური წინააღმდეგობებისაგან მოუძღვრებულ მეფეს სკვებტუქოსებიც აღარ ემორჩილებოდნენ. ისე რომ, როდესაც პონტოს მპყრობელი მითრიდატე კოლხეთს დაესხა, აქ მას მეფის ხელისუფლება დაკნინებულ-დანაწილებული დახვდა. მითრიდატე ადვილად დაეუფლა კოლხეთს, რომელსაც, კარგა ხანს მართავდნენ მითრიდატეს მისანდო პირები—მოაფერნე და სხვ. ხოლო როდესაც რომაელებმა გაიმარჯვეს ამიერკავკასიაში, კოლხეთში შექრილმა (ძვ. წ. 65 წ.) პომპეუსმა მითრიდატეს გავლენის აღმოსაკვეთად იქ მეფედ დასვა ვინმე არისტარქი. შემონახულია ამ მეფის ხელით მოკრილი დრაქმა (ძვ. წ. 52 წ.). კოლხეთის სამეფოს აღარც არისტარქის შემდეგ დაბრუნებია აღრინდელი პოლიტიკური მდგომარეობა.

იბერიის სახელმწიფოს გაქლივრება (ახ. წ. I—III სს.)

თანამედროვის მოწმობით, რომელთა ყოველი მოუტლელობა, იბერიაში მათი სამხედრო თავდაცვის შესუსტება ქართველებს მყისვე აგულიანებდა და ხალხი მტრის განსაღვენად ხელში იარაღს იღებდა. კერძოდ, იბერია აჯანყდა ფარნავაზის მეფობაში (ძვ. წ. 36 წ.). ფარნავაზი, რომელთაგან დამარცხებული, იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო მათ ომში ალბანელთა წინააღმდეგ. აჯანყება მერმეც განმეორდა (ძვ. წ. 15 წ.). ამ აჯანყების შემდეგ იბერთა მეფემ განიზარა რომთან „სამეგობრო“ ურთიერთობის აღდგენა და ავგუსტუს კეისარს ელჩები გაუგზავნა. ეს ამბავი აღნიშნული აქვს თვით ავგუსტუსს ანკვირის წარწერაში (დაახლოებით ახ. წ. 14 წ.; ანკვირა დღევანდელი ანკარაა მცირე აზიაში). მოკლე ხანში მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ქართლი ფაქტიურად რომისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას დაადგა.

ბ რ ძ ო ლ ა პ ა რ თ ე ლ დ ა მ პ ყ ო ბ ე ლ თ ა წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ს ო მ ე ხ ი ხ ა ლ ხ ი ს მ ხ ა რ დ ა ქ ე რ ი ო

პართიის მეფე არტაბანი თავს დაესხა სომხეთს, მოშალა იქ რომაული ადმინისტრაცია და თავისი შვილი არშაკი გაამეფა (ახ. წ. 35 წ.). პართელების უკუსაქცევად ომის ხელმძღვანელობა რომის მთავრობამ იბერიის მეფეს ფარსმანს დააქისრა. სომეხი ხალხი ბუნებრივად იზიარებდა პართელი დამპყრობლების განდევნის იდეას, იბერთა დიდი ჯარი ეკვეთა სომეხ მეფეთა სატახტო ქალაქს, მდიდარ არტაშატს (არაქსის ხეობაში), გააძევა იქიდან პართელები და დაიკავა ქალაქი. ქართველ მხედართმთავრებს, ფარსმანის მეთაურობით, დიდი გამარჯვება ხვდათ წილად. მათ ეხმარებოდნენ ალბანელები და კავკასიელი მთიელებიც. იბერიელები და ალბანელები უშუალოდ ზედამხედველობდნენ მთიელების გადმოსასვლელ დარიხს და კასპიის კარს. მოგებულ ომის შედეგად სომხეთში, რომის იმპერატორის ბრძანებით, გამეფდა ფარსმანის ძმა მიპრდატი (მითრიდატი), რომელიც თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში განაგებდა სომხეთს (ახ. წ. 30 — 51 წწ.).

მაგრამ მიპრდატის სომხეთში მეფობას ბოლო მოუღო მისმა ძმისწულმა რადამისტმა. მიპრდატის ბედი გადაწყვიტა რადამისტის მამამ ფარსმანმა. მიპრდატი მოკლულ იქნა და მის მაგიერ სომხეთში რადამისტი გამეფდა (51 წ.). ამრიგად ფარსმანი, იბერიის დიდი და ძლევამოსილი მეფე, აღარ ეპუებოდა რომაელებს, ალბანელთა მეფესთანაც მას ომი მოუხდა. მიპრდატმა და, მეტადრე, რადამისტმა ხალხის უზომო ექსპლოატაციითა და ტირანობით აიძვდრეს სომხეთი. რადამისტს აუჯანყდა ქალაქ გარნისის (სადაც ის იჯდა) მოსახლეობა, ხალხი გარშემოერთყა ციხეს და რადამისტმა გაქცევითლა უშველა თავს.

ი ბ ე რ ი ი ს შ ე მ დ გ ო მ ი გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა

სახელმწიფო მიწა-წყალი მაინც გაფართოვდა. იმხანად იბერიის საზღვრებში შემოდრიოდა ზვიდრიტთა ტომის სამოსახლო მდ. კოროხის ქვემო ხეობაში.

რომის იმპერატორები იძულებული ხდებოდნენ იბერიის ზრდისათვის ანგარიში გაეწიათ, ქართველთა სამეფო ხელისუფლებას პატივით მოპყრობოდნენ.

ფარსმან მეფის ძეს მიპრდატს (რადამისტის ძმას) ვესპასიანე კეისრის სახელით მცხეთის ზღუდე გაუშაგრეს და ამის სახსოვრად იქ დიდი წარწერიანი ქვაც ჩადგეს (ახ. წ. 75 წ.). ამ წარწერაში, სა-

ზეიმო კილოთი, გამოცხადებულთა, რომ იბერიის მეფეცა და ხალხიც კეისრისა და რომაელთა მეგობრებად იყვნენ ჩარიცხული.

II ს-ში იბერიის სახელმწიფოს ავტორიტეტი მეზობელ ქვეყნებსა და თვითონ რომშიც ძალზე გაიზარდა. იბერიის მეფეებს რომის ხელისუფლებთან ურთიერთობაში თავი დამოუკიდებლად ეპირათ. მაშინ როდესაც აღრიანე კეისარმა, მცირე აზიაში ყოფნისას (123—124 წწ.), იხმო თავის ერთგულ, გამგონე კაცებად საგულგებელი აღმოსავლეთის მეფე-მთავრები, ქართველთა მეფემ ფარსმანმა, ისე როგორც ალბანთა მეფემ, იუკადრისა რომის მოყმეებივით კეისართან ხლება. აღრიანე ბევრს ცდილობდა ფარსმანის პოლიტიკური ერთგულება მოეპოვებინა. აღრიანეს ცხოვრების აღმწერელი რომაელის მოწმობით, ეს კეისარი იმდენ საჩუქრებს, რამდენსაც ფარსმანს, არც ერთ სხვა მეფეს არ უგზავნიდა. II ს-ის შუაში ფარსმანი რომს ეწვია სტუმრად. სხვა/ცნობით, ფარსმანის ცხენოსანი ჯანდაცება მდგარა რომში მარსის მინდორზე. რომის ხელისუფლების დახმარებით მეფემ იბერიის საზღვრებიც გააფართოვა.

ფარსმანის მოხელეთაგან ცნობილი არიან ეზოსმოდღარი აგრიპა, პიტიახში ზევახი და სხვ.

ფარსმან II-ის მემკვიდრე, „იბერთა დიდი მეფე“ ხსეფარნუგიც წარმატებით განაგებდა ქართლს II ს-ის მეორე ნახევარში. მისი მარჯვენა ხელი იყო იოდმანგან აგრიპას ძე, თანამდებობით მამასავით ეზოსმოდღარი. ამ ეზოსმოდღარმა იბერიას (ქართლის სახელმწიფოს) „მრავალი გამარჯვება“ მოუპოვა, ე. ი. ბევრი მტერი დაუმარცხა.

იბერის მტეციც სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, ურთიერთობა რომთან და სხვა მეზობლებთან III ს-შიც ძირითადად უცვლელი დარჩა. ასეთი ვითარება სავსებით შეეფერებოდა ქართველი ხალხის შემდგომ წარმატებას სოციალურ-ეკონომიურ სფეროში. მართალია, სპარსეთმა განიზრახა იბერიაზე გაბატონება, მაგრამ მან წააგო ომი რომთან და იძულებული შეიქნა მიეღო ნაზიბინის (ქალაქია მდ. ტიგროსის ზედაღინებაში) ხელშეკრულება (298 წ.), რომლის ძალითაც იბერია რომის მეგობრად რჩებოდა.

სოციალურ-ეკონომიური ვითარება აღრეიმონათმფლობელურ იბერიაში

იბერიაში მონური წარმოების გვერდით ფართოდ იყო გავრცელებული თავისუფალი შრომა. უშუალო მწარმოებელთაგან მონებსა და თავისუფალი შრომის ადამიანთა შორის იდგნენ „ნახევრად“ მონები, „ნახევრად“ თავისუფალნი და ა. შ. ბერძენი გეოგრაფის

სტრაბონის (დაახლოებით 65 წ. ძვ. წ. — 23 ახ. წ.) ცნობით, ქართლში მიწისმოქმედი უმეტესობის ერთ ნაწილს შეადგენდა თავისუფალი ხალხი (ძველი ქართული ტერმინი რომ მიეუყენოთ—ე რ ი), რომელიც მშვიდობიანობის დროს მიწას ამუშავებდა, ხოლო ომის დროს მეომრად გამოდიოდა. მეორე ნაწილი წარმოადგენდა თავისუფლებაზე ზღუდულ მიწის-მუშა ხალხს. ის სამეფო საგვარეულოს (ძველი ქართულით, „სეფესახლს“) ემსახურებოდა „სამეფო მონების“ მსგავსად და აწვდიდა მას ყოველივეს, რაც კი ადამიანს საარსებოდ სჭირდებოდა. გაბატონებული კლასის შემადგენლობაში ყველაზე მდიდარი იყვნენ სეფე-სახლი და ამ სახლის უმნიშვნელოვანესი წევრი—„იბერთა დიდი მეფე“. ზემოაღნიშნულთა გარდა, იბერიის საზოგადოების მნიშვნელოვან ფენებს შეადგენდნენ ხელოსნები, ვაჭრები, კულტის მსახურნი და სხვ.

მონები. უფლისმდაბიონი

მონათმფლობელის „სახლსა“ და მეურნეობაში მონა „ნივთად“ ითვლებოდა. ამიტომ ზოგ ენაზე „მონა“ და „სახლი“ ერთი ძირისაგან ნაწარმოები სახელით აღინიშნება. რომში „ფამილია“ ოჯახს ნიშნავდა, ხოლო „ფამულუს“ — მონას. სიტყვა „მონა“ აგრეთვე სახლის სახელთან არის დაკავშირებული. „მსახურები“ საქართველოში თავდაპირველად მონებს უნდა რქმეოდათ („სახლი“ და „მსახური“ ერთი ძირის სიტყვებია). აღრინდელი მსახური მდგომარეობით მონისაგან არ განირჩეოდა. მონას (მონა ქალს, მხეველს) „შიმონვარი“-ც ერქვა: იხსენიებიან „ხატის“ მონებიც. ადამიანთა მოწებად ქცევის უფრო გავრცელებული საშუალება იყო მათი ტყვეებად წასხმა-მოტაცება („ტყვევა“). „ტყვე“ და „მონა“ სინონიმური სახელები გახდნენ. მონებს სყიდვის შედეგად „სყიდულნიც“ ეწოდებოდათ. მონებს იყენებდნენ მეტადრე მძიმე ფიზიკურ მუშაობაში. ძველმა ქვეყანამ იცოდა მონა-მხენელიც, მონა-მწყემსიც. მონები ხელოსნობდნენ, მუშაობდნენ მშენებლობაზე, არხების გაყვანაზე და ა. შ.

რადგან მიწათმოქმედნი დაბა-სოფლებთან იყვნენ დაკავშირებული, ამიტომ მათ ერქვათ მდაბიონი, მსოფლიონი. მეფის, ამ დიდი უფლის, ხელში ისინი ხდებოდნენ „უფლის მდაბიობად“. როგორც ექსპლოატირებულნი, დაბეგრილები, მიწის-მოქმედნი იწოდებოდნენ გლეხებად. ხოლო რაკი სეფე-სახლს ემსახურებოდნენ, ამიტომ მათ მესეფე გლეხებიც ეწოდებოდათ, რადგან ამუშავებდნენ სეფე ქვეყანას. (ძველ-

ქართ. — ქვეყანა — მიწას ნიშნავს). მათ უფლისათვის უნდა მიერთ-
მიათ ყველაფერი, რაც კი ადამიანს სჭირდებოდა. მიუხედავად პირა-
დი თავისუფლებისა, ისინი უფლის ხელში მონებივით იჩაგრებოდ-
ნენ. ამის გამო მათ ზოგჯერ „სამეფო მონებს“ უწოდებდნენ.

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა . ვ ა ქ რ ო ბ ა

ადრევე მოპოვებული ჩარხი, სამეთუნეო მორგევი თუ სხვა ტექ-
ნიკური ხელსაწყოები ანტიკურ ხანაში კიდევ უფრო გავრცელდა.
ხელოსანთა შემდგომი დასაბუთება, სახელოსნო ცენტრების, დაბა-
ქალაქების რიცხოვრივი ზრდა — ბიძგს აძლევდა მადნეულის ახალი
საბადოების მოძიება-გამოვლინებას. ქალაქთა შორის დაწინაურდა
ს ა რ კ ი ნ ე ქ ა ლ ა ქ ი (თანამოსახლე ქედის ძირობაზე, მტკვრის
მარცხენა ნაპირზე, ძეგვის პირდაპირ), სადაც განვითარებული იყო
რ კ ი ნ ი ს დამუშავება.

ხელოსნებს მასალად უხმარიათ რკინაც და ბრინჯაოც, ოქრო და
ვერცხლი, ძვალი და ქვა, მინა, ქარვა, პასტა და ა. შ. მეკეცეთა ნა-
წარმიდან შემონახულა წითლად გამომწვარი თიხის ქვევრები, დო-
ქები, ქოთნები, ქილები, ჯამები; მეშუშეთა ნაწარმიდან — თეთრი
თუ ფერადი მინის ჭურჭლეული; გვხვდება ბრინჯაოს ბალთები, სარ-
კეები, რკინის საომარი იარაღები, სალესავებიც, რკინის სამკაულიც
(სამაჯურები, ბეჭდები); ოქრომჭედლობის ნაწარმიდან მრავლად
არის მოპოვებული ოქროს ბალთები და ლილები, სამაჯურები და
აბზინდები, ბეჭდები და საყურეები, პატიოსანი თვლებით მოოჭვი-
ლი, და ბევრი სხვა. ნაკლებად იპოვება ვერცხლის ნივთები — ბეჭ-
დები, ცხენის ასაკაზში ბალთები, აბზინდები, მრავლად მოიპოვება
მძივები — ქარვისა, გიშრისა, მინისა.

ქართველი ხალხის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა
სწვდებოდა კავკასიის გარეთ ბევრ სხვა ქვეყანასაც — მცირე აზი-
ას, ბოსფორის სამეფოს, მერმინდელ სამხრეთ რუსეთს, პართიას,
სირიას. საქონლის გადმოსაზიდად გამოყენებული იყო წყლის გზაც
ფოთიდან რიონ-ყვირილაზე და მის გაგრძელებად — მტკვარზე
კასპიის ზღვისკენ. იმდროინდელი იმპორტული საქონლიდან საქარ-
თველოს საგანძურებში დაცულია ზოგიერთი ოქრო-ვერცხლეუ-
ლი, სამკაულთაგან — ბეჭდების სახიანი თვლებიც. იქვე ინახება
კოლხური დრაქმები, რომაული, პართული და სხვა მონეტები.
უცხო ხალხებთან ურთიერთობის ძეგლებია, კერძოდ, მცხეთას
შემონახული ფალაური, არამეული, ებრაული, ბერძნული წარწერე-
ბი.

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი

სხვა ანტიკური ქვეყნების მსგავსად საქართველოს ქალაქებიც (მაგ., მცხეთა) ვაჭრობა-ხელოსნობის გაფართოების საქმეში სოფლის მეურნეობას ემყარებოდნენ. ქალაქის მესაკუთრეები საექსპლოატაციოდ ფლობდნენ სახნავე-სათესებს, ზერებს, საძოვრებს. ქალაქი უჯარმა აშენებულ იქნა ისეთ ადგილზე, რომელიც მომარჩევეული იყო ცხვრის ფართა მოსაშენებლად, სანადიროდ. ჯოგების მოსავლელად მცირე შრომა ეკმაროდა. ამრიგად, საქართველოს ქალაქებშიც ხელოსნობის წარმატებას, მის დარგობრივ განვითარებას ადგილობრივ ჰქონდა ბაზა, საკირო ნედლეული (მატყლი, ტყავი და ა. შ.).

ყოველივე ეს იწვევდა საქალაქო ცენტრების ზრდა-მრავლებასა და გაშვენიერებას. კერძოდ, მცხეთას სამეფო ქალაქად გახდომამდე უკვე კულტურული ცხოვრების ათასწლეული ისტორია ჰქონდა. მცხეთის კარებთან იყრიდნენ თავს სავაჭრო გზები ოთსკუთხივ: არაგვით და ქსნით — ჩრდილო ქვეყნებიდან; მტკვრით — დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც; თრიალეთის უღელტეხილებით — სამხრეთიდან. მცხეთას იცავდა ოთხი ციხე, რომელთა შორის მთავარი სიმაგრე („თავადი ციხე“) იყო არმაზციხე.

არმაზციხის ტერიტორიაზე მდგარა ქვის სასახლე; გამოირჩეოდა თლილი ქვის ერთი შენობა ქვის თავძირიანი სვეტებით, ჩუქურთმიანი ლავგარდნებით, ფერადი ნახატებით დამშვენებული. იქ აღმართული ყოფილა ქალაქის მფარველის, ომის ღვთაების არმაზის ქანდაკება — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ზურმუხტისთვლებიანი, ხელმახვილიანი. მცხეთის ერთი უბანი (არმაზციხის დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა შენაკადის არმაზისხევის შესართავთან) სამოსახლოდ სჭერია პიტიახშოა სახლს. პიტიახშებს, სასახლის გარდა, აქ ჰქონდათ საოჯახო სასაფლაო. ქალაქის უდიდესი სასაფლაო მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის შესაყართან, არაგვის მარჯვნივ, — სამთავროში. იბერიის ქალაქთაგან მცხეთის სიახლოვეს დაწინაურებულან წიწამური (ბერძნულად — სევსამორა), არაგვის მარცხენა სანაპიროზე, ს ა რ კ ი ნ ე ქ ა ლ ა ქ ი და ა. შ.

მტკვრისა და სავაჭრო გზის გაყოლებაზე მდებარეობდნენ ქალაქები: კასპი, უფლისციხე, ურბნისი, სურამი; მესხეთის მთის სამხრეთ კალთებზე, ხეობაში — ოძრხე და სხვ.

სამთავროში გარდა შეძლებულთა სამარხებისა, რომლებშიც საკმაროდ მრავლადაა ნაპოვნი ოქრო-ვერცხლი, გვაქვს ღარიბი ადამიანების სამარხებიც. ესენი შეიცავდნენ ცოტა და იაფფასიან ნივ-

თებს (თიხის ორიოდე კურქელი, მინისა თუ პასტის მძივები, რკინისა თუ ბრინჯაოს სამაჯურები და ბეჭდები, იაფი მასალის თვლებით). ხოლო არმაზისხევეთან გათხრილ სამარხებში მდიდრების ნაქონი უამრავი ძვირფასი ვერცხლის კურქელი, ოქროსა და თვალ-მარგალიტის სამკაული აღმოჩნდა.

მ ე ფ ე და ს ა მ ე ფ ო ხ ე ლ ის უ ფ ლ ე ბ ა

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, შეუზღუდველი უფლებით; მისი ხელისუფლების გარეგანი ნიშნები იყო დიადემა (თვლებით შემკული თავსაკრავი) და გვირგვინი. მისი სიმდიდრე — სიძლიერისა და გავლენის უშუალო საფუძველს შეადგენდა „სეფე ქვეყანა“. „სეფე“ ნიშნავდა სამეფო გვარსაც, პალატსაც, მის ყოველ კუთვნილებასაც. სეფე-ქვეყანას ამუშავებდნენ მონები და უფლის მდაბიონი. მეფის შემოსავლის წყარო იყო მისი კუთვნილი ხოდაბუნები, ზვრები და საძოვრები, ავრეთვე სახელოსნოები.

მეფეს და მთელ სეფე-სახლს ბინა და საგანძური დადებული ჰქონდათ საქართველოს უმდიდრეს ქალაქებში (მცხეთა და სხვ.). მეფის უფლება გადადიოდა მამიდან შვილზე, პირდაპირი მემკვიდრეობით. გვირგვინისა და ხელისუფლების მამიებელნი ხშირად მიმართავდნენ მეფის ფარულ მკვლელობას საწამლავითა თუ იარაღით.

ს ა მ ე ფ ო ა დ მ ი ნ ის ტ რ ა ც ი ა

მეფის მოხელეთა რიგს ეკუთვნოდნენ ეზოსმოდვარი, პიტიახშები ანუ ერისთავები და სხვ. პიტიახშები მართავდნენ იბერიის ადმინისტრაციულ ერთეულებს — ხევებს; კრებდნენ გადასახადებს და ადგილობრივ მეურნეობას იცავდნენ მტრისაგან. პ ი ტ ი ა ხ შ ი ს ი ტ რ ა ც ი ა ს ი ტ ე ვ ი თ „ქვეყნის თავს“ ნიშნავს. ცნობილია ზოგი პიტიახშის სახელი (შარავასი, ზევახი, ასპავრუკი, ბუზმირი), ზოგიერთის პორტრეტიც კი, მათი ოჯახური მდგომარეობა, ნაქონი ნივთები, საგვარეულო სამარხი და სხვ. მათი სახელისუფლო ნიშნები ყოფილა ოქროსბალთებიანი სარტყელი; პორტრეტიან-წარწერიანი საბეჭდავი, ოქროს დიადემა, ოქროსტარიანი სატევარი. პიტიახშები თავიანთ საგამგებლოს მართავდნენ ხევისუფალთა, ხევისთავთა, ციხისთავთა მეშვეობით. მმართველთა წრეს ეკუთვნოდა უზენაესი მსაჯული, ქუარუმებს წილი ედოთ სახელმწიფოს საგარეო საქმეებში, მშვიდობისა თუ ომის ვითარებაში.

ლაშქარი

მეფეს ჰყავდა მცველი საკუთარი მხედრობა. მეფის ლაშქრის ბირთვის შეადგენდნენ სეფე-სახლის წევრები — ს ე ფ ე წ უ ლ ე ბ ი. მეფის ლაშქარი მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შეადგენდნენ ტ ა ძ რ ე უ ლ ე ბ ს, ესე იგი ტ ა ძ რ ი ს სასახლის წევრებს.

მეფის ლაშქარს ნიეთიერი შეძლება ნებას აძლევდა ცხენისა და რკინის საკურვლის პატრონი ყოფილიყო, საჭიროებისამებრ მსუბუქადაც შეიარაღებულიყო და მძიმედაც. მძიმე შეიარაღებას ეკუთვნოდა ლითონის თორნი, ანუ ჯ ა ვ შ ა ნ ი კაცისთვისაც და ცხენისთვისაც (ამიტომ მხედარს - ც ხ ე ნ - თ ო რ ო ს ა ნ ი ც ე წ ო - დებოდა), ჯაჭვ-ჩაბალახი, დიდი ფარი, გრძელი შუბი. დღემდე შემონახულია იმდროინდელი იარაღის ნიმუშები — რკინის სატყეურები, მშვილდ-ისრები, საომარი ცულები, მახვილები, ჯაჭვის პერანგი, დეზები, ქარქაში და სხვ. მეფის პ ა ლ ა ტ ი, ანუ სასახლე, მეფის ლაშქართან ანუ ბ ა ნ ა კ თ ა ნ ერთად, წარმოდგენდა განუყოფელ მონარქიულ ძალას; რომელსაც ეწოდებოდა „პალატ-ბანაკი“. ომში წინამავალ ცხენ-თოროსნებს უკან მისდევდნენ მ კ ე ო რ - ც ხ ლ ე ბ ი (ქვეითები), ამათ მიჰყვებოდნენ მ ხ ე დ რ ე ბ ი.

უძაღლეს სარდლობას შეადგენდნენ სპასალარები, ათასისთავები, საერთო მეთაური — სპასპეტი. რადგან მეფის ტაძარს ანუ „ეზოს“ (სასახლეს, კ ა რ ს) იცავდა ათასეული, ამიტომ სასახლის ათასისთავი იყო იგივე ეზოსმომდღარი, სასახლის ხელმძღვანელი, მერმინდელი სახლთუხუცესი. ქართველთა სამხედრო ორგანიზაცია, საბრძოლო ტაქტიკა განთქმული იყო. რომაელებში მიჩნეული ჰქონდათ, რომ იბერიელები მთაგორიან ადგილებში ბრძოლას მათზე უკეთესი ხერხებით აწარმოებდნენ, დავაკებულ გარემოშიც მათ არ ჩამორჩებოდნენ. ქებული იყო ქართველების ბრძოლისუნარიანობა, ტანვარჯიში და ასპარეზობა. ქვეითობას, მკვირცხლთა გუნდებს მეფეს აძლევდა თავისუფალი მიწისმოქმედი ე რ ი. ქვეითობის მეთაურად გამოდიოდა ე რ ი ს თ ა ვ ი. ცალკეულ მეომარს ერქვა ე რ ი ს გ ა ნ ი, ე რ ი ს კ ა ც ი.

მთიანეთის მოსახლეობის უმრავლესობას ომიანობისა და იარაღის მოყვარე მოლაშქრე ხალხი შეადგენდა. დიდი ომის დროს იქ იარაღს იხანმდა საკურვლის ხმარების შემძლე ყოველი მამაკაცი. მათი სამხედრო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა ხალხის მხედართმთავარს.

ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ რ ე ბ ი ს ძ ე გ ლ ე ბ ი

იბერიის ერმრავლობას, მისი ქალაქების სიხშირესა და სიკეთეს ახასიათებს გეოგრაფი სტრაბონი: „აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც, სახუროთმოძღვრო ხელოვნების წესების თანახმად ნაგები შენობები, საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი“.

ლარიბთა მცირე ფიცრული „სახლაკები“ (და არა სახლები და სასახლეები), მათი ნაღვომი „გალიაკები“ თითქმის უკვალოდ გალესილან წარსულის მტვერში. მათ „ნაგებობათაგან“ ჩვენამდე მოუღწევიათ ისევ ლატაკ სამარხებს. მდიდარ მესაკუთრეთა ნაღვომი სასახლეების, თავდასაცავი გალავნების ნაშთები მრავლად გადარჩენილან. ბუნებრივია, რომ ყველაზე უფრო მდიდრულ შენობათა ნაშთები აღმოჩნდა მცხეთაში, მის ძირითად უბნებში (არმაზისხევი, ბავინეთი). ქალაქის ზღუდეთა ნაშთები გამოვლენილია სარკინეთში, წიწამურში, გორში, ურბნისში, ნაქალაქევში (მდ. ტეხურის ხეობაში). მცხეთის მისადგომებზე (ზაჰესის ახალ ხიდთან) გადარჩენილია ამ ქალაქის გალავნის დიდრონი ღრღები, რომლებზედაც ამოკვეთილია ბერძნული ასოები.

ხუროთმოძღვრები მშვენივრად ახერხებდნენ რთული საინჟინრო გეგმების განხორციელებას: კაპიტალური შენობების მაღალ ფერდობებზე დაფუძნებას, დაქანებულ კალთებზე კედლების კიბეკიბედ ჩამოყვანას (მაგალითად, ბავინეთში), ქვიანი ნიადაგის სათანადოდ გამტკიცვა-გამზადებას. უფლისციხის ქალაქი (ამჟამად ნაქალაქარი), მისი დარბაზები კლდეშია გამოკვეთილი. არმაზისხევიში პიტიანშების სასახლეს თან ახლდა მშვენიერა აბანო, გვერდით — მარანი, ახლოს — საგვარეულო სამარხი. აბანოში წყალი თიხის მილებით შედიოდა, ცხელდებოდა და ისეთივე მილებით მიედინებოდა აბაზანებისაკენ. საცეცხლეს ზემოდან ახურავს დუღობით ამოყვანილი თაღი. მშენებლობაში იყენებდნენ თლილსა და ნაგლეჯ ქვას, კირს („ქვიტიკირს“), აგურს, ალიზს. კრამიტი, აგური, ჩუქურთმიანი ქვის ფილები მრავლადაა ნაპოვნი მცხეთაში.

საცხოვრებელ ნაგებობათა მსგავსად შენდებოდა ქვისსამარხებიც, მეტადრე მდიდართა აკლდამები. ქვისსამარხები გავრცელდა I—III ს. ახ. წ. ქვისსამარხი ჩვეულებრივ წარმოადგენს მინიატურულ მოგრძო „სახლს“, რომელსაც აქვს ოთხი კედელი და სახურავი, ხან ქვის ფილებისავე იატაკიც, სახურავი ზოგან ბრტყელია („ბანი“), ზოგან ორფერდა. ფორმით და დანიშნულებით ეს იყო საიქი-

ოს საცხოვრებელი, „სამარადისო“ სახლი. ზოგი სამარხი ნათლია ერთი მთლიანი ქვისაგან და ასეთივე სახურავითაა დაფარული. დიდ-კაცის გეამს ზოგჯერ სდებდნენ ვერცხლისფენებიან სარეცელზე და ასე მწოლიარეს, სარეცლიანად, ათავსებდნენ სამარხში. რამდენიმე ასეთი „სარკოფაგი“ აღმოჩენილია არმაზისხევთან, ერთი — ბაგონეთს. არქიტექტურითა და დეკორაციული მორთულობით გამოირჩევა შ ა ე ზ ო ლ ე უ მ ი ს ტიპის აკლდამა (არმაზის ქედის ძირში). ერთვალნი, სუფთად ნათალი ქვის „სახლი“ დგას საძირკველზე, შემკულია ფრონტონითა და ლავგარდნით. ზღურბლიან კარს ამშვენებს საპირე. იატაკი დაგებულია თლილი ქვით, თლილი ქვის თაღად ამოყვანილ სახურავს კრამიტიც აფარია.

მცხეთას „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“ ჰყოლია. ერთი ამისთანა პირი აგრელი აქოლისი ახ. წ. IV — V სს. ცხოვრობდა.

ოქრომკედლობა

მცხეთაში და საქართველოს სხვა ადგილებში მრავლადაა მოპოვებული ოქრომკედლების ნახელავი სამკაულები და სუფრის „სამსახურებელი“ — ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი, ლანგრები, თასები, ფიალები, სურები.

ოქრომკედლებისა და თვლებისმთლელოა ნაწარმი უხვად ვრცელდება მომხმარებელთა შორის ახ. წ. I ს-დან. შეძლებულ ოჯახებში დიდ ხმარებაში ყოფილა პატიოსანი თვლებით დამშვენებული ოქროს ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, აბზინდები; ხელისუფალნი შუბლს იკრავდნენ დიადემებით, გვირგვინებით. პიტიახშთან მიერ ნატარებ ნივთთაგან დაცულია უფაქიზესი ოსტატობით ნაჭედი ოქროს გულსაქიდები, წნული სამაჯური; კერძოდ, ასპავრუე პიტიახშის საგანძურიდან გადარჩენილია სარტყლისა და დიადემის ბალთები და ა. შ.

იბერიის მეფე ფარსმანს (117 წ. ახლოს) საშუალება ჰქონდა რავისი საგანძურებიდან თუ სახელოსნოებიდან ძღვნად გაეგზავნა რომს აღრიანე კეისარისათვის სამასი ხელი „ოქროთი შემკული წამოსასხამი“ და ოქროს სავარძელი. ადგილობრივი ოქროს საბადოები უზრუნველყოფდნენ ოქრომკედლობის ფართოდ გავრცელებას. მცხეთაზე არანაკლები სიუხვით დაუცავთ ოქრომკედლობის ნიმუშები ბორს, კლდეეთს (ზემო იმერეთი), ურეკს (გურია) და სხვაგან აღმოჩენილ სამარხებს. სამკაულებში გამოირჩევა ისეთი თვლები (ბეჭდებისა, სარტყლის სამკაულებისა), ე. წ. გემები, რომლებზედაც ამოკვეთილ-ამოკაწრულია ადამიანთა პორტრეტები, მაგალითად,

პიტიახშ ასპავრუკისა ან სხვა გამოსახულებანი. გემათა ნაწილი შემოზიდული ჩანს უცხო ქალაქებიდან, ნაწილი კი აქვეა ამოკრილი.

მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა და გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

იბერიაში ფართოდ იყო გამოყენებული არამეული დამწერლობის თავისებური სახე—ე. წ. არმაზული დამწერლობა. ამ დამწერლობის ძეგლთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სერაფიტის წარწერა (II ს. ახ. წ.), არმაზისხევთან ნაპოვნი. ის ამოკრილია ქვის სვეტზე, რომელიც თავის დროზე აღმართული ყოფილა მაღალი წრის ქალის სამარხზე. წარწერა ორენოვანია: ბერძნული და არამეული. იგი ასე იწყება: „მე ვარ სერაფიტი, ფარსმან მეფის პიტიახშის ზევახის ასული“, და ა. შ. წარწერაში მოხსენებული არიან მონათმფლობელური არისტოკრატიის სხვა წევრებიც: სერაფიტის ქმარი იოდმანგანი, რომელიც ყოფილა ხსეფარნუგ მეფის ეზოსმძღვარი, ომებში „ძღვევამოსილი და მრავალჯერ გამარჯვებული“; სერაფიტის მამამთილი აგრია — ფარსმან მეფის ეზოსმძღვარი. წარწერაში შექებულია სერაფიტის გულკეთილობა და მშვენიერება.

ამრიგად, წარწერა გვაცნობს იბერიის „დიდი“ მეფეებისა და მაღალი მოხელეების ვინაობას და თანამდებობას. სხვა წარწერაში იხსენიება მეფე მიპრდატი — „დიდი მეფე ფარსმანის ძე“, მისი პიტიახში შარაგასი და სხვ. ბორში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე ამოკრილი არმაზული წარწერა იხსენიებს „პიტიახშ ბუზმირს“. ცნობებს პიტიახშთა შესახებ ავსებენ ბერძნული წარწერები. ოქროს ბეჭდის თვალზე ამოკრილია გრძელწვერა მამაკაცის სახე, რომლის ირგვლივ წერია: „პიტიახში ასპავრუკი“. ასპავრუკის აკლდამაში აღმოჩნდა აგრეთვე სარტყლის დამამშვენიებელი ოქროს ბალთები. ერთი მათგანის თვალზე ამოკვეთილია ცოლ-ქმრის გამოსახულება და წარწერა „ზევახ, ჩემო სიცოცხლე. კარაკი“. ეს ზევახი ის პიტიახშია, რომელიც სერაფიტის წარწერაშიც იხსენიება, როგორც მამამისი.

იბერიასა და კოლხეთში გავრცელებულ ცოდნის დარგთა შორის აღსანიშნავია გეოგრაფია-კარტოგრაფია. კოლხებს მოეპოვებოდათ მამაპაპათაგან ნაანდერძევი გეოგრაფიული „დაფები“, რომლებზეც ჩამოთვლილი იყო ყველა არსებული გზა, წყლისა და ხმელის საზღვრები,—მოგზაურთათვის „სახმარად“. ქართველ სწავლულებს ძველიდანვე უფიქრიათ იმ საისტორიო თხზულებათა შექმნაზე, რომელნიც შემდეგ შევიდნენ უძველეს ქართულ მატიანეში.

ქართული ანბანის შექმნა

შემდგომში სოციალურ-ეკონომიური პირობების შეცვლამ, როგორც ეს ქვემოთ ჩანს, გამოიწვია ანტიკური მსოფლმხედველობისა და მწიგნობრობის დამხობა. საწერად მაშინ მოიმარჯვეს ახალი ქართული ანბანი და ხმარებიდან განდევნეს არამაზული. ქართული ანბანი თითო ბგერას თითო ასოთი გამოხატავს. ის შეიცავს 33 ასოს (ერთხანს კი 38-ს შეიცავდა). საუკუნეთა მანძილზე ქართული ანბანის რამდენიმე სახე (დამწერლობა) შემუშავდა. მათ შორის ძირითადია „ხუცური“ და „მხედრული“. ხუცური სასულიეროს ნიშნავს, მხედრული — საეროს. ეს სახელები პირობითია. გაკრულად ნაწერ ხუცურ ნიშნებს, ე. წ. ნუსხა ხუცურს, რათა ისინი გამომდგარიყვნენ ტაძრების კედლებზე ამოსაჭრელად და თვალისთვის გასარჩევად, ზიეცათ მეტი სიმსხო, სიმრგვლე ან კუთხოვნობა, ორ პარალელურ ხაზს შორის გამართულობა. მოხდა მათი სტილიზაცია, და ასე ჩამოყალიბდა ასომთავრული ხუცური: ასომთავრულია, კერძოდ, უძველესი ქართული წარწერები ბოლნისის ტაძრისა (V ს.), რომლებშიც მოხსენიებული არიან ბოლნელი ეპისკოპოზი დავითი და სპარსეთის მეფე პეროზი. კარგა ხანს ასომთავრულით წერდნენ ტყავზედაც. მხედრულის ყველაზე უფრო აღრინდელმა და მკაფიო ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწიეს XI — XII საუკუნიდან.

ფართი ახ. წ. I — III საუკუნეებში

სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ევრისში, ისე როგორც მთელ მონათმფლობელურ რომშიც, ახ. წ. I ს-ში მერყევი რჩებოდა. პონტოსა და მერმე რომაელი მმართველების მხრძვ კოლხეთის დაუზოგავი ექსპლოატაცია, ტომთა ბელადების თავდასხმები, მონური საწარმოების კრიზისები კოლხთა სამეფოს დაცემას იწვევდნენ.

როდესაც მოწაყოფილი გავლენიანი ანიკეტი იმპერატორ ვესპასიანეს აუჯანყდა (69 — 79) მისი ხელისუფლების დასამხობად პონტოში, მას მხარი მისცა რომაელების ბატონობით უმყოფილო მოსახლეობამ ზღვის სანაპიროებზე. ანიკეტმა ააქური მონები დარაზმა. დამარცხებისა და დევნის პირობებში კი მან ერთ ხანს თავშესაფარი მდ. ხობის ხეობაში ჰპოვა, ქართველთა მიწა-წყალზე. იმავე პირველ საუკუნეში პენიონებმა დაარბიეს მდიდარი სავაქრო ქალაქი ბიჭვინტა („დოდი პიტინტი“), უხვა ქალაქთაგან, კერძოდ, დიოსკურია (სოხუმი) მაშინ უკვე დაყრუებული, მოსახლეობისაგან დაკლილი იყო.

პოლიტიკური ვითარება

ეგრისის პოლიტიკურმა ცხოვრებამ I—II ს-ში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. რომაელებმა ეგრისში მთავარი პოზიციების შესანარჩუნებლად არჩიეს იქ ახლად წინ წამოწეული პოლიტიკური მეთაურების გამოყენება, ტომების სამხედრო დემოკრატიების იმ გაძლიერებულ ბელადთა წაქეზება და გამაგრება, რომელნიც უკვე მეფობასაც კი დაიმშვენებდნენ. რომის კეისრებმა დააწინაურეს მეტადრე შავი ზღვის სანაპიროებთან დაკავშირებულ ტომთა მეთაურები, რადგან რომაელების მთავარი საყრდენი იყო სანაპირო ქალაქები.

რომის იმპერატორს ადრიანეს 134 წ. მისმა მოხელემ, არიანემ, ანგარიში წარუდგინა რომაელთა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ შავი ზღვის სანაპიროებზე. მაშინ თავ-თავიანთი, რომის კეისრებისაგან განწესებული „ბასილევსები“ მეთაურობდნენ აფშილებსაც, აბაზგებსაც და სანიგებსაც. ასეთივე ბასილევსები ჰყავდათ ლაზებს (ფოთის დასამხარზე რიონ-ენგურის ხეობებში), მაკრონებსა და ჰენიოხებს, რომელნიც კოროხს ვალმა ბინადრობდნენ. საერთოდ, კოროხის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომთა ოთხი ბასილევსი განწესებული იყო 98 — 134 წლებს შორის. ამ ტომთა მიწა-წყალს უწინ, დამოუკიდებლობის ხანაში, როგორც ვიციით, კოლხთა მეფის სახელით სკეპტუქოსები განაგებდნენ, ახლა ის „ბასილევსებს“ ემორჩილებოდა. ასე იყო განაწილებული კოლხეთის პოლიტიკური შემკვიდრეობა. ჩამოთვლილ მეფეთაგან შემდეგში უძლიერესი გახდნენ ლაზთა მეფეები, რომელნიც თავს თვლდნენ დიდი კოლხეთის მეფეთა შემკვიდრებლად.

სანების (ქანების) „უმეფო“ ტომი ბინადრობდა ჰენიოხთა და მაკრონთა სამხრეთით. სანებს კარგად ჰქონდათ დაცული პირველყოფილ-თემური წყობილება. რომმა მათ „ძველთგანვე“ შეაწერა ხარკი, მაგრამ, როგორც არიანე ჩიოდა, ისინი არაფერს იხდიდნენ და, პირობით „შეურიგებულ მტრობას“ იჩენდნენ „ტრაპეზონელები-სადმი“. არიანე თანაც იმუქრებოდა, თუ არ გამოაწირობდნენ, „გავდევნით მათ“ თავიანთი ქვეყნიდანაო. ტირანია ასეთი ძალადობით ფიქრობდა ბატონობის შენარჩუნებას. არიანეს ანგარიშის თანახმად, ხმელეთის მხრივ თავდასაცავად ფოთში და ზოგ სხვა ქალაქში რომაელებს მეციხოვნე ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული. ფოთის კედლები და კოშკები, წინათ ხისა, ახლა უკვე აგურით ნაშენი და საომარი მანქანებით გამაგრებული იყო.

ეს სიმაგრეები და მეტადრე ბიჭვინთა (პიტინტი) კვლავაც ძლიერ დაუზარალებიათ აჯანყებულებს, გარეშე მტრებსაც, კერ-

ძოდ, სკეითებს (256—260 წლებში), მაგრამ მათ აღადგენდნენ ხოლმე. რომაელები არც ფიქრობდნენ იქიდან ფეხის მოცვლას.

კულტურული ვითარება კოლხეთში

კოლხეთის კულტურას, ბუნებრივია, აღმოსავლეთ საქართველოს კულტურასთან დიდი სიახლოვე ახასიათებდა. ამას განაპირობებდა სოციალურ-ეკონომიური განვითარების საერთო დონეც (აღრემონათმფლობელური წყობილება), მოსახლეობის ეთნიკური მონათესაობაც, მკვიდრო მრავალმხრივი ურთიერთობაც.

აღებულ პერიოდში (I—III სს.) პოლიტიკურმა დაუძღვრებამ კოლხთა კულტურული ცხოვრება შეანელა. მაგრამ მაინც კოლხეთს შევლოდა დიდი შემოქმედებითი ტრადიციები. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ეგრისში ისევე მაღალ დონეზე იდგა სამეურნეო კულტურა, ხელოსნობის დარგები, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება. სათანადო ძეგლები შემოუნახავს ნიადაგს ზემო იმერეთის სოფლებში, მდ. სუფსის ხეობაში. კლდეეთის სამარხებიდან ამოკრეფილია საომარი იარაღები, შუბის წვერები, რკინის მახვილი; ჯამ-ჭურჭლიდან — ფაქიზად ნაჭედი ვერცხლის თასები, ლანგრები; სამკაულებიდან — ოქროს სამაჯურები, გემიანი ბეჭდები. ნივთებს ამკობდნენ პატიოსანი თევლებით, „წინწყლებიანი“ ნაჭედობით, ამოკაწრული პორტრეტებით. ბორშიც, ბუზშირის ლანგარს გარდა, ნაპოვნია ოქრომჭედლობის მრავალი ნიმუში, გემიანი ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები და ა. შ.

საქალაქო მშენებლობა მაშინ ხასიათდებოდა უმთავრესად ადდგენითი მუშაობით. განუახლებიათ ქუთაისის, ციხე-გოჯის, შორაპნისა და სხვათა ციხე-გალაენები. ძველი დიოსკურიის ახლოს აშენდა სებასტოპოლისი. აღდგენილი ჩანს ფოთიც.

მოწინავე ქვეყნებთან კოლხეთის სააღებმაცემო ურთიერთობა მკაფიოდ არის ასახული იმდროინდელ მონეტებში, პართულ, რომაულ, კოლხურ ოქრო-ვერცხლის ფულებში.

კოლხეთში არსებობდა ელინისტური გიმნასიონები („გიმნაზიები“), სადაც იწრთენებოდნენ ტანვარჯიშში, ფილოსოფიაში. კონსტანტინოპოლელ ფილოსოფოსსა და რიტორ თემისტოსს (IV ს.), მისივე მოწმობით, სადღაც ფოთის „ახლოს“ ჰქონდა შეთვისებული რიტორიკა. კულტურულად დაწინაურებულ კოლხეთს ის ადარებდა სახელოვან ელადას. ეგრისში გავრცელებული იყო ბერძნული მწიგნობრობა.

პირველად დაიბეჭდა წიგნში—„საქართველოს ისტორია, I, (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე). დამბმარე ხახელმძღვანელო“, თბილისი, 1958.

ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა საქართველოში

(IV—VI სს.)

ცელილვა ეკონომიურსა და სოციალურ ცხოვრებაში

საწარმოო ძალთა და სოციალური ურთიერთობის შემდგომი განვითარება

IV საუკუნიდან იმატა საწარმოო ძალების ზრდამ. მეტი გავრცელება მოიპოვა გაუმჯობესებულმა, რკინის სახნისიანმა სახენელმა — ერქვანმა. შესაძლებელი გახდა მიწის ინტენსიური დამუშავება, იმავე ფართობზე მეტი ჰირნახულის მოწევა. მწარმოებელი უფრო დაუახლოვდა მიწას, მეტად დაინტერესდა მუშახელის რაოდენობითა და რაგვარობით: თავისუფალი მხვენელ-მთესველი, რომელსაც გარკვეული წილი დაედებოდა ნაწარმში, საკუთარი სახლ-კარი და ოჯახი ექნებოდა, უფრო გულდასმით იშრომებდა, მეტ ნაყოფს გამოაღებინებდა მიწას, ვიდრე მონა. ერთი სიტყვით, ერთი თავისუფალი მიწის მუშა, შრომის ნაყოფიერებით, საშუალოდ რამდენსავე მონას უნდა სჯობებოდა.

მონათმფლობელებმაც მიწების დატაცება და მუშახელის შექმნა დაიწყეს. შრომის ახალ წესზე გადაწყვედათ გუშინდელი მონებიც (ამით უსენი შედარებით თავისუფლდებოდნენ) და მანამდე თავისუფალი მეთემენიც. მესაკუთრენი, მიწისმფლობელნი, გამდიდრდნენ და აღზევდნენ საზოგადოებაში. ისინი თანდათან ისეთსავე ძვირფასს (რკინის) იარაღში ჩასხდნენ და ისევე ცხენოსნები გახდნენ, როგორც მეფის მხედრები იყვნენ. ასეთი ცხენოსანი კაცები აღარ იყვნენ ჩვეულებრივი, წინანდელი თავისუფალნი, უბრალო მღაბიონი, მსოფლიონი. ისინი ახლა შეიქნენ თავისუფალნიც და ყველგან ჩენილნიც, და მათ ამ თავისებებს აღნიშნავდნენ სიტყვით — აზნაური. საქართველოს მხედრობისა და აღმინისტრაციის გაზრდილ მოთხოვნილებას მართო სეფე-წულნი ველარ გასწვდებოდნენ. ამიტომ აზნაურნი თანდათან მრავლობენ მე-

ფოს სამსახურშიც, ისინი ხდებიან მეფის წინაშე მდგომელებნი და, საერთოდ, წარჩინებულნი.

ამრიგად, საქართველოში წარმოისახნენ ისეთი სოციალურ-ეკონომიური ძალები, რომელთაც შემდგომ შექმნეს წარმოების ფეოდალური წესი. ჭერჯერობით კი მონათმფლობელობა, მიუხედავად მისი დასუსტებისა, მაინც ძალაში რჩებოდა. უშუალო მწარმოებელთა შორის თავისუფალ მიწის მუშებს და მონებს კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი რჩებოდათ.

ცვლილება კოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებაში

სასანიანების სამეფო

ირანში პართიის სახელმწიფოს ბოლო მოუღეს სასანიანებმა (224 წ.). სასანიანთა გვარიდან პირველი მეფე იყო არდაშირი. ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარ ირანში დაგმეს არშაკიანების ელინისტური მისწრაფებანი, დაუბრუნეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ცეცხლთაყვანისმცემლობას, და დაიწყეს დაპყრობითი ომები. სასანიანთა სახელმწიფოს არსებობის მთელ სიგრძეზე (III—VII სს.) არ შეწყვეტილა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

აღმოსავლეთი რომის იმპერია

როდესაც რომში მონათა აჯანყებებმა და მომთაბარე ტომების მოძალებამ ხელისუფლების კრიზისი გამოიწვია, მმართველმა წრეებმა (330 წელს) რომიდან ტახტი გადმოიტანეს ბალკანეთის ბოსფორზე, ახალშენ ბიზანტიონში. ამ ქალაქს, მისი აღმშენებელი კონსტანტინე იმპერატორის სახსოვრად კონსტანტინოპოლი დაერქვა. კონსტანტინოპოლის მეორე სახელი იყო ისევ რომი („ახალი რომი“), ძველი იმპერიისაგან მან დაიმკვიდრა მისი აღმოსავლური პროვინციები — ბალკანეთი, მცირე აზია, სირია, და ასე შეიქმნა „აღმოსავლეთი რომის იმპერია“ ძველი რომის საპირისპიროდ. ახალი რომის იმპერია მერამე სახელდებულ იქნა ბიზანტიის იმპერიად (ბიზანტიონის სახელის მიხედვით). ძველი რომიდან კონსტანტინოპოლში გადმოსულ საიმპერატორო სახლს გადმოჰყვა მართვა-გამგეობის ზოგი ტრადიცია, ლათინური ენა (ერთ ხანს) და ა. შ. მაგრამ ელინისტური კულტურის გავლენაც იქ საკმაოდ დიდი იყო. ძველ საქართველოში ამ იმპერიას საბერძნეთი ეწოდებოდა, ხოლო მის მოსახლეობას — ბერბენნი, იონნი, პრომნი.

იმპერიის ხელისუფლებამ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა. ეს ახალი მოძღვრება, მისი შემცველი წიგნი — „სახარება“ ქადაგებდა მეფეთა მორჩილებას, კერძო მესაკუთრეთა ხელშეუხებლობას, ურჩი მონა-მსახურების დევნას. ექსპლოატატორთათვის ასეთი სასარგებლო სარწმუნოება, აღმოსავლეთ რომს გარდა, მიიღეს სხვა მოწინავე სახელმწიფოებშიც, კავკასიაში — სომეხთა, ალბანელთა და ქართველთა მეფეებმა.

ძველი ქართული წარმართული სარწმუნოება

ანტიკური ხანის იბერიაში, ისევე როგორც კოლხეთში, რელიგიურ წარმოდგენებში უპირატესი ადგილი ეკირა ადრეც საკმაოდ გავრცელებულ ასტრალურ კულტებს — მზის, მთვარის (და საერთოდ მნათობთა) თაყვანისცემას. პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთებთან ერთად იბერიაში დიდხანს ინახავდნენ თავს პირველყოფილ-ანიმისტური წარმოდგენები სამყაროზე (ბუნების ძალთა გასულიერება), ტოტემთა კულტი (ცხოველთა, მცენარისა და ა. შ.). ცხენის კულტის კვალი ჩანს, მაგალითად, მცხეთის (არმაზის-ხევისა) და ბორის ვერცხლის პინაკთა გამოსახულებებში.

მზის ღვთაებას მთაში იხსენიებდნენ, როგორც მზე-ქალს. მესხთა მხარეში ყოფილა სახელგანთქმული „თეთრი ქალღმერთის (ბერძნ. „ლევკოთეა“) ტაძარი — მზე-ქალის სამლოცველო. თავის ძალას ინარჩუნებდა მთვარის — მამრობითი ღვთაების — კულტიც. გაქრისტიანების შემდგომ მთვარის ღვთაებას წმ. გიორგის სახე მიეცა. გაძლიერდა ცეცხლის კულტიც. ზოროასტრული სარწმუნოების თანახმად, „კეთილი“ ღმერთი ებრძოდა „ბოროტ“ ღმერთს, ქვეყნიერებას უნდა დასდგროდა აღსასრული. ამას უნდა მოჰყოლოდა ადამიანთა მკვდრეთით აღდგომა და განკითხვის დღე. ამის შიშის დანერგვა უადვილებდა ექსპლოატატორებს დაჩაგრული ხალხი მორჩილებაში ჰყოლოდათ. ამგვარი იდეები შეითვისა ქრისტიანობამაც.

წარმართობის ხანაში ცის მნათობთა სახელებით აღინიშნებოდა დღეთა სახელებიც. მეგრულად კვირას ახლა ჰქვია ეაშხა (მზის დღე); ორშაბათს — თუთაშხა. (მთვარის დღე); ხუთშაბათს — ეაშხა (ცის დღე); ამ სახელებში ეა (ბუა) და თუთა მეგრულად ნიშნავს მზეს და მთვარეს.

ზოგი ღვთაების მსახურებასთან დაკავშირებული იყო სცენური, დრამატული მოქმედება, რომელსაც თან ახლდა ვალობა, ფერხული, წარსათქმელი ლოცვები.

ქრისტიანობა სდევნიდა წარმართულ კულტურას, მაგრამ ხალხმა მაინც შემოინახა ზოგი რამ ძველი. დღესაც რთულ კომპოზიციას წარმოადგენს სვანეთში მ უ რ ყ ე ა მ ო ბ ი ს (კოშკობის) სადღესასწაულო დრამატული მოქმედება. ის იწყება ფერხულთ: ორპირად ჩაბმული რვა-რვა კაცი დასძახებენ საგალობელს. ჩვენ დრომდე ვადარჩა არა ერთი ამისთანა კარგი ნიმუში ხალხური შემოქმედებისა, ვოკალური თუ ქორეოგრაფიული კულტურის დარგში.

ქრისტიანობის სახალხოლო რელიგიულ გამოცხადება იბერიისში

ქართლში, მირიანის მეფობის დროს (IV ს.), ქრისტიანობა იქადაგა მცირე აზიიდან, კაბადოკიიდან მოსულმა ქალმა ნინომ. ჭერ მეფემ და მისმა სახლობამ მიიღეს ქრისტიანობა დედაქალაქ მცხეთაში, ასევე მოინათლენ, პირველ რიგში, გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. ამრიგად, ქრისტიანობა იბერიაში აღიარეს სახელმწიფო ნებადართულ რელიგიად (337 წ.); ცნობები ამ სარწმუნოებრივი ცვლილებების შესახებ მალე გავრცელდა მაშინდელ მოწინავე ქვეყნებში, რომში, სირიასა და სომხეთში.

იმთავითვე ჩანდა, რომ კარგად დარაზმული ქრისტიანობის მოძღვარ-მქადაგებლები დიდ როლს ითამაშებდნენ ექსპლოატატორული საზოგადოების განმტკიცებისა და სახელმწიფოს ზრდის საქმეში. ცოდნასთან ერთად, ისინი დიდ ორგანიზატორულ ძალას იჩენდნენ. მცხეთიდან დაწყებული, ქალაქებსა და დაბებში შექმნეს თავიანთი მტკიცე გაერთიანებები, ქრისტიანთა „კრებულები“, ევრეთწოდებული ეკლესიები. ეკლესია დაერქვა მათ სალოცავ შენობებსაც. საქართველოს ქრისტიანთა მთელ გაერთიანებასაც. იდეოლოგიურად საქართველოს ეკლესია შეადგენდა მსოფლიო ეკლესიის ნაწილს. ქრისტიანული ღვთისმსახურებისა და ყოფის მომწესრიგებელ პირველადს იერარქიას წარმოადგენდნენ მღვდელი და დიაკონი, საეკლესიო ოლქთა მეთაური მღვდელმთავრები — ეპისკოპოსები („ზედამხედველები“), რომელთაც უფროსობდა მთელი ქართლის ეკლესიის მესაქე — მთავარეპისკოპოსი (შემდგომში — კათალიკოსი). ეკლესიის ორგანიზაციულად მოწყობის საქმეში ქართლის მეფეს კონსტანტინოპოლის იმპერატორი დაეხმარა. იქიდანვე შემოვიდა ქართლში, სხვათა შორის, საკულტო ბერძნული სიტყვებიც — ეკლესია, დიაკონი, ეპისკოპოსი, კათალიკოსი.

ქრისტიანული იდეების და დარიგების გასავრცელებლად გამოიყენეს ძველი კულტურების მონაპოვარი წიგნები, კერძოდ „დაბადება“, რომელიც შეიცავდა „დავითს“, „სახარებას“ და სხვ. ეს

წიგნები ითარგმნებოდნენ უმთავრესად ბერძნულიდან. მაშინ ჩამო-
ყალიბდა ცნობილი ქართული ანბანი. განვითარდა საეკლესიო ხუ-
როთმოდღერება. პირველი ეკლესია მცხეთაში მერმე შეეცვალა სვე-
ტიცხოვლის დიდმა ტაძარმა. შემდგომ დროებში საქართველოში
ფეოდალიზმის იდეოლოგიად გამოდიოდა ეკლესია.

ეკლესიის მსახურები გზას უკაფავდნენ მეფის ხელისუფლებას
თავისუფალ თემებში გასაბატონებლად, ჭერ კიდევ დაუპყრობე-
ლი კუთხეების შემოსაერთებლად. მეფის „ერისთავი“ და მისი შეი-
არაღებული ლაშქარი, წინოს დახმარებით შეიჭრა არაგვისა და იე-
რის ხეობებში. მთიულუბი იძლივნენ, მათ გასცეს თავიანთი კერაები
დასაღწევად. წილკნიდან გრწო-თიანეთამდე დაამხეს წარმართობა.
მოსახლეთა ნაწილი გაექცათ მიუდგომელ თუშეთს. მატულობდა
მეფის მორჩილ ერისთავთა რიცხვი. საპიტიახშო და საერისთავო
ცენტრებში ეპისკოპოსებიც იხსდნენ. ასე რომ, ასეთი ცენტრების
რიცხვს ემთხვეოდა საეპისკოპოსო საყდართა სათვალავიც. უკვე
V ს-ის შუაში ქართლში ირიცხებოდა ოცდაათიოდე საეპისკოპოსო-
ოლქი. საერისთაობებში კულტის მსახურთა მონაწილეობით ეწყობო-
და მოსახლეობის აღწერა, აღირიცხებოდა გადამხდელთა რაოდენო-
ბა და გადასახადები. ეკლესიას დიდი სახსრები ჰქონდა, ის მოწინავე
მეურნეობასაც ჰქმნიდა. ეკლესია ხელს უწყობდა ქართული კულ-
ტურის, სამწიგნობრო ენის გავრცელებას.

მართლი IV — V საუკუნეებში

ქართლისა და სომხეთის მიწა-წყალი ნიზიბინის ზავის შემდგო-
მაც რჩებოდა სპარსთა მხედრობის დროდადრო შემოტყვის ასპარე-
ზად. შექმნილ ვითარებაში აღმოსავლეთი რომის ხელისუფლები
სასანიან ხელისუფლებთან დამოკიდებულებაში კავკასიის ხალხთა
სასარგებლო მოკავშირენიც აღმოჩნდნენ და თვითონაც ამთავან
მხარდაკერას ეძებდნენ. ქართველთა მეფეს მირიანს და სომეხთა მე-
ფე არშაკს, გულის მოსაგებად, ძვირფასი საჩუქრები მოსდიოდათ
ხოლმე კონსტანტინოპოლიდან.

ი ბ ე რ ი ის ო რ ს ა მ ე ფ ო დ გ ა ყ ო ფ ა და ს პ ა რ ს ე თ ზ ე
ვ ა ს ა ლ უ რ ი და მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სპარსთა აგრესია განსაკუთრებით გაძლიერდა მათი მეფის შა-
ბურის დროს. დიდად დაარბიეს სომხეთი ზოგიერთი ნახარარის (იქა-
ური ერისთავის) ხელისშეწყობით. აწამეს სომეხთა ღუდოფალი ფა-

რანძეში. იბერიიდანაც გააქციეს მეფე საურმაგი და ტახტზე აიყვანეს სპარსთა მომხმარე ვარაზ-ბაკური (368 წ.). როგორც სომხეთში, ისე იბერიაში ადგილობრივმა მებრძოლმა ძალებმა, აღმოსავლეთი რომის დახმარებით, შეძლეს მტრის რამდენადმე შეჩერება. სომხეთში დიდი მახვერპლის ფასად ჯერჯერობით შეინარჩუნა საკუთარი მეფის ხელისუფლება. იბერიაში სპარსელებმა, ვარაზ-ბაკურს გარდა, მათგან განდევნილი საურმაგის უფლებაც სცნეს. საურმაგს, კონსტანტინოპოლიდან ზურგამაგრებულს, დაუთმეს აამეფოდ იბერიის ერთი ნაწილი — მტკვრის მარცხნივ მდებარე ქართლი (371 წ.), რომელშიც შედიოდა მცხეთაც.

ამრიგად, ქვემო ქართლი ერთი ხნით მოექცა ირანის კულტურულ-პოლიტიკურ გავლენაში. სამაგიეროდ დანარჩენი იბერია ახლაკიდევ უფრო მკიდროდ დაუკავშირდა ეგრისსაც და ირანულზე უფრო პროგრესულ ბერძნულ-რომაულ ქვეყნებსაც. მისთვის მაშინ კიდევ უფრო მოემატა მნიშვნელობა რიონ-ყვირილისა და ჭოროხის ხეობებით შავი ზღვისკენ მიმავალ სავაჭრო გზებს. ამიერიდან მკაფიოდ ისახებოდა იმის პირობებიც, რომ იბერიისა და ეგრისის მოსახლეობას საერთო ლიტერატურული ქართული შემუშავებოდათ.

მალე ს არსეთსა და აღმოსავლეთ რომს შორის განაწილებულ იქნა სომხეთიც (387 წ.). აღმოსავლეთ რომს ერგო გაყოფილი ტერიტორიის ერთი მეხუთედი. ქვემო ქართლი, სომხეთსა და ალბანეთთან ერთად, სპარსთა სახელმწიფოში შეადგენდა ერთ აღმინისტრაციულ გაერთიანებას. ეს იყო ეგრეთ წოდებული კავკასიის ოლქი. კავკასიის მთიელები შეადგენდნენ მეორე ოლქს.

მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისს ს არსეთიდან ეწვია ოლქის უფროსი, სახელად ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდი. მაჲ დაკისრებულნი კქონდა ხარკის განაწილება ხალხში.

შაჰინშაჰს ქართლის გამგედ ჰყავდა საკუთარი „პიტიახში“. სპარსთა პიტიახშის ზედამდგომელობით იმეფეს ვარაზ-ბაკურმა (368 — 408, დაახლოებით) და მერე მისმა ძმამ არჩილმა (408 — 437, დაახლოებით). ამავე დროს იბერიაში აღმოსავლეთი რომის იმპერიის მფარველობით მეფობდა საურმაგის მემკვიდრე ფარსმანი (395 — 413, დაახლოებით), ხოლო მის შემდგომ — ბუზმარი იძულებული გახდა თავისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი კონსტანტინოპოლში გაეგზავნა (421 — 424 წწ.) ერთგულების საწინდრად თეოდოსი კეისრისათვის. ბავშვი ბიზანტიაში გაიზარდა და გამოვიდა დიდი საეკლესიო მოღვაწე და მწიგნობარ-ფილოსოფოსი, როკელიც ცნობილია პეტრე ქართველის, ანუ პეტრე იბერის სახელით.

რაც უფრო ძლიერდებოდნენ ქართლის აზნაურებ, მით უფრო

ქვეითდებოდნენ აზნაურთაგან გაძარცული „მსოფლიონი“ თუ „მდაბიონი“, თავისუფალი მწარმოებლები. აღარც აზნაურები იყვნენ ყველა ერთგვარი. გამდიდრების გზაზე მათმა ერთმა წყებამ უკან მოიტოვა უმრავლესობა: გაჩნდნენ დიდი აზნაურები, რომელთაც დაიქვემდებარეს მცირენი. წარჩინებულები და ერისთავები ირგვლივ ერთყნენ თავის მეფეს, შეადგენდნენ მის „პალატ-ბანაკს“.

რაც უფრო ძლიერდებოდნენ აზნაურები, მით უფრო უძნელდებოდათ მათ მეფისაგან მიღებული მიწის ხელიდან გაშვება. მეფესა და მათ შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. იგივე ხდებოდა იმ დროს სხვაგანაც—სომხეთში, სპარსეთში. ამავე დროს შაჰინშაჰი, პოლიტიკური მოსაზრებით, უხვად ანიჭებდა თავის წარჩინებულთ პრივილეგიებს დაპყრობილ ქვეყნებში. ასე გააძლიერა მან, მაგალითად, ქართლის პიტიახში. ამგვარი ღონისძიება, რა თქმა უნდა, ასუსტებდა ადგილობრივ ხელისუფლებას და, პირიქით, აძლიერებდა სპარსთა ბატონობას.

ქ ა რ თ ლ შ ი ც ე ც ხ ლ თ ა ყ ვ ა ნ ი ს მ ც ე მ ლ ო ბ ი ს შ ე მ ო ტ ა ნ ა

ქართლის არისტოკრატის მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა და სპარსთა სარწმუნოების, ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება. ამ მიზნით შაჰმა იეზიდგერდმა (438 — 457) სატახტო ქალაქ ქტეზიფონში ერთად გაიწვია ამიერკავკასიის სამივე სამეფოს თავი-კაცები. ალბანეთის, სომხეთის და ქართლის წარმომადგენლები შეეკრნენ ერთიმეორეს „ფიციტა და პირობით“, რომ თავიანთი ინტერესების დასაცავად თანხმობით იმოქმედებდნენ სპარსთა წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ სომეხთა სპარაპეტი (მხედართმთავარი), ქართლის პიტიახში არშუშა, მამასახლისები და სხვ. შაჰის წინააღმდეგე ქრისტიანობა უარყავით და ზოროასტრის რჯული მიიღეთო, აშკარა ურჩობა ვერავინ გაბედა. ხელმწიფემ ყველანი უკან გამოისტუმრა და თან გამოაყოლა ქურუმთა დასები სპარსული სარწმუნოების დასაწერგავად. არშუშა კი მეფემ დაიტოვა ქართლის საქმეებზე მოსათათბირებლად. ეს გუგარელი (ქვემოქართლელი) პიტიახში ცნობილი იყო, როგორც „განსწავლული და მრჩეველი“ კაცი. ქართველ და სომეხ მმართველ წრეებში არშუშა პატივით იყო მოსილი.

არშუშას სახელს შეეძლო ქართლის თავკაცების წაქეზება სპარსეთის საერთგულოდ. შაჰინშაჰი ამ პიტიახშის დახმარებას დიდად აფასებდა, ქვემო ქართლში სპარსული ტრადიციები უფრო ძლიერი იყო და მთელ ქართლზე გავლენის მოპოვებაც აქედან უფრო გაად-

ვილდებოდა. ცეცხლმსახურებასთან ერთად სპარსთა ვაჰრებიც და სპაც უფრო ადვილად გაიკვლევდნენ გზას მცხეთა-სურამის მიმართულებით და შეზღუდავდნენ ქრისტიანული კონსტანტინოპოლის გავლენას. შაჰმა, ქართლის სამეფო ხელისუფლების უგულვებელყოფით, უშუალო თანხმობა დაამყარა ქვემო ქართლის პიტიახშთან. შემდგომ შაჰმა პიტიახშობა არშუშას შვილს ვარსკენს მისცა.

ქართლის ბრძოლა მაგოქაიფაზლოზისათვის V ს. მეორე ნახევარში

V ს. მეორე ნახევარში ქართლი მნიშვნელოვნად დაწინაურდა ეკონომიურად და, ამასთან ერთად, პოლიტიკურადაც. მოსახლეობაც, განვლილ საუკუნეებთან შედარებით, გაიზარდა.

დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს პ ა რ ს ე თ თ ა ნ . ე კ ლ ე ს ი ი ს
ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი გ ა დ ა ხ ა ლ ი ს ე ბ ა

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, ვარსკენ პიტიახშთან ერთად, სპარსეთის შაჰინშაჰს პეროზს ეწვია (466 წ.), ვარსკენმა სპარსეთს „აღიარა ატროშანი“, ესე იგი, თავი გამოირიცხა ქრისტიანთა ეკლესიიდან და შეუერთდა ატროშანს, ანუ ცეცხლმსახურთა სალოცავს. ასეთი დათმობის გზით მან მოიპოვა კავკასიის ერთ-ერთი ოლქის უფროსობა და ერთი წლის შემდეგ უკუიქცა ქართლს, ხოლო ვახტანგი დიდი ხნით ჩარჩა სპარსეთში. იქ მან მიიღო მონაწილეობა შაჰინშაჰის ლაშქრობაში კასპიის ზღვის აღმოსავლეთით. შეიძლებოდა, ის სულაც აღარ დაბრუნებოდა თავის სამეფოს და ქართლში გაუქმებულყო მეფობა, — ასე დაემართა სომეხთა საშეფოს ჯერ კიდევ 428 წელს.

ამ დროს საქრისტიანო აღმოსავლეთში უძლიერსი იყო ორი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა. მონოფიზიტები („ერთბუნებიანები“) ქრისტეს სცნობდნენ მხოლოდ ღმერთად, ერთი ბუნების მქონედ. კეშმარიტი ქრისტიანისაგანაც ღვთიურ, ასკეტურ ცხოვრებას მოითხოვდნენ, მით უფრო ჰგმობდნენ მესაკუთრეთა გაუმამლოებას, მონათმფლობელთა ფუფუნებას. „ერთბუნებიანები“ უპირისპირდებოდნენ დიოფიზიტებს („ორბუნებიანებს“). დიოფიზიტები, რომელთაც აღმოსავლეთ რომის იმპერიაში საბოლოოდ გაიმარჯვეს ერთბუნებიანებზე (ქალკედონის კრება, 451 წ.), თავის მხრივ, ქრისტეს აღიარებდნენ ღმერთ-კაცად, ორი ბუნებისად, მაშასადამე, ძე-ღმერთსაც ახასიათებდა ადამიანური „სისუსტე“, მით უფრო შესაწყენარებლად მიაჩნდათ თვით ადამიანების მიწიერი მის-

წრფედა სიმდიდრისაკენ, ძალმომრეობისაკენ. საერთოდ, დიოფიზიტობა უფრო აკმაყოფილებდა იმ დროის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ინტერესებს. ქართველმა ხალხმა საბოლოოდ კიდევ აღიარა დიოფიზიტობა. მაგრამ მოცემულ პერიოდში ვახტანგის ხელისუფლებამ მონოფიზიტობას დაუჭირა მხარი. ეს არჩევანი, დიდ მესაკუთრეთა შემაშფოთებელი, სამაგიეროდ ხალხის ქვედა ფენებში, თავისუფლებისმოყვარე მეთემეებში პოპულარული ჩანდა. მეფის არჩევანი შაჰინშაჰსაც დააშოშმინებდა, რადგან სპარსეთში სწორედ მონოფიზიტებს მფარველობდნენ ქრისტიანი იმპერიის გავლენის შესასუსტებლად: ამავე დროს მონოფიზიტური იყო ეკლესია მოძმე სომხეთშიც და ალბანეთშიც.

მცხეთის მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც ქართლში დიოფიზიტების დამცველი იყო, მეფე შეაჩვენა, „კრულ ყო“ ის. ვახტანგის სიმტკიცემ გააწვილა მიქაელი და მისი მომხრენი. მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრში, ანტიოქიას, ქართლიდან გაიგზავნა მეფის სანდო ეკლესიის თოთხმეტი მსახური. ანტიოქიის პატრიარქმა, რომელსაც ემორჩილებოდა ქართლის ეკლესია, შეასრულა ხელდასმის წესი — აკურთხა ისინი და შემოსა ეპისკოპოსთა სახით, ხოლო ერთი მათგანი, პეტრე აკურთხა მცხეთის კათალიკოსად, ქართლის ეკლესიის საერთო მეთაურად (472 წ. ახლოს). კათალიკოსი ბერძნულად ნიშნავს „საყოველთაოს“. ასეთი საეკლესიო წოდებით იყვნენ თავის დროზე შემკული „ყოველთა სომეხთა“ ეკლესიისა და აგრეთვე ალბანეთის ეკლესიის მეთაურები. კათალიკოსის მოვლინება ქართლში იმდროინდელ პირობებში ხელს უწყობდა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მეფის ხელისუფლებამ შეიძინა გავლენიანი იდეური მოკავშირე, მეფის სალაროს შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდა, ქართული კულტურაც შემდგომ გავრცელებას ჰპოვებდა მომორებულ კუთხეებში, მთაში.

სამეურნეო და სამხედრო მშენებლობა

ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ქალაქისა და ციხის, ტაძრისა და საყდრის აგება. იმ დროის კვალობაზე, დიდი მშენებლობა წარმოებდა ქართლში. საქალაქო და პოლიტიკურ წინსვლას მოწმობდა, პირველ ყოვლისა, ადრევე ცნობილი სამოსახლოს — თბილისის გაფართოება-გადახალისებაზე ზრუნვა, იქ ზღუდეთა მაგრება, ახალ ნაგებობათა წამოწყება. თბილისი და მისი დედაციხე, ანუ კალა, მცხეთისა და მისი დედაციხის არმაზის

ადგილს სწრაფად იჭერდა. 1.500 წელი გვაშორებს იმ დროს, როდესაც ვახტანგმა თბილისს, როგორც სატახტო ქალაქს, ქართლის პოლიტიკურ ცენტრს, დასაბამი მისცა.

მმართველი წრეების დიდ საზრუნავს შეადგენდა იორ-ალაზნის მხარეზე საზღვრების გამაგრება, დასახლებული პუნქტების დაარსება, ძველთა გამოცოცხლება და კეთილმოწყობა. უდიდესი ენერჯია და ხარჯი გაიღო ხალხმა და სახელმწიფო საღარომ უჯარმის ციხე-ქალაქის მშენებლობაზე ივრის ხეობაში. უჯარმა ერთხანს ვახტანგის რეზიდენციის დანიშნულებასაც ასრულებდა. ქ. უჯარმის მახლობლად, ახლანდელ ნინოწმიდასთან ააგეს დიდი საეპისკოპოსო საყდარი. ივრის ზემო ქალაქი ჭერეში — ნინოწმიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭერეშის წყალზე, და იქაც ააგეს საეპისკოპოსო საყდარი. საეპისკოპოსო საყდარი დაფუძნდა აგრეთვე, ქალაქ ზორნაბუჯს — კამბეჩოვანში (იორ-ალაზნის შორის), რუსთავსაც. ზრუნვის საგანი იყო არაგვის ხეობაც და მის შესართავთან მდებარე თვით მცხეთა. აქ ვახტანგმა „სვეტიცხოველის“ ეკლესიის ადგილას ააგო იმავე სახელის ქვის დიდი ტაძარი. მერმინდელმა, XI საუკუნეში იქვე ახლად აგებულმა სვეტიცხოველმა შემოინახა ვახტანგის ნაგებობის კუთვნილი ჩუქურთმიანი ქვები. ამ საპატიო ადგილას, ძველი დედა-ქალაქის შუაგულში აგებული ტაძარი გახდა „მცხეთის კათალიკოსის“ საკათედრო საყდარი, რომელსაც ვახტანგმა, სხვათა შორის, შესწირა სოფელი ძეგვი. ამავე ხანაში არის აგებული ბოლნისის შესანიშნავი დიდი ტაძარი, რომელიც იქ გათხრისას აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, 492/93 წწ. დაუსრულებიათ. ლიახვის ხეობაშიც, ნიქოზს აღიმართა ახალი საეპისკოპოსო ეკლესია. თვით საყდარი აშენდა ზოროასტრული სარწმუნოების მიმდევართა „ცეცხლის საგზებლის“ ჰიახლოვეს. ქვემო ქართლის სამხრეთ-დასავლეთით, კლარჯეთს, კლდეზე აღიმართა ციხე არტანუჯისა, სადაც ვახტანგისავე მეფობაში იჯდა ერისთავი.

ახალი საეპისკოპოსოების დაარსება და დიდი მშენებლობა მოწმობდა იბერიის როგორც ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებას, ისე მისი საერო და საეკლესიო ადმინისტრაციული მოწესრიგების მწვავე საპირობას.

ბ რ ძ ო ლ ა ქ ა რ თ ლ ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს ო თ ვ ი ს

ქართლი წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის სპარსეთისა და აღმოსავლეთ რომის წინააღმდეგ. ქართლის ლაშქარი, ვახტანგის მეთაურობით, მედგრად იცავდა არაგ-

ვის ხეობას (დარიალის ჩათვლით) ალანთა შემოტევებისაგან. ალანები მეორე საუკუნიდან გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიის მთა-ბარში. ეგრისში (ლაზიკაში) სამოქმედოდ გზა გაკაფული იყო არგვეთის საერისთავოს მეშვეობით. ქართლის ლაშქარი ღრმად შეიჭრა ეგრისში (473 წ. ახლოს) და ტახურის ხეობაში აიღო ციხე-გოჯი. შემდეგ ეს მონაპოვარი ქართლის ხელისუფლებამ დათმო, ხოლო რომაელებმა სანაცვლოდ მას კლარჯეთი დაუბრუნეს. სწორედ მაშინ დაიწყო იქ, ვახტანგ გორგასალის მეთაურობით, არტანუჯისა და ზოგი სხვა დასახლებული ადგილების მშენებლობა.

იმ ხანებში ვარსქენ არშუშას ძე, როგორც სპარსთა სამსახურში მყოფი სატრაპი და ქრისტიანობის მტერი, მოკლეს მეფე ვახტანგის ბრძანებით (484 წ.). ეს მკვლელობა სიგნალად იქცა სპარსთაგან დაძალული ხალხებისათვის. სომეხმა ხალხმა იარაღი აისხა. ომებში სახელმძღვანელო ვახტანგის გმირული სახე გამარჯვების იმედს ჰმატებდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მეზობლებს. შველას ელოდნენ, სომეხთა და ალბანთა გარდა, მომთაბარე ჰუნებისაგანაც, რომელთაც იმ დროს კავკასიის ქედს გადაღმა ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. კარგა ხანი იყო, რაც ისინი უტევდნენ ჯერ შუა აზიიდან და მერე კავკასიის მხრივაც სპარსეთის საზღვრებს. სომეხთა საომარი სამზადისი, შინაგამცემლობის შედეგად, გამოძვლავნდა. ამის შედეგად სპარსეთის ხელისუფლებამ დაასწრო აჯანყებულებს და ქართლს მოულოდნელად შეუსია ჯარი. ქართველთა და სომეხთა ჯარების შეერთება ველარ მოხერხდა და ვახტანგ გორგასალის ლაშქარმა ჯერჯერობით საფარი იპოვა მთა ადგილებში, სომხეთის საზღვრებზე. თვით სომხეთში სპარსთა წინააღმდეგ გამარჯვება სომეხთა ლაშქარს ხედა სოფელ აკორისთან (არარატის მთის ძირობაზე) და მეტადრე ნერსეჰაპატთან, სადაც სომეხთა ოცდაათათასიანი ლაშქარი ჩაება ბრძოლაში ვაჰან მამეკონიანის მეთაურობით. ქართლში შემოჭრილმა სპარსთა მხედრობამ, შაპუჰ მიპრის სარდლობით, მტკვრის პირად დაიბანაჯა. ვახტანგ გორგასალის ლაშქარიც დაიძრა მთიდან მტერზე მისასვლელად. ბრძოლა მოხდა ჭარმანის, ანუ გარდაბნის ველზე. ომში მონაწილეობდნენ სომეხთა რაზმები ვაჰან მამეკონიანისა და საჰაკ ბაგრატიუნის სარდლობით.

აქ საბოლოოდ გამოიკვეა, როგორც მანამდე სომხეთში, რომ აღრემონათმფლობელური სახელმწიფოს ინტერესები უცხო იყო გაანზაურებულ მესაკუთრეთათვის. სპარსეთის შემოტევის დროს მეფის სპას დემორალიზაცია დაეტყო. საქმეს ველარც ვახტანგ გორგასალის გმირობამ, სამხედრო გამოცდილებამ და სახელმა უშველა, ველარც თავისუფალი მეთემეების თანაგრძნობამ. მოტეული მტრის

თვალწინ ერთბაშად დაიშალა მეფის ორგული, ქართველ-სომეხთა აზნაურულ-ნახარაული სამხედრო ხელმძღვანელობა. ბრძოლის დაწყებამდეც აცნობებდნენ საიდუმლოდ არსებული ხელისუფლების მტრები სპარსელებს საკუთარ გადაწყვეტილებას, რომ შეტაკების დროს იარაღს დაყრიდნენ, რომ, კერძოდ, სომეხი მოლაშქრეები ვითომ მოტყუებით წამოასხა ქართლისაკენ ვაჰან მამიკონიანმა. წაგებული ომის შედეგად მძიმედ დაზარალებულმა ქართველ-სომეხთა მხედრობამ დასტოვა ბრძოლის ველი. სომეხთა ლაშქარი უკუიქცა თავის მხარეში. ქართლში შემოიჭრა სპარსთა მთავარი ძალა ჰაზარაუხტის მეთაურობით. ვახტანგმა ეგრისს შეაფარა თავი. ცოტა ხნის შემდგომ ვახტანგ მეფე ღალატით იქნა მოკლული პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ, მისივე ერთი მონის ხელით (502 წ.).

ვახტანგ გორგასალი დაუკრძალავთ მცხეთას, „სვეტიცხოველში“. საფლავი შეუმკიათ ქვის ძეგლით, რომელზედაც გამოსახული ყოფილა მისი „ხატი“. მის მიერ ნატარები საჭურველი, კერძოდ, მგლის თავის გამოსახულებით შემკული მუზარადი და სამოსელი დიდხანს ყოფილა დაცული სახსოვრად. ყველაზე უფრო უქკნობი აღმოჩნდა მისი მრავალი გამარჯვებით სახელმძღვანელო თეთრი სამეფო დროშა. ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო დროშას, სხვათა შორის „ვახტანგიანსა“ და „გორგასლიანსაც“ უწოდებდნენ.

ვახტანგის ხსოვნა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადების სიმბოლოდ შეინახა თავისუფლების მოტრფიალე ქართველმა ხალხმა. ვახტანგმა საპატიო ადგილი დაიკირა საგმირო ეპოსში. შემდგომ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დიდი შრომა უძღვნა ქართველმა მენისტორიემ ჭუანშერმა (XI ს.).

ეგრისის (ლაზიკის) სამეფო IV — V სს.

IV ს-ში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვამ, იბერიის მსგავსად, ეგრისში ფართო გზა გაუხსნა საზოგადოების წინსვლას. დასახლებულ ადგილთა ზრდა უფრო თვალსაჩინო იყო რიონ-ყვირილის, რიონ-ცხენისწყლის, აბაშა-ტეხურის, ხობისწყლის ბარსა და ხეობებში, დაახლოებით მერმინდელი სამეგრელოსა და იმერეთის მიწა-წყალზე. აქაური მკვიდრნი, იმერ-მეგრელები, რომში და (მერმე ბიზანტიაში) აღრითვე ცნობილ იყვნენ, როგორც ლაზები და როგორც კოლხების შთამომავალნი, ხოლო მათი ქვეყანა და სახელმწიფო, ქართულად ეგრისი, — როგორც ლაზიკა. ბუნებრივად მდიდარი რიონის დაბლობი, მუხურისად წოდებული, ასაზრდოებდა აქაურ საეპრო-სახელოსნო ცენტრებს, რომელთაგანაც სიმდიდრით

წინ დგებოდნენ ქუთაისი, ვარციხე, ნაქალაქევი და ა. შ. ეგრისის მოსახლეობას პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხელს უწყობდა აღმოსავლეთი რომის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებაც. IV — V საუკუნეებში იმპერია პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა მონების აჯანყებათა და გარეთ — გერმანელ ტომთა (გუთების) და ჰუნთა შემოტევის შედეგად.

ამ ვითარებაში ლაზების სამეფოს პოლიტიკურმა მნიშვნელობამაც იმატა. ერთ დროს ეგრისის დაძაბუნებულ „ბასილევსთა“ რიგებში იღგა ლაზთა „ბასილევსი“ მალასაც (დაახლ. 117—138 წწ.), ხოლო მის შემდგომ — ბაკური (დაახლ. 138 — 161). IV ს-ის დამლევისათვის კი კოლხეთის ტერიტორიული მეშვეილრეობა, აჭარის მთებსა და კავკასიონს შორის, უკვე ლაზური დინასტიის ხელქვეით იყო გაერთიანებული. ლაზთა მეფეებზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ სევანთა სამხედრო ბელადებიც.

ე გ რ ი ს ი ს მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა რ ო მ ი ს ა და ს პ ა რ ს ე თ ი ს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი

ლაზთა მეფეები ვასალურად იყვნენ აღმოსავლეთ რომზე დამოკიდებული. ისინი იმპერატორისაგან იღებდნენ სამეფო ნიშნებს, გვირგვინს, კეისრებს თავიანთ სამეთვალყურეოდ მიაჩნდა ეგრისიდან ჩრდილო კავკასიაში გადამავალი გზები და ისინი ლაზებს აკისრებდნენ ამ გზების დაცვას ჰუნთა და ალანთა შემოსევისაგან. მთავარი კი ის იყო, რომ საიმპერიო ხელისუფლები ზღვის სანაპიროზე ზღუდადნენ ლაზების ვაჭრობას. ლაზები დროს უცდიდნენ, რათა იარაღით მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა. ისინი ცდილობდნენ აღმოსავლეთი რომისა და სპარსეთის შეურიგებელი მეტოქეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ამასობაში შართლში გაბატონებულ სპარსეთს მიზნად დაესახა ლაზიკის დაპყრობა. ეს განზრახვა გამოწვეული იყო ეკონომიური ინტერესებით. სპარსეთი შუა აზიიდან მომავალ სავაჭრო გზებზე ფლობებოდა ბიზანტიელ ვაჭრებს, დიდ ბაეს ადებდა აბრეშუმს, რომელსაც კონსტანტინეპოლისკენ ეზიდებოდნენ. ამიტომ ბიზანტია ცდილობდა ლაზიკიდან გზა გაეკაფა შუა აზიისკენ ჩერქეზეთსა და საერთოდ ჩრდილო კავკასიაზე გავლით. ამ გზის გადასაჭრელად სპარსეთმა გადაწყვიტა ეგრისის შემოერთება, სევანთიდან კავკასიონზე გადასასვლელი ხეების ჩაკეტვა. თუ გაიმარჯვებდა, სპარსეთი კონსტანტინეპოლისკენაც გაიჭრებოდა შავი ზღვით.

აჭანყების პირველი ცდა ეგრისში

V ს-ის შუა წლებში ლაზები იარაღით გამოვიდნენ კონსტანტინოპოლის სამეფო კარის წინააღმდეგ. ეგრისის დასამორჩილებლად კეისარმა იქ საიმპერიო ლაშქარი შეიყვანა (456 წ.) აჭანყებულთა ლაშქარს ხელმძღვანელობდა ლაზთა მეფე გუბაზი. ომი გამწვავდა და მოწინააღმდეგეებმა ამჯობინეს მისი მალე შეწყვეტა. საიმპერიო კარს აფიქრებდა ლაზიკის მთაგორიანობა, რაც აძნელებდა სამხედრო მოქმედებას. ამის გარდა, იმპერიას გაუმტყუნდა სპარსეთისაგან დახმარების მიღების ცდა. იმ დროს ლაზებმაც პირველად, მაგრამ უშედეგოდ, სცადეს სპარსელთა მოშველიება. მაშინ საქმე მორიგებით დასრულდა. გუბაზი კონსტანტინოპოლს ჩავიდა (546 წ. შემდეგ), სპარსულად შემოსილი და „მიდიელთა წესისამებრ“ მცველი რაზმის თანხლებით. იმპერიის ხელისუფლებმა, სხვათა შორის, დაგმეს ის გარემოება, რომ გუბაზის დროს ეგრისში დაბრუნებული იყო იქ მანამდე არსებული ერთმეფობის ძველი წესი, და მამა-შვილი ერთად მეფობდნენ. ამიტომ გუბაზმა მეფობაზე ხელი აიღო და ტახტი თავის შვილს დაუთმო.

ეგრისის ბაჰრულა დამოუკიდებლობისათვის VI საუკუნეში

ეგრისისა და აღმოსავლეთი რომის ურთიერთობა ძალზე გართულდა. კონსტანტინოპოლის კარი ცდილობდა თავისი იმპერიის გადარჩენას მწვავე კრიზისისაგან. საამისოდ მან გამოსცა რეაქციული კანონები აჭანყებული მონებთს და მშფოთვარე დაპყრობილი ხალხების დასამორჩილებლად: კანონებს დარაჯად უდგნენ საიმპერიო ზვიადი ბიუროკრატია, ეკლესია და „ქრისტეს“ ძღვევამოსილი მხედრობა. კონსტანტინოპოლმა რამდენიმე ხნით შეძლო დასავლეთ რომის იმპერიის პროვინციების შემოერთებაც და დაპყრობილი ხალხების დაშოშმინებაც.

საერთოდ, VI ს-ში აღმოსავლეთ რომში ახალი ვითარება შეიქმნა. ამ დროისათვის აქ ფეოდალურმა ურთიერთობამ საბოლოოდ გაიმარჯვა. მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად VI—XV საუკუნეთა იმპერიას უკვე ახალი, „ბიზანტიის იმპერიის“ სახელწოდებით იცნობს ისტორია. ამრიგად, VI ს-ში ლაზიკა გარდაქმნილი და გაძლიერებული ბიზანტიის პირისპირ დადგა.

ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად ეგრისში

ქრისტიანობა ლაზიკაში IV საუკუნეშიც საკმაოდ იყო გავრცელებული, მაშინ უკვე, ბიქვინტასა და ტრაპიზონში, საეპისკოპოსო

საყდრები არსებობდა. ახლა ლაზთა მეფე წათე, რომელიც ჭერ სპარსეთთან დაახლოებას შეეცადა, კონსტანტინოპოლს გაეშურა კენისართან შესარიგებლად: იქ ის გაქრისტიანდა, მეფედ დამტკიცებულ იქნა და ზეიმით დაბრუნდა ეგრისს (523 წ.) გვირგვინით, სამოსელზე ოქროს სამეფო ზოლითა და მარგალიტით ნაქერი ქართული წოდებით მორთული. ეგრისისათვის ქრისტიანობას შაშინ მიეცა სახელმწიფო მნიშვნელობა.

იმ დროს სპარსთა მმართველ წრეებში მიჩნეული ჰქონდათ, რომ ეგრისი „ძველთაგანვე სპარსეთის ქვეშევრდომი იყო“. ამიტომ წათეს მონათვლამ ჭერ შაჰინშაჰის პროტესტი გამოიწვია და მერმე საქმე ომზედაც მიდგა. წათე სწორედ მაშინ გაქრისტიანდა, როდესაც ქართლი მეფე გურგენის მეთაურობით აჯანყდა. ქართლიდან გაქცეულ გურგენს სპარსთა ლაშქარმა ეგრისის საზღვრებში შესვლია და მან ჭერ მისი ჯანაპირო ციხეები სკანდა და შორაპანი დაიკავა, ხოლო შემდეგ ღრმად შეიჭრა სამეფოში — ეს უკვე წათესგან ანგარიშის მოსაქითხად (528 წ.). ეგრისს კენისრისაგან მოუვიდა მაშველი მხედრობა, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი სარდალი ველიზარი. დამარცხებულმა სპარსთა ლაშქარმა უკან დაიხია. მაშინ მებრძოლთა შორის დაიდო ვითომ „საუკუნო ზავი“ (532 წ.), სპარსეთსა და ბიზანტიას ერთიმეორისთვის უნდა დაებრუნებინათ ომში მიტაცებული ადგილები. სპარსელები კვლავ უტოვებდნენ ბიზანტიას სკანდასა და შორაპანს, ქართლი კი მათვე დარჩათ.

ც ა მ ე ტ წ ლ ი ა ნ ი ო მ ი (542—555)

532 წლის „საუკუნო“ ზავის მიუხედავად, ბიზანტია და სპარსეთი მაინც ომის სამზადისში იყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. თადარიგის მასშტაბი შეეფერებოდა მათ დიდმპყრობელობას, რომელსაც ახლა ასახეიერებდნენ მსოფლიო ისტორიაში ცნობილი აგრესორები — „დიდი ავტოკრატორი“ (თვითმპყრობელი) იუსტინიანე (527—565), ქრისტიანობის მკველი კისარი, და ხოსრო I ანუ შირვანი (531—579).

იუსტინიანეს ბრძანებით ბიზანტიელთა „ხვედრ“ სომხეთის მიწა-წყალზე მოიშალა ტრადიციული მმართველობითი წესები, შეიქმნა ოთხი ადმინისტრაციული ერთეული (I, II, III და IV არმენია), სომეხ მესაკუთრეთა მიწები დააქუცმაცეს უთვალავ მემკვიდრეთა რაოდენობის მიხედვით. დამპყრობთა განზრახვით, არმენიას უნდა დაჰკარგოდა ძალა და სომხური სახე. იმპერიის სანაპირო ქალაქებში გააძლიერეს ბიზანტიელთა მეციხოვნე ჯარები. სამხრეთის მიჯნაზე,

ზღვის პირას აშენდა მშენიერი ციხე-ქალაქი პეტრა; მისი შიდა ციხის ნაწილი დღემდეა შემორჩენილი ციხისძირში (ბათომის მახლობლად). ბიზანტიელთა განზრახვით, პეტრას ბქეებზე უნდა დამსხვრეულიყო ადგილობრივი ხალხის ყოველი ამბოხი და ურჩობა. დაახლოებით იმავე დროს დაწყებულა აფხაზეთში 160 კილომეტრის სიგრძის თავდასაცავი კედლის, „კლისურის (კელასურის) ზღუდის“, მშენებლობა. ბიზანტიურმა ადმინისტრაციამ ჩერქეზეთის მისადგომებზე გააძლიერა ბიქვინტის საეპისკოპოსო კათედრა, აბაზგები გააქრისტიანეს.

ბიზანტიელებმა ამ სამზადისში, დაარღიეს ზავის პირობები და შიდა ლაზიკაში ჩააყენეს ჯარი. მის უფროსად დანიშნეს ანჯარი იოანე (ციბე). პეტრა იქცა ადგილობრივი ხალხის საძარცვევ საბაჟოდ. დაწესდა ისეთი „მონოპოლია“, რომ, თვით ბიზანტიელთა მოწმობით, კენიტი მარილიც ვეღარ შეჰქონდათ ლაზიკაში და ვერც რამე იქიდან გამოჰქონდათ. უზომო ბაეებმა ლაზები საგარეო-საზღვაო ვაჭრობიდან გამოთიშეს. -

ლაზთა მეფემ გუბაზმა ელჩთა მეშვეობით აცნობა ხოსრო I-ს თავისი გადაწყვეტილება, ზურგი ექცია ბიზანტიისათვის მათი „უწმინდური საქმეების“ გამო და წინადადება მისცა — ლაზებისათვის მოკავშირეობა გაეწია, თავისი უძლეველი ლაშქრით შესულიყო ეგარისში ბიზანტიელთა განდევნაში მონაწილეობის მისაღებად. შაჰინშაჰი თვითონვე გაუძღვა (542 წ.) თავის დიდ ლაშქარს, სატრანსპორტო სპილოებს. ქართლიდან შეუდგა ლაზიკის ძნელ უღელტეხილებს ლიხის ტყიან მთებს შორის. გუბაზი ვარდციხეში შეეგება მეფეთმეფეს. კეისარს მიუვიდა ამბავი, რომ ლაზთა მეფე „ეთაყვანა“ შაჰინშაჰს.

სპარსელები გარს შემოერტყნენ პეტრას ციხეს. დიდი მსხვერპლის ფასად ციხე-ქალაქი მათ ჩაბარდა. ეს სპარსელთა მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

აჭ ა ნ ყ ე ბ ა ს პ ა რ ს ე ლ თ ა წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ

მაღე გამელავნდა ხოსრო I-ის ფარული ზრახვა — ეგარისის დაპყრობა, ლაზების აყრა-გასახლება და მათ ნაჭირნახულევზე სპარსელების დასახლება. მან გუბაზს მკვლევლებიც კი მიუგზავნა (548 წ.). მაშინ ეგარისის მმართველმა წრეებმა დაუყოვნებლივ აღადგინეს კეისართან საკავშირო ურთიერთობა და სპარსელებს აუჯანყდნენ. ბიზანტიელთა მაშველ ლაშქარში ირიცხებოდა 7.000 კაცი და აგრეთვე ქანების ათასეული.

აჯანყებულთა რისხვა თავს დაატყდა პეტრას ციხეში გამაგრებულ სპარსელებს. პეტრას გარემოცვას მეთაურობდა ბიზანტიელი სარდალი დაგისტე, გუბაზი კი ლაზთა ლაშქრით იცავდა ეგრისის უფრო სუსტ საზღვრებს, ალანთა და ჰუნთა რაზმების მონაწილეობით. პეტრას მეციხოვნე ჯარი სულს ლაფაედა. 1.500 კაცისაგან 300-ღა დარჩენილიყო ცოცხალ-მკვდარი, და მხოლოდ 150 უვნებელი. ციხის კედლებიც ძალზე იყო დაზიანებული. სპარსთა სარდალმა მერმეროემ კვლავ გააძლიერა პეტრას მეციხოვნე ჯარი, 3.000 მეომარი ჩააყენა შიგ. სხვა 5.000 მეომარი ლაზიკაში დასტოვა და დანარჩენი 25.000 კაცით სწრაფად სომხეთისაკენ გაეშურა. მის მიერ დატოვებულ 5.000 ჯარისკაცს ძარცვა-რბევით უნდა შეენახა პეტრას გარნიზონიკა და საკუთარი თავიც. მათ ბანაკი დასცეს რიონის ქვემო დინებაში, სანაპიროსთან, და იქიდან პატარ-პატარა რაზმებით იწყეს დაბა-სოფლების რბევა. მაგრამ ლაზთა და ბიზანტიელთა შეერთებულმა 14.000-იანმა ლაშქარმა სპარსელთა მთავარი ბანაკის მცველი ათასეული გაანადგურა და თვით ბანაკიც (549 წ.) მათ დავლად დარჩათ: დროშები, უამრავი იარაღი და ფული, ცხენები, ჯორები. იქვე აღმოჩნდა იბერიიდან გაზიდული სურსათი და „აუარებელი ფქვილი“. ამჯერად ეგრისი გაწმინდეს მტრისგან.

თავდაცვითი ბრძოლა ეგრისში მალე განახლდა. სპარსელთა დიდი მხედრობა, ხურიანეს სარდლობით, ღრმად შეიჭრა ლაზიკაში და ცხენისწყლის ნაპირზე დაბანაკდა (551 წ.). შეშფოთებული ლაზები სამართლიანად ჰკიცხავდნენ ბიზანტიელ სარდლებს საერთო საქმის ორგულობისათვის. მაინც გახურებულ ბრძოლაში სპარსელთა სარდლის ხურიანეს ბანაკი გაანადგურეს. პეტრა გაათავისუფლეს, მისი კედლები დააქციეს, რათა სპარსელებს იქ ფეხი ვეღარ მოეკიდებინათ. ნაქალაქეთან ბრძოლაში მტრის 4.000 კაცი დაიხოცა. ამის შემდეგ სპარსეთიდან დაბრუნებული მერმეროე დაეპატრონა ქუთაისს და უქიმერიონის ციხეს. უქიმერიონის დაპყრობით ლაზებისათვის ჩაიკეტა ლეჩხუმსა და სვანეთზე მიმავალი გზა. სვანეთს სპარსელები დაეპატრონენ. ეგრისს ავით აკლდებოდა სვანური სავაჭრო საქონელი — ბეწვჯული, ტყავული, ცვილი და სხვ.

ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა ე გ რ ი ს შ ი

დამარცხების მიზეზი ბიზანტიელების უქნარობაც იყო და გამოკვლობაც. გუბაზ მეფე უჩიოდა მათ კეისრის წინაშე. ბიზანტიელი სარდლები და მოხელეები შიშობდნენ, რომ პასუხის მოეთხოვებოდათ და ამიტომ მათ ვერაგულად მოკლეს გუბაზი (533 წ.). ამას მო-

ჰყვა აღშფოთებული ხალხის ფარული ყრილობა, წარჩინებულთა მეთაურობით. აქ ბიზანტიელთა სრულიად განდევნისა და სპარსელებთან დაახლოების მომხრეებიც აღმოჩნდნენ. ჩიოდნენ, რომ ლაზიკა უზომოდ იჩაგრებოდა ბიზანტიელთა ხელში და რომ მას მოაკლდა ძველი კოლხეთის დიდება. მაგრამ რადგან ლაზებს ღონე აღარ შესწევდათ „საკუთარ თავს დანდობოდნენ“, ამიტომ ვითომ აჯობებდა, რომ კეისრის წინააღმდეგ საბრძოლველად ისევ შაჰინშაჰს დაეკავშირებოდნენ. ასეთი აზრები გამოთქვა ყრილობაზე ერთ-ერთმა ორატორმა — აიეტმა.

მაგრამ მღვლვარე ბჭობის შედეგად გამოირკვა, რომ უმრავლესობა უფრო წინდახედული მოქმედების მომხრე იყო. ერთი ორატორი, ფარტაზი, ბრძნულად გამოეკამათა აიეტს. ბიზანტიელთაგან განდგომა ომის ვითარებაში, როდესაც ლაზიკა საესე იყო მათი მეომრებით, საშიში იქნებოდა, კეისრის მხედრობა სასტიკად გაუსწორდებოდა აჯანყებულებს. თან ლაზები თავისი სახელმწიფო წყობილებისა და ცხოვრების წესით უფრო ახლოს იდგნენ ბიზანტიელებთან და სარწმუნოებრივი ერთობა ჰქონდათ მათთან, სპარსელები კი მათთვის უცხოებად რჩებოდნენ. კრებამ მოიწონა ფარტაზის მოსაზრება. ამის შემდეგ ლაზებმა იუსტიანიანეს მოსთხოვეს მკვლელების დასჯა და გუბაზის ძმის, წათეს, დამტკიცება მეფედ. ეგრისის ხალხის გადატერება კარგს არას უქადდა ბიზანტიელებს და ამიტომ ლაზების მოსთხოვნები დაუყოვნებლივ შეასრულეს.

ა ბ ა ზ გ ე ბ ის დ ა მ ი ს ი მ ი ე ლ ე ბ ის ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ნ ი

ომის მსვლელობაში ეგრისის ჩრდილო მთიან კუთხეებში ბიზანტიელებს ხალხი რამდენიმეჯერ აუჯანყდა. აბაზგები (აფხაზები) იარაღით გამოვიდნენ მათი შემაწუხებელი ბიზანტიელი მოხელეების ამოსაყლელად (550 წ.). მათ ბელადობდნენ ოფსიტე და სეკპარანა. ბიზანტიელებმა შეძლეს ეცეხლითა და მახვილით აჯანყების ჩაქრობა და მისი წამქეზებელი სპარსელების განდევნაც. უფრო გაძნელდა აჯანყებულ მისიმიელთა განიარაღება (555 წ.). ესენი ბიზანტიელებმა მეტადრე იმით გაამწარეს, რომ ვერაგულად გაუჯოხეს მოციქულები. შეურაცხყოფილმა ხალხმა აღარ დაზოგა ბიზანტიელი სტრატეგოსი სოტერიქე, აღარც მისი შვილები და აღარც მისი ბანაკი, ყველანი ამოჟლიტა. აჯანყებულ მხარეში ბიზანტიელთა დამსჯელ რაზმებს (4.000 ცხენოსანსა და ქვეითს) ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა მიუვალი ციხე ძხხარა. დამსჯელთა ხელმძღვანელებს შორის უმთავრესი იყო კოლხი სტრატეგოსი ფარსანტი, ლაზთა მეფის მცველი რაზმის

უფროსი. ცხადია ეგრისის სამეფო ხელისუფლებაც ვერ იწყნარებდა აჯანყებულთა დამოუკიდებელს პოლიტიკური მნიშვნელობის საქმიანობას.

ძახარას ხანგრძლივ თავდაცვას დიდძალი ხალხი შეეწირა, მათ შორის ქალებიცა და ბავშვებიც. ხუთი ათასამდე სული დაიღუპა. დამსჯელმა რაზმებმა ბოლოს დაიმორჩილეს მათგან ცეცხლწაკიდებული თემები. თვითონ ბიზანტიელმა მოწინავე კაცებმაც კი გაპატივდნენ თავისიანების ასეთი დაუნდობლობა.

ო მ ის დ ა ს ა ს რ უ ლ ი

სპარსეთს ლაზიკაში ომის წარმოება მეტად ძვირად დაუჯდა. გამარჯვების იმედიც მიიწურა, მეტადრე მას შემდეგ, რაც სპარსელმა სარდალმა ნახორაგანმა, რომლის განკარგულებაში 60.000-მდე კაცი იყო, მწარე შარცხი განიცადა. ფოთის ალების უშედეგო ცდამ მისი მხედრობის ორი ათას კაცზე მეტი შეიწირა. (554 წ.). ამ დამარცხებამდე სპარსელებმა თითქმის ამდენივე დაკარგეს ნაქალაქევთან. ნახორაგანმა სულ მიატოვა ეგრისი.

ხოხრო I იძულებული გახდა ბიზანტიას დაზავებოდა. საზავო ხელშეკრულება დაიდო 50 წლის ვადით (562 წ.) და მისი ძალით სპარსელებმა ხელი აიღეს ეგრისზე. ისინი დიდ ხანს ცდილობდნენ სვანეთის შენარჩუნებას, მაგრამ ველარც ამ წადილს ეწივნენ, ბიზანტიელებმა ისინი იქიდანაც გამორეკეს (575 წ.). ამრიგად, ეგრისი ვერ ეწია სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

პირველად დაიბეჭდა წიგნში — „საქართველოს ისტორია, I უძველესი ხანიდან XIX საუკუნის დასასრულამდე“. დამხმარე სახელმძღვანელო“, თბილისი, 1958.

ბანგბაჟ მსოფლიოთა მღღელთათჳს

ეფთჳმე ქართუელის (ექეთიმე ათონელის) შრომა — «განგებაჲ მსოფლიოთა მღღელთათჳს» აჳ პირველად ქვეყნდება. ეტრატზე ნუსხა-ხუცურით შესრულებული ხელნაწერი თხზულებისა (13X X 17 სმ), აწ დეფექტიანი და უჯდო, სულ 10 ფურცლის შემცველი, ჩვენ მიერ შეძენილია ლენინგრადს (1941 წ. ზაფხულს) პროფ. მიხეილ ნიკოლოზის ძე კუფაევისაგან, რომელსაც იგი, თავის მხრივ, სხვა რამდენიმე არაბულ ხელნაწერთან ერთად, უყიდიდა თურმე შუა აზიაში, სამარყანდს.

თითოეული გვერდი შეიცავს თექვსმეტს პწკარს, რომლის ჩვეულგებრივი სიგრძეა 8 სმ. გამონაკლისს წარმოადგენს 14-პწკარიანი ფ. 1 ბ-და 17-პწკარიანი ფ. 10 ა. ნაწერი, დაქარაგმებული და მკაფიო ხელით შესრულებული, კარგად იკითხვის. სათაურები სინგურითაა გამოყვანილი, აგრეთვე უმეტესი ნაწილი საზენაო ასომთავრულებითაც. ერთს შემთხვევაში გამოყენებულია ფერადოვანი ხატულობა გეომეტრიული ნახაზით (ფ. 1 ა) და მეორე შემთხვევაში — ასეთივე ხასიათის დანაკვთული საზენაო ასომთავრული „გ“.

თუ ამრიგად, ხელნაწერს თავი აკლია, სამაგიეროდ ბოლო დაცულად ჩანს, რაკი ტექსტი დაგვირგვინებულია ტრადიციული ანდერძებით (ფ. 10).

პირველ ანდერძში ხელნაწერის შინაარსი აღნიშნულია „კურთხევეანი“-ს სახელით. იჳ ნათქვამია: „სრულ იჳმნნეს წმიდანი კურთხევეანი“ ამა და ამ მწერლის ხელითო. მომდევნო ანდერძშიც — აგრეთვე: „მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევეანი“ მე, ამა და ამ პირმაო.

საბედნიეროდ, ხელნაწერის წინა ფურცლების დაკარგვას არ დაუზიანებია ჩვენთვის საყურადღებო ტექსტი ეფთჳმეს შრომისა, რომლის სათაურიც, სინგურით შესრულებული, შემდეგია: „განგებაჲ მსოფლიოთა მღღელთათჳს, რომელი გამოსცა ბერძულისაგან ქართულად ნეტარმან მამამან ეფთჳმე“.

შესანიშნავი ქართველი მწიგნობრისა და სამონასტრო მოღვაწის დასახელებული თარგმნითი შრომა რომ არსებობდა, ეგ აქამდეც, დიად, ცნობილი იყო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი ნახული ჰქონიათ თავის დროზე დ. ბაქრაძეს და თ. ჟორდანიას, რომელნიც, აღწერდნენ რა ერთს ტყავის 333-გვერდიან ხელნაწერს, აკად. კ. კეკელიძის განმარტებით „კანონიკურ კრებულს“, უჩვენებდნენ ამ კრებულში შეტანილ თხზულებათა შორის ეფთვუმეს დასახელებულ შრომასაც¹. შევნიშნოთ, რომ ბაქრაძით მისი სათაური იყო ასეთი: „მცნება და განგება მსოფლიოთა ხუცესთა ბერძული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმან ეფთიმე“, ხოლო ჟორდანია ამ სათაურში დაცული ორთოგრაფიული ნორმების ოდნავ შეცვლით თუ შესწორებით, იძლევა იმავე სათაურს ამ სახით: „მცნება და განგება მსოფლიოთა ხუცესთა ბერძული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმან ეფთვიმე“². მაშასადამე, სათაური განსხვავებული რედაქციით არის მოცემული ჩვენს ხელნაწერში. უკვე ეს უკანასკნელი გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ ბაქრაძისა და ჟორდანიას მიერ მოკლედ აღწერილი ზორბა ხელნაწერი სულსხვა შედგენილობისა იყო ჩვენსასთან შედარებით და თანაც, ბაქრაძით, გადაწერილი ყოფილა „ვილაყ თეოდორესაგან“, — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჩვენს ხელნაწერში შემონახულა ეფთვუმეს თარგმანის სხვა ნუსხა. სამწუხაროდ, ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, ჩვენ ამჟამად საშუალება არ გვაქვს შევაწამოთ ეს ნუსხა იმ ნუსხას. ჩვენ დარწმუნებულიც არა ვართ, რომ ის ნუსხა, ბაქრაძის და ჟორდანიას მიერ აღწერილი, საერთოდ იმ ნუსხის შემცველი ხელნაწერი კრებული, დაკარგული არ იყოს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქართული ლიტერატურის სპეციალისტი აკად. კ. კეკელიძე ეფთვუმეს სამწიგნობრო მოღვაწეობის განხილვისას, ეხება რა აღნიშნულ თარგმანს, იძულებულია დაკმაყოფილდეს ბაქრაძისა და ჟორდანიას ზევით მოყვანილი ცნობით აღნიშნული კრებულის შესახებ და გამოსთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „ეს კრებულიო, — ბრძანებს იგი, — შეიცავდა, ალბათ, დარიგებას შრევლის სამღვდლოებისათვის მწყემსობრივი მოვალებობის კანონიერად და ჭეროვანად შესრულების შესახებ“³. მომავალში იქნებ აღმოჩნდეს არა მარტო აქ ნაგულისხ-

¹ სათანადო მითითებები იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1960, გვ. 212.

² დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 258—259.

³ თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 82.

⁴ ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 212.

მევი ნუსხა, არამედ სხვაც. დღესდღეობით კი ერთადერთ ნუსხად, რომელიც მკვლევართა განკარგულებაშია, ჩვენი ხელნაწერი უნდა ვიგულოთ. იგი ავსებს შესამჩნევ ხარვეზს ქართული ლიტერატურის ისტორიის სათანადო დარგში და გვაძლევს საშუალებას ეფთვებეს თარგმანი აწ პირველად გამოცემთ. ხელნაწერის ბოლოს დართულ სამ ანდერძთაგან უკანასკნელი ეკუთვნის ამ ხელნაწერის შემსრულებელ კალიგრაფს, რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებს. ამ ანდერძში იგი შენდობას უთვლის, კერძოდ, იმ ორ პირს, რომელთა სახელებით ყოფილა აღნიშნული მის მიერ დედნად გამოყენებული ნუსხა. ამ ორი პირის ვინაობას გვაუწყებს ჩვენი ხელნაწერის ორი პირველი ანდერძი, რომელნიც ამ ხელნაწერში ბუნებრივად გადმოტანილია მისი დედნიდან.

თვით ამ ანდერძთაგან პირველი გვაუწყებს, სახელდობრ, რომ სათანადო ნუსხის გადაწერი ყოფილა დიაკონი გრიგოლ ბანდაძისძე, ხოლო მის მომდევნო ანდერძში ქსენეფორე ბურღული, რომელიც მისივე ჩვენებით, ყოფილა დეკანოზის შვილი, აცხადებს, სხვათა შორის შემდეგს: „მოვიგენ და დავაწერინენ წმიდანი ესე კურთხევანი“-ო. საყურადღებოა, რომ მწერალი გრიგოლი ყოფილა, მაშასადამე, ნათესავი ან მოგვარე ქართული კალიგრაფიის და მეწიგნეობის ცნობილი წარმომადგენლის ავგაროზ ბანდაძისძისა, რომლისაგან დარჩენილია, სხვათა შორის, ერთი ანდერძი 1348—1365 წლებისა*.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც; რომ, ხელნაწერის შემდენ-შემკვეთელი („მოვიგენ და დავაწერინენ“), ქსენეფორე ბურღული თავის სამლოცველოდ აცხადებს ლომისის წმ. გიორგის („შეწეონითა წმიდისა გიორგი ლომისისაჲთა“). მაშასადამე, ჩვენი ნუსხის დედანი, ვით მანუსკრიპტი, თავისი წარმოშობით, განეკუთვნებოდა სათანადო კულტის გავრცელებულობის რაიონს.

სამწუხაროდ, ხელნაწერის ანდერძები უშუალოდ არ იძლევა მისი გადაწერის თარიღს. იქ ჩანს მხოლოდ, რომ ჩვენი ნუსხა გადაწერილი ყოფილა ბანდაძისძისა და ბურღულის გარდაცვალების შემდეგ. ამ ნუსხის უშუალო გადაწერელი მესამე, უკანასკნელ ანდერძში შენდობას უთვლის ორთავეს. ეს გადაწერელი, ჩვენთვის უცნობად დარჩენილი, მაშასადამე, ყოფილა ბანდაძისძის მიერ გაკეთებული ხელნაწერიდან მხოლოდ პირის გადმომღებელი. აი ამ პირს წარმოადგენს ჩვენი ნუსხა და იქნებ განეკუთვნებოდეს

* ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 52. გრიგოლ ბანდაძისძე იყო, როგორც მისი ერთი ანდერძიდან ჩანს (თ. უორდანი, ქრონიკები II, გვ. 204—205), ავგაროზ ბანდაძისძის შვილი (იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1962, გვ. 219, 221) — რედ. შენიშვნა.

XIV — XV სს. ნუსხის საგანი, როგორც ამას მოწმობს სათაურიც („განგებაჲ შაოფლიოთა მღვდელთათჳს“), და როგორც ამას სწორად გულისხმობდა კ. კეკელიძეც (იხ. ზევით), არის ის სახელმძღვანელო წესდება, რომელთა დაცვა ევალებოდათ მსოფლიო მღვდლებს, ე. ი. „თეთრ“ სამღვდლოებს, ეკლესიასა და ეკლესიის გარეთ. ზოგად ქრისტიანულ-ეთიკურ დარიგებათა გარდა, „განგებაჲ“ ითვალისწინებს ზოგ ცოდვას (მაგალითად, მსიძაობა) და სათანადო საზღაურს („კანონები“) კლიროსის წევრთა შესახებ, თავდაპირვანად და დისციპლინას, სავალდებულოს—ეკლესიაში წირვის დროს, ოჯახში ცოლის სარეცელზე, მარხულობაში და სხვ.; აღნუსხულია — პირობები, რომელნიც უნდა დაეცვათ ნათელის, ქორწინების, მკვდრის დამარხვის დროს; ნათესაობითი ხარისხები, გამსაზღვრელი ქორწინებითა და ნათელპირობით შეკავშირების უფლებისა. ზოგი წესი უშუალოდ ეხმაურება ქართული ადათისა და ზნე-ჩვეულების ამბებს. მაგალ., მთაში ცნობილი იყო ოჯახურ წრეში მშობიარე დედაკაცის ადამიანური უფლების შემზღვეველი ზოგი ვითარება. ეფთვმეს „განგებაჲ“-ც არჩევს „წილოვან“ დედაკაცს, რომლის სიხსლოვეს „სიწმიდე და მიპრონი“ არ შეიძლებოდა გაეკარებინათ. ასეთი დედაკაცი და მეძავი ერთნაირად იყვნენ მოკლებული მსგავს პატივს. საერთოდ, დედაკაცი, თუნდაც ხანგადასული („დედათა წესსაც გარდასრულ იყოს“) და განდევნილობასაც თავმიცემული, სეფისკვერს ვერ გამოაცხობდა.

ცნობილია დაუსრულებელი ურთიერთქმედობა და კამათი ქართველი და სომეხი კლერიკალებისა სარწმუნოებრივი საკითხების სფეროში. „განგებაჲ“, თავის მხრივ უკრძალავს მღვდელს სომხის მკვდარს ლოცვა წაუეკითხოს ან ჭვარი გადასწეროს, მხოლოდ ნებას რთავს, დაიტვიროს იგი, როგორც ჩვეულებრივმა ერისკაცმა. ასევე უნდა მოჰქცეოდეს, თავის მხრივ, სომხის მღვდელიც ქართველ მკვდარს. „სომეხთა მზახობასა და სუინდიკონობასა ეკრძაღე“, მოერიდეთ, — ბრძანებს იგივე წიგნი. ძეგლი არ ივიწყებს, აკრძალულად გამოაცხადოს ეგრეთ წოდებული „არაჯგორის“ მარხვა, სომეხთა ეკლესიაში მიჩნეული და ქართველი (ქალკედონიტური) სამღვდლოების მიერ იმთავითვე დაგმობილი. იმ მარხვათა სიაში, რომელნიც ქალკედონიტ ქართველ ბერს ოთხშაბათ-პარასკეობითაც ხსნილად ეთვლებოდა, ჩვენს ძეგლში დასახელებულია „ალაჯურთა კკრიაჲ“-ც. ეფთვმემ სხვა თავის თარგმანში (VI მსოფლიო კრების კანონები) საგანგებო მუხლებიც კი შეიტანა ამ მარხვის განსაქიქებლად⁶.

⁶ ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 493.

საყდრებისა და ტაძრების დიდი ქვის შენობები განმარტოებულ ადგილებში, ან იქ, სადაც მხოლოდ გლეხის ბეჩავი ქოხმახები მოიპოვებოდა, კარგი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო დღეობა-ხატობაზე თავმოყრილი ხალხისათვის, მეტადრე აედრიან დღეს. ამის ასაკვეთად „განგებაჲ“ ბრძანებს: „ეკლესიას ერისა ხდილობად შეყრაჲ არა ჯერ არს“, მღერაჲ და ცუდი საუბარიც ეკლესიაში ამ წმიდა სახლს ჰრყვნის და საწარმართო სამლოცველოდ აქცევსო. ცნობილია, რომ ხშირად ეკლესიის მსახურნი, მეტადრე დიდ ცენტრებს დაშორებულ კუთხეებში, ერისკაცთ არ ჩამორჩებოდნენ არა თუ მაღალი მორალის უარყოფით, არამედ საერთოდ ავკაცობითა და ავაზაკობითაც. იოანე ბატონიშვილსაც ჰყავს თავის „კალმასობაში“ გამოყვანილი ბებურიშვილის გვარიდან გამოსული ვინმე მღვდელი, რომელიც თავის სახლიაკებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც ქეიფსა და დროსტარებაში, ისე კუთხე-მეზობელზე შეიარაღებულ უაჩაღურ თავდასხმებსა და დაწიოკებაშიც. „განგებაჲ“-ც ითვალისწინებს, დანაშაულს ისეთი მღვდელისას, რომელიც იქნებოდა „მომღერალი, მაგინებელი, მომთრვალე, მონადირე და მპარავი“. იქვე მღვდელს ეცხადება: „მღდელისაგან არა ჯერ არს მომღერალთა და მომთრვალეთა თანა აღრევაჲ. ქორწილისა პურსა (ე. ი. სუფრას) ჯვარი დაუწერე, პური ჰამე და წაადი, ვაჟთა მღერასა და ხუმრობასა ნუ დაჰხუდები, ნუცა ჰომსა შეხ(ე)ალ და ნუცა ალაფისა აღებასა დაჰხუდები“. ერთი სიტყვით, ძარცვა-რბევასა და ნადავლის განაწილებაში მონაწილეობა უჯერო საქმეაო. მღვდელს, ვით სულიერ აღმზრდელს, მეორე მხრივ, დიდი თავდადება და გმირობა მოეთხოვებოდა სამწყსოს პატრონობის დროს. რაკი ჩვეულებრივი ამბავი იყო ფეოდალების თავგასულობა, ისე რომ იგინი სჩაგრავენენ სულიერ მამებსაც და მათი ხელიდან იტაცებდნენ თვით ღვთის მიერ კეთილი კაცებისათვის გამოგზავნილ მადლსაც კი, მაგ., უღვთოსად მიიღებდნენ ხოლმე ზიარებას, „განგებაჲ“ უწერს მღვდელს, არავითარ შემთხვევაში იგი არ შეშინდეს და უღირსი პირი არ აზიაროს. „ნუცა დიდებულთა და კელმწიფეთა შეუშინდები“-ო; მოკვლასაც რომ გემუქრებოდნენ, გეშინოდეს მხოლოდ ღვთისაო. „ჯერ არს მღდლისაგან, ბრძანებს წიგნი, — თვსთა სამწყსოთა წურთაჲ და ურჩთა და მაცილობელთა წინააღდგომაჲ ვიდრე სიკუდილამდის“. შევნიშნოთ, რომ, ერთი მხრივ, ამ ძეგლის ტიპის პატარა კანონიკური კრებულები, პრაქტიკული დანიშნულების სახელმძღვანელოები, სხვაც გადათარგმნილა ბერძნულიდან ქართულად, ხოლო მსგავსი თარგმნითი ლიტერატურა თანდათან გამდიდრებულა ადგილობრივის, ქართული წარმოშობის სა-

თანადო ძეგლებით. მეორეს მხრივ, კანონიკის დარგში თვით ეფთჳ-
მეს მიერ შეტანილი წვლილი, არ განისაზღვრება ჩვენი ძეგლით.
ჩვენ აქ დაეასახელებთ „მცირე შჯულის კანონს“, რომელიც თავის
დროზე გამოიცა პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ⁷, და მისავე ცნო-
ბილს განმარტებით „წიგნს“ (ეპისტოლეს), ორჯერ დაბეჭდილს,⁸
საერთოდ, კანონიურ კრებულთა თარგმნისათვის. ქართველთა შო-
რის „პირველად ხელი მოუყიდია ექვთიმე ათონელს“⁹.

გ ა ნ გ ე ბ ა ჯ მ ს ო ფ ლ ი ო თ ა მ ღ ღ ე ლ თ ა თ ჳ ს,
რომელი გამოსცა ბერძულისაგან
ქართულად ნეტარმან მამამან ეფთჳმე:

გამცნებ შენ პირველად მღღელო, დამარხვასა სარწმუნოების-
[ა]სა, შიშა ღმრთის[ა]სა, სიწმიდესა, კორცთასა და შეერძალვასა,
უკუეთუ ასოათა შენითა ღირსებით იქეოდე, აღირაცხო გუნდსა
თანა ზეცისასა და მიილო პატივი ღირსად შრომისა შენისათჳს: უკუ-
ეთუ უღირსად და უერძალველად შესწირვიდე მსხუერპლსა მას სა-
შინელსა, უწყოდე, რამეთუ ქრისტჳს მკლველთა ჰურიათა თანა და-
ასაჯო:

უწყოდე, საყუარელო, რამეთუ მღღელი მსიძავი ჰეშმარიტად
უძკრეს იუდაქსსა არს, რამეთუ იუდა ერთგვის განყიდა ღმერთი,
ხოლო მღღელი მსიძავი მარადის განჰყიდის და უარ-ჰყოფს ქრის-
ტესა.

საშინელი ესე საქმე, რაჟამს წარდგეს მღღელი არა-ღირსი შე-
წირვად წმიდასა მას წმიდათასა, რომელსა ანგელოზნი თუალთ-
შედგმად ვერ-მკადრე არიან: ეკრძ[ა]ლე თავსა შენსა და მსახურე-
ბაჲ ეგე, რომელ მიილე ღირსად, აღასრულე, რამეთუ ზეცისაჲ
არს*.

უკუშთუ ვისთჳსმე გული გიწყრებოდეს, ჟამსა ნუ სწირავ, არა-
მედ მიუტევე ყოვლითა გულითა შენითა, რაათა უფალმან შენცა
მოგიტევნეს ყოველნი ცოდვანი შენნი**.

ჟამსა წირვის[ა]სა ნუ უბნობ, ნუ იხედავ იქი-აქა, ნუ ისწრაფი
ფსალმუნთა და ლოცვათა წართქმასა, არამედ შემოკრებულთა გუ-
ლითა და გონებითა ილოცევიდი.

სეფის-კუშრ[ი] თბილითა წყლითა მოზილე, მარილი და სა-
ფუარი ურთე, ჰუშ დადევე, რაათა გაფუენეს და ეგრეთ გამოაცხევ

⁷ Древности восточные, II, вып. III, М., 1903.

⁸ მოთხოვები იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

⁹ დასახ. ნაშრ., გვ. 564.

* შდრ. კოლასელთა, 4. 17.

** ტექსტში, შენინი.

და დედაკაცისაგან* სეფის-ქუჭრისა გამოცხობაჲ არა ჯერს არს, თუ დედათა წესსაჲცა გარდასრულ იყოს და სრულიად სოფლით განშორებული იყოს.

ტკბილითა და ძმრითა ეამსა ნუ სწირავ; შეშისა ლახურითა ნუ ამოკვეთთ; ბარძიბსა შინა ზედაშესა წყალი ურთე, უწყლოდ ნუ სწირავ; წყლისა წილ თოვლსა ნუ ჩაურთავ. რომლისაჲ უწყოდე და საღმრთოჲ კანონი წირვისაგან განაყენებდეს, მის თანა ეამსა ნუ სწირავ; რომელმან ერთითა შთასაცმელითა** ეამი წიროს, შეჩუ-ტნებულ იყავნ. სიწმიდესა და მიპრონსა ერის კაცსა ნუ მისცემ; რომელსა სახლსა წილოვანი დედაკაცი იყოს და ანუ მეძავი, მას სახლსა შინა სიწმიდესა და მიპრონსა ნუ დასდგამ.

სნეულისა ზიარებაჲ ერისგანისაგან არ ეგების, არამედ მღვდელთა და მონაზონთაგან ჯერ არს ზიარებაჲ. ხოლო ოდეს აზიარებდეს, ფილონი შეიმოსოს, სანთელი აღანთოს, საკმეველი აკმიოს, ილოცოს ფრიად და ყოველთა წმიდათა შეავედროს და ეგრეთ აზიაროს შიშით და კრძალვით; ხოლო ოდეს აზიაროს, უკუტთუ მას ეამსა არა მოკუდეს და ოცი დღე ანუ ორმოცი ანუ სამოცი და ოთხმოცი დღე გამოკდეს და კუალად არღარა ეზიაროს და ეგრეთ მოკუდეს, არაჲე კლებაჲ იქმნების ზიარებისაჲ, ვინ[ა]ჲთგან მაშინ სასიკუდი-ნოდ ეზიარა; ხოლო უკუტთუ აღსარებაჲ არა გითხრას და არცა ზიარებისა წადიერებაჲ არა აქუნდეს, მას ნუ აზიარებ, მო-[ცა]-ჯკლვი-დეს; რამეთუ უმჯობეს არს, რაჲთა შენი სისხლი ქრისტესსთვის დას-თხივო, ვიდრე კორცი და სისხლი ქრისტესი მიცემად არა ღირსთა.

ნუკა დიდებულთა და ქელმწიფეთა შეუშინდები, არამედ გეშინოლენ ღმრთისა.

ნაწილისა დაწვაჲ არ იკადრების, არამედ ღრმად დამარხვაჲ ჯერ არს.

ყრმასა ნუ მოჰქრისტნავ, სრულიად მონათლე, რაჲ გითხრან, მსწრაფლ დააგდე რასაჲცა შრუტბოდე, წარემართე და მონათლე. თუ მოკვდებოდეს, მასვეცა დღესა, რომელსა იშვას, მსწრაფლ მონათლე: თუ დარჩებოდეს შვდ დღემდი, შენ ნუ ჰპატიჯობ მონათლევასა და შვდ დღითგან ჰპატიჯობდი, რაჲთა მონათლონ; უკუტთუ თუ უნათლავი მოკუდეს, მკუდართა თანა დაჰმარხე და ეამსა ნუ უწირავ; უკუტთუ მიზეზი შენგან იყოს, მი[ე]ედ და გააგონე მოძლუარსა; და თუ მიზეზი დედა-მამისაგან იყოს, იგი გაგზავნენ; უკუტთუ ყრმაჲ ნათლევასა შინა მოკუდეს და ემბაზსა არ ჩაგედვას,

* ტექსტში: დედაკაცისგან

** ტექსტში: შათასაქმელითა

უნათლავი არს — დააგდე; და თუ ჩაგედვას, მონათლე — ქრისტეა-
ნე არს.

გამცნებ შენ, შვილო, ნათესავთა ხუთ მამამდის ნუ ამძახებ და
სუნდიკნოზთა* შუღ მამამდის ნუ ასუნდიკნოზებ**.

თუ სომეხსა მკუდარსა ზედა მიხვდე, ვითარცა ერის კაცმან
იტირე, ნუცა რას წაუკითხავ, ნუცა ჯუარსა დასწერ. და თუ სომეხი
შენსა დაჰხედეს, ეგრეთვე მან ყოს.

მარხვათა შინა ქორწილისა გარდაკდაა არა ჯერ არს, თვნიერ
ხარებისა და ბზობისა; მოტაცებით და მეძვობით შეყოფილნი იგი-
ვე მეძაენი იქმნებიან. ნუცა მესამეთა გვრგვნთა აკურთხევე, რამეთუ:
პირველი მეუღლებაა წესიერი არს, მეორე შენდობითი, ხოლო მე-
სამე ყოვლად უწესოა და მეძაესა თანა ყოფასა მცირედლა უმჯობეს
არს. უკუშთუ ვისმე უნებლიეთ სიკუდილისაგან დიდისა დაემართოს
მესამე ქორწინებაა, იგი ეკლესიით განიკდების; უკუშთუ მოძღ[უ]-
რისა ბრძანებითა იქმნას და შიშით და კრძალვით იქცეოდეს, და
მერმე სინანულსა და სიწმიდესა შეუდგენ, ესენი იზიარებიან.

სომეხთა მზახობასა და სუნდიკნოზობასა*** ეკრძალე, მწვალე-
ბელსა ჯუარსა ნუ დასწერ, ნუცა სეფის-კუჭრსა მისცემ.

ეკლესიას ერისა ხდილობად შეყრათ არა ჯერ არს. ვინცა ეკ-
ლესიას მღერაა იკადროს, ვითამცა კერკთა ბომონად შესცვალებს,
ეკლესიასა ესრეთ შეეარაცხების, რამეთუ არცა ცუდი საუბა-
რი იკადრების ეკლესიას. უკუშთუ სადა ვინ მღდელმან იმღეროს,
მღდელობისაგან აღიკოცოს. მღდელი მომღერალი, მაგინებელი,
მომთრვალე, მონადირე და მპარავი, მღდელობისაგან აღიკოცების და
უკუშთუ არა დააცადოს, ვითარცა იუდა და მსაჯების; რომელსა პირ-
სა გინებაა გამოვალს, მას პირსა სული წმიდაა არა შევალს.

უკუშთუ მღდელისა ცოლი და ანუ დიაკონისაა დაეცეს სიძვი-
თა და შეაცნას მღდელმან და ანუ დიაკონმან, მასეე ჟამსა თუ განუ-
ტეოს, აქუნდეს მღდელობაა შეუცვალებელად და სხვსა ცოლისა
შერთვაა არა ჯელეწიფების. ხოლო უკუშთუ მას თანა ყოჟაა ინე-
ბოსლა, ვითარმცა მეძესა თანა მყოფ არს, იქმნას; უკუშთუ მღდელი
დაეცეს სიძვითა, მიერთგან მღდელობად არა ჯელეწიფების; და
უკუშთუ დიაკონი დაეცეს, მღდელობად ვერღარა მოვალს და არცა
დიაკონობად ჯელეწიფების; და უკუშთუ წიგნის მკითხველი დაე-

* ტექსტში: სუნდიკნოზთა

** ტექსტში: ასუნდიკნოზებ

*** ტექსტში: სუინდიკნოზობასა.

ეს, დიაკონობად ვერლარა მოვალს. რომელმან მღვდელისა ცოლი აცთინოს, კაცის კლვისა კანონი დაესაჯოს და ხუთი წილი სხუაჲ კაცის მკლველთაგან უმეტესი; და ესევე კანონი მღვდელის ცოლსა მსიძავსა, რამეთუ მეუღლეთა მათთა მკლველ ექმნებიან, რამეთუ მიერიტვან მღვდლობად არლარა კელეწიფების.

რომელი ხუმრობდეს და სხუათაცა აცინებდეს სამ დღე უზიარებელი იყოს. მღვდელისაგან არა ჯერ არს მომღერალთა და მომთრვალეთა თანა აღრევაჲ. ქორწილისა პურსა ჭუარი დაუწერე, პური ჰამე და წაჲდი, ვაჲთა მღერასა და ხუმრობასა ნუ დაჰხუდები.

ნუცა ჰომსა შეხ[ვ]ალ და ნუცა ალაფისა აღებასა დაჰხუდები; ნუცა რას მოაქნევ საკრავად, რამეთუ დაყენებულ არს მარჯუტენე მღვდელისაჲ შფოთისა და მტერობისაგან.

ხოლო ჯერ არს მღვდელისაგან თვისთა სამწყსოთა წურთაჲ და ურჩითა და მაცილობლთა წინააღდგომაჲ ვიდრე სიკუდილამდის ვითარცა იტყვს მაცხოვარი, „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართა თვისთათვის“*. შეილო, მრემლთა შენთა მარხვასა და ლოცვასა და სიწმიდესა ზედაჲ-ზედა ასწაეებდი; თავი შენი სახედ მიეც სათნოებითა, რაჲთა შენ გბაძვიდენ; და შენ მიერ ძალი ღმრთისაჲ იდიდოს. უკუტეთ უღირსად იქცეოდე, სამწყსოჲ შენი შენ გბაძვიდეს და შენგან ძალი ღმრთისაჲ იგმობვის, რამეთუ ყოველი კაცი თავისა ცოდვათათვის განიკითხვის, ხოლო მღვდელი ერისათვის, რომელი მისდა რწმუნებულ იყოს.

წირვასა მეტსა ნუ შეჰვარდები — რაჲ იცი, რავდენ დღე ცოცხალ ხარ. კვრიაყესა და საუფლოთა დღესასწაულთა და კ[ა]თოლიკეთა მარხვათა შინა სიწმიდით დაჲცევე თავი შენი მეუღლესა თანა და ოდეს წირვაჲ გგულებოდეს ხუთნი ოდენ დღე-ღამენი მეუღლესა თანა წმიდად დაჲცევენ.

ძილსა შინა დაცემული საკურთხეველად ნუ აღხვალ, ხატთა ნუ ემთხუტვი, კანონი ესე თქუ: წმიდაო ღმერთოჲ — 3, მამაო ჩუენოჲ — 3, ღმერთო შილხინე — ორმოცი, ასი — კირიელეისონი, მუკლთ-მოდრეკაჲ — ორმოცდაათი.

ენუკევეს ღმერთი მამათა და დედათა, ბერთა და ყრმათა ძალი-საებრ მარხვასა მკირედსა ხანსა მოჲცალონ და ღმერთი მოიკსენონ. თუ იცოდეს, „მამაო ჩუენოჲ“ თქუას და თუ არა იცოდეს, სამგზის დაჲვარდეს და ღმერთსა ევედროს.

გამცნებ შენ, შვილო: შიშითა უფლისაჲთა იყავ ყოველსა ჟამ-

* იოანე 10.11

სა წმიდისა ეკლესიისათვის; მარადის ჰკითხვედი თვისა ებისკოპოსა და მოძღურისამცა ქუჭზე ხარ ყოველსა ჟამსა; რაჲცა რაჲ შეგემთხვოს მიძინარესა ანუ მღვდარესა, ყოველსა დაუფარავად აღუარებდი მოძღუარსა.

ნაწილსა ორისა ანუ სამისა თვისაგან უფრო ნუ შეინახავ, რაჲთა არა დაობდეს და გემოჲ გამოუვიდეს; კუალად გამოსცვალებდი და ახალსა შეინახვიდი და ძუჭლსა მას წმიდასა ადგილსა ეკლესიისა კუთხსა ჩასდებდი. ნაწილისა დაწვაჲ არ იკადრების, ღრმად დამარბვაჲ ჭერ არს.

მიპრონი თუ დაგელიოს, შიგა ნურას ჩაურთა[ვ], კუალად სხუაჲ სთხოვე ებისკოპოსსა.

უკუჭთუ ყრმაჲ ნათლვასა შინა მოკუდეს, წინაჲსვე მიპრონსა ნუ სცხებ. სახლსა შინა არცა ნათლვაჲ ეგების, და არცა გკრგვნთა კურთხევაჲ. მთავარდიაკონისაგან არცა ნათლვაჲ ეგების და არცა გკრგვნთა კურთხევაჲ, ხოლო მკუდარსა დაჰმარხავს, თუ მღღელი არა იყოს. ოდიკსა თუ ფერკი გამოგიწყდეს და ანუ თაგუმან გაკურტიოს, მას ზედა ჟამსა ნულარა სწირავ და ნუცა წირულსა ზედა მეორედ სწირავ.

ესეცა უწყოდე, რამეთუ ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა ვითარცა დიდთა მარხვათაჲ ჭერ არს მარხვაჲ, რამეთუ დღენი არიან უფლისა ჩუენისა ენებისანი (რამეთუ ოთხშაბათსა განიძრახეს ურიათა მოკლვაჲ ქრისტესი, ხოლო პარასკევსა სრულ-ყვეს). ხოლო ესე უწყოდე: ოთხშაბათ-პარასკევნი ესრეთ განიკნებნიან — უკუეთუ დაემთხეო[ს] ფერისცვალეზაჲ და ანუ მარიამობაჲ, განჰკნის და აღესებნა კვრიაკეი, ს[უ]ლისა წმიდისა მოსლვისაჲ, ქრისტეშობისა კვრიაკეი 12 დღე, და ალაჭურთა კვრიაკე და ყველიერისა კვრიაკე, ესე შვდელუნი კსნილნი არიან ოთხშაბათ-პარასკევითა და რომელთაცა მოწამეთა საცისკროჲ სახარებაჲ აქ[უ]ს, მათისა ტაძარსა შინა მათ წინაშე შ[ე]მოკრებულთა მედღესასწაულეთათვის შემძლებელ არიან განჰკნანდ. სეკდენბერსა 14—ჭურის ამალეზაჲ—თუ კვრიაკესაცა მიჰხუდეს, მარხვაჲ არს; და ოდეს განცხადებისა ათორმეტნი გარდაჲქდებოდნენ, იგიცა მარხვაჲ არს. ხოლო სხუაჲ ყოველი ვითარცა ვის ძალ ედვას და ვითარცა მოძღუარმან განუწყესოს. დიდსა პარასკევსა არა ვის კელმწიფების არცა პურისა ჰამად და არცა წყლისა სუმად. ხოლო უკუეთუ ვინმე სნეული იყოს, მზისა დასლვისა ჟამსა მიიღოს პური და წყალი ვიდრე ორი ჟამი ღამისაჲ გამოვიდეს და შაბათსა, მწუხარი—ჟამის წირვაჲ, და მივიღებთ მცირესა განატეხსა და ორორსა ჩირსა და თვთვ სასმელსა ღვნოსა.

დიდებაჲ ღმერთსა სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა! სრულ იქმნნეს წმიდანი კურხევეანი ჰელითა მწარედ ცოდვილისა, სასობითა ოდენ ქრისტეანისა, ხოლო საქმითა ყოვლად არამსგ[ა]ვისისა, სახითა ოდენ დიაკონისა გრიგოლ ბანდაქძისაჲთა. უწყის ღმერთმან, რომელი ჩემისა უმეტრებისაგან ეგებოდა, დია მიჭირებია და კარგად ქნასა არაჲ მრჩევია. უცბად ჩხიბვისათჳს შემინდევით და ლოცვასა, გვეედრები, ნუ დამაკლებ, რაჲთა თქუენ-მიერთთა ლოცვითა ვიქსნე ღრჭენისაგან კბილთაჲსა, რომელი მელის ჩემებრ ცოდვილთა.

სახელითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა წმიდისა გიორგი ლომისისაჲთა მოვიგენ და დავაწერიენ წმიდანი ესე კურთხევეანი მე, ბურღულმან, დეკანოზისა შვილმან ქსენეფორე საქმრად ჩემდა და მომავალთა ჩემთათჳს და სალოცველად სულისა ჩემისათჳს. აწ ვინც მიემთხვენეთ, წმიდანო მამანო, წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, შენდობასა, გვეედრები, ნუ დაგუაკლებთ, რაჲთა თქუენ-მიერთთა ლოცვითა ჩუენ გვქსნნეს ღმერთმან საუკუნეთა სატანჯველთაჲთგან და თქუენ მიგცეს სასუფეველი მისი.

სულსა ქსენეფორესსა და მისთა დედა-მამათასა შეუნდვენს ღმერთმან, ამენ!

მწერალსა გრიგოლს და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან! ნაწერო დაშთა, ხოლო მწერალი მიწა იქმნა.

КУЛЬТУРНЫЕ СВЯЗИ ВИЗАНТИИ И ГРУЗИИ

Позвольте начать свое краткое сообщение с упоминания о той простой истине, что замечательные достижения советского византиноведения, в создании которого в свое время участвовали такие крупные специалисты, как Васильевский, Успенский, Васильев, Бенешевич, смененные последующим поколением в лице Левченко, уважаемого проф. Пигулевской и др. — что великие успехи данной области советской науки были обусловлены реальным соотношением сил, историческим значением связей творческих сил Византии, с одной стороны, и народов Советского Союза, с другой. Крупные масштабы, в каких из века в век осуществлялись сношения между сторонами в различных областях исторической их жизни, определили и масштабы высокого развития советской исторической науки об этих взаимоотношениях. В то же время известно, столь активно участвовали во взаимоотношениях с Византией народы Армении и Грузии.

Известен капитальный труд, который в свое время удалось Адопцу построить на материалах истории Армении. В советской Грузии, естественно, также было заложено основание местному, если можно так выразиться, византиноведению, наличием успехов которого мы в значительной мере обязаны специальным знаниям и энергии нашего коллеги, проф. Каухчишвили.

Хорошо известно, какими византиноведческого порядка ценностями располагает Грузия. Не случайно, что им посвятили свои труды Успенский, Кондаков, Бенешевич, что в наше время их исследует проф. Мацулевич. Из этих свой интерес должен представить для византинистов один любопытный канонический памятник из грузинских древностей афонского происхождения.

Именно, мы нашли своевременным предложить Вашему вниманию грузинскую пергаментную рукопись XIV—XV вв., содержащую цельный труд — «Распорядок («Гангебай») о мирских священниках, греческий» в переводе знаменитого

грузинского писателя и монастырского деятеля Евфимия Афонита.

Время жизни и деятельности Евфимия падает на 955—1028 гг. Характерной чертой века был относительный общий прогресс, который наметился в социально-экономической и политической жизни грузинского народа, как это имело место в жизни народов и всего Закавказья, Ближнего Востока.

В борьбе за независимость против арабов, византийских царей вполне упрочили свои суверенные права феодальные правители Ширвана в Азербайджане, Анийского царства в Армении и т. д., закавказский торговый путь с узловыми центрами в Дербенте, Барда, Тбилиси, Ани, Карсе, Трапезунте способствовал дальнейшему углублению процессов объединения земель и централизации власти, в частности, в Грузии.

В дни великого грузинского писателя Георгия Мерчулэ «Картли» — уже «обширная страна» («Житие Григория Хапдзтийского», гл. 43). А в (974—975 г.) наиболее влиятельный из «таоиских царей» Грузии Курапалат Давид публично декламирует свою волю — силой обеспечить дело объединения «Тао, Картли и Абхазети», т. е. основных частей исторически сложившейся Грузии; В связи с общим прогрессом страны, в частности, повысился спрос на книги гражданского и духовного содержания, соответственно на переписчиков, переводчиков и т. д.

Книжное дело в Грузии того времени, как известно, имело большие традиции. Но повышенный тогда спрос на разнообразную литературную продукцию на книжном, так сказать, рынке вызвал такой кризис, в виду которого нашему Евфимию справедливо могли быть сказаны такие слова: «Сын мой — говорил ему отец, — Грузия испытывает большой недостаток книг; у нее недостает многих книг, между тем, вижу, бог тебя одарил [талантом переводчика]. Вот и соверши подвиг, чтобы умножить тебе мзду, которую бог тебе дал» (стр. 26).

В Грузии и грузинских зарубежных монастырских центрах интенсивно работали специальные скриптории. Особые труды акад. Марра, акад. Джавахишвили, проф. Цагарели и других посвящены описанию рукописей, которые происходят из таких скрипторий.

Успех, достигнутый в этой работе характеризуется уже тем, что духовные нужды, в частности, церкви, ее служители могли удовлетворять на национальном языке. Современник констатировал, что в стране «церковную службу совершают и все молитвы творят на грузинском языке». Смысл этого свидетельства в источнике подчеркивается указанием, что, мол, во время богослужения «только Кури е-Е лей сои прозно-

сят по гречески» (Георгий Мерчуле, гл. 43). Это свидетельство вполне согласуется с реальным положением дел в тогдашней Грузии, уже располагавшей, как известно, великим литературным наследием на национальном языке, которое из века в век складывалось из замечательных трудов Якова Цуртавели (V в.), Иоанна Сабанис-дзе (VIII в.), ряда апооимов и т. д.

Для нашего вопроса важно отметить, что такая культура сама закономерно порождала у грузинского народа потребность поддерживать и углублять традиционные связи с византийским культурным миром, усилить заботу об интенсивном освоении важнейших достижений ромеев, или, как грузины традиционно называли их, нонов, или бердзенов, в области литературы, в особенности церковной, права и т. п. Из исторического труда Леонти Мровели (XI в.) видно, что в представлении его современников необходимость культурного общения с Византией была предопределена заветом предков.

Перед лицом сельджукских турок, громом обрушившихся в ряду других стран и на Грузию, Леонти возвещал, как некую истину, будто бы еще при Александре Македонском было завещано правителю Грузии быть верным, покорным, как гласит грузинский текст, Бизинтиосу, по Леонти — этнарху византийцев. Этому историку известно и название города Византиона — «Бизинтия» (Мров., 20).

В приведенном указании средневекового историка своеобразно отразилась та истина, что история взаимоотношений между Грузией и Византией своим началом восходит к самым истокам истории означенной империи.

Дело интенсивного использования того большого опыта, каким располагала Византия в различных областях культуры, понятно, облегчалось изначальной распространенностью греческого языка, греческой образованности среди передовых людей Грузии. Об этом красноречиво говорят самые различные остатки прошлого. Традиция античной Грузии создавать, например, эпиграфические памятники на греческом языке, продолжает бытовать и в средневековой Грузии. Греческие надписи, которые довольно часто украшают, в частности, стены в храмах, теперь легко доступны для обозрения благодаря труду Т. С. Каухчишвили («Греческие надписи в Грузии», Тб., 1951). Известное Коридетское евангелие, греческое, датированное VIII—IX в., на протяжении столетий бережно хранилось в грузинских церквях. В числе гимнографических текстов, кроме оригинальных представлены также и переводные, сделанные именно с греческого и т. д.

Греческий язык в грузинской школе или частной семье

передко занимал видное место. Воспитанники Георгия Афонита заслужили восторженный отзыв императора Константина Дуки, когда они дружно исполнили ряд песнопений греческого чина. Их встреча с императором имела место в 1065 г.

В семье Абухарба, деда Евфимия Афонита, где и воспитывался в раннем детстве Евфимий, греческий язык служил необходимым языком. Потому-то обучить Евфимия в десятилетнем возрасте родному грузинскому таким же оказалось трудным, как если бы — грузинскому обучали природного грека. Что касается прохождения им наук, то, согласно источнику, сначала его учили «грузинской науке», а после преподали ему на греческом «полный курс наук без изъятия» (Жизнь... Евфимия, гл. 45).

Что касается деятельности Евфимия Афонита, выражаясь словами младшего современника Евфимия, — Георгия Афонита, тоже знаменитого грузинского писателя, Евфимий «явился украшением нашего (грузинского) племени... в подражании св. апостолам (Андрею Первозванному и Симону Кананиту), — повествует о нем Георгий Афонит, просветил он язык картвелов и их страну».

Для нашего вопроса важно подчеркнуть, что в Византии, на Афоне, где Евфимий поселился в 965 г. и где с тех пор постоянно жил и творил, он на протяжении долгих лет (в особенности, в промежутке времени от 1005 по 1019 г.), помимо большой литературной деятельности, вел там и трудную практическую работу по руководству монастырями, — не только грузинским, известным с тех пор Ивером, но, также и греческим и, дорожившими его огромным авторитетом и опытом.

Основные принципы его руководства монастырями, братею, его дисциплинарные меры воспитания и воздействия, весь его административно-настоятельский опыт, который он осуществлял применительно не только к грузинским, но и греческим монахам, стяжали ему великое признание и уважение как среди соотечественников, так и византийцев.

Вообще грузинские афониты находили весьма значительную поддержку, в частности, у императоров Иоанна Цимисхия, Василия II; вышеупомянутого Константина Дуки и др.

Евфимий Афонит, как впрочем и Георгий Афонит, обладая глубоким знанием двух языков — грузинского и греческого — своими переводами с греческого, содействовал обогащению отечественных книжных фондов; облегчил решение многих практических вопросов большого общественного значения. Евфимий, как позднее и Георгий Афонит, внес свою лепту, кроме таких областей духовной культуры, как библиология, экзегетика, гомилетика и т. п., также и в агнографию, церков-

ное право и т. д. Кстати сказать, не случайно, что в наше время вновь оживился важный литературный спор об авторстве Евфимия по отношению к греческому роману «Варлаам и Иоасаф», спор начатый в 80-х гг. прошлого века и все еще ожидающий своего окончательного решения. Впрочем, критика означенного памятника осталась бы бесплодной, если бы она стала исходить из заведомо порочного утверждения, что, дескать, Евфимий вообще не мог быть автором греческого романа, поскольку сам был негрек.

Теперь, о нашем «Распорядке мирских священников».

Пергаментная рукопись (13X17 см) без переплета, сохранившая образец строчного хуцури XIV—XV в., в наличном виде содержит 10 лл, сплошь исписанных. Рукопись, в неизвестных нам условиях совершившая путешествие из Грузии в Среднюю Азию и обратно, нами была приобретена из частных рук в 1941 г.

Подобный «Распорядок», как это видно из специальной литературы, еще в 80-х гг. видели специалисты в составе особой объемистой рукописной книги, увы, теперь для нас недоступной. Так что в наших руках оказался уникальный памятник.

«Распорядок» содержит наставление и инструкции, имеющие дать должное направление действиям и поступкам священников как в быту, так и в частной ли их жизни или при выполнении культовых обязанностей. Идеал священника, несокрушимое мужество, которое укрепит его в решимости не потерпеть кощунства ни от кого, не исключая царей, если даже эта решимость угрожает жизни священника.

В специальной литературе отмечено, что Евфимий — переводчик, как и его последователи (из младших современников Евфимия — Эфрем Мцирэ), рационально-свободно обращался с переводимым текстом. Он — переводчик и тем самым — комментатор. Это можно ясно видеть и на примере нашего памятника. Тот огромный опыт, о котором речь шла выше, большая, так сказать грузинско-византийская образованность позволили Евфимию вдохнуть жизнь в сухой перечень определений, из чего должен был состоять греческий подлинник (о последнем мы будем говорить особо). Примером может служить следующий факт: Евфимов «Распорядок» рекомендует священнику не допускать армян-мопофизитов к благодати святых таинств (крещение, и др.; ср. VI Вс. соб., § 33, 34), но «если, — гласит документ, — придешь на похороны умершего армянина, то ты (священник) оплачь его так, как если бы ты был мирянином». Этот пункт в Распорядке оговорен в том смысле, что так же поступит армянский священник в отношении умершего грузина. Здесь оправдывается

вполне справедливое утверждение акад. Н. Я. Марра, что догматические разногласия не мешали армянам и грузинам поддерживать между собою житейские связи. «Распорядок» содержит в себе ряд определений, опровергающих тех из греческих монахов, которые в корыстных целях ложно обвиняли грузинских монахов в игнорировании отдельных установлений, как о том повествуют источники.

В заключение отмечу, что в числе трудов Евфимия рассмотренный нами памятник не остается особняком. Из канонической литературы в переводе Евфимия сохранились Малый Номоканон, а также Номоканон Иоанна Постника, — эти грузинские церковные древности, как известно, послужили предметом изучения в руках таких специалистов, как Заозерский, Бенешевич, Хаханашвили, Джавахишвили.

К этому небольшому числу данных памятников теперь прибавляется наш «Распорядок», который таким образом приобретает для нас вполне определенное научное значение.

წაკეთებულია მოსხენებელ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიზანტიოლოგიურ სესიაზე ლენინგრადში 1968 წ. 27.XI.

ომი ტრაპიზონისათვის

თამარის ისტორიკოსს, ბასილი ეზოსმოძღვარს საკმაოდ ნიშანდობლივად აქვს აღნიშნული ის დრამატიული ამბები, რომელშიც თვალსაჩინოდ გამოვლინდა ნიშნები შვილასწლოვანი ბიზანტიის იმპერიის დაცემისა. აღნიშნული წყაროს ცნობათა ნათელსაყოფად წინასწარ ორიოდე ზიტყვით განვმარტოთ იმ ამბების საერთო მიმართულება. საქმე ეხება თამარის, შოთა რუსთაველის თანამედროვე ბიზანტიას, XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე იქ დატრიალებულ პოლიტიკურ კორიანტელს. ცნობილია, რომ ბიზანტია იმ ხანად განიცდიდა მისგან იარაღით დასაკუთრებული ტერიტორიების დანაწილების პროცესს. ბალკანეთზე თავის მიწა-წყალს ბრძოლით იბრუნებენ ბოლგარები, ვლახები; მცირე აზიაში სელჩუკი თურქების მპყრობელობა იმპერიისათვის დაუძლეველი აღმოჩნდა. სელჩუკი სულთნები ბიზანტიის კეისრების უგულვებელყოფით, ბიზანტია-რომის მემკვიდრეების როლს იჩემებდნენ („რუმის სასულთნო“). დიდი მეხისტეხის მომტანი იყვნენ ჯვაროსანი „ფრანგებიც“. საგულისხმოა, რომ იმ დროის დიდ მოლაშქრეს, გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ ბარბაროსას, რომელიც 1189 წელს, კეისართან „ანგარიშის გასასწორებლად“, ქ. ფილიპოპოლს მიადგა კარზე, შემხედურ სომეხ ვაჭართაგან ეუწყა თურმე „იმპერიის სრული დაცემის“ შესახებ¹. დაცემის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ფეოდალური შინაგანი ანტაგონიზმი იყო, მისი მტაცებლური ბუნებით, დინასტიური ინტრიგებით. კერძოდ, კარის ინტრიგების, საკუთარი უნიათობის, მძარცველური პოლიტიკის შესხვერპლი გახდნენ ანგელოზთა დინასტიის კეისრები—ძმები ისააკ II და ალექსი III. რადგან ჩვენი თემის თვალსაზრისით ორივე იმპერატორის ბედი ჩვენთვის წარმოადგენს გარკვეულ ინტერესს, ქართული წყა-

¹ Г. Г е л ь ц е р, Очерки полит. истории Византии, гл. 152.— Очерки по истории Византии. Вып. I, СПб., 1912.

როს ცნობა მათ შესახებ გვინდა შევაჭერთ ბიზანტიურ წყაროთა შემდეგს ორიოდ ცნობასთან.

ფეოდალური დაუსრულებელი შუღლისა, სამეფო კარზე გავრცელებული შინაგამცემლობისა და გარეშე მტერთა გამანადგურებელი თავდასხმების ვითარებაში ისააკს უმუხთლა მისმავე ძმამ ალექსიმ, ტანტიდანაც ჩამოავდო და თვალებიც დასთხარა. ეს მომხდარა 1195 წ. 10 აპრილს. სასახლის ამ გადატრიალებას მოჰყვა მოძალადე ალექსის (III-ის) რვა წლის, კვლავ კრიზისებით დამძიმებული, მეფობა. ამ მეფობაში ბიზანტია. დღითიდღე ჰკარგავდა ძალას და გავლენას ბალკანებზეც (ბოლგარეთი), იტალიის რესპუბლიკებთან ბრძოლაშიც, წინა აზიის საქმეებშიც. ალექსის მეფობა სამარცხვინოდ დასრულდა. ვენეციის საზღვრო ფლოტმა, რომელსაც ძალა შეჰმატეს ჭილდოზე დახარბებულმა ჯვაროსანმა „ფრანგებმა“², სამხედრო შეტევის წესით ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი. ალექსი III, რომელსაც ბიზანტიის ისტორიაში ათასი სიივე მიეწერება, მხდალი და დაჯახებული გაიქცა სატახტო ქალაქიდან. გამარჯვებულებმა კონსტანტინოპოლში იმპერატორად გამოაცხადეს კვლავ ისააკ II, ძითურთ ალექსით (IV). ეს მოხდა 1203 წლის 18 ივლისს³. აქ ჩვენ თვალს ავარიდებთ იმ სისხლში გავლილ წიოკობას, რომელმაც მოიცვა კონსტანტინოპოლი და სათანადო პროვინციები, რაკი ადგილობრივი მოსახლეობა მომხდურ ძალას არ ფიქრობდა უბრძოლველად დამორჩილებოდა. ჩვენი საკითხის გასარკვევად ჯერ არს მცირედ შევჩერდეთ ალექსი III-ის ბობოქარ თავადასავალზე. მისი ცხოვრება, გაშლით აღწერილი სახელოვანი ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკიტა ხონიატისგან (XII—XIII სს.) საქმოდ ვრცლად შევიდა სათანადო გამოკვლევებში (თეოდორე უსპენსკი, ჰ. გელცერი და სხვ.).

ცნობილია, რომ ალექსი III ანგელოსი, კონსტანტინოპოლის დამკარგავი, ერთხანს პროვინციაში ავად თუ კარგად ინარჩუნებდა ხელმწიფობას. დაუჯდომელმა და ინტრიგების მოყვარე კეისარმა, საერთოდ, ისტორიაში ძალზე ბნელ პიროვნებად გამოხატულმა, თავშესაფარი გამოცადა თესალიაშიც (ქ. ალმირი), ეპირშიც (ქ. არტა), დაქუცმაცებული იმპერიის სხვა სამეფო-სამთავროებშიც. ეპირიდან ის გადავარდა საკუთარი ქვეყნის მტერ სელჩუკთა სასულთნოში, — მცირე აზიაში. მისმა მფარველმა სულთანმა, ყიას ელ-დინ ქეიხოს-

² შტრ. „მოფრანგენი“ (ვეფხისტყაოსანი).

³ Г. Гельцер, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

როგ I-მა არ დააყოვნა და მცირე აზიაში იმხანად შექმნილი ნიკეის იმპერიის (1204—1261) იმპერატორს თეოდორე ლასკარს (ის ქ. ნიკეიდან ვარაუდობდა კონსტანტინოპოლში შექრას და ასე ძველი იმპერიის კვლავ ფეხზე წამოყენებას), — მოსთხოვა ბიზანტიის კანონიერ მემკვიდრედ ისევ ალექსი ანგელოსი ელიარებინა (1210 წ.). ამას მოჰყვა ყაის ელ-დინის თავდასხმა ბიზანტიის ქ. ანტიოქიაზე. აქ ქალაქის კედლებთან ატეხილ ბრძოლაში, სულთანი მოკლეს და მისი პროტყეე ალექსი გამარჯვებულ ლასკარს ხელთ ჩაუვარდა. ასე დაბრკოლდა ტანტის მაძიებელი ალექსი ანგელოსი.

ასე უპერსპექტივოდ წარდენილს ალექსის ცხრვრებას, მისი უარყოფითი პირადი თვისებების აღრიცხვით, გვაცნობს თამარის ისტორიკოსი ბასილი, ურთავს რა ალექსის მეფობის უსიამო ამბებს სხვა საინტერესო ფაქტებსაც. ქართულ წყაროში ჯერ გადმოცემულია, თუ რა წყენა მიაყენა ამ კეისარმა საქართველოს ხელისუფლებას. ამის შესახებ ნათქვამია: ერთხელ („ოღესმე“), როგორც ბევრჯერ სხვა დროსაც („ჩუეულებისაებრ“), საქრისტიანო აღმოსავლეთის სამონასტრო ცენტრებიდან, რომელთა შორის, კერძოდ, დასახელებული არიან შავი მთა სირიაში, კვიპროსის კუნძული და მთაწმინდა (ათონი), თამარ მეფეს რიცხვ მრავლად წვევიან იქაური მონაზვნები. ისინი აქ მოუზიდნია მეფის ცნობილ „ქუელის-მოქმედებას“. საფიქრებელია, გზის სიძნელე, დამხვდურ ავაზაკთა საშიშროება უქარნახებდა მათ ერთად, თავშეყრილ ჯგუფებად ემგზავრათ. როგორც შეეფერებოდათ შორეულ მეკალმასეებს, შემწყალე მეფემ იგინი კარგად მოასვენა, ცხადია, ტრაპუნსაც გაუჩემდა, „მრავალ დღე არა გაუშვნა“, მერმე უხვად დააჯილდოვა, გასცა, რაც კი სამონასტროდ, სახმარად გამოადგებოდათ, „აღაესნა ყოვლითა საქმრითა“. ეალკე იმ მონაზვნებს, რომელნიც ჩამოსულნი იყვნენ უშორესი ქვეყნებიდან, „უფროს შორიელთა“, მეფემ „მისცა დიდძალი ოქრო“ სხვადასხვა მონასტრებში „განსაყოფელად“. მონასტრების თამარისგან შეწყალების ფაქტები, საერთოდ, ქართულ საბუთებში საკმაოდაა აღრიცხული.

ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1202—1203 წლებისა, სანამ ალექსი III კონსტანტინოპოლში იჯდა ტახტზე. თამარისგან შეწყალებულ მონაზვნებს, როცა ისინი უკან ბრუნდებოდნენ კონსტანტინოპოლზე გავლით, სწორედ აქ, სამეფო ქალაქში, დააყრევინა, რაც კი სიმღიდრე წამოეღოთ მათ საქართველოდან, იმპერატორმა ალექსიმ. ბიზანტიის ისტორიაში უამისოდაც კარგად არის დამოწმებული ალექსი ანგელოსის მძარცველური საქმეები. სწორედ მას ეხება ცნობა, რომ „იმპერატორი და (მისი) კარი ფარული მონაწილენი

იყენენ შავ ზღვაზე მოთარეშე პირატების ალაფ-მონაგებისა“. ცნობილი იყო, რომ რუმის სულთანი პრეტენზიებს უცხადებდა იმპერატორს, აკისრებდა რა, დაეკმაყოფილებინა მტაცებლური აქტებისაგან სულთნის დაზარალებული ქვეშევრდომნი⁴. უკვე ასეთ მძარცველობას შეეძლო მოეპოვებინა ალექსისთვის ანგარებისმოყვარის სახელი. აკი თამარის ისტორიკოსიც ასე უწოდებს კეისარს. მისი გადმოცემით, კონსტანტინოპოლში ჩვენი მეკალმასეების ჩასვლის შესახებ — „ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თვსსა ისაქს თვალნი დასწუნა და მეფობა წარულო“⁵. (ისე, როგორც ეს ზემოთ გვაქვს გადმობრძნობილი). ქართული წყაროს ჩვენებით, ამ მეფისგან არც უნდა ყოფილიყო მოულოდნელი მონაზვნების გაძარცვა, რაკი, წყაროს გამოთქმით, — „ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტყუებელი (არ შესატყვისი. — ვ. დ.) მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ“.

საფიქრებელია, რომ, სხვა სპეციფიკური მიზეზიც იყო იმისა, რომ ალექსის (და არაეის სხვას) ერგო ჩვენში ეს ეპითეტი — „ანგარი“, ხოლო ერგო ალბათ იმიტომაც, რომ გეაროვნობით იგი იყო ანგელ(-ოს-ი), რაც ელერადობის ძალით, ასოციაციით დაუკავშირდა „ანგარ“ სახელს.

ანგარება, გინა ანგაპრება, ისტორიკოსის (და, ცხადია, მის თანამოაზრეთა) თვალსაზრისითაც, შეიძლებოდა მრავალი უბედურების მიზეზი გამხდარიყო. ალექსი ანგარი, — ამ ეპითეტით, ალექსის შესახებ, როგორც იტყვიან, ყველაფერი იყო თქმული. ეს ნიშნავდა, რომ ალექსი მიჩნეული იყო ზიარად არა ადამიანურ, მეფურ სათნოებათა, არამედ მომაკვდინებელ ბოროტებათა, კაცთა წარმწყმედელ, — ეს ეკლესიის მკაცრი მოძღვრების ენაზე, — ცოდვა-ცთომილებათა. „ანგარებანი“ ხომ ისეთ ბოროტებათა შორის იყო აღრიცხული, როგორც „პარვანი, კაცის-კლვანი“ და სხვა მისთანები (მრ. 7,21 — 22). ალექსიო, გავიმეოროთ ქართველი ისტორიკოსის სიტყვებზე, „ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ“.

უნდა ვიფიქროთ, ისტორიკოსს კარგად ესმოდა ალექსის ამ ანგარების, მორალურს გარდა, უფრო არსებითი, ბიზანტიის ფინანსების დამლუპველი ხასიათი, ის, რაც მკაფიოდ არის ნაჩვენები იმპერიის ისტორიაში.

ალექსი რომ „საძაგელ იყო ყოველთა მიერ“, ეს პირდაპირ ემ-

⁴ გ ე ლ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153—154.

⁵ ბ ა ს ი ლ ი, ივ. ჭავჭავაძის გამოც., გვ. 31.

თხვევა აკად. თ. უსპენსკის სათანადო შენიშვნას⁶. როგორც ცნობილია, ქართულ შუასაუკუნეობრივ ისტორიოგრაფიაში სწორედ ალექსის ანგარებასთან არის დაკავშირებული ის ფაქტი, რომ ფეოდალურ ანარქიაში ჩაძირული ბიზანტიის დაშლის პროცესში საქართველომაც გამოიჩინა ინიციატივა და იმპერიის შავზღვეთში შექმნილ ტერიტორიულ „ქონებას“ თავისი ხელი დასდო. ალექსიმ, კონსტანტინოპოლის უადრეს დამკარგველმა, ახლა დაკარგა შავი ზღვის მთელი ხაზბრეთი სანაპირო ზოლიც მისი მდიდარი ქალაქებით, ის, რაც საფუძვლად დაედო 1204 წ. შექმნილ ახალ სახელმწიფოს, ე. წ. ტრაპიზონის იმპერიას.

ქართველი ისტორიკოსის წარმოდგენაში, საქართველოს მპყრობელი თამარი კონსტანტინოპოლში მონაზვნების გაძარცვის გამო „განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლხით-იქითნი“, ესე იგი დასავლეთ საქართველოში შეყრილი მოლაშქრენა. რომელთაც ბიზანტიის დაუძღურებულ იმპერიას დაატოვებინეს „პონტოს“, იქვე მდებარე „ლაზიის“, მაშასადამე, ქანეთის, უფრო დასავლეთით კი—„ფებლადონიის“ მიწები, ტრაპიზონისა და მის იქით განლაგებული სხვა სანაპირო ქალაქების ჩათვლით ვიდრე „არაკლია“-მდე⁷. საეკვოა, მხოლოდ აღნიშნულ მიზებს აღძრას საქართველოს მეფე და ის „მცირედნი ვინმე ლხით-იქითნი“ იმპერიის წინააღმდეგ გამოსასვლელად. მონაზვნების გაძარცვის ფაქტს ალბათ თავისი გავლენა უნდა მოეხდინა საქმის განვითარებაზე. ქართველი ლაშქრის აღნიშნული მოქმედების გაშუქებისას ბიზანტიის ისტორიკოსებსაც ანგარიშში აქვთ თამარ მეფისა და იმპერატორ ალექსის „წამბდარი ურთიერთობა“⁸. მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ამ გარემოებას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, და მაზედ ვერ შევჩერდებით. ჩვენ წყაროში მიღებული სქემის თანახმად, ვითომ ჯერ ქართველი ლაშქარი დაეუფლა მცირე აზიის ბიზანტიურ სანაპიროს, და მხოლოდ ამის შემდეგ ჯვაროსნებმა იკისრეს კონსტანტინოპოლის აღება. ქართველი ისტორიკოსის გეგმით, ჯერ ბიზანტიამ მცირე აზიაში დაკარგა საყდრენი, რის შემდეგაც,—განაგრძობს ჩვენი წყარო, [„ხოლო“] ესმა ესე ფრანგთა (წაიკითხე: დასავლეთ ევროპელთა, ვ. დ.), რ[ამეთუ] მოვლო (ე. ი. წაერთვათ.—ვ. დ.) ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით

⁶ ამ შენიშვნის მიხედვით, ალექსი «был ненавистен всем», Успенский И., История Византийской империи, т. III, М.-Л., 1948, გვ. 541.

⁷ ბ ა ს ი ლ ი, გვ. 31.

⁸ გ ე ლ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

(და ამით წაქეზებულნი—ვ.დ.) გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს (ალექსის.—ვ. დ.) სამეუფო ქალაქი, მეფობასა თანა“⁹. შეუძლებელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ქართველთაგან პონტო-ფებლანონის აღება და „ვენეტიკთა“ შეტევა ბიზანტიის სამეუფო ქალაქზე დაახლოებით მაინც თანადროული აქტები იყო. მაგრამ წყაროების შიხედვით, „ფრანგებისა“ და აგრეთვე ალექსი III-ის მოწინააღმდეგე ადგილობრივი ძალების ხელისწყობით ვენეციელთა სამხედრო ფლოტმა, ცნობილი ენრიკო დანდოლოს მეთაურობით, კონსტანტინოპოლი 1203 წ. 18 ივლისს აიღო, ხოლო ტრაპიზონში, თამარის შემწეობით, ბერძენი უფლისწულების შეყვანა 1204 წ. მომხდარა. ახლა ჩვენ შეგვიძლია, ქართველი ისტორიკოსის კვალში ჩადგომით, ბოლომდი მივიტანოთ ალექსი ანგარის (თუ „ანგარის“) თავგადასავალი და წინ წამოვიწიოთ ჩვენი დამაინტერესებელი შტრიხი. ქართული წყაროს ცნობით, კონსტანტინოპოლიდან გაძევებული „შეიხვეწა უბადრუკი იგი ალექსი ბორღალეთს, თვისისა სიძისა თანა. ხოლო იხილა რაჲ ბორღალელთა მეფემან, სიძემან მისმან, — განაგრძობს ისტორიკოსი, — შეიყუანა ციხესა ერთსა, და დაუფინა წინაშე მისსა ოქრო დიადი, და პრქუა ესრეთ: „აჰა, ალექსი, გულის-სათქუმელი იგი შენი, ოქრო ესე მიიღე, თუნიერ სხვისა რომლისამე საზრდელისა, და წყლისა წილ“. რისთვის დასაჯა სიძემ თავისი გაუბედურებული სიმამრი ასეთი სისასტიკით? ციხეში გამოუკეტა კარი და ყოველგვარი საზრდელი, წყალიც კი წაართვა, გასწირა შიმშილით მოსაკვდინებლად, აი, სიძის განაჩენი: „რ[ამეთუ] ამისთვის (ოქროსთვის.—ვ. დ.) წარსწყმიდე სახლი სამეუფო ქრისტიანეთა (ე. ი. საქრისტიანო სამყაროს ცენტრი, კონსტანტინოპოლი.—ვ. დ.), და დაკსენ (დაშალე.—ვ. დ.) თვითმპყრობელობა ბერძენთაო“¹⁰.

მკითხველის დამაფიქრებელ ამ ჩანაწერში ჯერ შევეხოთ იმ გარემოებას, რომ, მოცემული ვერსიით, ალექსი დაისაჯა სიძის მიერ. სიძისგან, რომელიც თითქოს იყო „ბორღალელთა მეფე“, რის შესაბამისადაც მისი ხარბი სიმამრი სიცოცხლეს გამოეხსალმა სწორედ ბორღალეთს. აი საშინელი ფინალი: „ესრეთ მოკუდა საწყალობელი იგი სიყმილითა, — ამთავრებს ისტორიკოსი მის ამბავს, — დაკლებული შეწვევისაგან ღ[მრ]თისა“.

ბიზანტიური წყაროები, ზემოთ ხსენებული ნიკიტა ხონიატი, ალექსისთან ანგარიშის გამსწორებლად სწორედ მის სიძეს ასახელებენ (საერთოდ, ალექსის რამდენიმე ასული და რამდენიმე სიძეც

⁹ ბასილი, გვ. 31.

¹⁰ იქვე.

პყოლია). მაგრამ ეს წყაროები, რომელთაც ჩვენ დამაეჭვებელ სა-
კითხში არ იქნება უპირატესობა არ მივცეთ ქართული წყაროს წი-
ნაზე, ასახელებენ ისტორიაში კარგად ცნობილ სიძე-ბატონს ალექ-
სისას, ზემოთ მოხსენიებულ თეოდორე ლასკარს (1204—1222).

ალექსის ამბავი აკად. თ. უსპენსკის კაპიტალურ ნაშრომში მთავ-
რდება ცნობით, რომ ანტიოქიის ბრძოლაში გამარჯვებულმა ლას-
კარმა მის ზელთ ჩივარდნილი ალექსი თან წამოიყოლა თავის საბრძა-
ნებელში, ნიკეას. აქ ტყვე „მონაზვნად იქნა აღკვეცილი“ „იაკინთეს
მონასტერში“, „სადაც მან კიდევაც დაასრულა თავისი ცოდვებით
საგსე ცხოვრება“¹¹.

ჩვენი საკითხისათვის მთავარი მაინც არის მწარე განაჩენის და-
შასაბუთებელი ბრალდება, რომ ანგარებამ, ვერცხლისმოყვარეობამ
მოიცვა ალექსის ბუნება. ალექსიმ უგულვებელყო თვით ეკლესიის
მიერ გმობილ შეცოდებათა აღნიშნული სახეობა (იხ. ზემოთ), ამან
დაავიწყა ქვეყნის ინტერესები, მისთვის ზრუნვა — და კიდევ „წარ-
სწყმიდა“ საქრისტიანოს მორგანიზებელი დიდი ქალაქი, „დაქსნა
თვთმპყრობელობა ბერძენთა“ — დაამხო ბიზანტიის იმპერია!

¹¹ Успенский, დასახ. შრ., გვ. 549. — ავტორი იმასაც ეარაუდობს,
რომ ალექსის აქ თვალის სინათლაც წაართვეს — «Его, кажется, ослепили».
სამწუხაროდ, აქ ვერ ვაზუსტებთ იაკინთეს მონასტრის ადგილმდებარეობას.
ეგი იქნებ მდებარეობდა კაპადოკიის ქესარიაში, ან ამასტრიდაში, რადგან ამ ქალა-
ქებიდან იყენენ წარმოშობით ძირი წმ. მოწამე იაკინთე.

რუსთაველთან ერთად!

მეტადრე ამ დიდებულ დღეებში განვიცადეთ ჩვენს უკვდავ მგოსანთან ტკბილი ერთობა, მასთან ახლობა...

იგი, სიტყვათა და იდეათა ჭადოქარი შემოქმედი, ღვთაებრივ განასახიერებდა ცხოველმყოფელ პოეზიას, რომელიც, თვით შოთას ალეგორიული ლექსით, აღძრავდა აღამიანებს ერთმანეთის გასაგებად, ურთიერთი სოლიდარობის გამოსავლინებლად, სხვისი ზრუნვის „მოსასმენად“ („სმენად მხეცნი მოვიდიან“, 967,1).

ეს დაუვიწყარი დღეები!

საუკუნეთა მანძილზე შეუწელებლად ჟღერდა რუსთაველის ჩანგი, მომწოდებელი ბრძოლად თავისუფლებისათვის, ძმობისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის. პოეტი-ფილოსოფოსის „ხმა ეს ბრძოლისა“ თავისებურად (დე, იყოს მდარე ენით!) თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ერთმა ინტერპოლატორმა: მისი შაირით, მეგობრობის მცველისათვის მხარის დასაჭერად მზადყოფნას იჩენენ—

ინდო-არაბ-საბერძნეთთ, მაშრიყთ და მალრიბელნი

რუსნი, სპარსნი, მოფრანგნი და მისრეთით მეგვიბტელნი (968, 2—4).

ამის მკითხველნი, ჩვენ, თავს ვერ ვიკავებთ, რომ არ ვთქვათ: საოცარიად საკვირველია, რომ დღეს საქართველოს მიწა-წყალზე, აგერ აქვე, დალოცვილ თბილისში, ჩვენს დაწესებულებებში, ქართველ მამულიშვილთა ოჯახებში, მოედნებზე, როგორც სიმარში თითქმის იგივე მეორდება: თავი მოიყარეს, შოთა რუსთაველის ჩანგით აღძრულმა... ხალხებმა, ერთა, რასათა, კონტინენტთა უკეთილშობილესმა წარმომადგენლებმა, სწორედ ასე: „მაშრიყით და მალრიბელთა“. თავი მოიყარეს, შოთა რუსთაველის ჩანგის ხმებით მოზიდულებმა (აკაკი: „ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა!“), თავი მოიყარეს ქართველი ხალხის ბედნიერი შემოქმედებითი ნიჭის, ერის სულიერი და აგრეთვე ფიზიკური შნო-სილამაზის პატივისმცემელმა დიდ-დიდმა მოშაირებმა, მეცნიერებმა. დღეს „Права“

იუწყება ჩვენს სამშობლოში „25 ქვეყნის პოეტთა თავყრილობის“ შესახებ.

„ვეფხისტყაოსანში“ მისმა უკვდავმა ავტორმა ხალხთა საქმიან იდეურ ურთიერთობაში ჩააბა—არაბნი, ხატაელნი, ჰინდონი... ჩვენს (დღეს მოძველებულ) გამოკვლევებში თავს იჩენდა აზრი, რომ ეს შოთა რუსთაველის მხრივ უნდა ყოფილიყო მოვლენათა ალგორითული წესით გამოხატვის ცდა. ყოველ შემთხვევაში, საქმის ასეთი შეფასებისას ჩრდილში, დაუნახავი, შეუმჩნეველი რჩებოდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ისტორიისა, რომ სწორედ იმ ეპოქაში (XI—XIII სს.), მაშინდელ მსოფლიოს ხალხთა წრეში, რომელშიც ბრუნავდა, „იქცეოდა“ ქართველი ადამიანი, — აღმოსავლელ ქვეყნებს რომ თავი დაეანებოთ, — ირიცხებოდნენ ისეთი დასავლელი ხალხებიც, როგორიც იყვნენ: ბერძენები (ბიზანტიელები), პროზნი, ალამანები, ფრანგნი (სიტყვის სპეციალური და ზოგადი მნიშვნელობით), „ბორღალნი“, ვარანგნი; რუსნი და სხვ. (ამას მოწმობენ თამარის ისტორიკოსებიც).

ესაა, ძვირფასო მკითხველო, ძველი ჩვენებური კეთილისმყოფელი ტრადიცია ქვეყნიერებასთან შემოქმედებითის ნაყოფიერი ურთიერთობისა.

აი დიდებული, წინაპართაგან ნაანდერძევი, ტრადიცია, რომლის მაცოცხლებელი გაგრძელება გამჟღავნდა (ისე, როგორც არასოდეს) დღეს. დღეს არის, რომ მოგვიხერხდა (ჩვენ და მათ) ერთმანეთის ხილვა, ხილვა და „მათთან ტყბილი საუბარი“. ვიხილეთ, როგორც დიდი ხნის უნახავმა ძმებმა, ერთმანეთი. მოჯარდნენ, კერძოდ, ჩვენი ცნობილი კავკასოლოგები, ქართველოლოგები. აქ არიან — ჰანს ფოქტი (ოსლო), ეერარ გარიტი (ლუვენი), დევიდ ლენგი (დღეს — დავით ლანგი; ლონდონი), ლაფონი (ბორდო), კვიპერსი (ლეჟდენი), რომელთაგან პირველს და მესამეს (პოლონელ ზაანჩკოვსკისთან ერთად) ახლა საზღვიმო ვითარებაში მიენიჭათ თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

„ფრანგი და ბერძენი... თამარის ქებათა იტყოდინა“-ო (ბასილი). ეს უკეთესია: მათი შთამომავალნი, მსოფლიოს მოწინავე ადამიანები დღეს ესაღმებთან თამარის, შოთას სამშობლოს, — არა მხოლოდ იუბილარ რუსთაველს, არამედ მის ერსაც, მთელ მის სამშობლოს. და ამას ბევრი სტუმარი ახერხებს შოთას ენაზე, ცდილობენ რა „არ შეამოკლონ ქართული“...

1966 წ.

რუსთაველის ეპოქის საპარტველო

რუსთაველის ეპოქა, ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით, უფრო ფართო ქრონოლოგიურ ფარგლებში იშლება, ვიდრე თვითონ გენი-ალური პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, ვიდრე თამარის მეფობა. რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის მონაპოვართა სიდიადე უკვე X — XI საუკუნეების, მეტადრე მეთერთმეტე საუკუნის მიღწევებში საკმაოდ ტიპიურად ელინდება. თამარისა და რუსთაველის-დროინდელი მატერიალური კულტურის, სახელმწიფოებრივი საწყისების, ფილოსოფიური აზროვნების, მწიგნობრობის, ხელოვნების ეპოქალური განვითარება თავის სათავეებში ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ფაქტს, X—XI საუკუნეთა მიჯნებს ებმის. ისე რომ, რუსთაველის ეპოქის ღრმა შესწავლა სპეციალისტს მოსთხოვდა, მაგალითად, ტაო-კლარჯეთის დიდებული არქიტექტურის ძეგლთა, გიორგი შერჩულის (X ს.), ცნობილი ათონელი მწიგნობრების (X—XI სს.) სამწერლობო მონაპოვართა, ოანე პეტრიწის და არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ თხზულებათა, ლეონტი მროველის და სუმბატ დავითის ძის (XI ს.) საისტორიო ნაშრომთა, დავით კურაპალატის, ორი უძლიერესი ბაგრატის (III და IV), გიორგი I-ის, დავით აღმაშენებლის დამსახურებათა — ყველა ამ მოვლენების აწონ-დაწონას.

ცხადია, წინამდებარე სტატიის შეზღუდული ჩარჩოები მის ავტორს უკარნახებს — საკითხის განსაშუქებლად რაც შეიძლება მეტი ყურადღება რუსთაველის თანამედროვეობას მიაპყრას, ძალისაებრი სიღრმით ჩაჰხედოს თამარის შესანიშნავ ისტორიკოსებს.

დამოუკიდებელი იმისგან, თუ რა ზომით მოხერხდება თვით რუსთაველის დიდებამოსილი შემოქმედების. — „ვეფხისტყაოსნის“ აქ გამოყენება, იგი მკითხველის მხედველობის არეში უცვლელად უნდა ჩანდეს.

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი დიდი წიგნია, რომლის უძირო და ცოცხალი, ცხოვრებისეული შინაარსი, სიბრძნით და სილამაზით შექ-

მნილი, თავისთავადაც შეგვასწავლიდა ეპოქას. აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, განიხილა რა უკვდავი პოემა ისტორიკოსის თვალთ, დაასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იმდროინდელი საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ასპექტი აღბეჭდილია; პოემაში დაცული ჩანს თანამედროვე ფეოდალური საქართველოს დიდი საშეფოს, მაღალ პრინციპებზე აგებული საზოგადოების, როგორც იტყვიან ხოლმე, ათასნაირი ინსტიტუტი — სოციალურის, პოლიტიკურის რიგისა: ამოუწყველი მასალა კულტურის, აზროვნების, ენის, მორალის, ერთობლივ ქართველი შემოქმედი. ხალხის მთელი ბედნიერი სულიერი ცხოვრების ამსახველი.

ასეთი დიდი ლიტერატურული ძეგლი, ცხადია, ვერ წარმოიქმნებოდა დაკნინებულ ქვეყანაში, მტერთაგან დამალვის, დევნილების პირობებში.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დათარიღებული ნაწარმოები არ არის, ტექსტს არ ახლავს რამე ანდერძი იმის მაუწყებელი, თუ როდის სწერდა პოემას მისი ავტორი. მოვიგონოთ მაგალითისათვის, რომ უკვდავი ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის წიგნს — „შრომაჲ და მოღუაწებაჲ გრიგოლ ხანძთელისა“ — ზუსტი დამატარიღებელი მითითებები ახლავს, აღნიშნულია, რომ იგი დაწერილია გრიგოლ ხანძთელის (759—861) გარდაცვალების 90 წლისთაზე¹.

რადგან „ვეფხისტყაოსანში“ ამ რიგის მსაზღვრელი სამწუხაროდ არ ჩანს, ფილოლოგიურ-ისტორიული, ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერება თარიღის დასადგენად ითვალისწინებს სინქრონიკულ ფაქტსაც (ხვარაზმელთა შესახებ), პოემის შინაარსის სპეციფიკასაც, მასში გამოხატული ქვეყნის სიმდიდრეს და ძლიერებას, ქმნილების მდიდარი ქართულის თვისებებს, სოციალურ-ეკონომიურ, სამხედრო-საორგანიზაციო ტერმინოლოგიას და სხვა ნიშნებს. ამის მიხედვით კეთდება დასკვნა, რომ პოემის ავტორი ძლიერი და კულტურულად ამაღლებული საქართველოს შვილი ყოფილა, ცხოვრობდა და წერდა სახელოვანი თამარის (1184—1213) მეფობაში, როდესაც საქართველო მართლაც ისე კეთილმოწყობილი ფეოდალური ქვეყანა იყო, რომლის მსგავსი არიან „ვეფხისტყაოსანში“ ჩახატული „არაბეთის“, „ინდოეთის“ სამეფოები. პოემის პროლოგში, რომელსაც ჭერ კიდევ მეცნიერული კრიტიკა ეპირება, პოეტი თითქოს პირდაპირაც უთითებს, ვის დროს წერს და ვის უძღვნის პოემას. იქ იკითხება მთელი ტაეპი:

თ:მარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრულ დათხული (4.1).

¹ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 3 (-80). ნ. შარის გამოც., სპბ., 1911.

ზემოთ აღნიშნული გვაეალებს მეტ-ნაკლები ზედმიწევნილობით დავახასიათოთ იმ საინტერესო ეპოქის საქართველო, რათა უშუალოდ გამოჩნდეს „ვეფხისტყაოსნის“ აღმომცენებელი კულტურული ნიადაგი, ახლოდან წარმოდგეს უყვდავი პოეტის სამშობლო.

შოთა რუსთაველის, თამარ მეფის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები, რომელნიც დიდი სულიერი კმაყოფილებით იუწყებიან თავიანთი ეპოქის ეკონომიურ და სულიერ წარმატებებზე, საქართველოს ტერიტორიის, მისი საზღვრების სივრცე-განფენილობასაც აგვიწერენ. მაშინდელი, ერთიანი, საქართველოს პოლიტიკური მიჯნები წყაროებში ასეა ასახული: ჩრ. დასავლეთის უკიდურესი პუნქტი — ნიკოფსია (ტუაფსესთან, კრასნოღარის მხარეში), ჩრ. აღმოსავლეთისა — დარუბანდი². ლიხთიმერელი ფეოდალის, ვარდან დადიანის შესახებ (იგი ერთიანი საქართველოს ვაზირთა შორის მსახურთუხუცესი იყო) ნათქვამია, რომ ქართლშიც ჰქონდა სამფლობელო, ხოლო „ლიხთ-იქით—ნიკოფსამდი უცილობელად მქონებელი“ იყო³.

აღმოსავლეთით და სამხრეთით საქართველოს საზღვრები, ბუნებითი მდგომარეობის გამო, უფრო ცვალებადი იყო. საქართველო აქ, დღევანდელი საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ემიჯნებოდა X—XI სს-დან არსებულ მუსლიმურ ფეოდალურ სახელმწიფოებს—შარვანს (მტკვრის ჩრდილოეთით) და არანს (მტკვრის სამხრეთით). საქართველო, მისი ხელისუფლები უფრო მკიდროდ შარვანთან იყვნენ დაკავშირებული. შარვანში ბატონობდნენ ადგილობრივი დინასტიის ხელმწიფენი — ტიტულოვანი შარვანშაჰები (ქართულ წყაროებში: „შარვაშა“). აქაური ქალაქები — შამახა (პოლიტიკური ცენტრი), კაბალა და სხვ. მკიდრო საეპრო-ეკონომიურ, კულტურულ, დინასტიურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ საქართველოსთან.

მეზობელი არანი შეადგენდა იმ დიდი სელჩუკური საათაბაგოს ნაწილს, რომელშიც გაერთიანებული იყო აზერბაიჯანის ქვეყანა, ერთი ხნობით ერაყიცი და სხვ. ამ დიდ სამფლობელოს მართავდნენ ელდეგიზების („ელდიგუზების“) დინასტიის ათაბაგები, ე. წ. „აზერბაიჯანის ათაბაგები“, რომელთაც ქართული საისტორიო წყაროები ტრადიციით უწოდებდნენ „განძის ათაბაგებს“, რადგან საქართველოს საზღვარზე მდებარე დიდი ქალაქი განძა მათ ეპყრათ.

² ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 126.

³ იქვე, გვ. 91.

ამიერკავკასიის სამხრეთის საზღვრებზე, არაქსის აუზში, სელ-ჩუკ მფლობელებს არსებითად უკვე დაკარგული ჰქონდათ სომხეთის ვრცელ ტერიტორიაზე ბატონობა.

ქართველი მხედრობის გეგმაზომიერი და არაერთგზის წარმატებული შეტევების შედეგად ქრისტიანი მოძმე სომხეთის ისტორიული მიწა-წყალი მის მთავარ ნაწილში საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში იყო მოქცეული. სომხეთის ძველი, სახელგანთქმული სატახტო ქალაქები, თბილისის ცენტრიდან ეგრე დაშორებული დვინი (არარატის მისადგომებში), ხოლო სამხრეთ-დასავლეთში — ანისის (მერმინდელი ყარსის ოლქში), შირაქის სომხური სამეფოს დიდი და მდიდარი ცენტრი, სხვა მრავალ ციხე-ქალაქებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე ირიცხებოდნენ.

ნათქვამიდან ერთ-ერთი დასკვნა იქნება ის, რომ შოთა რუსთაველს ეპოქის საქართველო, აერთიანებდა რა თავის ფარგლებში ამიერკავკასიის უმეტეს წილს, თვითონ შედიოდა, როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური მარჯვნივზე ბელი ძალა, მთელი კავკასიის გაერთიანებაში.

თამარის ისტორიკოსს მოეპოვება ცნობა, რომ თამარის მამას, გიორგი III-ს მოუხდა მეზობელი შარვანის საზღვრების დასაცავად ლაშქრობა „ქართამდი დარუბანდისათა“, 1167 წლის ახლო ხანებში (ივ. ჭავჭავაძის მიხედვით)⁴, როდესაც მან იმ მხარეზე, ჩრდილოეთში, „მო-აოქრა“ მასკუტისა და შარაბამის „ქუეყანაჲ, აილო ქალაქი შაბურა-ნი“ და ა. შ.⁵ ასეთ ღონისძიებათა შედეგად კავკასიის გარდვიგარდმო ხსნილი იყო სავაჭრო ტრაქტები. ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან და-რუბანდზე მომავალი გზა სჭრიდა შამახას, განძას, თბილისს, ანისს და ასე შემდგომ ტრაპიზონის მიმართულებით (აკად. ვ. ბარტოლ-დი). „განძა-ტფილე-დმანელნი“ (ვაჭრები) სარგებლობდნენ სამხ-რეთისაკენ — დვინზე მიმავალ გზასაც.

შოთა რუსთაველის თანამედროვე ჩახრუხაძემ მშვენივრად იცის ეს მაშინდელი გზახსნილობა შორეულ ქვეყნებში, კერძოდ, ვოლგის („ატალის“) ხაზით რუსეთისკენ. ერთი მისი მოგზაური, ჩახ-რუხაძის ენაზე, —

ატალას მოქეის,
ქეეუანა მოსცეის,
არ ვისი ქქონდის შესაუარი,

ხაზარეთს დაქეის,
რუსეთსაც ჩაქეის,

ზღვის პირით ქქროდის ტაროსით ქარი („თამარიანი“, ნ. შარის რედ.).

⁴ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 238—239.

⁵ ისტორიანი და აზმანი, დასახ. გამოც., გვ. 66.

ხაზარეთის სახელი ტრადიციით თან დაჰყვა იმდროინდელ ყივჩაყთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას — ყივჩაყეთს, საიდანაც თავის დროზე, დავით აღმაშენებლის თაოსნობით, საქართველოში გადმოსახლებულ იქნა ყივჩაყთა დიდი სამხედრო ძალა. ყივჩაყთაგანი იყო გიორგი III-ის დროინდელი ამირსპასალარი (ლაშქართა უფროსი) ყუბასარი. ყივჩაყეთიდან მოჰკვარეს თაპარ მეფეს საქმროდ იქ თავშეფარებული სუზდალის მთავრის შვილი, გიორგი.

განვითარების გზაზე აღმაველი ფეოდალიზმის მიღწევათა მაღალ დონეს ახასიათებდა ინტენსიური სასოფლო მეურნეობა. უთვალავი ჯიშის ვაზი, ხორბლეული, მალახარისხოვანი სელო, მატყელი, ბეწვეული — ესა და სხვა მრავალფეროვანი დოვლათი მთელი სიუხვით იქმნებოდა მწარმოებელი კლასის შრომით. ამ მეურნეობასთან დაკავშირებული გუთანი, ნამგალი, ცული და მისთანა იარაღები დიდი ოსტატობით კეთდებოდა და იქედებოდა ხელოსნების მიერ. ხოლო ეს ოსტატობა, ისე როგორც თვით მეურნეობა, სამეურნეო იარაღები, ათასეული წლების ტრადიციათა მქონე იყო საქართველოში. მნახველს დიდ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებენ იმ დიადი ეპოქის ხელოვნების ნიმუშებში, ფრესკებში გამოხატული იმდროინდელი მეურნეები, ვაზის მყნელი, მიწის მბარავი და მათ ხელში სამეურნეო იარაღებიც (ბარი, ურემი და სხვ.).

საქვეყნოდ ცნობილია, თუ რა ღრმა ფესვები ჰქონია გადგმული ხალხის ცხოვრებაში „ვეფხისტყაოსანს“. ამიტომ მკითხველს არ უკვირს (იგი ამით ესთეტიკურად ხარობს), როცა რუსთაველთან მას ჰხედებიან ქართულში უძველესი კულტურის ამსახველი სიტყვანი: სახნისი, ბარი, ცული, კვესი („ცეცხლი დააგზო კვესითა“, 195, 4); ძროხა, ცხვარი, ვირი — ყველა მისი თვისებით, პომის მიხედვითაც „ტვირთმძიმე“, მუდამ ერთგული მსახური ადამიანისა და ამავე ღროს უწრთვენელ-უზრდელობის ნიმუშად გამოყენებული:

რასცა მიწრთიხარ, იწვართე; გადრო, უწრთელი ვირია. (931.4).

ზემოთ მოხსენიებული მეურნეები, ძველ ხელოვნათა კურთხეული მარჯვენით თითო-ოროდ აღმოხატულნი, მწარმოებელი კლასის მთავარი წარმომადგენლები, დაახლოებით მაინც ვიცით, ვინ უნდა ყოფილიყვნენ, გლეხთა რომელ კატეგორიას შეიძლებოდა ჰკუთვნებოდნენ. გლეხები — მებეგრე გლეხები — იყვნენ შემამულეებთან, მეპატრონეებთან (მეპატრონეებთან) ჩათრეულ-ჩაბმული სხვადასხვა რიგის დამოკიდებულებაში. მეპატრონეებს მამულებში ნასყიდი გლეხებიც ჰყავდათ, შეწირულებიც (მაგალითად, მონასტ-

რებს), ომებში ნატყვევან-გაუბედურებულებიცა და ა. შ. ალბათ ყველაზე უფრო ნასყიდსა და ნატყვევან გლეხებს შეეფერებოდათ დასახელება „მონები“.

რაოდენ უსახდვროდ მრავალფერი და განვითარებული უნდა ყოფილიყვნენ ქალაქებში, სოფლებში მომუშავე ხელოსნების პროფესიები, სპეციალობანი, ხელსაქმეთა ნომენკლატურა — ამაზე ძველი წერილობითი დოკუმენტაცია რომ არ გვეჩვენებს, რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის დღემდე გადარჩენილი ძეგლებიც პირდაპირ მეტყველებენ. მათ რიცხვში, დიდ-დიდ ნაგებობათა შორის საქვეყნოდ ცნობილი ვარძიის უთვალავ ქვაბთა (როგორც დღეს ითქმის — გამოქვაბულთა) საარაკო კომპლექსიც, სულ წერაქვით ნათალი სათავსოებით, გვირაბებით, ეკლესიით, წყალსადენით და ა. შ.

ხერთმოდღერების ძეგლთა შორის აღრიცხულია ისეთებიც. რომელთა დაკარგულ დიდებაზე უმეტესად წერილობითი წყაროები მეტყველებენ. თამარის ისტორიკოსს მეფეთა ორი სასახლე აქვს აღწერილი — ერთი თბილისს არსებული, თამარის რეზიდენცია, ისტორიკოსის უწყებით — „საჯდომსა მათსა ციხესა ისანს, ყოვლითურთ სამოთხის მსგავსი“⁶. ამავე ნაშრომში აღწერილია მეორეც, ჩვენი აზრით, გეგუტს მდგარი, თამარის მამის, გიორგი მესამის სასახლე, სადაც, უნდა ვიფიქროთ, როცა ეს მეფე გარდაიცვალა, მისი გამორჩირილი შესრულდა. სახლის სამეუფეო დანიშნულებას ამჟღავნებდა სანახაობა „საყდრისა, ცამდი ამალღებულისა“; იქვე ყოფილა დაცული „პორფირი და გვრგვნი სკიპტრიითა და საქურველითა“; კარგი სანახავე ყოფილა „კედლებიცა სრისაჲ ჯავსე“; სავსე, ესე იგი მთლიანად დაფარული ალბათ ფრესკული ბატალური ნახატებით, სადაც იხილებოდნენ „მეომართა რაზმები, სპეზი, მონასპეზი, ქალაქები და ციხეები აწყუფდილი და ოქერ-ქმნილი“⁷.

იმ სოციალურ-ეკონომიურ საერთო კივლილს, ბრძოლას, რომლის გარეშე ვერ ეგებოდა მესაკუთრეთა კლასის გაბატონება მწარმოებელ კლასზე, ბუნებრივად მოჰყოლია „გლახაკთა“ და „მეკობრეთა“, იგივე „აეზაკთა“ მომრავლება. სოციალური ჩაგვრის, საზოგადოებაში ანტაგონისტურ ურთიერთობათა სიმწვავეის ეს ნიშნები კარგად არის სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებული. რაც შეეხება წყაროებს, შიგ მკაფიოდ ასახულა ეს ნიშნები. თამარ მეფის დროს ხელისუფლებას დიდ საზრუნავ საგნად გახდომია გლახაკების

⁶ ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოც., გვ. 72.

⁷ იქვე.

საქმე. თამარს, მისი ისტორიკოსის მოწმობით, „გლახაკთათვის განე-
 ჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი“ და სახელმწიფოს მთელი შე-
 მოსაელის „ნაათალი“, ათი პროცენტი, გლახაკებს უკლებლივ ურიგ-
 დებოდათ, „დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა“⁸.
 სოციალურ ბრძოლაში დამარცხებულ, უფლებააყრილ ფენებში შე-
 კობრეები — თავიანთი დაკარგული მდგომარეობისათვის შურისმა-
 ძიებელი, აქტიური და მებატრონეთათვის საშიში ელემენტი იყო. მათ წინააღმდეგ თამარის დროს ძალაში რჩებოდა მის წინაპართაგან
 ერთხელვე შემოღებული კანონი, „ძველი სჯული, რომელი ძეს ავა-
 ზაკთა ზედა, ძელსა ზედა ჩამორჩობა“⁹. „ვეფხისტყაოსანშიც“ ჩანან
 დაბალი სოციალური კატეგორიები — მეჯოგე, მებაღე, მენავე; „მე-
 კობრეებიც“, „გლახაკებიც“, ისე როგორც „მონებიც“, მხოლოდ
 ეს უკანასკნელნი რუსთაველთან იდეოლოგიურად საგულისხმოდ კონ-
 ტექსტში გვხვდებიან:

მიუც გლახაკთა საჭურჭლე, ათვისუფლე მონები. (803,2).

ამ ტაეპში, საერთო შეფასებით, უღერს ადრინდელი ეპოქები-
 სათვის უჩვეულო ჰუმანურობით გამსჭვალული პროგრესული ძახი-
 ლი ჩაგრული კლასის მაღალიდგური მოსარჩლისა, მოწოდება კლა-
 სობრივი საზოგადოების ბოროტებათა დასათრგუნავად. ეს არის
 რუსთველოლოგიაში აღიარებული დიდი ნიშანი შოთას, თამარის-
 დროინდელი საქართველოს უმაღლეს მიღწევათა ზოგადსაქაობ-
 რიო საისტორიო პროგრესის გზაზე.

ამ შინაგანი, ერთხელვე ასე თუ ისე „დამყარებული“ სოცია-
 ლურ-ეკონომიური ურთიერთობის დაცვა მოითხოვდა მერყევე შინა-
 ურ ძალთა შეკავებასაც, გარეშე მტერთაგან ქვეყნის მელგარ და-
 ვასაც. სოციალურმა ძვრებმა შიგნით გამოიწვია არაერთი საკითხის
 გამწვავება. ქალაქების, მოსახლეობის საშუალო ფენების მხარდაჭე-
 რით საქართველოს მეფის ხელისუფლების ზრდამ შეშფოთება შე-
 იტანა „გვარიანთა“ (დიდგვარიანთა) წრეებში. გვარიანებმა მეფის
 საკანონმდებლო უფლებათა მისათვისებლად, უგვართა გავლენის
 გასაქარწყლებლად განიზრახეს პარლამენტისმაგვარი „კარვის“
 დადგმა. ფეოდალთა რეაქციულმა ფრთამ დემაგოგიის წესით ღეთის
 შეჩვენებად დასახა ქალის (თამარის) სამეფო უფლებით შემოსვა.
 ქალის კანდიდატურის უკუწყაგდებად დიდი ამბოხებაც მოეწყო

⁸ ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ დ ე ა რ ი, ცხობრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გა-
 მოცემა ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1944, გვ. 35.

⁹ ი ქ ე მ., გვ. 30.

(1177 წ.). ამბობენ ამ შეიწირა ტახტის პრეტენდენტი დემეტრე, იგივე დემნა, თამარის ბიძაშვილი, და მრავალი სხვა. მოწინავე საზოგადოებამ არ გაიზიარა დრომოკმული ტრადიციების მოთხოვნა. თავისი მანიშნებელი ძალა აღარასოდეს დაჰკარგვია მაშინ დაწერილ რუსთაველისეულ სიტყვებს:

ლეკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეაღია.

ქვეყანა ხედავდა ქართველ ქალთა ადამიანურ ნიჭს, სიბრძნეს, თაოსნობას. დიდ დედოფლებად იყვნენ აღიარებული თამარის აღმზრდელი მამიდა რუსუდანი, თამარის და მრუსუდანი, დედა—გალმერთებული დედოფალი ბურდუხანი და სხვ.

თანამედროვე კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერისძემ მოაგონა ხალხს, თვით წმიდა ნინოც ღვთისაგან იყო არჩეულიო. „არა ვიდრემე სხვლ ბარკალთა მამაკაცთასა სათნო იჩენს ღმერთი სახიერი“—ო¹⁰.

საბედნიეროდ, თამარის დამფასებლებმა საუკუნოდ გაიმარჯვეს. თამარი ვახდა არა მხოლოდ დედოფალთა დედოფალი, არამედ მამაკაცის უფლებით — მეფედ, „ცარად“, მეფეთ მეფედ. ასე სცნობდნენ მას სომეხნიც. თამარს სხვა რეგალიათა შორის დიდებულებმა უკურთხეს ზრმალცი. გაძლიერებულ მრავალეროვან სამეფოს, წყაროების მიხედვით, ურთიერთობა ჰქონდა ბერძნებთან, ალამანებთან (ფრანგებთან, იერუსალიმში), ჰრომებთან (ბიზანტიელებთან), ჰინდოებთან, ჩინელებთან და სხვა თექვსმეტ დასახელებულ ხალხთან და ქვეყანასთან, — ასეთ საქართველოს დიდი გამჭირაბობით უძღვებოდა თამარ მეფე. მისი სახსოვარი, მისი შნოება და მიშხიდველობა აღიბეჭდა ზოტბებშიც (ჩახრუხაძე), ფრესკებშიც (გელათი, ბეთანია, ვარძია, ყინწვისი), „ვეფხისტყაოსანშიც“. ისტორიკოსმა ცასახა, სხვათა შორის, თამარის „ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და ღაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხუივ ხედვა, ლალი მიმოხედვა“ და ა. შ.¹¹.

გარეშე საქმე ეხებოდა საზღვრების, რუსთაველის ენაზე, „მზღვართ“ გამაგრებას. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „ნაპირნი“, „სანაპირნი“. მათ დამკველთა აღსანიშნავად—„მონაპირნი“, რომელთა საქმე იყო „ნაპირობა“ და ა. შ. მონაპირებდნენ, ოლქების მიხედვით, ადგილობრივი ძალები, ცნობილი სარდლების, სპასალარების და თვით ამირსპასალარის მეთაურობით.

¹⁰ საკითხავი სუშტის ცხოველისაჲ კვართისა საუფლოაჲსი და კათოლიკე ეკლესიისა, ვ. კარბელაშვილის გამოც., თბ., 1908.

¹¹ ბ ა ს ი ლ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 13.

მაგალითად, გაგი და იქიდან მტკვრის აუზის აყოლებით (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ), ძორაეკრტი, ტაშირი, ჭავახეთი მზარგრძელთა სახლის შვილებს ებარათ.

მონაპირეებს ყოველდღიური მეთვალყურეობა, დაზვერვა უნდა უზრუნველყვოთ. მათი უფლება-მოვალეობა, პრინციპულად მაინც, შეზღუდული იყო, მათი მოქმედება — მეფის (ჩვენს შემთხვევაში, თამარ მეფის) განაჩენით განსაზღვრული. მათ არ ჰქონდათ უფლება საკუთარი ინიციატივით, ეთქვათ, „ციხე ასაღებელი“ — აეღოთ, „თურქმანი შემოდგომილი“ — ომში ჩაეთრიათ, „ქალაქი განსატეხელი“ — გაეტეხათ, „ქვეყანა მოსარბეველი“ — მოერბიათ¹². ეს, ყოველ შემთხვევაში, იყო კარგად შეკრული სახელმწიფოს ღირსეული ცდა, ფეოდალ სარდლებს, მათ რაზმებს მეზობელი ქვეყნების ინტერესი ფუჭი განზრახვით არ შეეშფოთებინათ. თუ არ ასეთი ღონისძიებები, ანარქიისთვის, საზღვრებზე ცეცხლის დანთებინათვის მიზეზი, ძალა და ლტოლვა ყოველთვის მოიძებნებოდა.

ასეთი მონაპირეობის, საერთოდ, საქართველოს სამხედრო თავდაცვისა (დიდ-დიდი ომების ჩათვლით) და მთელი ხალხის უჩვეულო დარაზმულობის ეფექტი მეტად ძლიერი აღმოჩნდა; იმდენად ძლიერი, რომ საერთო შედეგების, მონაპირეების შემაჯამებელი იმდროინდელი ისტორიკოსი ეჭვობდა კიდევ, მომავალი მკითხველი მოს ჩვენებებს ირწმუნებდა თუ არა. ამიტომ იგი რიტორიკულის წესით მკითხველს ფიცითაც მიმართავს, რათა დააჯეროს თავისი ცნობის სისწორეში: „ამის მოწამე თუით იგი ღმერთი უტყუელი არს, — წერს ისტორიკოსი, — და რათა არა ტყუილი ვისმე და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე მომავალთა ჟამთა“¹³. მაინცდამაინც, — სამართლიანად მსჯელობს იგივე თანამედროვე, — თამარის მეფობაში „ახმულნი“, აღებული „ქალაქნი, ციხენი და თემნი“ და ა. შ. მთელი იმდროინდელი საქართველოს ნავარაუდევო რუკა, როგორც უშუალოდ დასანახავი საბუთი, თავისთავად გამორიცხავდნენ მკითხველის დაეჭვებას.

საისტორიო მასალა საშუალებას იძლევა იმის დანახვისას, თუ მაინც რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ხალხის ეს დარაზმულობა, კერძოდ, სამხედრო ორგანიზაციის ავ-კარგვიანობა და მისი ეფექტურობის წყარო და ზომა. მთავარი ყოფილა ხალხის გათვითცნობიერება, გამრჩეველობა მტრისა მოყვრისაგან, ომისა და ზავისადმი შეგნებული დამოკიდებულება, ფეოდალური მესაკუთრეების

¹² ბ ა ს ი ლ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 23.

¹³ ი ქ ე ე, გვ. 22.

თანდაყოლილი „წამამელ-წამქმელობის“ ინსტინქტების საკმაოდ ნათლად გამომჟღავნებული მაღალიდღეური მგმობელობა, ერთი სიტყვით, - ხალხის ის შემოქმედებითი ზნეობითი ძალა, რომელიც ჰკვებავდა რუსთაველის ეპოქალური მნიშვნელობის ჰუმანურ და ჰუმანისტურ სულთასწრაფვას.

ნებისმიერად ვასხენოთ პირველ, რომ ხალხის შემეცნებაში საქართველოს შეურიგებელ მტრად აღიარებული იყო არა მუსლიმობა თავისთავად, არამედ უძლიერესი და უაგრესიულესი მისი წარმომადგენელი, საუკუნოვანი თავდამსხმელი—„თურქნი“, გინა „თურქმანნი“. თამარის ისტორიკოსებმა მშვენიერად იციან მათი წარმომავლობაც, მტერობის შესაზღვრობა: ფიქსირებულია თურქთა სელჩუკიანობა („სელჩუკიანი“; ისტორიანი და აზმანი, გვ. 87). თანამედროვის ენაზე, მშვიდობიანობა საქართველოს საზღვრებზე შედეგია იმ თურქთა ჭერჭერობით მიღწეული ალაგმვისა.

თამარის დროის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად მიუჩნევიათ, რომ „ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყყენდეს“¹⁴. აქ თითქოს მჟღავნდება ისტორიკოსის წადილი, ირიბი გზით მოაგონოს მკითხველს მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული „თურქობის“ საშინელება, მაშინ ახალ სტიქიურ უბედურებად მოვლენილი თურქულ ცხენოსან ლაშქართა თარეშები იმ იორ-მტკურის სანაპიროებზე.

თამარის მეფობის ხანაში სელჩუკებს ჭერ კიდევ ძლიერი პოზიციები ეპყრათ საქართველოს საზღვრების გადაღმა, ამიერკავკასიაში, მთელ წინა აზიაში, მცირე აზიაში. საქართველოს მონაპირეთა მუდმივი დაზვერვის არეში მოქცეული ვერაგბი მტერიც — იგივე „თურქმანი შემოდგომილი“ იყო.

ცნობილია, მერმინდელ ხანაში მონღოლების შემოჭრა საქართველოში მოულოდნელ ამბად მიითვალეს. ახლა კი თურქების თავდასხმა ყოველთვის მოსალოდნელი იყო, განძის საზღვრებზეც, მაშასადამე, ე. წ. „განძის ათაბაგების“ მხრივაც, — ამათ, როგორც ზემოთ ითქვა, არანიც ეპყრათ ქალაქი განძითურთ და ირანის აზერბაიჯანიც; მცირე აზიის მხრივაც, სადაც სელჩუკიანთა განშტოებამ ე. წ. რუმის მძლავრი სასულთნო შექმნა.

მართლაც, როგორც ვიცით, თურქებმა თამარის მეფობაშიც სცადეს ძველი დამპყრობელურ-დამრბეველობის დიდ შარაზე ხელახლად გამოსვლა დიდი ძალებით. საქართველოს, კავკასიის, წინა აზიის სამხედრო ისტორიაში ღრმად ჩაიბეჭდა იმდროინდელი ინ-

¹⁴ ბ ა ს ი ლ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 26.

ფორმაციები — ქართულ, სომხურ, არაბულ, თვით ძველრუსულ ენაზედაც კი — იმ ბრწყინვალე გამარჯვებებზე, რომელნიც მოიპოვეს თბილისის ცენტრის მეთაურებმა ჯერ შამქორის ბრძოლაში „განძის ათაბაგის“ აბუ ბაქრის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ (1195 წ.), შემდგომ ბასიანისა და კარის (მერპინდელი — ყარსის) გამო წარმოებულ დიდ ომში რუმის სულთნის წინააღმდეგ (1203 — 1206 წწ.), ტრაპიზონისთვის ბრძოლაში (1204 წ.) და ა. შ.

წინამდებარე წერილი თავიანი ხასიათით ჩვენ არ გვაეალებს ამ ფრიად საყურადღებო, სასწავლო მნიშვნელობის ომთა მთელი მსვლელობის აღწერას. ჩვენ შევეცადოთ ზოგიერთი იმ ნიშნის გამოვლინებას, რომელნიც ასე თუ ისე შუქს ჰტენენ ეპოქის საერთო კულტურულ დონეს, ხალხის, მისი მეთაურების მორალურ-ეთიკურ შემეცნებებს, მეტ-ნაკლებად ეხმაურებიან ქართველოლოგების ცდებს, გამოავლინონ იმ ეპოქის ნიშანთა შორის—ჰუმანიზმის, რენესანსის საწყისები.

დიდი ექსპრესიით არის აღწერილი წყაროებში მეტადრე შამქორის და ბასიანის მქუხარე ომები; როგორც ომის მთელი მსვლელობა, მისი ეცხლი და ალი, ისე მის მონაწილეთა, მეთაურთა სიქველე, საკვირველი შეუპოვრობა, ვაჟკაცობა, გმირობა-გოლიათობა; რამდენადმე რაზმთა ტაქტიკური წყობა და რიგიც, რომლის საგანგებო შესწავლა ვინძლო საშუალებას მისცემდა სპეციალისტს საიმდროო სამხედრო-საველე რამ წესდებაც კი აღედგინა.

მაგრამ, რადგან სამხედრო საქმეში მთავარია ზნეობითი, მორალური დარაზმულობა მეომრისა, მკითხველს ამის შესახებ მცირედი რამე მაინც უნდა ეუწყოს.

საისტორიო გამოკვლევებში პოპულარული ჩანს წყაროთა ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი III-ის ლაშქარი, ფეოდალური ძალმომრეობისა და ალვირახსნილობის სტიქიებში ნაწვართი მშვიდობიანობის პირობებშიც ველარ იქერდა თავს; ომისკენ, საბრძოლო ასპარეზებისკენ ილტვოდა, მიზეზსა და უფლებასაც ეძებდა — იარალი აესხა და თუნდ მიუყრებულ მეზობელს თავს დასხმოდა.

ამ დებულების ანტითეზა მეღავენდება წყაროთა ჩვენებაში, რომ იმდროინდელი საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება კარგად აფასებს თავის მარეგულირებელ ძალას ომის და მშვიდობის საკითხში. თანამედროვე ავტორი სადა ენით წერს, კერძოდ, ზემოთ ჩვენ მიერ მოკლედ დახასიათებულ მონაპირეთა შესახებ: „ნუენ ესრეთ ჰგონებთ, თუმც თუნიერ თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა“¹⁵.

¹⁵ ბ ა ს ი ლ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 23.

მეფის კარზე მოითხოვდნენ მტერზე შეტევის მოტივირებას, სათანადო ტაქტიკურ ან სტრატეგიულ დასაბუთებას. თამარის ისტორიკოსი მთელი პასუხისმგებლობით სწონის და ამუშავებს ამ საკითხს¹⁵. ჩვენც მივბაძოთ მას.

დაწვრილებით არის განხილული ე. წ. შამქორის ომის („განძას და შამქორს საშუალ“ გადახდილის) გამომწვევი ობიექტური მიზეზი — აზერბაიჯანის საათაბაგო სახლში ამტყდარა ანარქია, რომლის მეხენ შედეგებმა საქართველოს მოსახლურე შარვანში მყუდროება დაარღვია. შარვანშა აღსართანი (ახსითანი), უფლებააყრილი, თბილისის კარზე აღმოჩნდა შველის მაძიებელი. ასე ატყდა დიდი ომი, რომელიც დამთავრდა ქართველი ლაშქრის გახმაურებული გამარჯვებით, შარვანსა და არანში წესრიგის აღდგენით.

ამ ომის, ისე როგორც ბასიანის დიდი ომის ისტორიის გადარჩენილი მასალები შეიცავს ადამიანთა, თანამემამულეთა, თანამებრძოლთა, თანამეზობელ ხალხთა შორის იდეური, მეგობრული, პატრიოტული, გმირული ურთიერთდამოკიდებულების ჭეშმარიტად კლასიკურ, ესე იგი კლასებში გადასაცემ, ბეჭითად დასასწავლ, წარმტაც მაგალითებს.

მუსლიმნი, მოჰმედიანნი, აგარიანნი, ყოველი „ქათარი“ („გიაური“, ურჯულო), მათი ხალიფა, თვით მოჰამედი—ეს ყველაფერი ფეოდალურ-ქრისტიანული იდეოლოგიის მცველი საქართველოსთვის მზღვარს აქითაჲ; დაწუნებული და დამცირებული. მაგრამ თანაარსებობის, ურთიერთშემწყნარებლობის, საერთო საქმეში სოლიდარობის და დახმარების საპასუხოდ მადლიერების გრძნობა—დიად ეპოქას ნათლად ახასიათებდა. ამას რუსთაველთან ერთად მისი თანამედროვე ისტორიკოსებიც ღრმად განიცდიან.

ღვენილ შარვანშას, სწორედ იმხანად მომხდარი მიწისძვრისაგან შამახიას ნანგრევებში ცოლ-შვილისაც დამქარგველს, თამარმა „უბრძანა იმედი შუელისა და კელის-აპყრობისაჲ“¹⁷. ასე დადგინდა ომის აუცილებლობა. ეს ერთგვარად მეგობრობის ომი იყო. ამ ამბების თანადამხედურ და აღმწერელ ისტორიკოსს კარგად ესმის მთელი სიღრმე ამ ამბისა. იგი დიდი პათოსით წერს: კაცთმოყვარეობამ შეფეთ-მეფე და მეფე (თამარი და დავით სოსლანი) „მოსდრიკნა“, სძლია, და შთააგონა მათ, რათა „იქსნესცა სიკუდილისა და ექსორობისაგან (შარვანშა და მისი სიძე. — ვ. დ.) გვედრნი და შემხუეწნი ფერკთა მათთანი“¹⁸.

¹⁵ ბ ა ს ი ლ ი. ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისო, გვ. 23.

¹⁷ ისტორიანი და აზნანი, გვ. 102.

¹⁸ ი ქ ვ ე. გვ. 103.

ამ შემთხვევაში მკითხველი არ მოითხოვს პასუხს კითხვაზე: თვით საქართველოსთვის რა საზღაური უნდა მოეტანა ომს? ამის პასუხს მკითხველი თვითონვე გაიგულებს. აქ ჩვენ გვაინტერესებს ორი მოძმე ერის, ქართველთა და აზერბაიჯანელთა, ურთიერთობაში მაშინ გამოვლენილი მაღალი იდეა — რუსთაველის შემოქმედებაში ასე ეპოქალური სიდიადით გააზრებული საქმიანი ძმობა-მეგობრობის იდეა ხალხთა შორის.

შემწეობის აღმოჩენის დაპირებამ მარცხადახდელ სიძე-სიმამრს სიცოცხლე დაუბრუნა. „გავიმაგრნეთ გულნი ჩვენნი“—ო, ღაღად ყვეს მათ. თან სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა განწყობილებამ მათვე ათქმევინა მფარველი საქართველოს შესახებ: „ქეშმარიტად ძალ-უც კსნაჲ ჩუენი და კუალად-გებაჲ, მამულადვე ჩუენდა“¹⁹.

ეს იმედი გამართლდა (იხ. ქვემოთ). მაგრამ რა ძალებმა წარმართეს ომი ათაბაგთა თუ სულთანთა წინააღმდეგ, რომელსაც თვით ხალივა მეთაურობდა? საქართველოს ლაშქრის შემადგენლობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ აღლუმის აღწერა, რომელიც „ტფილის-ქალაქში“ მოეწყო შარვანშაჰის და მისი დიდი ამალის პატივსაცემად. განძა-შამქორის მხრიდან თბილისისაკენ მომავალ საზღვრებთან, „მიაგებნეს წინა ოვსნი და ყიფჩაყნი ახალნი“²⁰. კორტეჟის შემდგომი მიმგებებელნი თბილისთან თანდათან მოახლოების კვალობაზე იყვნენ ოვს-ყიფჩაყთა შემცვლელი ჰერნი და კახნი, ქართველნი (მამასაღამე, ქართლში შედგენილი რაზმები), მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, სომხითარნი; შემდგომ აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურულნი „თანა რაქა-თაკუერ-მარგუელითურთ“²¹; ხოლო თვით მეფის სადგომთან, კარვის კარს — შეეგებებოდნენ „ქელისუფალნი და შინაურნი“²². აქ კარგად ჩანს საქართველოს ლაშქრის ძირითადი ბირთვის ეთნიკური შემადგენლობა. დიდ ომებში ყოველ ტომს თუ „ენას“ თავისი წვლილი შეჰქონდა თავდაცვის მიმე საქმეში.

რაც შეეხება მხედრობის მორალურ ძალას, მის ნათელსაყოფად სიმოკლისთვის გავიცინოთ რამდენიმე ფაქტი. შეფე, სარდლობა თავის ვალად თვლიდა, მტერზე მისატევად გამზადებული ლაშქრისა-

¹⁹ ისტორიანი და აზმანი, გვ. 104.

²⁰ ჩანს, დავით აღმაშენებლის შემდგომაც, საქართველოში ჩრ. კავკასიიდან ყიფჩაყთა ახალ-ახალი რაზმები ვადმოყავდათ.

²¹ მარგუელნი — არგვეთლები (მღრ. გვარა: მარგველაშვილი).

²² ისტორიანი და აზმანი, გვ. 103.

თვის წინასწარ აეხსნა, რომ ომი ჩაღდება სამართლიანობის დასაცავად, თვით სამართლიანი ღმრთის მონაწილეობით. ამაზე იყო აგებული ის აღმაფრთოვანებელი, გზის დასალოცი სიტყვები, რომელთა ამაღლელებელი მოკლე ნიმუშები ჩვენს ისტორიოგრაფიას შემოუნახავს.

„ძმანო ჩემო,—ასე მიუმართავს თამარ მეფეს მხედრობისათვის, — ყოელად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიძრავლისა მათისათვის და სიმკირისა თქუენისა, რამეთუ ღ[მე]რთი ჩუენ თანა არს“. წარუხოცელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა თავგანწირულ მეომრებზე დედოფლის სიტყვებს: „ღ[მერ]თსა ოდენ მიენდევინით და გულნი თქუენნი სიმართლით იპყრებით წინაშე მისსა“ და ა. შ.

ცხადია, ეს და მისი მსგავსი თეზისები არ შეიძლება ნაანგარიშევი ყოფილიყო ვინმე სულძაღლი²³ მეომრებისთვის, მოაბრაავე, მრყაზახე მოლაშქრეებისათვის. იმ ლაშქრის განცდებში უთუოდ „ვეფხისტყაოსნის“, პოეზიის მადლიც ვერია. რა დიდებული სურათია (საეკლესიო ენაზე ამას პარაკლისი ეთქმის):

„მუის გარდაცდეს ცხენთაგან ყოველნი, თაყუანი სცეს ღ[მერ]თსა და წმიდასა ჭურასა (რომელიც წინ უძღოდა ლაშქარს. — ვ. დ.) ვევედრნეს ცრემლითა“ და ა. შ.²⁴

წყარო მოწმობს, რომ ამ მხედრობაში, რომლის უმაღლესი მეთაური დავით სოსლანი იყო, კანონზომიერად შარვანელი სტუმრებიც და თანმოყოლილი ჯარი, „იგინი ორნივე და ლაშქარნი მათნი“, იღებდნენ მონაწილეობას. სიტყვა ლაშქრის წინაშე თამარის მიერ წარმოთქმული ყოფილა იმავე სტუმრების თხოვნით („წინარე ითხოეს სიტყუაი“²⁵). თამარის ისტორიკოსი სავსებით შეპყრობილი ჰყავს მოვლენათა ზნეობითს ძალას. მისი მოწმობით, მეომრები, სანამ შეიჭრებოდნენ ომის ცეცხლში, ერთმანეთს ამხნევედნენ. გასამხნეებელ მასაღას მათ აძლედა თვით მათგან სხვა ომებში გამოვლინებული თავდადების ფაქტებიც. „მარჯუებულობა პაპათა და შამათა“, ისტორია საქართველოსი და მსოფლიო — აი საიდან მოჰქონდათ ქვეყნისთვის თავდადების ნიმუშები. მიჰმართავდნენ ვახტანგ გორგასლის, გიორგი III-ის და „შვილისა მათისა თამარის“ შთამაგონებელ სახეებს, ისევე ისტორიის დიდებას.

ერთ-ერთ სპასპეტს მიეწერება ბრწყინვალე ორატორული გა-

²³ ამ სიტყვის ამ სტრიქონების ავტორი ილია ჭავჭავაძის ნაშრომიდან სესხულობს.

²⁴ ბ ა ს ი ლ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 20 და 21.

²⁵ ისტორიანი და აზმანი, გვ. 104.

მოსვლა, რომელიც რიტორიკული შეკითხვით დაუწყია: „ვინმე მაშინ იყვნეს მძებარნი სახელთანი და დამდებნი თავისანი და ტრფი-აღნი ისტორიის ქებისა და შესხმათანი?“²⁶ მაშასადამე, ძველად ყოფილან, წინაპართა შორის, სახელის მძებნელები, ქვეყნისთვის თავდადებულნი, გულდაჩქრებულნი, რომ მათი სახელებიც გადაეცემოდა ისტორიას. ეს ასეაო, და ახლა ჩვენც, — მსჯელობს ორატორი ჯარების წინაშე, — წინაპართათვის განკუთვნილი ქება მეხოტბეებს ჩვენცენაც მოვამართვინოთ, ძველებისკენ მიმართული დიდება ხელიდან ჩვენთვისაც გამოვტაცოთ. „აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქებაჲ მაქებელთაჲ და შემსხმელთაჲ“, ისე, რომ მათი საქმეები ჩვენსასთან დაიჩრდილონ კიდევ: „დავაძულენეთ და დავარცხინეთ კსენებაჲ ომთა მათთაჲ“²⁷.

ამის აღმწერელი ისტორიკოსები თან შედარებით მეთოდს მიჰმართავენ. ასეთები იყვნენ საქართველოს ლაშქრის მონაწილენი, ხოლო სულ სხვა თვისებისა და ღირსების — მოპირდაპირენი, მომხდურები. მაგალითად, თამარის ეპისტოლარულ მიმართებაში ზემოთ ხსენებული რუქნედინის („ნუქარდინის“) სახელზე, ისტორიკოსის მოწმობით, ასე წერებულა: „შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ, უმეცარი მსჯაერისა ლ[მრ]თისასა“-ო²⁸; ოქროს იმედით ომობ, მეომრებს ქირაობო.

ძალთა განწყობილების ასეთი შეფასების გარდა, მთავარი ის მიზანდასახულება და შედეგებია, რომლებსაც აზოგადებს ყოველი ამის მომთხრობი მეისტორიე. საგულისხმოა, რომ დიდ ჯამარჯვებათა შედეგებს, რაც მოჰყოლია ომებს, საერთოდ, თამარის მეფობაში, ისტორიკოსი აფასებს არა კერძოდ, საქართველოს ინტერესთა თვალსაზრისით. მისი თვალთახედვა მოიცავს მთელი ამიერკავკასიონისა, ერთობლივ მთელი კავკასიის ხალხთა ინტერესებსაც. ისტორიკოსი, ხალხთა ძმობის იდეის მომდერლის, თვისი თანამედროვე რუსთაველის ერთისისხლი და ერთხორცი, ღრმად განიცდის თავისი ეპოქის წარმატებებს, რომელნიც ქართველ ხალხთან თანამეგობრობის, თანამებრძოლობის შედეგად იმ ხალხთაც რგებიათ წილად.

აჯამებს რა ასეთ წარმატებებს, საბუთად ჰსახავს თვის თანამედროვე კავკასიის პოლიტიკურ რუქას: ცნობების ქვეშარიტებას — „წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო[ნი] გარეშემო ქართ-

²⁶ ისტორიანი და აზმანი, გვ. 106.

²⁷ იქვე.

²⁸ ბ ა ს ი ლ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 26.

ლისა“—ო. აქვე მოთვლილია ეს „სამეფონი“: „ამისა მოწმე არს სახ-
ლი შარვანშეთი“ (შარვანშაპების სახელმწიფო. — ვ. დ.), აგრეთვე,
სახლები „დარუბანდელთა, ლუნძთა (მერმინდელ — ხუნძახთა“. —
ვ. დ.), ოვსთა, ქაშაგთა (რუსული წყაროების „ქასოგთა“. — ვ. დ.),
კარნუ-ქალაქელთა (მერმინდელი არზრუმის მხარეში. — ვ. დ.) და
ტრაპიზონელთა“²⁹.

ისტორიკოსის დასკვნით, ამ „სამეფოთა“ თავგადასავალი უშუ-
ალოდ აუწევბდა ყველას, „თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი
განამდიდრნა (თამარ მეფემო. — ვ. დ.), რაოდენთა მიმძლავრებულ-
თა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდ [ვე]
თესად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათა-
ვისუფლნა“³⁰.

აქ აღნიშნული ცნობა სიკვდილმისჯილთა განთავისუფლების
შესახებ შეიძლება ჰგულისხმობდეს თამარის საშინაო პოლიტიკის
დარგსაც. ამას მხარს უჭერს ცნობები, რომ იმდროინდელი სამარ-
თლის მკაცრ მოთხოვნათა შერბილების ფაქტს არაერთხელ უჩენია
თავი მეფის ჰუმანურ ღონისძიებებში³¹.

მაგრამ იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის სირთულე,
თამარის პირადი, წყაროებში დადასტურებული, სხვადასხვა რიგის,
კერძოდ, მფარველობითი ურთიერთობა დიდ და მცირე ხელმწიფე-
ებთან მკვლევარს ავალებს მთელი გულისყურით მოეკიდოს თამარის
ბოლღაწეობის ამსახველ უწყებებს და მათ შორის ბასილის ზემოთ
ციტირებული საინტერესო სიტყვები არ მიიჩნიოს ფუჭი გაზვიადე-
ბის ნაყოფად.

რამდენად დავალებული იყო შარვანშაპების კარი საქართველოს
ხელისუფალთა, პირადად თამარის წინაშე, ეს ზემოთაც მკაფიოდ
ჩანს შამქორის ომის ამბავში. ისე რომ, „დაგლახაკებულთა“, „მიმ-
ძლავრებულთა“ და საკუთარი სამეფოდან „განდევნილთა“ ვეფეთ
რიცხვში ისტორიკოსს უთუოდ შარვანშაპებიც შეეძლო ეგულისხმ-
ნა. ამათ გარდა, ჯერ კიდევ თამარის მამის, გიორგი III-ის მეფობა-
ში განიცადეს ბიზანტიის საიმპერატორო სახლის წარმომადგენლებ-
მა გაძლიერებულ საქართველოში თავშესაფრის, მოყვრობისა და
ბედის ძიების საჭიროება. ამათ შორის იყო თავისი შეუპოვარი ხა-
სიათით ცნობილი ანდრონიკე კომნიანოსი, კეისარი (1183—1185),

²⁹ ბ ა ს ი ლ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 34—35.

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 35.

³¹ ივ. ჯ ა ვ ი ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართულ სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. 2,
გვ. 538—539.

რომელიც ჯერ კიდევ 1167 წ. გიორგი III-ის ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას მასკუტის და შარაბამის წინააღმდეგ, დარუბანდის მხარეში. ვინ იცის, რა წყალობა ღირს ჰყვეს საქართველოში ანდრონიკე, როცა იგი, ბიზანტიაში აზბოხების შედეგად, კეისრის ტახტს იპყრობდა თავისი ბიძაშვილის, ალექსი კომნიანოსის ხარჯზე. მას შემდეგ, რაც ანდრონიკეზე დაესრულა კომნიანოსთა ხელმწიფება (ანგელოსთა დინასტიის სასარგებლოდ), თამარ მეფის შემწეობით მცირე აზიის, პონტოს მიწებისგან შედგენილ ახალ სახელმწიფოს (ე. წ. ტრაპიზონის იმპერიის) სათავეში მოექცნენ თამარის კანდიდატები — ანდრონიკეს შვილიშვილები, ალექსი და დავით კომნიანოსები.

თამარისგან შეწყალებულ მეფეთა შორის მის ისტორიკოსს შეეძლო გაეგულებინა გიორგი რუსიცი, რამდენადაც გიორგის (თამარის ქმარყოფილს), საქართველოდან ორჯერ გაძევებულს, დედოფალი მაინც ყველასთვის დასანახი დამზოგველობით ეპყრობოდა.

რაც შეეხება „დარუბანდელთ“ და ლუნძებს დაღესტანში ან ქაშაგებს, მათ, ჩრდილოეთ საზღვრების მქერალთ, საქართველოს ხელისუფლება, ცხადია, ანგარიშშიუცემელი ომისა და რბევის ობიექტად ვერ გაიხდიდა. იმ სოციალურ წინააღმდეგობებს, რომელნიც ფეოდალიზაციის პროცესის გარდამავების შედეგად თავს იჩენდნენ მთაში, თბილისის მეფის კარი შემოქმედებით პოლიტიკისათვის იყენებდა, ფეოდალიზირებულ ფენაში თავის მოკავშირეს პოულობდა, მას გარკვეულ პოლიტიკურ ურთიერთობაში იბამდა. როდესაც ქართველმა მხედრობამ (1212 წ. ახლო) კავკასიის ამბოხებული ცენტრალური ქედი დალაშქრა, წყაროს ცნობით, „მოვიდეს ძღუენითა მეფენი ღურძუკეთისანი, მოსკეს ლაშქარი და დაუდგეს გურდსა“³², იგულისხმება, დანარჩენ მეამბოხეთა დასამორჩილებლად. მსგავსი შემთხვევები, ცხადია, თბილისის ცენტრს საბაზს მისცემდა, რომ თანაშემწე „მეფენი“ მოემადლიერებინა და მოეთინიერებინა, „...რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა“ თამარმაო (იხ. ზემოთ).

ის რთული, ყოვლისმომცველი ურთიერთობა და ყოველდღიური ახლობა ქართველი ხალხისა გაშლილ-გაერთიანებულ საქართველოში შემავალ ხალხებთან, ერთობლივ კავკასიის ხალხებთან, ცხადია, გავლენას ახდენდა ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე,

³² ისტორიანი და აზმანი, გვ. 138.

მის მსოფლმხედველობაზე, ყოფა-ცხოვრებაზეც. შექმნილ ვითარებაში სახელმწიფოს ებადებოდა ახალი ინტერესები, ახალი საზრუნავი. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ ქართველ ხალხს, მის ვაქრებს, დესპანებს, მწიგნობარ მონაზვნებს გზახსნილი ჰქონდათ, ზემოთ თქმულისამებრ, ჩრდილო ქვეყნებში, ხოლო კიდევ უფრო ძველი ტრადიციების ძალით — წინა აზიის ქვეყნებში. აქ აღრითვე შექმნილი ქართული კულტურის კერები, სამონასტრო ცენტრები (იერუსალიმში, სირიის შავ მთაზე, ათონზე, სინაზე; ბულგარეთის ს. ბაჩკოვოს პეტრიწონის მონასტერში და სხვ.) — ყოველი ეს დიდი ფაქტორი იყო საქართველოს ძველი კავშირების დაცვა-განმტკიცების საქმეში ახლო აღმოსავლეთის ქრისტიან, მუსლიმურ ქვეყნებთან.

ქართველი მოწინავე ადამიანები ადგილობრივ ეცნობოდნენ თავისი დროის საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციებს, ფილოსოფიურ მიმდინარეობებს; სწავლობდნენ არაბულს, სპარსულს, ბერძნულს, სირიულს. კარგად ცნობილია ათონის, სინას დღემდე შემონახული ქართული წიგნსაცავების, ხელნაწერთა ფონდების მასალები. აქტიური მიმოსვლა, მიმოწერა, ურთიერთინფორმირება მტკიცედ აკავშირებდა იქაურ ქართველ მწიგნობრებს საქართველოს ადგილობრივ კულტურულ ცენტრებთან, რომელთა შორის მეტი პოპულარობა შერჩათ შატბერდს (კლარჯეთში), იყალთოს, დიდებულ გელათს, იმისთვის მოწოდებულს, რომ შეესრულებინა ფილოსოფიის ცენტრის, ათენის როლი. ცნობილია, რომ გელათში განაგრძობდა სიბრძნისშეტყველურ, საგანმანათლებლო მოღვაწეობას ნეოპლატონიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი იოანე პეტრიწონელი. მეცნიერულ საფუძვლებზე მუშავდებოდა ქართული ენა, იქმნებოდა ქართული ისტორიოგრაფიის საერთო სტილი, მეთოდები, რაც ავალებდა ქართველ ისტორიკოსს დაუფლებოდა მშობლიურ ისტორიის გარდა, ე. წ. საღმრთო ისტორიასაც (ბიბლია, ანუ დაბადება), ანტიკური დროის საისტორიო მწერლობასაც (პლუტარქოსი და სხვ.).

აი ასეთი, სქემატურად აქ წარმოდგენილი ფაქტები გვშველიან გამოვავლინოთ ზოგადი თვისება და ხასიათი ზემოთ ხსენებული ეროვნული კულტურული ნიადაგისა, რომელზედაც აღმოცენებულა „ვეფხისტყაოსანი“. ქვეყნებთან, ხალხებთან, მოწინავე ადამიანებთან შემოქმედებითი კავშირისკენ ლტოლვა იყო პირობა რუსთაველის ეპოქის საქართველოში პროგრესულ მისწრაფებათა გამარჯვებ-

ბისა, დიდებულ ქართველთა წინ წამოწევისა, დიდი რუსთაველის გამოჩენისა.

რაც შეეხება აქ გამოყენებული ფაქტების სიმკირეს, მისი ერთგვარი ანაზღაურების სურვილით მკითხველს მოვავაგონებთ შემდეგ სიტყვებს: „მკირედითა ამით სიტყვთა დიდი იგი ვიქნათ და გემოჲ ვიხილოთ წმიდათაგან წყაროთა“ (აბიბოსი).

პირველად დაიბეჭდა ეურნ.
„სკოლა და ცხოვრებაში“ 1906, № 8.

ИЗ ИСТОРИИ ЭПОХИ ЦАРИЦЫ ТАМАР

В речи, произнесенной в 1837 г. в общем заседании Российской Академии Наук, академик М. Броссе, между прочим, говорил: «Почти забытая в Европе после великой эпохи цариц Тамар и Русудан, эта прекрасная страна (подразумевается Грузия — В. Д.) должна выйти, наконец, из руин; покрывало, которое ее облакает; спадет, и из глубокого мрака неизвестности, у меня в том твердая уверенность, встанет перед нами красочная картина, свежая и новая, которой все будут удивляться, видя, что она до сих пор оставалась им неизвестной»¹.

С тех пор, когда М. Броссе были произнесены означенные слова, в старой России, нет спора, немало было сделано в оправдание его «твердой уверенности». Так, уже сам Броссе при сотрудничестве, по изучению истории Грузии, царевича Теймураза и проф. Д. И. Чубинашвили успел дать в первом издании объемистый грузинский летописный сборник «Картлис цховреба» с переводом и с комментариями под заглавием „Histoire de la Géorgie“².

В частности, труд анонимного историка царицы Тамар, одного из передовых людей эпохи поэта Шота Руставели, нашел своего переводчика и комментатора в лице того же Броссе³.

Но каким бы ни были, по своему значению, эти и подобные успехи старороссийской науки, они в конечном счете неизбежно носили слишком случайный характер для того, чтобы можно было говорить о достижении намеченных целей.

¹ Recueil des actes de la séance publique de l'Académie Impériale des sciences, St-Pb., 1839, стр. 67. Сч. тиски: К 411, X(C, 1839.

² Vol. I—VII. S-Pb., 1849, 1851, 1854, 1856, 1857, 1858.

³ В изданном на грузинском и переведенном на французский М. Броссе сборнике «Картлис цховреба» сочинения двух историков царицы Тамар представлены слитно, в редакции Вахтаंगा VI. Позднее были открыты древние списки «Картлис цховреба», в которые труды означенных историков включены раздельно.

Грузинская средневековая историография к эпохе Шота Руставели (конец XII — начало XIII вв.) уже имела большие достижения. Историки царицы Тамар (1184—1213) могли получить закалку по специальности не только в зарубежной (византийской, персидской и др.), но и в родной, грузинской, исторической школе, в той, которая вырабатывалась усилиями целых поколений грузинских ученых, таких, как Ефрем Мцире, анонимный историк царя Давида (начало XII в.) и др. По авторитетному мнению проф. И. А. Джавахишвили, наш историк царицы Тамар, ведя свое повествование, «следует примеру лучших представителей грузинских историков, не изменяя их школе и традициям»⁴.

Но, понятно, действенной школой для историков царицы Тамар и лучшей питательной средой должна была явиться окружающая действительность, ими переживавшаяся эпоха, так богатая содержанием.

В основных чертах эту эпоху характеризуют крупные успехи страны в деле закрепления передовых позиций, завоеванных в предшествовавшие эпохе десятилетия на Кавказе в области экономики и политики: большее, чем это имело место, сближение местных замкнутых хозяйств с ближневосточным рынком, соответственно рост материальных ресурсов страны, развитие городской жизни, вообще сдвиги, происшедшие в общественном укладе.

Знаменателен тот факт, что царица Тамар за время управления страной успела облечься властью «царя царей»⁵, «царицы царств»⁶ «всех семи царств» грузинских и «судьи»⁷ соседних царей, начиная от «дарубандских» и ширванских династий на Востоке и кончая трапезундскими из Комнинов на Западе.

⁴ И. Д ж а в а х и ш в и л и, Новооткрытый список «Картлис цховреба», и сочинение доселе неизвестного историка царицы Тамар. «Вестник Тбилисского университета», т. III, 1923, стр. 215. (из груз. яз. (с)).

⁵ Картлис цховреба, список царицы Марнам, изд. Е. Такашвили, Тифлис, 1906, стр. 514, 524. (на груз. яз.).

⁶ Т а м ж е, стр. 514.

⁷ История царя царей Тамар, изд. И. А. Джавахишвили, Тб., 1944 (на груз. яз.), стр. 36. (Текст сочинения т. н. второго историка Тамар восстановил и подготовил к печати И. А. Джавахишвили, однако книга вышла лишь после смерти издателя. Русский перевод сочинения, выполненный В. Д. Дондуа с рукописи, любезно предоставленной ему издателем, был напечатан с некоторыми купюрами в сборнике «Памятники эпохи Руставели», Ленинград, 1938, —Р е д.).

Обращает на себя внимание то, хоть и провалившееся, но тем не менее эпохального значения выступление одной из политических партий во главе мечурчлетухуцеса⁸ Кутлу-Арслана, которое было направлено к ограничению царской власти путем создания карави, т. е. своеобразного местного «парламента»⁹.

Богатое содержание вкладывали в историю эпохи и те военные походы грузинского войска, которые, будучи организуемы часто при содействии местных, кавказских, мелких династий (осетинских «царей», армянских князей, ширваншахов и т. д.), развертывались нередко и за р. Араксом, приводили к обогащению участников походов¹⁰ и, к явному обезврежению переднеазиатских могущественных владык того времени, по выражению нашего историка, «двуглавых вешапов» (вишапов, драконов), вроде румского султана Рукн ад-дина или, менее чем он, опасных врагов мелких народов.

Наконец, эпоху характеризуют мощный размах творческих сил страны в области духовной и материальной культуры, расцвет науки и искусства, в особенности, поэзии, живительные родники которой и поныне остаются обильными в великом творении Шота Руставели.

Обилен был фактический материал для разработки как, скажем, героических характеров и героических подвигов¹¹, так и более широких социально-политических проблем. Из истории эпохи нам известно, что при вступлении царицы Тамара на престол, грузинское феодальное государство пережило большое потрясение. Определенные круги «азнаурской» знати восстали против Тамары, не признавая права престолонаследия за женщиной. Но активно боролись и ее сторонники, одни с оружием в руках, другие на идеологическом фронте. Борьба на этом, идеологическом, фронте, велась представителями разных «состояний» и в различной форме. Любопытно, что современник царицы Тамары, католикос Николоз Гулаберис-дзе¹² в своем литературном труде вопрос о том, «почему эту женщину (именно, св. Нино — В. Д.) явил и послал бог нам» (подразумевается, с тяжелой миссией просветителя язы-

⁸ Мечурчлетухуцеси — старейшина царских казначеев.

⁹ Картлис цховреба, список царицы Мариам, стр. 406—407.

¹⁰ Там же, стр. 515—524.

¹¹ В этом плане взаимно сближаются, например, Тарсел и Автандил — из героев Шота Руставели и, с другой стороны, знаменитые Захарна и Иванэ — из полководцев царицы Тамары.

¹² Он упоминается и в труде второго историка Тамары (см. Памятники эпохи Руставели, стр. 42—43).

ческого тогда грузинского народа), давая там же ответ, указывает, между прочим, что «не только бедристые¹³ мужчинны угодны богу благому»¹⁴. По справедливому мнению проф. К. С. Кекелидзе, католикос Николоз, ставя этот вопрос о проповеднике IV века, едва ли сохранивший по себе актуальность в Грузии XII—XIII вв. — на самом деле имел в виду обосновать тот тезис, выдвинутый самой жизнью, что Тамар, будучи женщиной, тем не менее, вправе была занять «высокий престол» Багратидов¹⁵. Следует подчеркнуть, что вопрос о закономерности факта выступления женщины, Нино, в роли просветителя Грузии, впервые был поставлен именно католикосом Николозом, стало быть, именно в царствование Тамар.

Отмечая этот яркий момент в трактате Николоза, посвященный династическим интересам царицы Тамар, нельзя не видеть, что этот его трактат, пусть косвенным образом, но все-таки служил и общественным интересам вообще грузинской женщины.

Не подлежит сомнению, что эпоху характеризует не только пресловутый культ женщины, — ее характеризует еще определенная попытка идеологической обработки проблемы об общественном положении женщины.

Не случайно, если просвещенный представитель эпохи Шота Руставели в своей поэме определенным образом реагирует на ставший актуальным вопрос, заставляет советников царя Ростевана, героя поэмы, утверждать на тронном совете, что он имеет такое же основание, доверить трон своей дочери, с каким доверил бы его сыну — наследнику; имей он такового.

Советники именно говорили¹⁶:

Хотя женщине предостой занять трон, но она богом создана,
на, чтобы царствовать (39—1).

Львенок равен льву; самец ли этот львенок или самка
(39—4).

Не лицеприятствуя утверждаем, что ваша дочь тоже умеет
царствовать (39—2).

Впрочем, в поэме Руставели, понятно, это не единственный случай, когда мы видим, каким ореолом могла быть окружена знатная женщина. Ведь вся поэма Руставели построена на признании того факта, что женщины не менее жизнеспособны,

¹³ Букв. — толстоляжечные, т. е. физически крепкие.

¹⁴ Николоз Гулаберис-дзе, Чтение животворящего столпа хитонагосподнего, изд. В. Карбелашвили, Тифлис, 1908, (на груз. яз.), стр. 41•

¹⁵ К. С. Кекелидзе, История грузинской литературы, т. I, 1923, стр. 328 (на груз. яз.).

¹⁶ Соответствующие стихи поэмы мы предлагаем вниманию читателя в подстрочном переводе.

не менее инициативны и не менее одарены, вообще, творческими способностями. Достаточно познакомиться хотя бы поверхностно с главами поэмы, где так мастерски разработаны характеры героинь поэмы — Типатин, Нестан-Дареджан, Асма и Фатман, чтобы видеть, каким широким признанием пользовался в Грузии культ женщины. Эта проблема разработана, как известно, академиком Н. Я. Марром¹⁷. Но здесь речь может идти не только о признании культа женщины. В поэме Руставели названные героини деятельны также в государственной и общественной жизни, как их прообразы, известные по источникам знатные женщины эпохи Руставели (Крава Джакели, Хошак Цокали, сама Тамар, ее знаменитая дочь Русудан и др.). Поэт, который смог в средние века полностью на принципиальную высоту признания этих творческих возможностей женщины, понятно, пользуется общим признанием, как мыслитель, который в начале XIII века предвосхитил великие идеи гуманизма.

• • •

Историк Басили, как впрочем и анонимный т. н. первый историк царицы Тамар, к сожалению, традиционно скуп в даче показаний по вопросам о положении так называемых низших слоев общества. Тот опыт, который к сегодняшнему дню накопился трудами специалистов в результате исследования исторических источников, начиная с книжных фолиантов и кончая лапидарными надписями, вполне убедительно говорит о том, что эксплуатирующиеся общественные классы как в Грузии, так и в других частях Кавказа и в данную эпоху естественным образом вовлекались в то или иное социальное или экономическое движение. Яркие примеры тому дает история города Ани¹⁸.

И если, тем не менее, в трудах историков Тамар мы не находим прямых указаний на этот счет, это, очевидно, по той причине, что историки сознательно не включили соответствующие факты в свою общую программу вопросов.

При таком положении вещей в трудах историков Тамар важное значение приобретают, понятно, и те отдельные штрихи, те или иные косвенные указания или отдельные намеки, которые имеют в виду пережитое данными социальными слоями. По словам Басили, «народ утвердился в сознании

¹⁷ Вступительные и заключительные стрфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава. Культ женщины и рыцарство, ТР, XII, 1910, стр. I—LVI

¹⁸ Памятники эпохи Руставели, стр. 59.

долга служить рабами со страхом — богу и с чувством преданности, — своим господам»¹⁹. Историк не скрывает, какими мерами воздействия поддерживалось в сердцах вообще «рабов», стало быть, в первую очередь, в крепостных крестьянах, это чувство преданности к господам. Царица Тамар, действовавшая, по историку, в одних случаях как «облако, окропляющее всех сладкими дождями», в других случаях в интересах действующих норм «общезития», провинившихся рабов «подвергала палочным ударам»²⁰; в таких случаях, говорит в другом месте историк, она была «нелицеприятно подтверждающей палочным ударам строптивых»²¹.

Есть все основания утверждать, что от имени царицы «палочные удары» могли быть применены по отношению лиц, которым инкриминировались политические правонарушения, государственная измена и т. п. Соответствующие уголовные дела должны были, очевидно, возбуждаться против участников, например, восстания против царя, разразившегося в Грузии в связи с изгнанием из царства первого мужа Тамар, русского князя Георгия, сына Андрея Боголюбского²²; или например, против участников того восстания, которое, как это явствует из повествования анонимного первого историка царицы Тамар, устроили, отложившись по неизвестному нам поводу, от центральной власти, «горцы», именно пховцы и дидойцы, начавшие грабить, убивать и полонять и в явь, и под прикрытием ночного мрака²³. Кстати, историк свидетельствует, что царское войско, возглавленное атабагом Иванэ Мхаргрдзели, в течение трех летних месяцев громило восставших и «истребив бесчисленное количество людей и дидойцев и пховцев», принудило их, наконец, сдаться²⁴.

Сказанным не исчерпываются все сведения историка, имеющие прямое или косвенное отношение к затронутому вопросу.

В эпоху, когда страна так заметно прогрессировала и экономически и культурно, естественно, должны были возникать идеи о гуманизации социальных отношений. Свое крайнее выражение такая идея находит в поэме Руставели, именно в строфе, гласящей: «Отдай сокровищницу неимущим, освобождай рабов» (803—2). Эти слова поэтом XII—XIII вв.

¹⁹ История царей царей Тамар, ук. изд., стр. 36 (В изданном русском переводе данное место опущено. — Р е д.).

²⁰ Букв. «была избивающей с состраданием» (Там же).

²¹ Т а м ж е. Ср. у первого историка Тамар: «Никогда нигде никого не повелела даже бить палкой» (Картлис цховрса, список Мариам, стр. 412).

²² Памятники, стр. стр. 47.

²³ Картлис цховрса, список Мариам, стр. 527.

²⁴ Т а м ж е.

могли и быть не заимствованы из какой-нибудь действующей в Грузии социальной программы. Но, во всяком случае, они красноречиво свидетельствуют, что лучшим людям эпохи не было чуждо стремление к смягчению жестоких нравов средневековья.

Акад. Н. Я. Марр в свое время посвятивший царице Тамар, как государственному человеку, проникновенную характеристику, между прочим, отмечает: «... идеализованный образ Тамары (подразумевается образ, зарисованный ее одописцем Чахрухадзе. — В. Д.) также представляет бесспорную реальность в смысле отражения в нем известного общественного настроения круга светскиобразованных и самую жизнью национально-воспитанных грузин XII-го века»²⁵.

Теперь, основываясь на свидетельских показаниях Басили, в которых (как мы уже имели случай убедиться в этом) не видно следов фальши и лицемерия, можем сказать, что царица Тамар в своих действиях ориентировалась на мнение лучших людей эпохи. Так, по словам историка, царица отреклась от наиболее варварских приемов телесного наказания, ограничив и случаи применения действующего закона о смертной казни.

«В дни Тамар, — свидетельствует историк, — [в Грузии] не встречалось ни одного человека, с ее ведома подвергшегося насилью, и никого, кто бы подвергался наказанию, если не считать случаев применения старого закона, который положен для разбойников, — повешения на дереве. Даже и с тех, которые были достойны смертной казни, и с тех, кто были достойны изгнания, не взыскивалось должное²⁶, и никто ни отсечению членов тела не подвергался, по ее повелению, и ни наказания через ослепление не пощес, кроме Гузана, того, который изменнически отступился от царицы и разбойничал где-то в Кола, в горах скрываясь»²⁷. Достоверность этого свидетельства подтверждается указанием автора, что и упомянутого Гузана подверг ослеплению царь Давид, муж Тамар, и подверг «прежде, чем уведомить» об этом царицу, так как, — поясняет историк, — он знал, как безгранично была милостива Тамар»²⁸.

²⁵ Н. Я. Марр, Древне-грузинские одописцы, ТР, 1902, стр. 50.

²⁶ Ниже автор, возвращаясь к вопросу, сочувственно замечает: «Сколько приговоренных к смертной казни освободила она». — История царя царей Тамар, ук. изд. стр. 35 (В изданном переводе данное место опущено. — Р е д.)

²⁷ Памятники, стр. 68.

²⁸ Там же, стр. 68.

Если, таким образом, наши историки скупы на слова там, где налицо повод говорить о взаимоотношениях между классами общества, зато они предстают перед читателем во всем блеске своих бытописательских дарований, когда ведя исторический рассказ, захватывают так их воодушевляющие вопросы о грузинском царстве в целом, о защите его границ, о самоотверженных бойцах и их победах над противником и т. д. Причем, сами воодушевляясь при затрагивании этих вопросов, они — что особенно следует подчеркнуть, — в то же время прилагают все свои старания к тому, чтобы воодушевить и читателей, современных и грядущих, вдохновить их на новые подвиги во славу родной земли.

Второй историк царицы Тамар, Басили, постиг ту универсальную истину, что народ успешно борется за существование, когда он верит в правоту своего дела. «Не силою коварства, — говорит историк относительно царицы, — давала жить своему народу, а будучи предводительствуема мудростью и силою правдивости и непорочности»²⁹ и т. д.

Но практически особенно ярко выступало это правое дело перед глазами историка в борьбе грузинского народа и организуемого им боевого фронта всех кавказских феодальных малых государственных образований против зарубежных, по тогдашним временам, великих феодальных держав Востока (Сельджукидский султанат, Византийская империя и т. п.). У нас нет основания уличать историка в примитивном пристрастии к малым народам Кавказа, если он, наблюдая за их борьбой против, как он выражается, «двуглавого вешапа», моральный перевес видит именно на их стороне. Басили, будучи образованным человеком, прекрасно мог знать, какая доля принадлежала в деле разгрома, например, цветущего Багратидского армянского царства тем же сельджукидским и византийским захватчикам.

Точно также он мог в достаточной мере осознать прогрессивное значение того факта, что под политическим руководством и давлением тбилисского царского двора успешно развивалось дело собирания грузинских земель и вовлечения в фарватер грузинской политической жизни соседних, кавказских малых государственных образований.

Одописец царицы Тамар, Чахрухадзе, дал повод Н. Я. Марру коснуться вопроса о стимулах военных походов Грузии против восточных властителей и отметить, между прочим, что «неудача Грузии в это время значила бы полное поражение христианства не только в ней, но и в сопредельной Армении, на-

²⁹ Там же, стр. 67.

ходившей естественную покровительницу в могущественной соседке, тогда оплоте христианства на этой окраине»³⁰.

В приведенной цитате нас интересует так кстати подмеченный ученым момент известной обусловленности благополучия тогдашней Грузии. Касаясь такой роли Грузии, И. А. Орбели заключает, что «армянские области не только получали полный покой со стороны могущественной тогда северной соседки, но они оказались под ее ближайшим покровительством»³¹.

Высказываясь по аналогичному вопросу, Базили, между прочим, отмечает, как красноречиво «свидетельствуют, каждое в отдельности, близлежащие царства, расположенные вокруг Грузии о том, сколько она (Тамар — В. Д.) обогатила обнищавших царей, сколько таким, которые подверглись насилию, вернула назад их собственные царства, сколько изгнанников снова водворила в их же царства... Этому свидетели, — продолжает историк, — династии ширваншахов и дарубандцев, гундзов, овсов, кашагов, карнукалакцев и трапезундцев, которые свободно жили и обеспечены были от насилования со стороны врагов только благодаря ей»³².

При всей лаконичности данного свидетельства, оно достаточно выразительно для показа политического могущества Грузии эпохи Тамар.

³⁰ ТР, IV, стр. 36. Приводя эту цитату, мы должны подчеркнуть, что в исторической концепции Н. Я. Марра, которая выработалась у него в последствии, на основе многолетнего исследовательского опыта, религиозный фактор в истории народа, естественным образом отодвинулся на задний план (См. например, Н. Я. Марр, Ани. Книжная история города и раскопки на месте городища, Л.-М., 1934).

³¹ И. Орбели, Развалины Ани, СПб., 1911, стр. 24.

³² Истории царя царей Тамар, ук. изд., стр. 35—36.

„ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები

აქ წარმოდგენილ სათაურში მკითხველი თვითონაც ამოიცნობს იმ სწორს, დღეს ყველასათვის სახელმძღვანელო აზრს, რომ უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ მისი თანამედროვე საქართველოს კულტურის, მწერლობის ფონზე — უბრწყინვალესი — წარმოადგენს ნაწილს მთელისას, იმ კულტურის, იმ მწერლობის განუყოფელ ნაწილს.

„ვეფხისტყაოსანი“ და თამარ მეფის ისტორიკოსთა ორივე, ჭერჯერობით ცნობილი, დიდებული ნაშრომი — უსახელო ავტორის „ისტორიანი და აზმანი“ და ბასილისეულად მიჩნეული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ერთი ეროვნული შემოქმედების ნაყოფია, ერთი კულტურისმოქმედი ხალხის უბაღლო მონაპოვარია. ამ სამ ნაწარმოებს, როგორც ერთი ხანის ქმნილებას, სპეციალისტის ენაზე, როგორც აღმავალი ფეოდალიზმის ეპოქის ძეგლებს, არსებობითად საერთო აქვთ სულიც და ხორციც. ნათქვამი სავსებით ეთანხმება, კერძოდ, დაუვიწყარი ისტორიკოსის ივანე ჭავჭავაძის ერთგვარად საპროგრამო მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ აისახა „ვეფხისტყაოსანში“ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება, სათანადო ისტორიული სინამდვილის რა ასპექტებში გამჟღავნდა პოემაში. ივანე ჭავჭავაძის სპეციალური ნაშრომებიდან მოვიტანოთ შემდეგი, ჩვენი მიზნის შესაბამისი დებულებები, რამდენადაც ეს დებულებები ირიბი გზით გამომდინარეობს მეცნიერის მთელი თხრობიდან. „ვეფხისტყაოსანში“ აღბეჭდილია „ფეოდალური წყობილების კანონები“, ეპოქის „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კითხვები“, მეფის კარის გარიგების ნორმები, „კარის ცხოვრებისა და ცერემონიალის ყოველი დეტალი“, სამხედრო ხელოვნება და მეტადრე (ხაზგასმულია დედანში) სამხედრო ორგანიზაცია, „ვაჰართა კლასის ურთიერთობის საფუძვლები“ და ა. შ.¹ სხვა ნაშ-

¹ ივ. ჭავჭავაძის შრომა, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 13.

რომში, რომელშიც მეცნიერი პოემის რაობას იხილავდა, „ეპოქის სოციალური კულტურის“ შეპირისპირებით, კერძოდ, წინ წამოწეულია კითხვა, თუ პოემაში როგორ აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა?.

ეს მცირეოდენი შენიშვნაც კმარა იმის დასადასტურებლად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყოვლისმომცველი კვლევის საქმეში, კერძოდ, საისტორიო მეცნიერების ადგილი მნიშვნელოვანი ჩანს; სპეციალისტი-ისტორიკოსის სარგო-სარუსთველო თემატიკა, საისტორიო ძიებანი პოემის შესწავლის საერთო გეგმაში ორგანულად თავსდება, დღემდე დაგროვილი სათანადო გამოცდილება კვლევის გეზსაც იძლევა. ამ გეზის დაცვით, ჩვენ ქვემოთ ორიოდვე სარუსთველო საკითხს ვეხებით, სწორედ საისტორიო ინტერესების თვალსაზრისით, უფრო ზუსტად, — თამარის ისტორიკოსთა შრომების ზოგიერთი დეტალის გათვალისწინებით.

პოემის მიზანდასახული შინაარსობრივი შედარება თამარის დროინდელ საისტორიო ნაშრომებთან, როგორც ამას გვიჩვენებს საკითხის შესწავლის ისტორიაც, ყოველთვის გარკვეულ ეფექტს ქმნის, ერთბაშად „მოუგერიებელ შთაბეჭდილებას“ ახდენს. პირველად ყოვლისა, წინ დგებიან ცალკეული ადამიანები იქიდან (პოემა) და აქედან (ისტორია), ერთმანეთში ვანსხვავებულნი, ხოლო თავისი „ბიოგრაფიული“ დეტალებით თითქოს იგივენი. აგერ ნესტან-დარეჯანის მამიდა დავარი:

დავარ იყო და მეფისა, ქერივი, ქაქეთს გათხოვილი,

მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი (330, 3—4).

ამ ტაეპებში ნაჩვენები ნიშნების მიხედვით, დაჯარის პროტოტიპად, ორეულად, თითქოს გვევლინება თამარის მამიდა — ეგეც ქერივი, „სძალყოფილი დიდთა სულტანთა“, თამარის აღმზრდელი დედოფალი?.

თამარ მეფის მშენებით მოჯადოებული მკითხველი, რომელმაც ერთხელვე მიაშვავსა ამ დიდებული ქართველი ქალის სახეს რუსთველის თინათინის სახე, ვერასოდეს ველარ დააშორებს მათ თავის ცნობიერებაში ერთმანეთისაგან. ორივე მსგავსად არიან დაბრძენებულნი, სამეფო კეუით დაჯილდოებულნი, ორივე — მეფის „ძენი“, ე. ი. ტახტის მემკვიდრენი, რომელნიც ერთნაირად იქერენ ტახტს თავ-თავისი მეფის (მამის) ხელით დალოცვილნი და ა. შ.

² * ქ ვ ე. გვ. 18.

² ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ლ ე ა რ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი; გამოც. ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 13. (ქვემოთ: ბასილი).

ასეთი შეხვედრები და პარალელები, ურთიერთშემსგავსებელი სახეები და ფაქტები, მეტადრე რამდენადაც იგინი იხატებიან — პოემშიც და ისტორიაშიც — ერთი ხასიათის, ერთი სიდიადის მქონე კულტურულ-ისტორიულ ფონზე, გამსკვალულნი ერთი ეროვნული შემოქმედებითი სულით, ერთი იდეოლოგიით, — ბეკლევერისათვის ქმნიან გარკვეულ საცდურს, ძველქართულით, „დაბრკოლებას“: მაცდური ხდება სურვილი — მკითხველის მაინტრიგებელი აღნიშნული შეხვედრები და პარალელები ისე შეითხზან და შეეკავშირდნენ, რომ ისინი გამოჩნდნენ ისტორიული სინამდვილის ამსახველ ერთგვარი პრაგმატიკული რიგით აწყობილ ფაქტებად. ამ მიმართულებით ცდებიც ჩატარებულა აქა-იქ. ნიმუშად შეიძლება დაგვესახელებინა ლოგიკურად დასრულებული ცდა კეთილად მოსაგონარი ქართველი ისტორიკოსის სიმონ ქვარიაშისა — დაემტკიცებინა, რომ პოემაში თითქოს უნდა ასახული იყოს ქართველთა მეფის გიორგი III-ის ძმისწულის დემეტრეს, იგივე დემნას პოლიტიკური თავგადასავალი⁴. საჭიროა კრიტიკამ ასეთი ცდებიც გაიგულოს პოემის შესწავლის საგულისხმო ისტორიაში, გამზიარებელმა იმ საღი შეხედულებისა, რომ „ყველას, ცხადია, ამ შესწავლის დრო თავისუფალი მსჯელობის სრული უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული“⁵.

მაინცდამაინც, საისტორიო მნიშვნელობის პოზიტიურ სამუშაოდ ჩვენ მივიჩნევთ ისეთს, რომელიც პრინციპულად ეთანხმება საკითხთა ზემოთგათვალისწინებულ სამუშაო პროგრამას. ქვემოთ მოტანილი ჩვენი დაკვირვებებიც ასეთ პროგრამას ეგუებიან.

ჩვენგან შერჩეულმა შემდგომმა მაგალითებმა, დამოუკიდებელი იმისაგან, თუ რაოდენ ახლად ან, ყოველ შემთხვევაში, განახლებულად, უმეტეს დაზუსტებულად და ამოწყულად გამოჩნდებიან ისინი დღემდე მოპოვებულ სარუსთველო დაკვირვებათა ფონზე, ხელი უნდა შეუწყონ პოემისა და „ისტორიების“ მონაცემთა ურთიერთშეპირისპირებას, მათ ორკერძო კომენტირებას, ფაქტების დამთხვევათა ზომა-ხასიათის გამოვლენას.

1. სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართოდნ მართოდ ასული (33,1).

თავის დროზე გამოირკვა, რომ „ძე“ მსაზღვრელის ხმარება ასულის, ქალის მიმართ საერთოდ ძველქართულში შეწყნარებული

⁴ ს ი მ ო ნ ქ ვ ა რ ი ა შ ი, შოთა რუსთველი და მისი პოემა, ქუთაისი, 1914,

⁵ ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფილისი, 1914, გვ. 666.

ყოფილა, რადგან „ძე“ მემკვიდრეს ნიშნავდა. სწორედ ასევე იმდროინდელ ქართველ მეფესაც, გიორგი III-ს (1156—1184) არ ჰყავდა ვაჟი. ბასილის ცნობით, „ამას შვილი არ ესუა და მისთვის მწუხარე იყო უშვილოებისათვის“. ბოლოს „იშვა მათგან ქალი“ — თამარი, მემკვიდრე და „ძე“ გიორგისი. იქ — თინათინი, აქ — თამარი. იქ — არა მარტო თინათინი არაბეთისა, არამედ ნესტან-დარეჯანიც ინდოეთისა. ეგ ორი უკანასკნელი თანაბრად „ორეულობენ“ თამარს. მსგავსად თამარისა (და თინათინისა) ნესტანიც — ინდოთ მეფის ფარსადანის „ძეა“, მემკვიდრეა. ნესტანის კირისუფლები ხვარაზმშას, სამზახლოს, უთვლიან —

შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი, არს ერთი ქალი საქო, არ კიდევე-გასათხოველი“ (514,3-4).

ე. ი. მან ძეობა, მემკვიდრეობა უნდა გასწიოს, გადაღმა ვერ გავათხოვებთო, და ა. შ. საყურადღებოა, რომ თამარის მომსწრე პოეტი ორ სამეფოს ხატავს, ორგანვე ტახტის მემკვიდრედ ქალი ესახება, — ორივე ქალი, თამარისებრ, ბედისაგან მეფედ არჩეული.

თინათინი —

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბალია“; მან ნამდვილად „იციის მეფობა“ (39,1 და 39,2). ნესტანიც მამას მოეველინა „მეფობისა ქმნისა მწოთმად“ (328,2). საქმე ქალების გამეფებას ეხება, და მათი საიმისო უფლება საგანგებო დასაბუთებას, არგუმენტაციას მოითხოვს. ვაჟის გამეფებას ამდენი „მზადება“, ცხადია, არ დასჭირდებოდა.

2. როგორც ზემოთ ითქვა, პოემაში ჩანს იმდროინდელ, გაერთიანებულ საქართველოში არსებული სამეფო კარის გარიგების ნორმები. პოემაში ასახულა მეფის კურთხევის წესები. შესაძარებელ მასალას ჩვენ ვპოულობთ როგორც ძველ ისტორიკოსთა ნაწერებში (დავითის, თამარის „ცხოვრებანი“), ასევე სპეციალურად შედგენილ „განგებაში“. ს. კაკაბაძის არქეოგრაფიულ ნაშრომებში წარმოდგენილია „მეფის კურთხევის წესი, XIII საუკ. დასაწყისის შედგენილი“ (თბ., 1913)?

მეფის კურთხევის აღწერილობებში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ წინააღმდეგობამ, რომელიც თითქოს თავს იჩენს აღიარებული ნორმების დაცვის მხრივ პრაქტიკაში. თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „ვინაჲთგან ლიხთიმერიოთგან იყო წესი დადგმად

* იხ. ჩვენი წერილი კრებულში «Исследования по истории культуры народов Кавказа»; М.-Л., 1960.

⁷ საკითხი ვრცლად აქვს გამოკვლეული ივ. ჯავახიშვილს (ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკვ. 2, ტფ. 1929. გვ. 192 და შდგ).

გვრგვნი თავსა სამეუფოსა, აწუიეს... მთავარებისკოპოზი ქუთათე-
ლი ანტონი საღირის ძე მოღებად გვრგვნისა^ა. ი. ჯავახიშვილი თავის მხრივ განმარტავს, რომ „მეფის კურთხევის წესის თანახმად, მეფის თავზე გვირგვინის დამდგმელი უეპველად ლიხთიმერელი უნდა ყოფილიყო“^ბ. როგორც ცნობილია, თამარისათვის ორჯერ ვახ-
და საჭირო ტახტზე აყვანის ცერემონიის შესრულება. ჯერ მამამ მოასწრო თავის ტახტზე მისი აყვანა; მერმე, მამის გარდაცვალების შემდეგ, ცერემონია განმეორებით შესრულდა.

საეპვეა, რომ ქუთათელის მოუხსენებლობა გამოწვეული იყოს ისტორიკოსის განზრახვით — შეამოკლოს ცერემონიის აღწერა. თამარს — „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა“ თვითონ მამამ, გიორგიმ, მაშინ როცა მხოლოდ განმეორებულ ცერემონიაში განხორციელდა ის „წესი“, რომლის თანახმად, როგორც ზემოთ ითქვა, თამარის დასალოცავად თავისი პრეროგატივი განახორციელა ქუთათელმა. ცერემონია მცირეოდენი განსხვავებით არის გადმოცემული ბასილისთან. იქ იკითხება:

„წარჩინებულთა... დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი:... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჭუარისა და მის თანა ღროშა... ყოველთა ერთა... აწუიეს თამარს კრმალი მამული თანა საყდრიფურთ, მამისა მინიქებული“.

გვირგვინი? — „იხილეს (რა) კელისუფალთა მღვდელთმომძღუართა[თა] მეფე გვრგვნოსანი და ქება შეასხეს“ და ა. შ. (ბასილი, გვ. 13). დინასტიური უფლებებისათვის გამწვავებულ პირობებში იქნება შემთხვევის საქმე არ იყო, თუ გიორგიმ თვითონ „დაადგა გვირგვინი“ თავის ასულს. მაინცდამაინც, პოემაში თინათინის გამეფების სურათი ეთანხმება თამარის ტახტზე პირველად აყვანის სურათს:

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“
(45, 1—3).

3. თამარის ტახტზე აყვანის ცერემონია, ვფიქრობთ, გეგუთის დიდებულ სასახლეში უნდა ყოფილიყო შესრულებული. გეგუთს, „ტაძარსა სამეუფოსა“, სადაც სავარაუდებელია, ესვენა ახლად გარდაცვალებული გიორგი, მის სატირლად მობრძანდნენ თვით თამარი — ტფილისის ისნის სასახლიდან და გარდაცვლილის დაი რუსუ-

^ა ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოც. 1941, გვ. 74.

^ბ ქართული სამართლის ისტ., წ. 2, ნაკვ. 2, გვ. 195.

დანი — სამშვილდიდან. აქ იყვნენ ვაზირნი და სხვა ხელისუფალნი. აი ამ ამბის თხრობას საბაბი მიუცია ისტორიკოსისათვის სასახლის დიდებაჲ აღწერა. მოსულთ, პირველ ყოვლისა, თვალწინ წარმოუდგათ ზილიადე ტახტისა — „საყდრისა, ცამდი ამალღებულისა“, იხილეს „თანა პორფირი და გვრგვინი სკიპტრითა“, აგრეთვე „ქელღებიცა სრისაი სავსე“, ჩვენი გაგებით — სავსე ფრესკული ნახატებით. ჭამონატული ყოფილან „მეომართა რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყუჲდილი და ოქერ-ქმნილი“, „ოქერ-ქმნილი“ იმ აზრით, რომ ამ ციხე-ქალაქებს მოაკლდათ მეფე-პატრონი, აწ ოხრად დარჩენილებს¹⁰. ავტორი იქვე დასძენს. „თვთ (გიორგი მეფე, ვ. დ.) იხილეს ტანითა გორგასლანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერითა, კაცი, იროიკოდ საგონებელიო“. ეს, ალბათ, იმავე კედელზე იყო გამოსახული („პი-ტაძარსა სამეუფოსა“, სადაც სავარაუდებელია, ესვენა ახლად გარითა მნათობიერითა“) ან იქნებ იგულისხმება მხოლოდ უსულო ცხედარი მეფისა. ეს თვითმზილველის ერთ-ერთი აღწერილობაა მეფის სასახლისა. ზემოთ მოხსენებული ისანიც, იმავე ავტორის დახასიათებით, წარმოადგენდა თამარის რეზიდენციას, „საჯდომსა მათსა ციხესა“, იყო „სამოთხის მსგავსი საყოფი“¹¹.

უკვე აღნიშნული ტაძარ-დარბაზები კმაროდა „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედისათვის ნიმუშად, რათა მით შთაგონებულ პოეტს პოემაში ჩახატული სასახლეებისათვის ბრწყინვალემა არ მოეკლო. მაგალითად, ნესტან-დარეჯანისათვის ნაგები დარბაზებისათვის შესახებ ნათქვამია:

„მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა:
ქედ ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,
ქარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჟი ვარდის წყალისა“
(329, 1—3).

4. თამარი, ისე როგორც თინათინი, ღირსეულად იპყრობს „ცამდი ამალღებულ“ ტახტს, ვახტანგ გორგასალის, საერთოდ ვახტანგიდების („ტახტი ვახტანგეთი“) შარავანდედით მოსილს. თამარის პირველივე მმართველური ნაბიჯები ამჟღავნებენ მის კარგ გაწრთვნილებას მეფობის საილუმლოებაში, რომელიც უზრუნველჰყვეს თავისი ქალისათვის მამამისმა გიორგიმ, სახელოვანმა მამი-დამ რუსუდანმა. საილუსტრაციოდ აქ გამოვლავება ბასილის შემდეგი სტრიქონები:

¹⁰ ისტორიანი და აზმანი, გვ. 72.

¹¹ იქვე, გვ. 72.

თამარმა „იწყობა განგებდა, ვითარ იგი მობერვიდა სული“,¹² როგორც შთააგონებდა ღმერთი.

მან „მიმოიხილა სიმახელითა ცნობისათა თუისსა გარემო ყოველი“, თვალი მოაველო დარბაზს, ვაზირებს, ხელისუფლებს და, გვარწმუნებს ისტორიკოსი, ერთბაშად ამოიკითხა მათ თვალებში — ვინ რა შვილი ბრძანდებოა, „მყისსა შინა შეემეცნა, ხილვითა ოდენ, წრფელთა და დრკუთა, გულარძნითა და უმანკოთა, ერთგულთა და ორგულთა, და სიბრძნითა გონებისა თვისითა პირველად ყოველსა ზედა დასხა წყალობა უხვებით“. ეს იმ ვარაუდით, რომ საქმე როცა საქმეზე მიდგებოდა, ერთგულები მაღლიერების გრძნობით გაუწევდნენ მეფეს სამსახურს, დანარჩენებს კი, უპირობებს, როცა მათ ორგულობისათვის კანონი აზღვევინებდა, სასაყვედურო არაფერი ექნებოდათ, ხმას ველარ დაჰბერავენ (რადგან მათ ეერ დაუფასეს მეფეს უხვი წყალობა), ისტორიკოსი ლაპიდარული ენით, „რათა ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით მაღლიერობდნენ, ხოლო მეორენი უსიტყუელ იყუნენ მიგებისათუის სამართლისა“. ეს პრაქტიკული სიბრძნე „ვეფხისტყაოსნის“ მეფესაც მთელი სისრულით არა, მაგრამ მინც მოსდგამს. როსტევეანი წესად უდებს თინათინს:

„ვარდთა და ნებვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წერილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების. უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,“

ხოლო გაგრძელებაში სენტენცია ასეა გამოთქმული:

„უხვსა ჰორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“...
(49, 1-3 და 50,2)

მკითხველი კარგად გაარჩევს, რომ ბასილისთან გამოხატული ეს სიბრძნე, ასე ვთქვათ, უფრო რთულ „პოლიტიკას“ ავლენს. საერთოდ, უხვი და საყოველთაო წყალობა სამეფო პრაქტიკაში დიდ სათნოებად და მჭრელ იარაღად იყო მიჩნეული და როგორც მოტივი, ძველ ლიტერატურაში ფართოდ არის გამოყენებული.

„ვარდთა და ნებვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“... (49,1) — ეს პირდაპირ გამოძახილად უღერს ბასილის გამონათქვამის მიმართ თამარის შესახებ:

„...და ვითარცა მზე, სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თვისთა შარავენდელთასა. ესრეთ წყალობითა ყოველ-

¹² ბ ა ს ი ლ ი, გვ. 14.

თათა მოიზიდვიდა წყალობად ლ(მერთ)სა¹³. თამარის პორტრეტის დამუშავებით გატაცებული მისი პირველი ისტორიკოსიც მიმართავს ამ მოხდენილ შედარებას. იგი წერს:

„ოღესმე რომელიმე აღებაძვის ზენასა მნათსა ქუენაი მნათი გინა თუ ვუენებითა უცხოათა და უსახოათა, გინა თუ სიბრძნის-მპყრობელობითა, გინა თუ მზეებრ უხუეებითა და მომფენეობითა (ნათლისათა, ვ. დ.) მართალთა ზედა ცოდვილთა“¹⁴...

ზოგან სიუხვის სიმბოლოდ, შვისა ნაცვლად გამოყენებულია ღრუბელი, ბასილის სიტყვით, თამარი „ქინლა და ყოველსა ზღვასა აღმოიწრედლა თვსად, ვითარცა ღრუბელი, ყოველთა ზედა მსხურებელი ტუბილთა წკმათა“ (ბასილი, 36). მერმინდელ ლიტერატურაშიაც გვხვდება ამის გამოძახილი. ფინეზ მეფესაც „სიუხვე მისა ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა“¹⁵.

ასეთი შეპირისპირება მკვიდრ საფუძველს იძლევა იმის დასადასტურებლად, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი და თამარის ისტორიკოსები ერთ მკვიდრო წრეს ეკუთვნიან, ერთ მშობლიურ-მწიგნობრულ ტრადიციებს ემორჩილებიან.

ზემოთ თქმულის თანახმად, იმის მიჩვენებული მასალა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მკაფიო ანარეკლია საქართველოს ისტორიული სინამდვილისა, მკვლევარს არ შემოაკლდება. ჩვენი ამ მოკლე სტატიის მიზნის შესაბამისად საკმაოა, ზოგადად, პროგრამულად მოეთვალთ კერძოდ შემდეგი რეალიები, რომელთაც უნდა ცხადყოფნ, რომ პოემის „საშენ“ მასალას მისი შემოქმედის იღებდა იმავე კულტურული ნიადაგიდან, საიდანაც თამარის ისტორიკოსები. აი კიდევ რამდენიმე ნიმუში:

სახელმწიფო თუ სამხედრო-საადმინისტრაციო ცნებებიდან — ვაზირი, სავაზირო, ამილახორი, მანდატური, ამირ-სპასალარი, სპასალარი, სპასპეტი, საკარგავი (336,3), „საკარგავნი მრავალნი“¹⁶; სანაპირო (163,3, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული), სანაპირო, მონაპირენი (ბასილი, გვ. 23). მეფე, მეფეთ-მეფე და სხვ.

5. კარგა ხანია, რაც სპეციალურ ლიტერატურაში გამოცოცხლდა ცნობილი მწიგნობრის ანტონი I-ის უწყება იმის შესახებ,

¹³ ბ ა ს ი ლ ი, გვ. 35.

¹⁴ ისტორიანი და აზმანი, გვ. 75.

¹⁵ სიბრძნე-სიტრუისა, გვ. 1: ვ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1928.

¹⁶ მატანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955, გვ. 311.

რომ შოთა რუსთველს, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, უნდა ჰქონოდა დაწერილი აგრეთვე ისტორიული ნაშრომიც. ანტონს თავის ნაშრომში შოთა რუსთველი დასახელებული ჰყავს, როგორც „გამომთქმელი მეფის თამარის ცხოვრებისა“. ერთგან ანტონს შემდეგი საგანგებო სათაურიც მოეპოვება: „წერილითგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხორებაჲ მეფის თამარისა“¹⁷. საკითხის შესწავლა გრძელდება, იკვლევენ საკითხს, მაინც რომელი „ცხორება“, რომელი ნაწარმოები შეიძლება იყოს თამარ მეფის შოთასეული „ცხორებაჲ“ (ივ. ლოლაშვილი). რაკი საქმე შოთას საისტორიო შრომის ძებნაზე მიდგა, ბუნებრივად იბადება კითხვა: იქნებ ამის შესახებ თვითონ „ვეფხისტყაოსანშიც“ იყოს მითითება.

ამის საპასუხოდ თავისებურად გავიაზრეთ პროლოგის შემდგომი ადგილი:

„თამარს ეაქვბდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ეტქვენი ქებანი ვისნი მე არ-აჲად გამორჩეული“ (4,1—2).

ცნობილია, რომ პროლოგის ეს „ქებანი“ ჩვენს სპეციალისტებს ჩვეულებრივ აგულისხმებინებს მხატვრულ ნაწარმოებს, პოეტური შემოქმედების ნიმუშს. მაგრამ ვინც იზიარებს ანტონის ზემოთ მოყვანილ ცნობას, ვფიქრობთ, მას საბაბი ეძლევა პროლოგის „ქებანი“ მიიჩნიოს თუნდ ისტორიული ხასიათის ნაშრომის მანუშნებელ სიტყვად. ჩვენი დაკვირვებით, საშუალო საუკუნეთა საისტორიოგრაფიო ტრადიციები იძლეოდა ნებას აღამიანის „ისტორია“, „ცხოვრება“ აღნიშნულიყო სიტყვითაც „ქება“, „ქებანი“. მსგავსად იმისა, რომ მაგალითად, თამარის ცხოვრების აღმწერმა ანონიმმა თავის თხზულებას დაარქვა — „ისტორიანი და აზმანი“, ხოლო აზმანი, როგორც ეს ნაშრომის ცალკე გამომცემელს კ. კეკელიძესაც აქვს შენიშნული, ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „გალობას“, „ქებას“. უფრო მეტი:

ეს საისტორიო ნაშრომი — „ისტორიანი და აზმანი“ — ავტორის მიერ პირდაპირ რეკომენდებულია, როგორც თავისებური „ქებაჲ ქებათაჲ“ სოლომონ მეფისა, ერთგვარი მიბაძვა ამ უძველესი ნაწარმოებისა. იგი წერს: „...დავსცე სულამიტისა სახედ საყვრსა ქებაჲ ქებათაჲ, რომელსა იგი ჰგალობს სიბრძნითა მეიგავე სოლომონ“¹⁸. ისტორიის, „ცხოვრების“, ბიოგრაფიის წერა, ჩვენი ანონი-

¹⁷ ამ ცნობის წინ წამოწევა და წინასწარი კრიტიკული შეფასება ილია აბულაძეს ეკუთვნის (იხ. ი. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულების შესახებ, ვნიშქის „მოამბე“, ტ. III, ტფ., 1938, გვ. 203).

¹⁸ ისტორიანი და აზმანი, გვ. 53 (თხზულების ამ ადგილის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 115—123. რედ.).

მის შემეცნებით, იგივე ქების წერაა, ქებაა. ისტორიკოსი თამარის ისტორიის თხრობას წინ უმძღვარებს მამამისის, გიორგის, ცხოვრების აღწერას. ამ ნაწილსაც იგი იწყებს ასე: „აწ ვიწყო ქებად... შეილისა ნათელშემოსილისა (=თამარის) მამაი, გიორგი“¹⁹. ბოლოს მოჰყვება თვით თამარის „ქებასაც“, იწყებს რა მგზნებარე სიტყვებით: „მკუეთებელმან (მე), მსგავსად ქვისა და რკინისამან, აღმოეშობო ცეცხლის სიყუარულისა და ქებისადა სურვილისაო...“²⁰. აქ ყურადღებას იპყრობს რეალიების გამოყენების პოეტური ხერხი: ქვისა და რკინისა (ტალ-კვესისა), რომლისა „კვეთება“²¹, დაკვესვამ უნდა აღანთოს თამარის სიყვარულის, ქების ცეცხლი ისტორიკოსის მხრივ. ხოლო ქვისა (აღმასისა) და ტყვიის გრდემლისა პოემის პროლოგში:

„გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა. (5,4).

ჩვენ მხოლოდ პირობით ვცნობთ შესაძლებლად, აღნიშნული თვისების „ქებანი“ გავიგულოთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მითითებულ ტაეში (4,2).

6. მუსლიმურ, „მაჰმადიანურ“ გარემოცვაში მყოფ საქართველოში სპარსულის, არაბული კულტურის ელემენტები საუკუნეთა მანძილზე ისევე ამრავალფერებდა, ამდიდრებდა ადგილობრივს, ეროვნულ კულტურას, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურიც. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი, მეტადრე დიდი კავკასიის ფარგლებში დამყარებულნი, თვით ქართველი ხალხის პოლიტიკური წყობილება და საქმიანობა — ყოველივე ეს მოითხოვდა ქალაქების (ტფილისის, ანისის, დვინის და სხვათა) მუსლიმი ვაჭარ-ხელოსანი მოსახლეების ინტერესთა გათვალისწინებას, შარვანთან, არანთან და სხვა სახელმწიფოებთან ჩვეულებრივი დამოკიდებულების მოწესრიგებას. ამით იყო გამოწვეული აღმოსავლური ენების პოპულარობა საქართველოში, ზოგი მუსლიმური წეს-ადათის შემწყნარებლობა, — იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო მტრისა და მოყვრისათვის პასუხის გაცემა.

მოვიტანოთ დამახასიათებელი ფაქტი რუსუდან დედოფლის საკარისგამრიგეო პრაქტიკიდან:

„ესე იყო სძალ-ყოფილი ღიდთა სულტანთა 'შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა“ (ბასილი, გვ. 13). რუსუდანმა ქორწილი გადაუხადა თამარს (და დავით ზოსლანს). ამ ქორწილში „...დედოფალი რუსუდანი ყოვლითა სიბრძნითა საესე,

¹⁹ ი ქ ე ე, გვ. 53.

²⁰ ი ქ ე ე, გვ. 73.

მოქმედებდა: აქაით ბაგრატიონი ბაგრატიონთა გუარზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა, და ქუემოძთ(=სამხრეთის მხრივ), ხუარასნისა და ერაყის სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, მუნებუჩითა სახეობითა და შუენებითა მოქმედებდა²¹. საგულისხმო ცნობაა. დიდ მეჭლისზე ეროვნულ „რიგთა“ გვერდით (ყარის გარიგების ტრადიციული წესები, ქართული „სმა-ჰამა“, გართობა, სიმღერა, ქორეოგრაფია) სრულდებოდა ხუარასნულ-ერაყული „რიგიც“ — ვის რა ეამებოდა.

მოტანილი ცნობაც ნათლად მოწმობს, თუ რა რთული ხასიათისა უნდა ყოფილიყვნენ ქართველთა და მაჰმადიანთა ურთიერთობანი მაშინ შექმნილ ვითარებაში. ომები თუ სავაჭრო-საწარმოო შეხვედრები და თანამონაწილეობა ან სხვა რიგის ფაქტორები მეტ-ნაკლებად ზრდიდა საქართველოში მუსლიმური მოსახლეობის ინტერესთა ხვედრით წონას.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რა თქმა უნდა, ქართულ და მუსლიმურ კულტურათა, სათანადო რწმენათა, შემეცნებათა აღრევას, იდეოლოგიური ბრძოლის უარყოფას. ვთქვათ, ქრისტეს თავისი ადგილი რჩებოდა, მუჰამადს — თავისი. დიდი სიცოცხლისუნარიანობის მქონე ქართველი ხალხი, რომელსაც საუკუნეთა დენაში მტკიცედ ჰქონდა შეთვისებული საკუთარი კულტურის ობიექტური უპირატესობა, რომელიც ნეოპლატონიკური ფილოსოფიის სიმალეებიდან გონების თვალთ განიცდიდა მუსლიმობის დიდ ჩამორჩენა-შეზღუდულობას, მოპირდაპირის ძალებს ფაქიზი იუმორითაც აფასებდა. ეს გამოსკვივის „ვეფხისტყაოსანშიც“ და თამარის ისტორიკოსებთანაც. პოემის „ამბავში“ მუსლიმანთა თითქოს დიდი ცოდნასიბრძნის საპატიო წარმომადგენლები — მუყარნი და მულიმნი სასაცილო როლში გამოდიან, თითქოს ყველას მხსნელი „მუსაფი“ (სალოცავი წიგნი) მათ განსაცდელის უამს ვერავითარ შემწეობას აძლევს, მხოლოდ სისულელეს „აჩმახვინებს“ (351, 1—3). საგულისხმოა, რომ თვით მაჰმადის სახელიც პოემის ავტორს არც თუ დიდად საპატიო კონტექსტში მოჰყავს. ერთგან მუსლიმი ვაჭრები აცხადებენ:

„გარდახდა ჰადრეს: ჩვენ ვართო მობალადენი ვაჭარნი. (4,4).

მაჰმადის რჯულის მკირაენი, აროდეს გვისვამს მაჰარნი“. (1031, 1—2).

აქ ჭლერს თავშეკავებული ირონია — მაჰმადის სჯულის მოთხოვნათა აზრი ასეთი ფუქსავატიანო.

თამარის ისტორიკოსებთანაც აგრეთვე: პირველი ისტორიკოსი, მაგალითად, ამბობს მუსლიმი მფლობელის — მუტაფრიდინის შესახებ (რომელიც არზრუმის მეპატრონეთაგანი უნდა ყოფილიყო),

²¹ ისტორიანი და აზნანი, გვ. 89.

რომ მან, თამარის ქმრობის მძებნელმა, ყველაფერზე ხელი აიღო, დააგდო თვით „მუჰამედის სჯული ტყუილიო“. (ისტ. და აზმ., გვ. 86).

საქართველოს გააქტივებული საგარეო პოლიტიკის შედეგად შევიწროებული მუსლიმობის მდგომარეობის დასახასიათებლად ისტორიკოსს დამცრობილ როლში გამოჰყავს სულიერი მეუფეც მუსლიმანებისა, ხალიფა — „თვით იგი ხალიფა შეშინებული“, შეშინებული „და მოაჯე“, შემწეობის მთხოვნელი „ქუე-ჯდომით მოჰმედისაგან“. თვით ხალიფა მათებური წეს-ჩვეულებით ჯდომელა („ქუე-ჯდომით“) ითხოვს ხსნას მოჰმედისაგან (და არა „მოჰმედისაგან“, როგორც ეს, ვფიქრობთ, შეცდომით იკითხება დედანში)²².

ამ ჩვენმა სტრიქონებმა მოითხოვა, და ამიტომ ზედიზედ გამოვიყენეთ ცნებები — მაჰმადიანი, მუსლიმნი, რომელნიც შუა საუკუნეთა ქართველ ისტორიკოსებთან იხსენიებიან, როგორც „მუსულმანნი“²³, „მუსურმანნი“²⁴, „მოჰმადიანნი“ (იქვე, შდრ. მოჰმედი), „ისლემთა ერი“²⁵, „ისლემნი“²⁶, „სარკინოზნი“²⁷. გიორგი III-მ „აღკურვა მკლავნიცა მუსრავედ და მოწყუედად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მაჰმადიანთა“²⁸. აქ მოთვლილი სახელები უმეტესად სარწმუნოებრივი მიკუთვნების ნიადაგზეა წარმოშობილი და ფარავს სამუსლიმო აღმოსავლეთს საერთოდ. მაგრამ ჩვენს წყაროებში, რა თქმა უნდა, გვხვდება ეთნიკური სახელებიც. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ეპოქა ხასიათდება ახლო აღმოსავლეთში თურქობის, სელჩუკ თურქთა ბატონობით. მაგრამ თურქთა ეთნიკური სახელი თამარის ისტორიაში ჩვეულებრივ გამოყენებულია მცირე აზიის („რუმის“) სასულტნოს მიმართ, კარის, ანუ ყარსის ომთან დაკავშირებით²⁹. თუმცა იქვე იხსენიებიან თურქნი „გარმიანისანი“, უთუოდ — ქირმანისანი³⁰, „ლაშქარნი არანისა (აზ. სსრ მტკვრის სამხრ. ნაწ. — ვ. დ.) და გელაქუნისა თურქთანი“³¹, ხლათის ქვეყნისა, „შაჰარმენის ლაშქრის“ მოლაშქრენი³² და სხვ.

²² ბ ა ს ი ლ ი, გვ. 19.

²³ ისტორიანი და აზმანი, გვ. 56.

²⁴ ბასილი, გვ. 25.

²⁵ ი ქ ვ ე, გვ., 26.

²⁶ ისტორიანი და აზმანი, გვ. 106.

²⁷ ი ქ ვ ე, გვ., 58.

²⁸ ისტორიანი და აზმანი, გვ. 56.

²⁹ ი ქ ვ ე, გვ. 124.

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 57, 82.

³¹ ი ქ ვ ე, გვ. 82.

³² ი ქ ვ ე, გვ. 96.

თამარის „პირველი“ ისტორიკოსი, თურქთა სახელის არაერთ-ხელ გამოყენებელი, იცნობს ტერმინსაც—„სელჩუკიანი“ (გვ. 87). თამარის ლაშქართა ძალისაგან, წერს ისტორიკოსი, მტერი ისე იყო დამფრთხალი, რომ „ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს“³³.

უფრო ფართოდ არის ნახმარი სპარსთა სახელი — როგორც „პირველ“ ისტორიკოსთან, ისე ბასილისთანაც. გვხვდება „სპარსეთის“ ანტიკური ხანის სახელიც — „ქუეყანაჲ პართთაჲ“³⁴: ბასილიმ იცის „ერანელნიც“ (გვ. 21). ჩვეულებრივი მაინც არის „სპარსი“ და მისგან ნაწარმოები სახელები.

საქართველოს მოპირდაპირე მხარედ — მაშინ გაბატონებული, ტრადიციული ტერმინოლოგიით — გამოდიან არა თურქნი-სელჩუკნი, არამედ — „სპარსნი“ (თუმცა ესენი, პირიქით, თვითონ იყვნენ თურქ დამპყრობთაგან დაძალუღნი). ამიერკავკასიის საზღვრებზე საქართველოს მხედრობის ზმიერი გამარჯვებების შედეგად „შეიწრდეს ყოვლით კერძონი სპარსნი“³⁵. რუმის ძლიერ სულტანს რუკნედდინს, სელჩუკიანს, ცხადია, შეეძლო განსაცდელის ჟამს გამოსარჩლებოდა არა „სპარსელებს“, არამედ მათზე გაბატონებულ სელჩუკათაბაგებს, ამირებს, ბასილის ენაზე კი — რუკნედდინი („ნუქარდინი“) ვითომ აღუშფოთებია ქართველთაგან „სპარსეთის“ დაჩაგვრას და თამარის კარისთვის მიუმართავს ულტიმატუმით: „აწ მე მოვალ, რათა ვუსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა“ და ა. შ.³⁶.

ყველა ამის გამო ბუნებრივად გვეჩვენება, რომ მსგავსი მტრული განწყობილება „სპარსეთთან“, ეს ანტაგონიზმი „სპარსთა“ მიმართ თავის გამოძახილს პოულობს „ვეფხისტყაოსანშიც“, როგორც თანამედროვეობის ფართოდ ამსახველ ძეგლში.

„ესე ამაღ არ ეგების, რომე სპარსნი გავიხასდენ“ (540.4).

აქ ჩაქსოვილი ეპოქალური ზრუნვა საკუთარი თვითმყოფლობის დაცვაზე, სულის მოძრაობის ზრდასთან ერთად, იძენს საბრძოლო ლოზუნგის, ძალას შემდგომ ცნობილ ტაეპებში:

„ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა,

„ჩემია შევიდრი მამული, არ მიესცემ არცა ღრამასა“. და ა. შ. (544, 2—3).

³³ ბ ა ს ი ლ ი, გვ. 23.

³⁴ ისტორიანი და აზმანი, გვ. 83.

³⁵ ბ ა ს ი ლ ი, გვ. 19.

³⁶ ი ქ ვ ე, გვ. 26.

საგულისხმოა, რომ რუსთაველი ერთმანეთისკან ასხევეებს ეთნიკური მოდგმის აღმნიშვნელ სახელს, ერთი მხრივ, და ამ მოდგმის წარმომადგენელ ცალკეულ ხალხებს, მეორე მხრივ. ავტორი, რომელიც თვითონვე ზუსტ სახელს სდებს ამ „სპარსებს“, რომელიც მათ მათივე კუთვნილი სახელით მოიხსენიებს: „ხვარაზმელნი“ (550,3), აღნიშნულ ტაეპში (544,2—3) ირჩევს მათი მოდგმის აღმნიშვნელი ზოგადი ცნება იხმაროს — „სპარსნი“, სწორედ იმავე მნიშვნელობით, როგორცაა ეს ცნება მის თანამედროვე მწერლობაში იხმარებოდა. მაგალითად, ბასილის მოწმობით, თამარ მეფის დროს, ნამდვილად კი გიორგი III-ის დროს, „სპარსთაგან“ განთავისუფლებულ იქნა „დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარუღო (ქართველთა მეფემ, ვ. დ.) სპარსთა“ (ბასილი, გვ. 24). ანისის ისტორიიდან ამავე დროს ზუსტად არის ცნობილი, რომ ამ ქალაქის მფლობელნი იყვნენ არა „სპარსნი“, ამ სახელის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ისევ სელჯუკი თურქნი, უფრო ზუსტად, — მათი „სპარსეთზე“ გავრცელებული ხელმწიფების წარმომადგენლნი ანისში, ტომით ქურთნი, გინა ქურდნი, კურდები, დინასტიური გვარით—შედღადიდები³⁷. ხვარაზმელებიც ხომ ენობრივად, ქურთებივით, ირანულ სამყაროსთან დაკავშირებული იმავე სელჯუკიანთა ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ.

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანში“ ცნება „სპარსნი“ გამოყენებულია ქართულ-ისტორიული ტრადიციის სრული დაცვით, თანაც — „სპარსნი“ იქაც ანტიგონისტურ ურთიერთობაში არიან მოპირდაპირესთან.

საქმის ეს მხარე უნებლიეთ ჩააფიქრებს „ვეფხისტყაოსანის“ მკითხველს და ალუქრავს დამაეკვებელ კითხვებს:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
 ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები,
 ეპოვე და ლუქსად გარდაეთქვი, საქმე ვქმენ საკოკმანები“ (9, 1—3).

აი ეს „ესე ამბავი სპარსული“, თუ იგი მართლა „სპარსული“ ყოფილიყო, როგორ განიწონა, — ვკითხულობთ ჩვენ, — ანტისპარსული სულისკვეთებით, და განიწონა იმდენად, რომ თვითონ „სპარსნი“ — შიგ გამოყვანილი აღმოჩნდნენ სხვისი ქონების „მკამელეზად“, არდასანდობ წამსმელ-წამკმელებად, ისე რომ თვით მათი ტახტის მემკვიდრის „მიპარვით მოკვლა“ („მიპარვით მოკალ სასი-

³⁷ И. Орбели, Развалины Ани, СПб., 1911, гв. 19.

ქო“, 543,2) „მართალი სამართლს“ აქტადაც იქნა შეფასებული (542,4). ნუთუ ასე ყოველი ლოგიკის უკუგდებით შეიძლებოდა შექმნილიყო ჩვენი უკვდავი პოემა?

მაგრამ აქ საკითხი სტილდება ისტორიის საგანს და გადადის ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში, გადადის როგორც ერთ-ერთი, ჭერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხავთაგანი პოემის პროლოგში საერთოდ შემჩნეულ შეუსაბამობათა შესახებ.

«ВЕПХИСТКАОСАНИ» И ИСТОРИКИ ЦАРИЦЫ ТАМАР

Р е з ю м е

Цель резюмируемой статьи — усилить, сделать более убедительной и прозрачной аргументацию, к какой прибегают специалисты для утверждения принятой датировки (XII в.) бесмертного творения гениального поэта Шота Руставели.

В силу неотвратимого положения, что Шота Руставели, поэт реалистического направления, жил и творил в годы царствования знаменитой грузинской царицы Тамар (1184—1213), руководящей стала мысль о том, что общие прогрессивные идеи, воспетые великим певцом, даже сюжетные особенности поэмы, наблюдаемые в ней реалии, черты культуры и быта — это, в общем, составляет отражение исторической действительности Грузии.

Подобные утверждения, сами по себе правильно продуманные, еще, конечно, не освобождают специалистов от необходимости более тщательно, чем до сих пор, изучить вопрос, в первую очередь, по материалам современной Шота Руставели грузинской историографии, так красочно иллюстрирующей и поясняющей многие и многие места поэмы. Известны положительные высказывания на этот счет, в особенности академика И. А. Джавахишвили, у которого читатель может обнаружить и примерную, как это нам представляется, программу вопросов, подлежащих изучению в интересующем нас направлении (см. И. Джавахишвили, Вопросы истории грузинского языка и литературы, стр. 13, 18 и др.; Тб., 1956, на груз. яз.)

Автор этих строк, в частности, предлагает вниманию читателя подмеченные им у историков параллели к четверостишиям 45, 48, 49 и 50; к строфе 33; в прологе поэмы к строфам 5, 9—11. В статье привлечены исторические факты, которые, как считает автор, дают основание признать сомнительной подлинность строф 9, 10, 11 пролога. Они в русском переводе читаются так:

«Я в грузинских пересказах эту повесть из Ирана.

Разыскал и в стих чеканный переплавил без изъяна».
(Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Перев. Шалва Нуцубидзе, М., 1941).

В статье делаются ссылки на 1) так наз. «первого историка» царицы Тамар, которого читатель найдет и в русском переводе проф. К. С. Кекелидзе под заглавием: «История и восхваление венценосцев» (Тб., 1954); 2) на Башили, «Жизнь царицы цариц Тамары» (русск. перев. см. сборник «Памятники эпохи Руставели», Ленинград, 1938).

პირველად დაიბეჭდა კრებულში:
„საქართველო რუსთაველის ხანაში“,
თბილისი, 1900.

თამარის ისტორიკოსთა შესწავლისათვის

ბიბლიოლოგიური საკითხები

ქართულ შუასაუკუნეობრივ საისტორიო წყაროთა შორის დიდი ხანია სპეციალური კვლევის საგნად გამხდარა პირობით (ანონიმურობის გამო) „თამარის ისტორიკოსებად“ წოდებულ მეისტორიეთა შრომები. ამ შრომათა რიცხვში ბრწყინავს ჟერჯერობით გამოვლენილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ჩვენს ენაზე: ისტორია და გალობა-შესხმა შეფეთა („შარავანდედა“): გიორგი III-ის, მისი ასულის თამარ მეფის (როგორც უმთავრესისა) და დავით სოსლანის; და მეორე — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ივ. ჭავჭავაძის მიერ პირობით ბასილი ეზოსმოდღერის ნაშრომად სახელდებული). ამათგან, როგორც ეს ქვემოთ ჩანს, ჩვენი მსჯელობა შეეხება თამარის—რიგით „პირველი“—ისტორიკოსის შემოქმედებას.

ეს ისტორიკოსი თავისი ნაშრომის შესავალს იწყებს იმაზე მსჯელობით, თუ რა ძნელია მისთვის დასახული მიზნის განხორციელება, თამარ მეფის ოლიმპური დიდების, მის „ულუმპიანობათა“ აღწერა. როგორც, — რიტორიკული წესით ეკითხება იგი თავის თავს თუ მომავალ მკითხველს, — ასეთი მძიმე საქმის გაზედავი როგორ გავხდე, ტექსტის ენაზე — „ვითარ უსევითარისა შემკადრე ვიქმნა მე“, ჩემისთანა სიტყვა-უძღური მწერალი? მოსე რომ მოსეა, — ასაბუთებს თავის გაუბედობას ისტორიკოსი, მიმართავს რა ბიბლიური პატრიარქის მაგალითს, იგიც აღიარებდა, რომ მას, თვით მოსეს, აკლდა საჭირო მკვერთმეტყველება და ამიტომ ვერ იკისრებდა ღმრთის დავალებას და ისრაელების წინაშე სალაპარაკოდ წარდგომას. ამავე დროს, ისტორიკოსს, როგორც თვითონ ლაღადებს, წადილი აქვს, ისეთი შრომა, ისეთი ეფექტიანი „ისტორიანი და აზმანი“ მიუძღვნას დიდებულ მეფეს, რომელიც იქუხებდა საქვეყნოდ, იქვეებდა იმ ძალით, როგორითაც დაქვეა, — წერს ისტორიკოსი, — შეიგავე სოლომონმა, ბიბლიურმა მეფემ, თავისი უკვდავი „ქებაჲ

ქებათაჲ“. მკითხველი ამ ჩვენი სიტყვით გადმოცემულ ნაწყვეტშიც შეიგრძნობს, თუ რა ამაღლებულ, საორატორო ტონზეა გამართული „ისტორიათა და აზმათა“ შესავალი. მაგრამ მკითხველმა ისიც უნდა გაიგულოს, რომ ეს შესავალი, ისე როგორც მთელი დანარჩენი ტექსტიც, მეცნიერებისათვის დღეს ხელმისაწვდომ დედანში ძნელი ამოსაკითხავია. შიგ მრავლადაა ადგილები, ძველი მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ, „უამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მკმარებელთაგან დაგესლებულნი“². ლიტერატურაში კარგად ჩანს დასახელებული ძეგლის გაგება-ამოკითხვის სიძნელეები, მათი ზომა და ხასიათი. ამ სიძნელეთა დაძლევისთვის მუშაობას, სათანადო მიღწევა-წარმატებებს თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს³. აქ ორიოდ საპირო დეტალს მოვავრთებთ მკითხველს. „ისტორიანი და აზმანი“, უძველესი ხელნაწერის სახით, ჩვენამდე მოღწეულია XVII საუკუნეში გადაწერილი „ქართლის ცხოვრების“, მარიამისეული ნუსხის, შემადგენელ ნაწილად. ეს „ქართლის ცხოვრება“ (მაშასადამე, „ისტორიანი და აზმანიც“) აკად. ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა 1906 წ. გამოცემა წარმოადგენს ტექსტის სტრუქტურული უცვლელობით, დედნიველ შეცდომა-აღრევათა დაცვით, შესრულებულ პუბლიკაციას. რედაქტორს, ე. თაყაიშვილს, ამასთან ერთად დიდი შრომა გაუწევია ტექსტის ბუნდოვანი, გაუგებარი თუ აშკარად მცდარი ამოსაკითხავების ძალისაებრ გასასწორებლად — სქოლიოებში, სხვა მასალებთან შესამოწმებლად, კრიტიკის თვალთ განსახილველად.

მის შემდეგ სხვა არა ერთ სპეციალისტსაც თავისი წვლილი შეუტანია თამარის ისტორიკოსის ნაშრომის ცთომილებათაგან გასუფთავების საქმეში (აკად. ივ. ჭავჭავაძე და სხვ.). მაგრამ „ისტორიათა და აზმათა“ მთელი ტექსტის „აღდგენის ცდა“ (როგორც ეს აღნიშნულია სათანადო სატიტულო ფურცელზე) პირველმა აკად. კორნელი კეკელიძემ დაისახა თავის უშუალო მიზნად. თამარის ისტორიკოსის დასახელებული ნაშრომი, მარიამისეული „ქართლის

¹ ისტორიანი და აზმანი, ე. კ ე ე ლ ი ძ ი ს, რედაქციით, თბ., 1941, გვ. 53.

² ცხოვრება და მოქალაქობა... გიორგი მთაწმინდელისაჲ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. [ლის] ხელნაწერი, აღაპებით, თბ., 1901, გვ. 310.

³ ამის შესახებ საკმაოდ დაწერილებით იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. II, თბ., 1959, რედაქტორის „შესავალი“, გვ. 07 და შმდ.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გამოცემული ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, გვ. 362—535.

⁵ ივ. ჭ ა ვ ა ძ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 165 და შმდ., სათაურით: „თამარ მეფის ისტორიკოსი“, ტფ. 1916 (უახლესი გამოცემა, თბ., 1945).

ცხოვრების“ შემადგენლობაში ჩვენამდე მოღწეული, კ. კეკელიძემ ცალკე გამოჰყო და შეცდომების სწორებით (როგორც ამას უკანახებდა ამოსაკითხავების გონების თვალთ ქვერტა, სამეცნიერო გამოცდილება, ალლო და ერუდიცია), აშკარად მცდარი ან ბუნდოვანი ადგილების გასაგებ ენაზე გაწყობა-გამართვით (როგორც ამას სთხოვდა ისევ ლიტერატურათმცოდნეობითი თუ ისტორიულ-ფილოლოგიური ცოდნა-გამოცდილება და მიხვედრა) გააშადა „ისტორიათა და აზმათა“ თვისობრივად ახალი ტექსტი, რომელიც 1941 წ. გამოქვეყნდა სათაურით: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა). აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევებით“⁶. რაც შეეხება მკვლევარის ასეთი „ცდის“ შედეგებს, მის მიერ ჩატარებულ ძიებათა მეთოდს, ამის შესახებაც მკითხველს ვარკვეულ ორიენტაციას აძლევს ს. ყაუხჩიშვილის ზემოთ დასახელებული შრომა. იქ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „მრავალი დამახინჯებული ადგილი, რამდენიმე ასეული უიმედოდ შერყვნილი სიტყვა შესწორდა კ. კეკელიძის წყალობით და თავისი მართებული ადგილი იპოვა ისტორიათა და აზმათა ტექსტში“ (გვ. 040).

ამასთან ერთად, ს. ყაუხჩიშვილმა — აკადემიური პირუთენელობის რიგით — არ დაიღუმა გამოცემის სუსტი მხარეც, აღნიშნა რა, კერძოდ: „სამწუხაროა მხოლოდ, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — რომ კ. კეკელიძის გამოცემაში ღარიბია კრიტიკული აპარატი: კ. კეკელიძეს რატომღაც საჭიროდ არ ჩაუთვლია სქოლიოებში მოეყვანა ყოველთვის თუ როგორ იკითხება ხელნაწერში ის ადგილები, რომელთაც ასწორებს იგი თავის გამოცემაში“ (გვ. 040, შენ. 2). ამ უკანასკნელი სიტყვების სერიოზულ მნიშვნელობას საეცებით შეჭფერის მათი ავტორის შენიშვნა, რომ „ჩვენ არ ვთვლით ამას კრიტიკულ გამოცემად“ (გვ. 09). ხოლო რაც მთავარია, იგივე ავტორი სამართლიანად ასკვნის: „მიუხედავად იმ დიდი ამაგისა, რომელიც დასდეს ივ. ჭავჭავაძის და კ. კეკელიძემ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს, მაინც კიდევ ბევრი ადგილია თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტში, რომელიც დამუშავებას ან რევიზიას მოითხოვს“ (გვ. 040).

წინამდებარე წერილის სპეციალური საგანი და ხასიათი არ გვაქისრებს საგანგებოდ შევჩერდეთ იმ შრომაზეც, რომელიც ჩვენნი დამაინტერესებელი ტექსტის დასადგენად გასწია, როგორც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმა, თვითონ ს. ყაუხჩიშვილმა. აღვნიშ-

⁶ რუსული თარგმანი — История и восхваление венценосцев, Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, Тб., 1954.

ნავთ მხოლოდ, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ახალი, რიგით მესამე, გამოცემით („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 1-114) შეკლევარმა თამარის დასახელებული ისტორიის ტექსტის დადგენის საქმე უთუოდ მტკიცე საფუძველზე დაამყარა. ამ გამოცემაში, შედარებით პირველ გამოცემებთან, პრინციპულად ახალი და მნიშვნელოვანი არის ტექსტის დადგენის მეთოდი—„ისტორიათა და აზმათა“ არსებული ნუსხების ერთმანეთთან კრიტიკული შეჯერება, იმ ტექსტოლოგიურ მონაპოვართა გაგულებით, რაც დღემდე შემატებულია ჩვენი მეცნიერების სათანადო დარგს. ყველა ზემოთ თქმული, ცხადია, შეიცავს იმ აზრსაც, რომ „ისტორიათა და აზმათა“ კრიტიკული შესწავლა კვლავ გრძელდება. ჯერ კიდევ არა მცირედი რჩება მიზეზი დღესდღეობით დადგენილი ტექსტის ახლად შემოწმებისათვის, შიგ ჩარჩენილი შეცდომების შემდგომი ჩხრეკისათვის. ამის შესაბამისად აქ ჩვენ ვუბრუნდებით „ისტორიათა და აზმათა“ შესავალს, ამ შემთხვევაში, ერთი კონკრეტული განზრახვით: მეტი სიფაქიზით გადავსინჯოთ ის ამოსაკითხავი, რომელშიც მოხსენებულია სოლომონი და ტრადიციით მისდა მიწერილი „ქებაჲ ქებათაჲ“.

„ისტორიათა და აზმათა“ შესავალში სიტყვასიტყვით იკითხება: თამარის სადიდებლად მე, მისი ცხოვრების აღმწერმა, უნდა „და: ვსცე: სულაპინისა: სახედ: აღსაყვრსა: ქებასა: ქებათასა: რომელსა: იგივე: უიგო: სიბრძნითა; მიეგავე: სოლომონ“... ასე იკითხება თაყაიშვილის გამოცემულ „ქართულის ცხოვრებაში“ (გვ. 362). ამ გამოცემის ტექსტი, ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ გვეხმა-რება როგორც დედანი.

ბრკეალებში ჩასმულ წინადადებაში სპეციალისტებისთვის უმეტეს დაბრკოლებას წარმოადგენს რიგით მეორე სიტყვა: სულაპინისა. ე. თაყაიშვილმა მასში შეიყნო „სოლომონისა“ სახელი და სქოლიოში წარმოადგინა წაკითხვის ასეთი პროექტი („ჩვენის აზრით, უნდა იყოს“):—„დავსცე სოლომონისა სახედ აღსაყვრსა“...?. მაშ, მთელი წინადადება, გამოდის, ასე უნდა წავიკითხოთ: „დავსცე სოლომონისა სახედ (მსგავსად,—ე. დ.) აღსაყვრსა ქებასა ქებათასა“. ჩვენთვის მიუღებელია ე. თაყაიშვილის მიერ აქ აღდგენილი „სოლომონისა სახედ“ თუნდაც იმ მიზეზით, რომ იმავე წინადადებაში უკვე ერთხელ დასახელებული ჩანს „მიეგავე სოლომონ“ (იხ. ქვემოთ). ამას დავსძინოთ ე. თაყაიშვილის ერთი (ცხადია, მიუღებელი) კონიექტურა: დედნის სიტყვები — „მიეგავე: სოლომონ“ ე. თა-

⁷ ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, გვ. 362, შენ. 4. ასევე კითხულობს ფ. ჯავახიშვილი (დასახ. ნაშრომი, გვ. 186).

ყაიშვილი ფიქრობს წაიკითხოს („უნდა იყოს“) ასე: „მიეგაეა სოლო-
მონს“⁸.

რა თქმა უნდა, „მიეგაეე სოლომონ“ ნამდვილად წაიკითხება:
„მიეგაეე სოლომონ“ (კ. კეკელიძე). ე. თაყაიშვილს აქ არ მოპგო-
ნებია, რომ, რაკი სოლომონს, „ქებაჲ ქებათაჲ“-ს გარდა, მიეწერე-
ბოდა „იგაენი“—„იგაენი სოლომონისნი“⁹, ისტორიკოსს საბაბი
ჰქონდა მისთვის მიეგაეე ეწოდებინა. ასე გასწორდა უადგილო „მი-
ეგაეე“ უკვე ჭავახიშვილთან, დასახ. შრ., გვ. 186.

ახლა მივხედოთ კ. კეკელიძის სწორებას.

დ ე დ ა ნ შ ი ი კ ი თ ხ ე ბ ა :

„და: ვსცე: სულაპინისა: სახედ:

„აღსაყვრსა: ქებასა: ქებათასა:

„რომელსა: იგივე: უიგო: სიბრძნითა:

„მიეგაეე: სოლომონ.“

კ ე კ ე ლ ი ძ ე კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს :¹⁰

„დავსცე სულამიტისა სახედ

საყვრსა „ქებაჲ ქებათაჲ“.

რომელსა იგი ჰგალობს სიბრძნითა

მიეგაეე სოლომონ“.

ამრიგად, პირველ სტრიქონში დედნის „სულაპინისა სახედ“
კეკელიძის მიერ წაიკითხულია ასე: „სულამიტისა სახედ“ (თაყაიშვი-
ლი: „სოლომონისა სახედ“). დედნის მე-2 სტრიქონის „აღსაყვრსა
ქებაჲ ქებათაჲ“. კეკელიძის განასწორებში დანარჩენ ნაწილებს არ
ვუხებთ. ამრიგად, გვრჩება საკითხი: რატომ „სულამიტისა (და არა
„სულაპინისა“ და არც „სოლომონისა“) სახედ?“ რატომ „საყვრსა“
(და არა „აღ(ა)საყვრსა“)? და ბოლოს, დედნის „ქებასი: ქებათასა“
რატომ უნდა შეენაცვლოს „ქებაჲ ქებათაჲ“? ამ კერძო კითხვებს,
ცხადია, უნდა გაეცეს ფაქიზად მოფიქრებული პასუხი, რამდენა-
დაც საქმე დიდი მნიშვნელობის საისტორიო ძეგლის სწორ წაკითხ-
ვას ეხება.

ჯერ შევხედოთ თამარის ისტორიის აღდგენილ ტექსტში ჩვენ-
თვის მოულოდნელად გაჩენილ სახელს: სულამიტი ძნელი არ არის
მიხედვრთა, თუ რა ასოციაციით დაესახა კ. კეკელიძეს „ისტორიათა
და აზმათა“ სწორებაში ეს სახელი. ჩვენ მიერ გასარჩევ წინადადე-
ბაში აკი მოხსენებულია მიეგაეე სოლომონი და „ქებაჲ ქებათაჲ“.
სულამიტიც ხომ ამ უკანასკნელი ნაწარმოების პერსონაჟია — სო-
ლომონის სატრფო-სძალი (ქებაჲ ქებათაჲ, VII¹¹). ვითომ, ასე ესმის

⁸ ქართლის ცხოვრება, მარამის ვარიანტი, გვ. 362, შენ. 5.

⁹ დაბადება. ნაწ. 2, ტფ., 1884 გვ. 188 და შმდ.

¹⁰ ისტორიანი და აზმანი, გვ. 54.

¹¹ ჩვენი კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არ აქვს, ცხადია,
რომ თანამედროვე კრიტიკას არ სწამს, თითქოს, „ქებაჲ ქებათაჲ“ (სატრფოლო-სა-
ქორწინო სომღერების კრებული) სოლომონ მეფის (X ს. ძვ. წ.) შემოქმედება ყოფი-
ლიყოს.

კ. კეკელიძეს, როგორც სოლომონი უგალობდა სულამიტს, ისე „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს ეწადა თამარისთვის ეგალობნა; ვითომ, კ. კეკელიძის გაგებით, ტექსტში ეს უნდა ამოვიკითხოთ: „დაესცე სულამიტისა სახედ საყვრსა ქებაჲ ქებათაჲ“, რაც ცოცხალ ენაზე გადმოიცემოდა, მაგალითად, ასე: ჩაგებროთ—როგორც სულამიტისათვის—საყვირს მაღალი საგალობელი

მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთ გაგებას ვერ იწყნარებს დედნის წინადადების სინტაქსური წყობა. „დაესცე სულამიტისა სახედ საყვრსა ქებაჲ...“¹¹ ეს სწორი იქნებოდა, თუ, ვთქვათ, სულამიტი თვითონ ყოფილიყო „დამცემი“, საყვირში ქების ჩამბერავი. ამას გარდა, გაუგებარია ის, შეგვიძლია ვთქვათ, ძალადობა, რომელიც კ. კეკელიძის წანაკითხში განიცადა წინადადების ისევე სინტაქსურმა წყობამ. დედანი ჰხმობს: „დაესცე: აღ(ა)საყვრსა: ქებასა: ქებათასა“. „აღსაყვრსა ქებასა“ ნიშნავს „ასაყვირებელ“, „ყვირილით“ სათქმელ, „ცამდის ასაქმქელ“ ქებას. ხოლო გასწორებულ ტექსტში დაკარგულია „აღსაყვრსა“ და შეტანილია — „საყვრსა“, მაშინ როდესაც ერთი მეორეს დიხ აზრდრის. როგორც „სულაპინი“ ჩვენთვის მოულოდნელად, ვითომ აღდგენილ ტექსტში, შეცვალა „სულამიტ“-მა, ისე მოულოდნელადვე „აღსაყვრსა“ შეცვალა „საყვრმა“, „აღსაყვრსა ქებასა ქებათასა“ — სინტაქსურად სწორად გამართული ერთეული — გაწყდა შუაზე და გამოვიდა: „საყვრსა ქებაჲ ქებათაჲ“¹²

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან სწორად შეაფასა წინადადების გრამატიკული წყობის შინაგანი ლოგიკა და წინააღმდეგ კ. კეკელიძის მსჯელობისა, ხელუხლებლად დატოვა იგი: „დაესცე... აღსაყვრსა „ქებასა ქებათასა“... (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 18-19). მაგრამ პატივცემულმა შეცნიერმა ბოლომდე არ მიიტანა თავისი წინამორბედის, აკად. კ. კეკელიძის, გამოცემის კრიტიკა და თვითონაც, კ. კეკელიძის მიბაძვით, აღსადგენ წინადადებაში, ვფიქრობთ, უადგილოდ ისევ სულამიტის სახელი გამოიყენა: „დაესცე სულამიტისა სახედ“... (იქვე).

ამ შენიშვნის შემდეგ მისაღებად მივიჩნევთ ჩვენს შემდგომს არჩევანს: „დაესცე სულაპინისა სახედ აღსაყვრსა ქებასა“... შემასმენელს „დაესცე“ კარგად შეეგუებოდა დამატების სახით საკრავის, თუნდ ისევ საყვირის სახელი, ისე როგორც, მაგალითად, წინადადებაში: „მიმხედველთა თამარისთა, განიყარეს გლოვა და დასცეს საყვირსა“¹². ამიტომ დასჭირდა კ. კეკელიძეს ზემოთ მოყვანილ

¹¹ ბ ა ს ი ლ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1944, გვ. 13.

შემთხვევაში „აღსაყვრსა“-ს ნებისმიერი შეცვლა „საყვრსა“ სიტყვით. ჩვენი აზრით, გასარჩევი წინადადება სწორად იყლერებდა, თუ, ვთქვათ, იგი ასე წაიკითხებოდა: „დავსცე საყვრისა (გინა: ბუკისა, ნესტვისა) სახედ აღსაყვრსა ქებასა ქებათასა!“ ცოცხალ, ხალხურ ენაზე იგი შეიძლებოდა ასე გადმოცემულიყო: „დავსცხო (დავსცე) საყვირივით, საყვირის მაგარი ხმით (იხ. ქვემოთ) ასაყვირებელ, დასაქექავ ქებათა ქებას“. მაგრამ დედანში წერია არა „დავსცე საყვრისა სახედ“, არამედ „სულაპინისა“ სახედ! სად „სულაპინისა“ და სად „საყვრისა“! მაგრამ, ვფიქრობთ, ამასაც უნდა ეშველოს. რადგან ლოგიკა მოითხოვს „სულაპინის“ ადგილზე ჩაჭდეს რაღაც საკრავის, „აღსაყვირებელი“ საკრავის სახელი (და არამც და არამც სოლომონისა გინა სულამიტისა), ამიტომ ჩვენ „სულაპინის“ ადგილზე ვსვამთ მისთვის შესაფერის სიტყვას — „სალპინ“-ს. დედანში, დამახინჯებამდე, უნდა წერებოდა: „სალპინისა სახედ“ და არა „სულაპინისა სახედ“. ხოლო სალპინი იგივე „სალპინგი“, ე. ი. ისევ და ისევ „საყვირია“ და კიდევ მეტი: „საყვირის ხმაც“. ს.-ს. ორბელიანი განმარტავს: „ს ა ლ პ ი ნ გ ი საყვრი მკუდართა აღდგომისა“, რასაც სხვა ხელნაწერში ერთვის: „სალპინგად ითქმის სარეკელიცა ლოცვად აღმადგინებელი“. ამას მისდევს სიტყვა „სალპინი“ განმარტებითურთ: „იგივე“¹³. „ს ა ლ პ ი ნ გ ი სარეკლე სათამაშო, ანუ განსაკლებელი სალოცავად, „κλεπαλο“ (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თ., 1961). აგრეთვე დ. ჩუბინაშვილიც¹⁴ ინახავს და განმარტავს ამ იშვიათ სიტყვას ორსავე ფორმაში (სალპინგი, სალპინი). დ. ჩუბინაშვილი ისე შეჩვევია ამ სიტყვას, რომ მას იგი გამოუყენებია თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც: „Било канкѳра, с а л п и н г и, ფიცრის სარეკელი“-ო¹⁵. „სალპინგი“ ბერძნულში ფართოდ გავრცელებული ჩანს: ზ σ λ π ι γ ε ι γ γ ο ς („სალპინქს, ინგოს“), ხოლო მისი მნიშვნელობაა — „труба“, „рожок“ (ბუკი, საყვირი); „трубный звук“ (ხმა საყვირისა)¹⁶.

¹³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს და ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, გვ. 292, სიტყვებთან „სალპინგი“ და „სალპინი“. ტფ. 1928; იხ. აგრეთვე იგივე ლექსიკონის უახლესი, ა. შ ა ნ ი ძ ი ს და ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით, გამოცემა: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, 2, თბ., 1966, გვ. 38.

¹⁴ იხ. მისი „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი, სპბ., 1840, s. v. სალპინგი, სალპინი; მ ი ს ი ე ე: „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, სპბ., 1887, s. v.

¹⁵ Русско-грузинский словарь, СПб., 1846 და Тифлис, 1901, s. v. Било. Клепадо.

¹⁶ Древнегреческо-русский словарь. Составил И. Х. Дворецкий, т. II, М., 1958. გვ. 1461.

საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ „სალპინი“ შეიძლებაოდა მიღებული ყოფილიყო სალპინგ (სალპინქს)-იდან როგორც ქართული ენის ბუნების ძალით, ისე უცხო ენიდანაც — გამზადებულად. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თვით ბერძნულში ძმალყ-იდან მიუღიათ სიტყვის შეკვეცილი ფორმა ძმალყ, რომელსაც მართალია, განსხვავებული მნიშვნელობა (თევზის სახელი) მისცემია¹⁷. სალპინქს-ის დაბოლოება ისეთი მერყევია, რომ ამ ფორმის გვერდით დამოწმებულია მეორეც, გვიანდელი ძმალყ.¹⁸

სამწუხაროდ, ორბელიანი არ გვიჩვენებს წყაროს, საიდანაც მას ამოღებული უნდა ჰქონდეს „სალპინგი“ („სალპინი“). ამას გარდა, მას მხოლოდ ერთგან უხმარია ეს სიტყვა — სადაც მის განმარტებას იძლევა. საგულისხმოა, რომ აკად. ჭავჭავაძისა, რომელსაც ეგზომ დიდი სკრუპულოზობით აქვს გამოკვლეული, საერთოდ, ქართული საკრავები, მათ შორის საყვირის რიგისაც, არც ერთი შემთხვევა სალპინგის ქართულ წყაროებში ხმარებისა და სახელებული არ აქვს. ყურადღებას იქცევს, რომ პარტიკულური მეცნიერი, რომელსაც, გაბედვით შეიძლება ითქვას, ორბელიანის ლექსიკონში დასახელებულ სამუსიკო საკრავთაგან ერთიც არ დარჩენია შეუმჩნეველი, ჩვენს სალპინგს თუ სალპინს არსად იყენებს, მას არსად ორბელიანის ცნობა სალპინგის შესახებ მოხსენებული არ აქვს, იქაც კი, სადაც ამის უშუალო საბაბი ჰქონდა. როგორც დავინახეთ, ორბელიანი სალპინგთან აღნიშნავს მის სინონიმებს: „საყვირსაც“, „სარეკელსაც“. ეს უკანასკნელი, ორივე, სამუსიკო ტერმინი ივ. ჭავჭავაძის ხომ საგანგებოდ აქვს შესწავლილი¹⁹, მაგრამ ორბელიანის სალპინგს იგი არ ეხება. საფიქრელია, მას იგი შემთხვევით ჰქონდეს გამორჩენილი. ამავე დროს მკვლევარს ზედმიწევნით აქვს შემოწმებული, რომ „ძველს ნათარგმნ ძეგლებში“ საყვირი („საყვირი“), სადაც კი გვხვდება, — წერს ივ. ჭავჭავაძის, — ყველგან იგი (დედნის. ვ. დ.) ბერძნულ სალპინქს-ს... უდრის-ო“²⁰.

ქართულში დასადასტურებელი ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, უსალპინქსობა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს დაინტერესებას თამარის ისტორიკოსის „სალპინ“-სალპინქსით და ორბელიანის „სალპინგ“-„სალპინით“.

¹⁷ Древнегреческо-русский словарь, Составил И. Х. Дворецкий, т. II, м., 1958, გვ. 1461.

¹⁸ К о с с о в и ч, Греческо-русский словарь, ч. II, М., 1848.

¹⁹ ივ. ჭავჭავაძის, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 178 და შმდ. (საყვირი); გვ. 209 და შმდ. (სარეკელი).

²⁰ იქვე, გვ. 177.

ყველა ამას შეგვიძლია დავსძინოთ ჩვენი ვარაუდი, რომ ქართულ ძეგლებში ასე ძნელად საპოვნელი „სალპინგი“ სულხან-საბა ორბელიანს, საფიჭრელია, უნდა შეეძინა ცოცხალ გარემოცვაში, იქნებ სწორედ სამონასტრო ყოფაში, — იგი ხომ ბევით იყო ერთ ხანს დავით-გარეჯის მონასტრის მონაზონი და მოძღვარი. საბას განმარტებით, როგორც ვნახეთ, სალპინგს რაღაც სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონია („საყური მკუდართა აღდგომისა“, — „სარეკელიცა ლოცვად აღმადგინებელი“). იქნებ ეს განმარტება ნაკარნახევი იყო მონასტრის ყოფა-ცხოვრების ცოცხალი სურათებით. საგულისხმოა, რომ ტერმინი რუსულ ენაშიც შესულა — „салпинга“, რომლის შესახებ არსებობს განმარტება, რომ იგი („салпинга, селпичѣ) ბერძნული სახელია „გრძელი ბუცისა“, длинной трубы, ლათ. tuba, რომელსაც სამხედრო დანიშნულების გარდა, „ხმარობდნენ რელიგიურ ცერემონიებშიცო“²¹. მაინცდამაინც ძალა არ აქვია ფაქტს, რომ ჩვენგან მიგნებული სალპინი, თამარის ისტორიაში მახინჯად გამოყენებული („სულაპინი“) XVIII ს-ის ქართულშიც ხმარებულა.

ამრიგად, თამარის ისტორიკოსის ნაშრომში ჩვენ მიერ აღდგენილი ადგილი ასე შეიძლება იქნეს წაკითხული: „დავსცე სალპინისა სახედ აღსაყურსა ქებასა ქებათასა“ — ესე იგი: დავძახო, ვკექო საყვირივით, resp. საყვირის ხმისებრ „ასაყვირებელი“ ქებათა ქება.

²¹ ბ რ ო კ ა უ ზ - ე ფ რ ო ნ ი. ენციკლოპედური ლექსიკონი, ტ. XXVIII A, გვ. 169 (სპბ., 1900).

პირველად დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში“, ტ. 128, 1967.

გეგუთის ციხე-დარბაზის შესახებ

საყოველთაოდ კარგად ცნობილი გეგუთის დიდებული ნაგებობანი, ერთ დროს შშვენიერი სასახლე-რეზიდენცია ქართველ მეფეთა (დავითის; გიორგი III-ის, თამარის და ა. შ.), ხალხში იმთავითვე „ციხე-დარბაზად“ და „თამარის-ციხედ“ წოდებულან. ამ სახელებს ლიტერატურაშიც გაუკაფავს გზა. კერძოდ, დამუბუა დე მონპერე, რომელსაც საკმაო გამოწვლილივით აღუწერია ძეგლი, სულ არ იხსენიებს გეგუთის სახელს; ის ხმარობს მხოლოდ აღნიშნულ ხალხურ სახელებს¹. აკად. ა. მურავიოვის სათანადო ნაშრომშიც აღწერის საგანია „Тамарисцихе“². მოხსენიებულ ავტორებს, ისე როგორც გეგუთის სიძველეთა რიგ მერმინდელ აღმწერელ-შემსწავლეებს, ცხადია, საქმე აქეთ უშუალოდ — იმ სასახლე-რეზიდენციის მხოლოდ-ღა ნანგრევებთან, ძველი ხუროთმოძღვრული დიდების ნატამალთან. ისე რომ, გეგუთის ყოფილი სასახლის სრული აღნაგობა, მისი ოდესმე ხელუხლებელი „ტანადობა“ და „თვალადობა“, ზომა, ფორმები და სხვ. — ჩვენს ცნობიერებაში მთელი ესთეტიკური მიმზიდველობით წარმოდგებიან მეცნიერი არქეოლოგების, ხელოვნებისმცოდნეთა დასკვნების, გონების თვალთ ქვრეტის, გამოანგარიშება-ვარაუდების საშუალებით.

ამასთან ერთად, გეგუთის ანსამბლს აღრინდელ დროთაგან შემორჩენია თუნდაც მცირედი, მაგრამ მაინც ძვირფასი წერილობითი დახასიათებაც, წინაპართაგან ნაანდერძევი, მთელი ანსამბლის სხარტად ამსახველი, როდესაც ძეგლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობის მქონეა ვახუშტისეული კარგად ცნობილი ჩანაწერიც, მაუწყებელი, რომ მის დროს (XVIII ს.) გე-

¹ Dubois de Montpéroux, Voyage du Caucase, ტ. II, გვ. 200 და შმდ. პარიზი, 1839. აქ მოთავსებული აღწერა გეგუთის ნანგრევებისა საკმაო სიზუსტით გადმოქართულებული იხ. ვ. წილოსანი, გეგუთი, ციხე-დარბაზი. წიგნში: შოთა რუსთაველის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 452—566.

² А. Н. Муравьев, Грузия и Армения, СПб., 1848, III, გვ. 214.

გუთს კიდევ ამკობდა „მგზავსი შენებული მეჩიტისა, მრავალ პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა“³.

მაგრამ გეგუთის გამამუშეებელი პირველწყარო დღემდე შემონახულია ე. წ. თამარის პირველი ისტორიკოსის (XIII ს.) უკვდავ ნაშრომში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“. შიგ დაცულ ლაქონიურ აღწერილობაში გეგუთის სრა-სასახლე წარმოდგენილი იმ სახით, ისეთ ვითარებაში, როგორსაც ცოცხლად სკვრეტდნენ უპირველესი მისი ბინადარნი — მეფე გიორგი III, მისი კარი, სახლობა და სხვ. ოღონდ შკითხველს აქვე უნდა მოვაგონოთ, რომ აღნიშნული ნაშრომის ტექსტი, რომელიც დაცულია ე. წ. მარიაძისეულ „ქართლის ცხოვრებაში“⁴, ძალზე დამახინჯებულია მის აღრინდელ გადაშწერთაგან, იმდენად, რომ მისი სწორად ამოკითხვა, ფაქიზად „ამოღება“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავად დარჩენია ჩვენს საისტორიო მეცნიერებას. ამ მოკლე წერილის უშუალო მიზანი სწორედ იმის ჩვენებაა, თუ როგორ იკითხება გეგუთის სრა-სასახლის აღმწერელი სტრაქონები დროთაგან ნაანდერძევე დედანში, როგორ კითხულობენ მას ჩვენს დროში და რა შესწორების შეტანას მივიჩნევდით ჩვენ მიუცილებლად იმ წანაკითხში. ერთი სიტყვით, ჩვენი განზრახვაა ერთი ტექსტოლოგიური სპეციალური საკითხის გადაწყვეტა.

ჯერ ჩავუკვირდეთ ისტორიკოსის შემდგომ მოწმობას, საერთოდ, გეგუთის სახელთან დაკავშირებულს. პირველ ყოვლისა, მკაფიოდ ჩანს, რომ ეს არის გიორგის რეზიდენცია; ისტორიკოსის მიხედვით, მეფე ჩვეულებრივ აქ ბრუნდება რომელიმე ლაშქრობიდან, ბრუნდება ძლევამოსილი და თანაც „აღვსებული აურაცხელითა და მიუწოდმელითა საუნჯითა“⁵, იგულისხმება — ნაალაფევეითა. მაშასადამე, ვასკვნით ჩვენ, გეგუთში გროვდებოდა განძი და სიმდიდრე, აქ ჰქონიათ, ჩანს, მეფეთა საქურტლე. მერმე, გიორგის გეგუთში ეუწყა გარდაცვალება მეუღლისა⁶, და ბოლოს, აქ გარდაიცვალა თვითონ გიორგი (1184 წ.). წყაროში გარდაცვალების ამბავს მოსდევს აღწერა გლოვა-ზარისა და გიორგის გამოსატირებლად მისთა

³ ვ ა ხ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურიის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 156—157.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 362 და შშდ.

⁵ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. ქეიქელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 65.

⁶ ი ქ ე ე, გვ. 70.

ჭირისუფალთა სხვადასხვა კუთხიდან გეგუთს ჩასვლისა. ასე აღმოჩნდნენ ჩვენთვის საინტერესო გეგუთის სრა-სასახლეში მაშინ ახლად გამეფებული, თბილისიდან ჩამოსული, თამარი, გარდაცვლილი მეფის შემკვიდრე ასული; მეფისა და დედოფალი რუსუდან, დავით სოსლანთან ერთად სამშვილდიდან ჩამოსული, და სხვები. აი. ამ ვითარებაში ეცნობა მკითხველი თვით სრა-სასახლეს, ისტორიკოსის სიტყვით, „ტაძარსა სამეუფოსა“, გინა „სრასა“. ამოვიკითხოთ დედნიდან ტექსტუალურად ჩვენი დამაინტერესებელი სტრიქონები:

„შევიდეს: ტაძარსა: სამეუფოსა: ამხილველთა: თუალთა: მათასა: მხილველთა: საყდრისა: ცამდი: ამალღებულისათა: თანა: პორფირი: და: გუირგუინი: სკიპტრიითა: და: საჭურველთა: სუნადა: მარებულთა: და: კუალად: ამხილველთა: იხილეს: კლდები: და: ცა: სრის: საესე: მეომართა: რაზმები: და: რაზმები: სპები: მონა: სპები: ქალაქები: და ციხები: აწყუდილი: და: ოკერ: ქმნილი: და: თვთ: იხილნეს: ტანიითა: გორგოსლიანითა: და: მკლავითა: აქლიანითა: და: პირითა: მნათობიერიითა: კაცი: ირაოდ: საგონებელი:“⁷.

ამ ამონაწერის შესწავლას, ინტერპრეტაციას თავისი პატარა ისტორია აქვს. პირველი სიტყვა აკად. კ. კეკელიძეს ეკუთვნის. მან, როგორც ვიცით, მოახდინა ცდა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის აღდგენისა და ამასთან ერთად რუსულად თარგმნისა⁸.

„ისტორიათა და აზმათა“ დედნის იმ პასაჟს, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ არის ციტირებული, ამ უახლოეს დროში გამოეხმაურა მეცნიერი ქრ. შარაშიძე საყურადღებო წერილში: „საერო კედლის მხატვრობა XII საუკუნის საქართველოში“⁹. თავისი მიზნის შესაბამისად, ავტორს სპთანადო სისრულით მოჰყავს შესაჯერებელი მასალა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებიდან, კ. კეკელიძის ზემოთ მოხსენიებული „ცდიდან“ და ა. შ.

„ისტორიათა და აზმათა“ მთელი ტექსტის მცოდნე მკითხველი უთუოდ დაემოწმება ქრ. შარაშიძეს, რომ სწორია პატივცემული მკვლევრის ძირითადი დებულებები: წყაროს თხრობაში ნამდვილად გამოხატულია გეგუთის სამეფო სასახლე (ამ დებულებას გვიკარნახებს კონტექსტში ამოკითხული), და, — რაც შედარებით მეტ მიხედვრას მოითხოვს — ამავე ისტორიულ თხრობაში ისტორიკოსის მიერ მართლაც საგანგებოდ არის დაწერილი კედლის მხატვრობა (ქრ. შარაშიძის გამოთქმით: საერო კედლის მხატვრობა). მართალია,

⁷ ქართლის ცხოვრება, მარია დედოფლის ვარაზტი, გვ. 396—397.

⁸ История и восхваление венценосцев, перевод К. С. Кекелидзе, Тб., 1954.

⁹ „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 163 და შმდ.

თავის დროზე ამ სტრიქონების ავტორმაც შეაჩერებინა მკითხველს ყურადღება, სწორედ „ისტორიათა და აზმათა“ ჩვენებაზე დამყარებით, გეგუთის სასახლეზე და სასახლის შიგნით — ქრ. შარაშიძის სპეციალური გამოკვლევის საგანზეც, კედელზე და მის მხატვრობაზე¹⁰. ასე, გიორგის გამოტირილის ადგილად დასახელებული იყო ჩვენგან სასახლე — „ჩვენი აზრით, გეგუთის მდგარი, თამარის მამის, გიორგი მესამის სასახლე“ და ა. შ. უფრო საინტერესო, რა თქმა უნდა, აღნიშნული კედლისა და მისი მხატვრობის შემჩნევა იყო, და ჩვენც ამის შესახებ შემდეგი გვაქვს ნათქვამი იმავე წერილში (ვიმეორებთ სიტყვასიტყვით): კარგი სანახავი ყოფილა „კედლებიცა სრისაჲ სავსე“; სავსე, ესე იგი, — იკითხება იქვე, — მთლიანად დაფარული ალბათ ფრესკული ბატალური ნახატებით, სადაც იხილვებოდნენ „მეომართა რაზმები. სპეები, მონასპეები, ქალაქები და ციხეები, აწყუედილი და ოქერ-ქმნილი“ და ა. შ. (ამონაწერში ბრჭყალებში მხოლოდ წყაროს ცნობებია ჩასმული). მაგრამ ამისგან დამოუკიდებლივ და მიუხედავად იმისა, რომ კ. კეკელიძესაც „ისტორიათა და აზმათა“ საკომენტარო ამოსაკითხავში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი¹¹, კერძოდ, ტერმინები ტექსტისა — ტაძარი, საყ და რი, რომელთა განმარტებანი მოცემულია ქრ. შარაშიძის წერილში¹², — თავისთავადაც არა საქმელო ტერმინები, — უკვე კ. კეკელიძის თარგმანშიც არ დარჩენილა გაუაზრებელ-უთარგმნელი, ვიმეორებთ, ყველა ამისაგან დამოუკიდებლივ, ქრ. შარაშიძის წერილი მაინც უნდა შეფასდეს როგორც ახალი სიტყვა სათანადო საკითხის შესწავლაში. გარდა იმისა, რომ ჩვენმა ავტორმა თავის ნარკვევებში ჭეოვნად გამოიყენა შედარებითი მეთოდი (სათანადო ტექსტის შეჭერება), პირველი შეეცადა დაენახა კედლის მხატვრობაში, სასახლის აღმწერელი ისტორიკოსის ზემოთ ციტირებული ტექსტის მისეული ინტერპრეტაციის გზით თვითონ მეფე გიორგი III-ის პორტრეტი¹³ (ამ საკითხს ჩვენ სხვაგან, ვფიქრობთ, დავბრუნდებით).

ყველა ზემოთ ნათქვამის გარდა, საჭიროდ მივიჩნევთ აღინიშნოს ქრ. შარაშიძის მიერ, საერთოდ, დიდი მუყაითობით გამართულ სტატიაში გეგუთის სასახლის შესახებ ერთი არაუმნიშვნელო ხარვეზი, უკეთ, ჩვენგან ვერ გასაზიარებელი დამოკიდებულება პატივცემუ-

¹⁰ ვ. დონდუა, რუსთაველის ეპოქის საქართველო, „სკოლა და ცხოვრება“ 1966, № 9, გვ. 18.

¹¹ История и восхваление венценосцев, გვ. 32—33.

¹² ქრ. შარაშიძე, საერო კედლის მხატვრობა XII საუკუნის საქართველოში, გვ. 165.

¹³ იქვე, გვ. 167—171.

სათანადო შემთხვევებში, ბუნებრივია, მოცემული სიტყვა შეუერთდებოდა ამა თუ იმ მსაზღვრელს. მაგ., სახელოვან ნიკიტასთან მოიპოვება *τῆς βασιλεως παλίου*² (აქუზატივი) „სამეფო ქალაქი“, სიტყვასიტყვით — „მეფე (ზუსტად: დედოფალი) ქალაქი“, საიდანაც, ალბათ, წარმოდგა იმავე ქალაქის რუსული სახელი ცარ-გ რ ა დ ი. იმავე წესით აღნიშნავდნენ ხოლმე ქართულში, საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის მცხეთის გარდა, აგრეთვე კონსტანტინოპოლსაც. ბერძნულს *τῆς βασιλεως παλίου* სავსებით ემთხვევა ქართული „სამეფო ქალაქი“, რაც ქართულ საისტორიო წყაროებში, რიგ შემთხვევებში, გულისხმობს სწორედ ცარგრადს. ასე, „გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუდეს სამეფო ქალაქი“³ ბერძნებს (1204 წ.). სომხურშიც ამ „სამეფო ქალაქს“, ცარგრადს, აღნიშნავენ აღწერილობითი წესით: „არქაჰაკან ქალაქ“ „სამეფო ქალაქი“⁴. სახელის ბერძნული ფორმა „კონსტანტინეპოლის“ (სახელ. ბრ.) საკმაო სიზუსტის დაცვით შეთვისებულ იქნა რიგ ენებში: „კონსტანტინეპოლისი“ (გიორგი მერჩული, X ს.)⁵, „კონსტანდილოპაღლე“-ც კი, „კოსტადიპაღლე“ (ფარსადან გორგიჯანიძე; XVII ს.), Константинополь, Constantinople და სხვ.

გაკვრით მოვიხსენიოთ აგრეთვე, თუ როგორ განმტკიცდა ბიზანტიის კარის ოფიციალურ ენაში ან ლიტერატურულ ბერძნულში სახელი ჰ რ ო მ ე „ჰრომი“, როგორც „კონსტანტინოპოლის“ სინონიმი, და მეტადრე მისგან ნაწარმოები სიტყვები: ჰ რ ო მ ა ი ო ი, ე. ი. „რომაელები“ — „ბიზანტიელთა“, „ბერძენთა“ მნიშვნელობით; ტ ო პ ა ნ რ მ ა ი ო ნ „მთელი (სრული) რომაელობა (ბიზანტიელები)“ და ა. შ. ცნობილია, რომ თურქულში იგივე სახელი გამოყენებულია „რუმ“ ფორმით იმპერიის, ბიზანტიის აღსანიშნავად. ამი-

² Nicetae Choniatae Historia (=Corpus scriptorum historiae Byzantinae). Bonnæ, 1835, გვ. 855. 15.

³ ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ლ ე ა რ ი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი. გამოც. ი ე ა ნ ე ქ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ის ა, თბილისი, 1944, გვ. 31, 27.

⁴ დ ა ღ ბ ა შ ი ა ნ ი, სრული რუს.-სომხური ლექსიკონი, ტფილისი, 1903, გვ. 1175, s. v. Царизм..

⁵ Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандатийского, Грузинский текст, Введение, издание, перевод Н. Марра, etc. პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სერია — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, 1911, გვ. 107-ით(18—19).

ერკვეყასიის ხალხთაგან ქართველთა და სომეხთა შორის, რომელთაც ბიზანტიასთან ურთიერთობა მუდამ ჰქონიათ, დიდი გავრცელება ჰქონდა სახელებს „ჰრომნი“ და „ჰორომქ“ (სომხ.) „ბერძნების“, „ბიზანტიელების“ მნიშვნელობით.

ხოლო „რუმის“ დამპყრობი ოსმალების სახელად ქართულ წყაროებში გავრცელდა „ურუმნი“ (ს.-ს. ორბელიანი, პაპუნა ორბელიანი და სხვ.). „ისლამის ენციკლოპედიაში“, გ. ჰ. მორდტმანის სპეციალურ სტატიაში⁶, რომელიც მიძღვნილია „კონსტანტინოპოლი“-სადმი, მკითხველს შეუძლია მიიღოს საჭირო ცნობათა შერჩევა, თუ ბიზანტიის დედაქალაქის ეს სახელები როგორ გამოიხატა მუსლიმური აღმოსავლეთის ენებში. აღნიშნულ სტატიაში წყაროების საფუძველზე დადგენილია, რომ, მაგალითად, არაბულში კონსტანტინოპოლის სახელი იხმარებოდა სხვადასხვა ჩვენთვის საგულისხმო ფორმით — კონსტანტინეა, სიტყვასიტყვითი თარგმანით „კონსტანტინესელი“, პოეტურ ენაზე — აგრეთვე კონსტანტინა, რომელთან ერთად ცნობილი იყო ქალაქის ძველი სახელიც ფორმით Byzantia; თან ირკვევა, რომ არაბი ავტორებისათვის ცნობილი იყო იმავე ქალაქის ზემოთ აღნიშნული გამარტივებული დასახელება „ჰე პოლის“.

მაგრამ ჩვენი დაკვირვების მთავარი საგანი ეგ სახელები არაა. ჩვენს ყურადღებას იპყრობს კონსტანტინოპოლის მეორე სახელწოდება — სტამბოლი, ან ისტამბოლი, სახელი, რომელიც წყაროებში ჩნდება ადრითვე; მაგალ., მას იცნობენ არაბი ისტორიკოსები იბნ-ალ-ასირი (XII—XIII ს.), აბუ-ლ-ფიდა (XIII—XIV ს.) და სხვ. (დაწვრილებით იხ. ზემოხსენებულ მორდტმანთან). ქართულ ხმარებაში, როგორც ჩანს, ის უფრო გვიან შედის⁷. მისი წარმოშობის შესახებ კი დიდი ხანია სპეციალისტებს გამოუთქვამთ თავიანთი აზრი მხოლოდ, სამწუხაროდ, ისეთი სადავო, რომ კიდევ გვეძლევა საბაბი საქონტანო საკითხის დასასმელად, მაინც როგორ წარმოდგა ეს სახელი — სტამბოლი?

საყოველთაოდ ცნობილი და თითქოს ერთადერთი მისი ახსნა ის არის, რომ ისტამბული ვითომდა წარმოდგა ცოცხალ მეტყველე-

⁶ იხ. Enzyklopädie des Islām, B. I, S. 904, s. v. Constantinopel, Leiden-Leipzig, 1913. კონსტანტინოპოლის სახელების მიმოხილვა წყაროების საფუძველზე იხ. აგრეთვე Demetrius John Georgicas, The Names of Constantinople. Transactions of the Amer. Philol. Assoc., vol. LXVIII, 347—363; 1947.

⁷ იოსებ ტფილელი, დიდიმოურავიანი, თბ., 1939, გვ. 43 (294,4) გორგოლეონიძის რედაქციით; სტამბოლი. შტრ.: სტანბოლი (ვახუშტი, გეოგრაფია, თბ., 1941, გვ. 9. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ.).

ბაში, თურქულის ნორმების კვალობაზე, სამსიტყვიანი ბერძნული გამოთქმიდან *εξ της πόλις*, რაც სიტყვისიტყვით ნიშნავს „в город“ „ქალაქს“, წინადადებაში: „ქალაქს წასვლა“ (*εξ=რუს. წინდებულს „в“ ქართ. „-ში“; της πόλις „город“ — აქუზატივი*). საქმის ასეთი გაგებისას, სტამბოლის სახელის ეს შესატყვისი სიზუსტისათვის შეგვეძლო გამოგვეხატა საუცნაურო ფორმით *Βροδο*. მაგრამ მართლა ასე წარმოიშვა „სტამბოლი“ — სახელი ქალაქისა, რომელიც იყო თავისი დროის (IV—XV სს.) ერთ-ერთი არა მრავალრიცხოვან მსოფლიო ცენტრთაგანი?

ხოლო წარმოქმნა ქალაქის სახელისა, ბუნებრივია, შეიძლება მომხდარიყო ქალაქის უახლოეს სოციალურ გარემოცვაში, იმ ხალხის ენაზე, რომელიც ქალაქთან დაკავშირებული იყო უფრო ინტიმური ძაფებით. ამიტომ ისმის კითხვა, ხალხის ენაზე რატომ უნდა დაარქმეოდა სახელად მისთვის ასე მახლობელ ქალაქს ეს უცნაური „ქალაქში“, „Βροδο“? რატომ თვით კონსტანტინოპოლი სახელი უნდა აღმოჩენილიყო, მაგ., მცირე აზიის მოსახლეობისათვის, უკუგდებული და უხმარი? ბოლოს და ბოლოს რა მიზეზს შეეძლო დიდებული ქალაქის აღნიშვნაში კონსტანტინეს სახელის უკვალოდ წაშლა, მაშინ როდესაც თვითონ კონსტანტინე საუკუნეთა მანძილზე იწარჩუნებს პოპულარობას?⁹

პასუხის ძიებისას ჩვენ დავრწმუნდით, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ საერთოდ გაზიარებულია ზემოაღნიშნული ერთხელვე მიღებული განმარტება, რომლის მიხედვით „სტამბოლი“ მომდინარეობს თქმიდან *εξ της πόλις*, მაგალითად, ჩვენ მიერ პირველვე გასინჯული Bouillet-ის უნივერსალური ლექსიკონი (1867 წ.)⁹ სწორედ ასე ხსნის *Stamboul* სახელს, იმის მტკიცებაში, რომ ეს სახელი ვითომ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული სიტყვების *εξ της πόλις* დამახინჯებულ ფორმას (*corruption*), და ა. შ. პარიზს გამოცემულ (1840) ერთ ნაშრომში, რომელიც შეიცავს თურქულის ისტორიას, აღნიშნულია, თუმცა ცოტა სხვა სიტყვებით, იგივე ვითომ თურქებმა *Istambol* „გააკეთეს“ ბერძნული *εξ της πόλις* სიტყვების „რამდენადმე დამახინჯებით“¹⁰, და სხვ. ეს ასე ფართოდ გავრცელებული განმარტება, „ხელისხელ“ გარდამავალი თითქოს უნდა ეკუთვნოდეს ცნობილ ჰამერს (*von Hammer-Purgstall*), მაინცა და მაინც, სპეციალურ ლიტერატურ-

⁹ შტრ. რ ო ზ ე ნ ი — *Revue* (სრული სათაური იხ. ქვემოთ).

⁹ იხ. *Dictionnaire universel d'histoire et de géographie*, s.v. *Stamboul* (მე-20 გამოც., პარიზი).

¹⁰ J. M. Jouannin et Jules van Gavez, *Turquie*, p. 72=L'univers. *Histoire et description de tous les peuples*.

რაში მითითებულია, რომ პამერს ეს სახელი სტამბოლი გამოჰყავდა „ახალბერძნულიდან ეს ტყე პბლი — „In die Stadt gehen“¹¹ რუსულად რომ ვიცყოდით „в город (ИТТИ)“.

ეს ახსნა ძალაში რჩება Mordtmann-ის ზემონახსენებ სტატიაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ თქმიდან ეს ტყე პბლი წარმოდგაო თურქ. **ستانبول**—Sambul. იმავე სტატიაში მოყვანილია ამ სახელის სახეცვლილებანიც, რომელნიც მოიპოვებთან წყაროებში: „ისტამბოლი“ (ბერძნ.), „სტამბოლ“ (თურქ.) და უკვე სულ მოულოდნელი ფორმებიც: „ისტამბოლ“, „ისტამგოლ“ (XVI ს.) და „ესკამბოლი“ კლავიხოს (XV ს. დამდეგი) მიხედვით.

ჩვენ არ შეგვეძლო, ბუნებრივია, ასეთი ახსნა არ შეგვემოწმებინა ცნობილი ბიზანტინისტის აკადემიკოსის თედორე უსპენსკის (გარდ. 1928) კაპიტალურ შრომაში — „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“¹², სადაც იკითხება შემდეგი სიტყვები: **Для заселения Константинополя, — წერს ავტორი, — сохранившего простонародное греческое имя „Истин полин“ („в городе“), в турецкой транскрипции Истамбул, Мухаммед (იგულისხმება: თურქეთის სულთანი მუჰამედ II, რომელიც კონსტანტინოპოლს საბოლოოდ დაეუფლა 1453 წლის 29 მაისს. ვ. დ.) вызвал 500 греческих семейств с черноморского побережья, принесших свое наречие“.** ციტირებულ ალბანს ჩვენს ყურადღებას იპყრობს განმარტება, რომ „ისტინ პოლინ“ (ბერძ. ეს ტყე პბლი-ვ. დ.) ნიშნავს „в городе“. მხოლოდ ჩვენ უცებ ვერ მივხვდით, რატომ „в городе“ და არა „в город“? ხომ არ არის აქ კორექტურული შეცდომა? ჩვენი ყურადღება უფრო გამახვილდა, როდესაც მერმე ჩვენ კრუმბახერის შრომაში¹³ ჩავხედეთ. აქ თვალში გვეცა წასაკითხი ძეგე პბლი, სადაც სიტყვა მოცემულია ლოკატივში ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით, სადაც სიტყვა ნახმარია აკუზატივში: პბლი. ვფიქრობთ, რომ ამ პუნქტში კრუმბახერი და უსპენსკი ერთმანეთს ხვდებიან. იმიტომ რომ ძეგე პბლი (კრუმბახერი), ზუსტად ნათარგმნი, იქნება „в городе“ (უსპენსკი). მაგრამ ეს იდეა — „в городе“ — ჩვენ ქვემოთაც, სხვა საკითხთან დაკავშირებით, გვევალება განვიხილოთ; აქ კი საჭიროა მივმართოთ კრუმბახერის მსჯელობას საკითხის შესახებ.

¹¹ *Nomina Geographica, etc. Von D-r J. J. E g l i, Leipzig, 1893, S. 874.*

¹² *История Византийской империи, т. III, Ленинград, 1948, гл. 798.*

¹³ *Geschichte der Byzantinischen Litteratur, etc. გამოც. 2, მიუნხენი, 1897,*

კრემზახერის შრომაში, სადაც მოცემულია სპეციალური ახსნა სახელისა „სტამბულ (ისტამბოლ)“, იკითხება შემდეგი (ვთარგმნით გერმანული ტექსტიდან): „კონსტანტინოპოლის ეს სახელწოდება, — წერს ავტორი, — ბევრგზის გაყალბებით (სიტყვიდან „ისლამბოლ“ და სხვ.) ან არაღამაყაფილებლად განმარტებული, ახლა საეგვიპტო საიმედოდ იხსნება [თქმიდან. — ვ. დ.], რომელშიც *sti* (=στη. — ვ. დ. თურქული ენის ფონეტიკური კანონის მიხედვით, გადადის *sta* კომპლექსში“. *sta* პირველი სამი ასოა სტამბოლი სიტყვისა. დასახელებული მეცნიერი იქვე უთითებს მკითხველს უპირველესად D. Hesseling-ის სტატიაზე, რომელშიც ავტორმა „მოგვცა, — წერს კრემზახერი, — ამ სახელწოდების (იგულისხმება: სტამბოლი. — ვ. დ.) ისტორიის მიმოხილვა და მისი სწორი ახსნა“¹⁴.

ჰესელინგის სტატია „Istambol“, შეიდგვერდიანი¹⁵, ჩვენთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. კარგად ფლობს რა საკითხის ირგვლივ მისი დროისათვის დაგროვილ ლიტერატურას, ავტორი კრიტიკულ ანალიზს უყუთებს სპეციალისტთა მისთვის ცნობილ ცდებს — განმარტონ სტამბოლის მნიშვნელობა, და უპირისპირებს მათ საკუთარ ახსნას. სწორედ ჰესელინგმა მოგვცა ჩვენ საშუალება დაგვედგინა, რომ ჩვენთვის ცნობილი ცდის გარდა, „სტამბულ“ გამოყევანათ თქმიდან *εξ τῆς πάλαι*, თავის დროზე სხვა აზრიც გამოჰქრათალა იმავე სახელწოდების ასახსნელად, მოსაზრება, რომელიც ემთხვევა ჩვენს ჩანაფიქრს სტამბოლის სახელწოდება გამოყევანილ იქნეს კონსტანტინოპოლი სახელიდან. როგორც გაირკვა, J. J. Egli თავის *Nomina geographica*-ში¹⁶ მოცემული საკითხის გამო იმ აზრს იტაცს, რომ ჰამერის მტკიცების წინააღმდეგ (იხ. ზემოთ) თურქულ სახელში *Stambul* ჩვენ გვაჩვენს შემოკლებული ფორმა სახელისა *Constantinopolis* (→*Stantinopolis* →*Stambul*) მსგავსად სახელისა *Mendere*, რომელიც მიღებულია სახელიდან. (*skā*) *Mandros*. ამაზე უფრო ადრე, 1885 წ., როზენშაუც თავის სტატიაში კონსტანტინოპოლის შესახებ, — სტატია მოთავსებულია ერშისა და გრუბერის გერმანულ ენციკლოპედიაში,¹⁷ — აგრეთვე უარპყო *εξ τῆς πάλαι* გამოთქმის საფუძველზე სიტყვის ახსნის სის-

¹⁴ იქვე, — ნახსენები „ისლამბოლ“ ფორმის შესახებ იხ. ზემოთ.

¹⁵ *Revue des études grecques*, 3 (1890), Paris, pp. 189—196. შემდგომში; *Revue*.

¹⁶ იხ. ზემოთ, გვ. 94, შენ. 1. შტრ. M. C. Бондарский, *Словарь географических названий*, 2., 1958, გვ. 316. s. v. Стамбул; ...является сокращением и искажением названия Константинополя.

¹⁷ აქ უნდა ვიგულისხმოთ *Allgemeine Enzyklopädie der Wissenschaften und Künste*, B. 83, T. 2, s. v. Constantinopel. Leipzig.

წორე და შენიშვნა გააკეთა, რომ Stambol სიტყვაში „ზარცალი Stan არის კონსტანტინე სახელის ნაშთი“¹⁸.

საკითხთან უფრო ახლოს გაცნობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ჭერ ერთი ჰესელინგი, — აგრეთვე ეგლი და როზენი, — აღასტურებენ ჩუენს მოსაზრებას იმ ახსნის მცდარობის შესახებ, რომელსაც „სტამბოლი“ გამოჰყავს *εις τῆς πάλιν* გამოთქმიდან; მეორე, როზენმა და ეგლიმ აუღეს რა ასახსნელ სიტყვას, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, სწორი აღლო, ამავე დროს საკითხი დატოვეს ღიად, ისე რომ მათგან თითქმის გაცემული პასუხი აღმოჩნდა შემთხვევით გაცეთებულ, დაუსაბუთებელ შენიშვნად. ამ გარემოებამ როზენის მხრივ თავისთავად კარგი იდეის პასიურმა რეკომენდაციამ გაუადვილა ჰესელინგს ამ იდეის უკუგდება; მესამე, ცდილობს რა ჰესელინგი მოგვეცეს საკუთარი ახსნა, საბუთად მოჰყავს მოსაზრებები, რომელნიც არ არიან სამეცნიერო ინტერესს მოკლებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ვერ აღწევენ პირდაპირ მიზანს. მაგრამ გამოვიჩინოთ აქ მათი მსვლელობის ძირითადი მომენტები საჭირო რიგის დაცვით.

ჰესელინგის სტატიის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორის მიერ დიუ კანჟთან (Du Cange; XVII ს.) შემჩნეულ გამოთქმას *σταν* ანუ *σταν πάλιν*. აქ *πάλιν* აღნიშნავს კონსტანტინოპოლს. ავტორის ძირითადი ღებულება შეიცავს მტკიცებას, რომ *σταν πάλιν* (და არა *εις τῆς πάλιν*) გამოთქმიდან წარმოდგება ქალაქის თურქული სახელი Stambol და მისი სახესხვაობანი. ამისთანა გამოთქმის არავითარი კვალი ავტორს, მართალია, არ უპოვნია „დიუ კანჟამდე“, ე. ი. ამ სახელოვანი მედიევისტის წინამორბედებთან, მაგრამ ეს გასაგებიც არის: ეს იყო არაოფიციალური სახელი კონსტანტინოპოლისა, რომელიც ოფიციალურად, თურქულად, ღლემდე იწოდება: *Konstantiniyeh*¹⁹. ამის მსგავსად გამოთქმასაც: *εις τῆς (ანუ τῆς) πάλιν*, არასოდეს არ ჰქონია დანიშნულება ქალაქის ოფიციალური სახელწოდებისა²⁰. მხოლოდ უცხოელებს ბერძნულის უცოდინარობით, შეეძლოთ მისი მიჩნევა საკუთარ სახელად²¹. „სტამბოლ“ ანუ მისი სახესხვაობანი წყაროებში შეცდომით მიუწერიათ ბერძნული სიტყვათშემოქმედებისათვის²². ამავე დროს, მსგავსი ფორმები უცხოა ბერძნისათვის, რომელიც „ყოველთვის იტყვის“ *ἡ πάλιν* „კონსტანტინოპოლი“ და *σταν πάλιν* „კონსტანტინო-

¹⁸ Revue, p. 190.

¹⁹ Revue, p. 191.

²⁰ Ib., p. 191—192.

²¹ Ib., p. 192.

²² მაგალითები იხ. იქვე.

ბოლსა შინა²³ (ლოკატივი). ამ ფაქტს, განაგრძობს ჰესელინგი, ამაგრებს ისიც, რომ შილტბერგერმა (მოგზაური, XIV ს. ბოლო — XV ს. I ნახ.) განასხვავა Istimboli, როგორც ბერძნული, და Stambol, როგორც თურქული²⁴. ჰესელინგის მიერ მოყვანილ საბუთებში საგულისხმო მნიშვნელობისაა tim (Istimboli), მართლწერა tam (Stambol)²⁵ მართლწერისაგან განსხვავებით. ბერძნული ფონეტიკის ნორმებით, stin poli (στην πόλη) სიტყვების შერწყმით წარმოიქმნა Istamboli, მაგრამ არ შეიძლებოდა Stambol წარმოქმნილიყო. მხოლოდ თურქულ ენაში, ხმოვან ბგერათა ჰარმონიზაციის კანონით, stin poli (i, o) სიტყვებიდან შეიძლებოდა შედგენილიყო Stambol (a, o)²⁶. ამასთან დაკავშირებით ჰესელინგი აცხადებს კონსტანტინოპოლის სახელის ცნობილ თურქულ ფორმებს, როგორც არიან ზემოთ ნახსენები „სტამბულ“ „სტამბოლ“, „სტამბოლი“ და „ესკომბოლი“. აგრეთვე „ისტიმპოლი“, „ესთამბულ“, „ესდამპოლ“, „სტანპოლინ“²⁷. მაგალითად, Istambol სახელში დასაწყისში I არის არა i, ბერძნული eis წინდებულისაგანი, არამედ პროთეტიკური ხმოვანი, რომელსაც მოითხოვს, მომდევნო ორი თანხმოვანი. Istambol სახელში დაკარგულია ბოლო in მარცვალი, რადგან გარკვეულის, საკმაოდ დიდი ხნიდან ბოლო n polin) არ გამოითქმის, ხოლო i (poli) მოვარდა სიტყვას Sebasopol სიტყვის ანალოგიით²⁸.

ამრიგად, ჰესელინგი ამტკიცებს, რომ სტამბოლ სახელი წარმოდგა არა eis lin polin („в город“) სიტყვების შეერთებისაგან და არა ბერძნული ენის ნორმების მიხედვით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სტამბოლ“ სახელის, ავტორისეული გამოთქმით, შოარული განმარტების — „Bro-pod“ — სისწორე სავსებით სამართლიანად არის უარყოფილი. მაგრამ, სამწუხაროდ, მეცნიერი სიტყვის საკუთარ განმარტებაში ძალაში ტოვებს ანალიზის უკვე ნაცად მანკიერ პრინციპს: სახელდობრ, ის stin polin („в городе“) გამოთქმის გათვალისწინებით, ცდილობს stam (Stambul) კომპლექსში განჰკერითოს ორი — s და tam მორფემის შეერთება. ამათგან tam უკვე იქნა. ჩვენ მიერ განხილული, ხოლო s მორფემა წარმოადგენს წინდებულს, არა მოძრაობისას (mouvement;

²³ ი ქ ვ ე. გვ. 193.

²⁴ ი ქ ვ ე.

²⁵ აღნიშნულ tim და tam კომპლექსში გულისხმობდნენ სახეშეცვლილ პრეპოზიტიურ არტიკლს tin (την), რომლის ნარნარა ი მომდევნო ხ ბავისმიერთან ერთად, ასიმილაციის კანონით, ქმნის mb (Istimb., Stamb...) კომპლექსს.

²⁶ Revue, p. 194.

²⁷ ი ქ ვ ე. 192—193.

²⁸ ი ქ ვ ე. 194.

საითყენ?), არამედ „ყოფნისას“ (séjour; საღ?), ისე როგორც მისი სრული ზღვ ფორმა, რომელმაც ისტორიულად მიიღო, ღვ²⁰, რუს. «Въ წინდებულის ფუნქცია (ლოკაცივი). ჰესელინგისთვის გამოირიცხებოდა იმის ვარაუდი, რომ „საზოგადო სახელს მისი მოძრაობითი წინმდებარე წინდებულთ“ შეეძლო ჰქონოდა ქალაქის სახელის მნიშვნელობა; და პირიქით, სრულიად ბუნებრივად მიაჩნია, რომ ადგილობრითი ბრუნვა ან მისი პარაფრაზა გამხდარიყო ასეთი მნიშვნელობის სახელად²⁰.

იმ დასკვნის გასამაგრებლად, რომ „სტამბოლ“ თითქოს თარგმანში შეიძლება იყოს in Urbe, (მხოლოდ არა in Urbem), მკვლევარს ბოლოს მოჰყავს ტოპონიმიკურ სახელთა წარმოების ანალოგიური წესის მაგალითები ინდოგერმანული ენებიდან. სათანადო სიტყვამწარმოებელ თავსართთა თუ წინდებულთა ნიმუშების სახით დასახელებული აქვს, მაგალ., ter (პოლ.ზე) Termonde სახელში; im: Im Doerfl; inter: Interlaken; am (= an dem): Amsteg, Ambach და სხვ.

ამას გარდა მოყვანილია რიგი სახელები, რომელნიც ავტორის დასკვნით, ნაწარმოები არიან იმავე საშუალებით, როგორითაც Stamboli ანუ Stanpolin: Stanco (Cos სახელიდან), Standia (Dia), Sdiles Delos), Sampson (Amisos) და სხვ²¹.

ვთქვათ, ჩვენ, ავტორთან ერთად, ვცანიტ ამ მაგალითების ტოლფასოვნება მათი დამამკიცებლობის მხრივ, გული დავაჭერეთ მათ ასეთ მნიშვნელობაზე, გავიზიარეთ საკმაოდ გართულებული ახსნა, რომელიც ეძლევა მოცემულ სახელებში s, tzn ზოგჯერ და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო სპეციალური საკითხი, სულ ერთია, მიიწე მოითხოვს სხვა მხრიდანაც მოვლას, საგანგებო აწონვას.

მთავარი ის არის, რომ, როგორც ეს ქვემოთ გვაქვს განხილული, ჩვენს განკარგულებაშია „სტამბულ“ სახელის ნეგად საინტერესო სახესხვაობანი (კოსპოლი, სტანპოლინი და სხვ.), რომელნიც, თავისი ხასიათით, საფუძველს იძლევიან — არ მივიღოთ ჰესელინგის აზრი.

დასმულ საკითხზე პასუხის ძებნაში ჩვენ, ბუნებრივად, იმ უბრალო აზრზე დავდევით, რომ Constantinopolis და Stanpoli სახელების შეპირისპირებით მეორე გამოვეყვანა პირველიდან, — ჩვენ ვივარაუდეთ, რომ Constantinopolis სახელიდან სხვადასხვა დიალექტში, გარკვეული ენობრივი ნორმების მიხედვით, შეთვისებული აღმოჩნდა სიტყვის მარცვლები: მეორე — stan და ორი უკანასკნელი — poli, რომელთაგანაც შედგა კიდევ ფუძე Stambul (stanpol-იდან), თანაც ფუძის დასაწყის-

²⁰ Revue, p. 195.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე, 195—196 და 191.

ში st კომპლექსს წაემატა მისთვის საჭირო i ხმოვანი (i-st: Istantbul). რაც შეეხება პირველს Con (xav) მარცვალს, იგი ისევე შეუთვისებულად დარჩა, როგორც ბერძ. $\kappa\alpha\iota\sigma\alpha\iota\pi\omicron\varsigma$ სიტყვის $\kappa\alpha\iota$ წინსართი — არაბულში (შდრ. არაბ. usqif „ეპისკოპოსი“).

შემდგომი ჩვენი დაკვირვებები, ვფიქრობთ, საესებით სარწმუნოდ და ძალდაუტანებლად ამტკიცებენ ჩვენს მთავარ დებულებას, რომ Stamboli მიღებულია Constantinopolis სახელის კანონზომიერი, ცოცხალი მერყეულების ნორმათა შესაბამისი, შემოკლების შედეგად.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს, განსაკუთრებით, შემდგომი შემოკლებული ფორმები, რომლებიც შეუშოსავს ჩვენთვის საინტერესო სახელს (და რომლებიც ასე დარჩათ შეუფასებელი ჰესელინგსა და სხვებს).

მეიერისეულ „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, ჰამერზე მითითებით, აღნიშნულია, რომ „კონსტანტინოპოლი, თურქ. Istantbul, Stambul ანდა Konstantinfe, ბერძნ. Konstantinopolis, ლეევანტურ-იტალ. Cospoli, რაც სლავიანთაგან ცარგრადად (Zarigrad) წოდებულია...“ ამ ამონაწერში საგანგებო ყურადღებას იპყრობს, ცხადია, Cospoli ფორმა³². ვეგვე „კოსპოლი“ ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიაში³³ ფიქსირებულია, როგორც იტალიურ-მდაბიოხალხური ფორმა, რომელსაც ხმარობენ აგრეთვე ლეევანტელები. ამის საფუძველზე ბუნებრივია აღვადგინოთ ქალაქის ნამდვილი სახელი Co[n]s[tantinu]poli. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის თანამოსახელე ქალაქი აღნიშნულია ოთომანის იმპერიის კიპერტისეულ რუკაზე³⁴ სახელწოდებით: Kostambol = Ko[n]-stan[tinu]pol[i], — თეჰირ-დაღის ქედის დასავლეთით, მარმარილოს ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. მოცემულ შემთხვევებში წინსართი ნაწილი Ko(n) შეიძლება იმავე საფუძვლით შენახულიყო, როგორითაც შენახულა მავალ., ბერძნულიდან ნასესხებ თურქ. konsolos („კონსული“) სიტყვაში.

დამოუკიდებელი ჩვენი მოსაზრების შესაწყნარებლობისა Kostambol სახელის მნიშვნელობის შესახებ, ძალაში უნდა დარჩეს ჩვენი ძირითადი დებულება — რომ შესაძლოა დადგენილ იქნეს შუა, გარდამავალი ფორმები, რომელთა მეშვეობით უნდა მოხერხდეს Konstantinopolis სახელის სრული ფორმის აღდგენა. გარდა მოყვანილი Cospoli ფორმისა, ლიტერატურაში, როგორც ეს ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ზუსტად არის ფიქსირებული $\sigma\tau\alpha\chi\ \pi\omicron\lambda\iota\upsilon$ ფორმა. ჩვენ საქმაო სიტყვადით გამოვაჩინეთ, რა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკირა ჰე'ელინგის

³² Meyers Grosses Konversations-Lexikon (6-e Aufl.), B. XI. Leipz. u Wien, 1905, S. 421, s. v. Konstantinopel.

³³ Брокгауз-Эфрон, кн. 31 т. (XVI), 1895, s. v. Константинополь.

³⁴ Douvelle Carte Générale, etc., Berlin, 1883.

მსჯელობაში stan ანუ stên polin გამოთქმამ, რომელიც მან დიუ კანქთან შენიშნა. მხოლოდ საწყენი რჩება ჩვენთვის, რა არათანმიმდევრულობას იჩენს სპეციალისტი, როდესაც დიუ კანქის მოცემულ მოწმობას იყენებს. მართლაც, მეცნიერს სწავლია ახსნას Stambul სახელში a ხმოვნის „გაჩენის მიზეზი“, ხოლო იგი მკითხველის ყურადღებას აპყრობს რატომღაც მხოლოდ stên (არა stan!) polin ფორმას, ეს იმ მიზნით, რომ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ხმოვანთა პარამონიზაციის ფონეტიკური კანონის გამოყენების რთული გზით გამოიყვანოს stên polin ფორმიდან Stanpolin ფორმა. მაშინ როდესაც მისთვის საჭირო სიტყვები stan polin (აქედან Stanpolin, Stambol ან სხვა ზემონახსენები სახესხვაობანი) ხელუხლებელი ფორმით არიან დიუ კანქთან წარმოდგენილი.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ორი stan polin სიტყვა, თავის ამ ფორმაში მოცემული, კიდევ იმის შედეგად უნდა იყოს გაჩენილი, რომ ვილაცას, ეტყობა, უცდია სახელი Stanpolin (და მისი სახესხვაობანი) ეტიმოლოგიურად აეხსნა.

თურქულ ტოპონიმიკაში Cospoli და Costambol სახელების არსებობა — უკვე ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, დამაჯერებელი უნდა იყოს ჩვენი მტკიცება, რომ სახელი Stanpolin (და მისი სახესხვაობანიც) უთუოდ ისეთივე შუა ფორმაა, როგორც ჩვენ მიერ შემჩნეული ორი სახელი: Cospoli და Costambol.

ამ ჩვენს მოსაზრებას კარგად ამაგრებს ზემონახსენები როზენის ნასროლი სიტყვა, რომ სტამბოლ სახელში stan მარცვალი უნდა იყოს სწორედ Constantin სახელის ნაშთი³⁵. ოღონდ გულდასაწყვეტია ის არის, რომ მან, საკითხზე ნათელი წარმოდგენის უქონლობის გამო, არ დააყოვნა „გაკერით გაეკეთებინა შენიშვნა“ — „istin polin თურქულში შეიძლებაოდა ქცეულიყო Stambol სახელადო³⁶“. ესე იგი, მან კარგად ვერ დააფასა თავისი სწორი ჩანაფიქრის მნიშვნელობა — რომ stan მარცვალი პირდაპირ კავშირშია Constantin-თან და აქედან ნაწარმოებ Constantinopolis, Stanpoli სახელებთან.

ამრიგად, ჩვენთვის შესაძლებელი ხდება — რაკი ხელთ გვაქვს ზემოგანხილული შუა ფორმები Cospoli, Kostambol და Stanpolin, აღვადგინოთ სახელის სრული ფორმა: [Co][stan] poli. აქ tin (stantin) მარცვლის ნაკლებობა პაპლოლოგიის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა tin მარცვალი di ფორმით მოცემულია Constandipol წაკითხვაში როზენის მასალების მიხედვით³⁷.

³⁵ იხ. ზემოთ, გვ. 95.

³⁶ Revue, p. 190.

³⁷ Ib., p. 190.

როდესაც ვცდილობთ ჩვენთვის საინტერესო ქალაქის სახელის წარმოშობის საკითხში დაეუბრუნოთ მისი მნიშვნელობა Konstantinos სახელს, გვშეგლის ზემონაჩვენები ფაქტიც — ის, რომ ამ სატახტო ქალაქის აღსანიშნავად სხვადასხვა შემთხვევებში ხმარებული ჩანს სწორედ ეს Konstantinos სახელი, polis სიტყვის უგულვებლყოფით³⁸. Kostantiniya სახელი (შდრ. რუს. „Константиновка“), როგორც სტამბოლის ოფიციალური სახელწოდება, გამოყენებული ჩანს სულთანის ფირმანებში, მონეტებზე³⁹.

ეს გარემოებაც ანგარიშგასაწევეია, მით უფრო რომ მსგავსი შემთხვევა პირის სახელის დაცვისა ქალაქის რთულ სახელწოდებაში სრულიადაც ერთეული არ არის. ზოგიგონით თუნდ აღრიანოპოლის სახელი, რომელსაც თურქულ ენაში Edirne ფორმა მიუღია; სწორედ ასევე ფილოპოპოლი Filibe ფორმით არის წარმოდგენილი და ა. შ. ვფიქრობთ, საჭირო არ არის გაეამრავლოთ ანალოგიური მაგალითები, თუმცა ეს არ მოითხოვდა დიდ ძიებას. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევათა გამო, როდესაც აღმოსავლურ ენებში ესა თუ ის სიტყვები, ჩვენს შემთხვევაში ბერძნულ-ლათინური წარმოშობისანი, იხმარებიან შეკვეცილი ფორმით, ისე როგორც უკვე ნახსენები usqun (episkopos), ან diabolos, თურქ. iblis და სხვ.

ამრიგად, ჩვენ მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ სახელი Stambol (და მისი სახესხვაობანი) წარმოდგენს ოდენ ბერძნ. Κωνσταντινούπολις სახელის თურქულ გადმოცემას. ახლა სავსებით გასაგები ხდება ისიც, ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი გარემოება, რომ ქალაქის მოკლე მული ბერძნული სახელი უცხო დარჩა. თურქთათვის, სწორედ ისე, როგორც ამავე ქალაქის თურქულმა სახელწოდებამ ვერ გაიკვლია გზა ბიზანტიურ კულტურულ სამყაროში.

პირველად დაიბეჭდა საქართველოს ხსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომამბეშო“ 1908, № 4.

³⁸ იხ. ზემოთ, გვ. 91 და 92.

³⁹ ისლამის ენციკლოპედია, რომელზე მითითებაც იხ. ზემოთ, გვ. 92. იხ. აგრეთვე, Rewue, p. 191.

ვაჰვთიგე თაჰაიუჰვილი როგორც ჟჰაროთმცოდნე და არჰეოლოგრაფი

ჟჰაროთმცოდნეობას, როგორც საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ დისციპლინას, თავისი დიდი საგანი აქვს: იგი მოწოდებულია შეიმუშაოს ისტორიის ჟჰაროთა (სპეციალურად იგულისხმება — ჟერილობით ძეგლთა და მათთან ერთად — ჟარჰერათა) კრიტიკული შესწავლისა და მოხმარების ხერხები და მეთოდები. სპეციალისტი-სათვის ამ კარგად ცნობილ განმარტებაში მახვილის დასმით იკითხება სიტყვები „ჟჰაროთა კრიტიკული შესწავლა“. ხოლო კრიტიკული შესწავლა ჩვენს სინამდვილეში, საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე პირობებში, ცხადია, სხვა თვისებისა და ჟონისაა, ვიდრე ის წინათ ყოფილა. დღევანდელი საისტორიო კვლევისათვის, საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის ჟჰაროთა „შინაგანი კრიტიკა“ ისევე აუცილებელია, როგორც მათი „გარეგანი კრიტიკა“ (ჟჰაროს დათარიღების, მისი აუტენტურობისა და მსგავსი საკითხების შესწავლა). ამასთან პირდაპირ კავშირში ჩანს სპეციალისტის სწორი შენიშვნა, რომ „მარქსისტულ-ლენინური ჟჰაროთმცოდნეობა — ყველაზე უფართოესია საისტორიო დისციპლინათაგან“—ო (ლ. ჩერეპნინი). მართლაც იგი უფრცელესიც არის და უძნელესიც — დასაძლევად. ის მოითხოვს, გარეგანი კრიტიკის გარდა, ჟჰაროთა სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ გააზრებას, ძეგლის საზოგადოებრიულ-კლასობრივი არსის გამოვლინებას, სოციალურ-პოლიტიკური, ჩვეულებრივ „მიფარვით“ ჩარჩენილი ტენდენციურობის გამომკლავნებას. სწორედ ეს არის „შინაგანი კრიტიკის“ ძირი.

ნათელია, თუ რა მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს აქედან. ვინც შექუტრვილი არ არის აღნიშნული ხერხებითა და მეთოდებით, იგი ვერ შეისწავლის ისტორიის ჟჰაროებს, ვერ მოიხმარს, ვერ გამოიყენებს ამ ჟჰაროებს. ამევე დროს, როგორც ეს აღნიშნა ჩვენმა თანამედროვე მეცნიერმა, „მართებული შეხედულება ისტორიულ

წყაროს შესახებ აუცილებელი პირობაა მართებული შეხედულების შედგენისათვის თვით ისტორიულ პროცესის შესახებ¹“.

რა უბრალო კეშმარტებაა ეს, და ამავე დროს რა ხშირად ითვლება ეს კეშმარტება. რაოდენ ხშირად განუსჯელი მკითხველი, კითხულობს რა ამა თუ იმ წერილობით წყაროს, გულდაჩერებულს გამოჰყავს წაკითხულიდან ზედაპირული დასკვნები; მას, სპეციალურ ცოდნას მოკლებულს, საკუთარ მოსაზრებათა, საკუთარი ბუნებრივი გამჭირახობის მიმყოფს, ექვიც არ ებადება, რომ იგი წყაროთმცოდნეობის გარკვეული მონაპოვრების უცნობელი, სამეცნიერო წაკითხვის გარკვეული წესების, მეთოდების უქონელი, ეცნობა რა მოცემულ წერილობით წყაროს, კითხულობს რა რომელიმე ტექსტს, ავტორს, არსებითად იმყოფება ისეთი მკითხველის მდგომარეობაში, რომელმაც დასაბამი მისცა უკვდავი გოგოლის სატირულ შენიშვნებს მისი დროის პეტრუშკების შესახებ.

ცნობილია, თუ რა დიდი ტრადიცია აქვს წყაროთმცოდნეობითს დისციპლინას საერთოდ საისტორიო-სამეცნიერო მიღწევათა მქონე ხალხების კულტურულ ისტორიაში. მაინცა და მაინც, მსგავსად ძველი რუსეთისა (ტატიშჩევი და მისთანანი), ჩვენშიც (ვახუშტი და სხვანი) უკვე XVIII საუკუნეში წყაროთმცოდნეობას საკმაოდ საპატიო ადგილი ექირა. იგი ძალისაებრ პასუხობდა თანამედროვე მეცნიერების სათანადო მოთხოვნებს. მაგრამ ვიდრე საბჭოური კულტურული მშენებლობის გაშლამდე, ერთეობო წარმატება, და ზოგჯერ დიდი წარმატებაც, ჰქონდა გარეგან კრიტიკას, საზრუნავად მაშინ რჩებოდათ ტექსტის აღდგენა („რეცენზია“) და წესიერი მისი დაბეჭდვა (პუბლიკაცია). ამ დარგში კი — „ყველაზე უფრო დაწინაურდა ფილოლოგია“².

აკად. ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მისი ზრდა-განვითარების და საისტორიო-საარქეოლოგიო ხასიათის შემოქმედებითი მუშაობის მთავარი ხანა ხასიათდებოდა ქართული ისტორიოგრაფიის სფეროში სწორედ ფილოლოგიის ბატონობით. ეს იყო ქართული ფილოლოგიის აღმავლობისა და უდიდესი წარმატების დასაწყისი დრო (აკად. ნ. მარი და მისი შემდგომნი). ამ ვითარებამ ღრმა კვალი გაავლო კერძოდ ჩვენი დიდი ისტორიკოსის აკად. ივ. ჯავახიშვილის სათანადო შრომებშიც. აღვილი გასაგებია, მაშასა-

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, თბ., 1952, გვ. 107—108.

² Б е р н г е л и, Введение в историческую науку. გერმანულით თარგმნილ კროფ. საბინის რედ., სპბ., 1908, გვ. 108.

დამე, თუ ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითს, ფუძემდებლური მნიშვნელობის ნაშრომებსაც იმთავითვე ახასიათებდა ფილოლოგიური მეთოდებით კვლევის სწრაფეა.

ასეთი იარაღით შექტურვილი, სიბრძნისმეტყველური მომზადებით კარგად უზრუნველყოფილი, ამავე დროს გოლიათური სულიერი და ფიზიკური ძალღონით მაშინ საესე ექვთიმე, თავის უფროს და უმცროს თანამედროვე სპეციალისტებთან ერთად, მთელი თავისი სიღინჯით და ამტანობით შეუდგა ქართულ ხელნაწერთა მდიდარ ფონდებზე მუშაობას, იმ სამწერლობო მემკვიდრეობის კვლევა-ათვისებას, „რომელსა შინა, — ასე შეეძლო ექვთიმეს, დაუეწიყარი იონა ხელაშვილის სტილით, გამოეთქვა საკუთარი შეფასება იმ მემკვიდრეობისა, — ძუჭლი და ახალი ენა არს, და მათ ზედა აღშენებულ ძუალნი და ტუნნი და ძარღენი სიბრძნისანი, რომელი კნინლდა გასაღები არს ფილასოფიისა“³, ესე იგი, ვიგულისხმით ჩვენ, საისტორიო მეცნიერებისა.

ბუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენთვის სასუკვარი ტრადიცია მოვიხსენიეთ, მაგრამ, კეშმარიტად, ყველაფერი, როგორც იტყვიან, შედარებითია ამ ქვეყანაზე, და იმ ტრადიციაზეც, ცხადია, პირობით შეიძლება ლაპარაკი. სიმოკლისათვის, ჩენი ვანზარავის შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მოვიგონოთ თუნდაც ის თვალუხვამი კრიტიკული შენიშვნები, რომელიც თავის დროზე აკადემიკოსმა ი. ჭავახიშვილმა მიუძღვნა. მისგან სამართლიანად მაღალი საფასით დაფასებულს დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტის მიღწევას წყაროთმცოდნეობის დარგში. ჩვენ, კერძოდ, ვგულისხმობთ პატივემული მკვლევარის შემდეგ სტრიქონებს, ყოველი ისტორიკოსისათვის გასათვალისწინებელს: ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის ქართველ მეცნიერთა ჭგუფის მიერ საგანგებოდ შეტრჩეული „გზებით“ და „მასალებით აღდგენილი (მათგანვე აღდგენილი. — ვ. დ.) სურათი“ ქართველი ერის XIV — XVII სს. ცხოვრებისა „დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა“, — წერს ი. ჭავახიშვილი. — „ეს გარემოება ბატონიშვილმა ვახუშტმა გამოააშქარავე სრული სიცხადით. თავისი ბასრი კრიტიკით, — განაგრძობს მკვლევარი, — ვახტანგისეული კომისიის ქართლის ცხოვრების ბევრი შეცდომა გამოამჟღავნა და ცნობების კრიტიკული განხილვის აუცილებლობის ცხადყოფით ქართულ საისტორიო მწერლობას საუკეთესო მაგალითი და სახელმძღვანელო აზრი მისცა. მაგრამ, — ასე ავითარებს ი. ჭ. თავის

³ იონა ხელაშვილის კერძო წერილიდან (14. VIII. 1826) სოლ. დოდაშვილის მისამართით. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხწ., № 2226, გვ. 138. ჩვენ მიერ შესრულებული პირი, რე. 1, გვ. 54.

აზრს, — არც მისი ცდა, მისი შედგენილი საქართველოს ისტორია აღმოჩნდა მთლად დამაკმაყოფილებელი. მ. ბროსემ, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და ს. კაკაბაძემ გამოარკვიეს ის მრავალი შეცდომები, რომელნიც ვერც დიდებულმა ქართველმა მეცნიერმა აიცილინა თავითგან“. ამას მოსდევს ჩვენთვის კიდევ უფრო მანიშნებელი დასკვნა ი. ჭავჭავაძისა: „ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქართლის ცხოვრების გაგრძელების ასე უღმობელად, მაგრამ სამართლიანად კრიტიკულად განმსჯელი, თვითვე ბატონიშვილი ეახუშტი სრულისა და გულუბრყვილო ნდობით ეპყრობოდა ყველაფერს, რასაც საბუთის სახელი ეწოდება. სწორედ ამან ჩაადენინა მას მრავალი შეცდომები“⁴.

საქმის ვითარების ჭავჭავაძისეულ ამ შეფასებაში არა ერთი რამეა საინტერესო. აქ ჩანს ჩვენში აღრევე გაღვიძებული წყარომცოდნეობითი კრიტიკული ძიების დიდი წყურვილიც და კრიტიკის საერთო სისუსტით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობაც, რომელიც, ბუნებრივია, თან სდევდა ქართველმცოდნეთა ერთიმეორის შემცვლელ, პროგრესისათვის მებრძოლ შემდეგ თაობებს.

ძველი ტრადიციების ისტორიიდან, ჩვენთვის საინტერესო სპეციალური დარგის თვალსაზრისით, სხვა მომენტებიც იქცევის ყურადღებას. იმისდა მიხედვით, თუ რა კულტურულ-საზოგადოებრივ წრეში (ფეოდალურ, ბურჟუაზიულ-მემამულურსა თუ სხვაში) ხორციელდებოდა ქართველმცოდნეობითი მუშაობა, ისტორიოგრაფიისა თუ წყარომცოდნეობის დარგშიც უთუოდ იჩენდა თავს „მოთხოვნა-მიწოდების“ თვისობრივ-რაოდენობრივი სხვადასხვაობა.

საკითხის ისტორიაში თავისი წვლილი შეაქვს ზემოთ მოხსენიებულ იონა ხელაშვილსაც, რომელიც წარსული საუკუნის მე-10-20-30 წლებში მოღვაწეობდა პეტერბურგის ქართული კოლონიის სპეციფიკურ პირობებში. მას მწვავედ განუცდია ის შეუსაბამობა, რომ ერთის მხრივ, დიდი და ბრწყინვალე ჩანდა სამწერლობო მემკვიდრეობა ქართველი ხალხისა, ხოლო არ ჩანდა მისი პატრონი, დამფასებელი, მომვლელი. „ვიდრე აქამომდე, — ჩივის იგი, — ყოველთა ჩუჭნისა შრომილნი ღვაწლნი, დღე და ღამე რულუნებულნი, მდებარებენ კვმირსა ქუჭშე, საზოგადოთა ერთაგან განუხილველად!“ ამ მემკვიდრეობის მოვლა-გამოყენება, გვაუწყებს ხელაშვილი, ვერ

⁴ ივ. ჭავჭავაძისეული, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, ნაწ. I (XV ს.), გვ. 2—3, ტუ., 1924; იხ. აგრეთვე ამავე წ. IV-ის სრული გამოცემა (XV—XVI სს-ის შემცველი), თბ., 1948, გვ. 12.

შეძლო გვიანდელ ბაგრატიონ მეფეთა საქართველომ. ამის მიზეზი კი არა ერთი იყო: პოლიტიკური „განწყულების“, დაშლილობის შედეგად წარმომდგარი „დასუსტება და შემცირება ერისა რიცხვისა და უმეცრება და სიგლახაე (ნიეთიერი — ვ. დ.)“; გაძვირდა „ქარტანი“, ე. ი. ქალაღი, დაიხურა „ტეპოლრაფია“⁵; სწავლულებმა დაკარგეს „ადგილნი და პატივნი და მცირედნიცა ნუგეშნი (სარჩო. — ვ. დ.)“; თანვე დაიკარგა „გარემოთა ბოროტ ბარბაროზთა უწიგნოთა მეზობელთაგან განსვენება“-ო.

ეს არ იყო პასიური იერემიადღა. ავტორი თავის ჩივილში თანამედროვეთ თუ მომავალთ მკაფიოდ ანიშნებდა, ამოცანას უსახავდა და გზას უჩვენებდა, როგორ უნდა გამოესწორებინათ საქმე. შავებდობის პირობებში დარჩენილან—„არხივა (sic)-წიგნთსაცაეები ცალიერ და სახლნი სასწავლებელნი უმოწათო და ერნი — უღრამატო“. არქეოლოგები შეეძლო საგანგებოდ ჩაეფიქრებინა იმაზე მითითებას, რომ „თვთ ათსამმეტთა მამათაგანი მეოხნი სამარხონი რომელნიმე გზაუ(ვ)ალად არიან და წმიდანი ჟუარნი და ხატნი (ჩვეულებრივ ძვირფასი ძეგლები ხელოვნებისა — ვ. დ.) კავკასიისა ქუბთა შინა თვნიერ მკმილავთა (მცველთა უქონელნი.—ვ. დ.) დაფარულ არიან“⁶. დაუფიწყარი ექვთიმე თაყაიშვილი რამდენი საკუთარი ძიების მაგალითით ამაგრებს ხელაშვილის პირად დაკვირვებას იმის შესახებაც, რომ უბედობის ხანებში გაბნეულ სიძველეთაგან — „თუ იპოვებინ, — წერს ხელაშვილი, — ჩინებულთა (დიდკაცთა.— ვ. დ.) სახლებთა შინა რაოდენნიმე წიგნნი საკლასონი, კელითწერილნი, იშიშვან (მათი პატრონები. — ვ. დ.) წარკითხუად, რათა არა მიეცეს ხრწნილებასა, ანუ (შიშობენ.— ვ. დ.) არავინ ინათხოვროს და (არ — ვ. დ.) იქმნას დაეწყებული“-ო⁷.

იონა ხელაშვილის გონების თვალი ამავე დროს ტრიალებს „ელენთა წიგნებთა საცაეებსა შინა და როსთა არხივაებთა შინაგან“ და რომაელთა და სომეხთა აქამდე „დაცულ წიგნებთა შინარე“, და იონა ღაღადყოფს, რომ საჭიროა „ზრუნუა“ ეზრასი და ნემიასი ჩუშნისა (ეროვნული.—ვ. დ.) არხივისათვს“⁸.

მაგრამ, ამას გარდა, ისმის იდეოლოგიური ხასიათის საჩივრებიც. ქართველ საზოგადოებაში უმეცრებამ სარბიელი მისცა ნიპილისტურ დამოკიდებულებას მშობლიური კულტურისადმი, „რო-

⁵ ხელნაწ. ინსტ., ხწ., № 2226, გვ. 25; ჩემი რვეული, I, გვ. 43.

⁶ დასახ. ხელნაწ., გვ. 26; ჩემი რკ., I, გვ. 43.

⁷ იგივე, გვ. 27; ჩ. რკ., I, გვ. 45.

⁸ იგივე, გვ. 27 და 28; ჩ. რკ., I, გვ. 44 და 45.

მელნიმე თხემნი (წაიკითხე: ცარიელი თავები. — ვ. დ.) თვისისა ენისა უკეთილესსა თხზულებასა გაკილვენ“-ო⁹.

მაინც მიუხედავად ყველაფრისა, ძველი ქართული დიდი მემკვიდრეობა სულიერ ძალას და იმედს ჰგვირიათ ჯანსაღ პატრიოტებს, რომ ეროვნული შემოქმედების ძეგლები, „თხზულნი — ოდესმე გამოშვედებიან, ოქროვანსა საუკუნესა შინა“¹⁰.

რადგან ჩვენ ამ მოკლე ექსკურსში მცირედიც იყოს ხარკი მიუტანეთ ქართული არქეოგრაფიის ძველ მესვეურთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ ზრუნვას „არხივა-წიგნთსაცაეების“ შექმნის შესახებ დიად არ აკლდა აზრი და მიზანდასახულება. სიმოკლისათვის ჩვენ პირდაპირ მოვიყვანთ შესანიშნავი მწიგნობრის, მაშინ პეტერბურგელი სტუდენტის, სოლომონ დოდაშვილის მანიშნებელ შემდეგ სიტყვებს: „არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაობ, არამედ სიყვარულისკს მამულისა, რათა ევროპამან ჰსცნას ივერია ს ა შ უ ა ლ ო ბ ი თ ა წ ე რ ი ლ თ ა ს ა რ წ მ უ ნ ო თ ა“¹¹.

ჩვენს ყურადღებას აქ იპყრობენ ეს „წერილნი სარწმუნონი“. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დოდაშვილს ესმოდა, რა სერიოზული სპეციალური წყაროთმცოდნეობითი, არქეოგრაფიული დამუშავება, შეფასება-კრიტიკა უნდა გათაროს წერილობითმა ძეგლმა, რომ ის ს ა რ წ მ უ ნ ო ვახდეს, რომ „წერილი“, წიგნი, ხელნაწერი „გამდიდრდეს“, როგორც რამე მადანი, შეიმატოს დამაჯერებლობა.

ოლონდ ყველაფერი ეს ქართული მეცნიერების ინტერესების თვალსაზრისით, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, პირობითი მოვლენები იყო, მაშინაც კი, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანამოასაკე თუ თანამედროვენი (ალ. ცაგარელი, თ. უორდანი, მ. ჯანაშვილი და სხვ.) უკვე ჩაბმული იყვნენ დიდს წყაროთმცოდნეობითს, არქეოგრაფიულ მუშაობაში, როდესაც მარი ბროსესი და დიმ. ბაქრაძის საკვირვლად დიდი არქეოგრაფიული საქმიანობაც განვლილი ეტაპი იყო.

ნათქვამიდან მკითხველი დაასკვნის, რომ თაყაიშვილის და მისი თაობის წინაშე დასახული ამოცანა ახალ შინაგან სირთულეს შეიცავდა, შემოქმედებითი მუშაობის თვისობრივად და რაოდენობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა სულ ახალ, საზოგადოებრივ

⁹ ხელნაწ. ინსტ.. ხწ.. № 2226; გვ. 138; ჩ. რვ., I, გვ. 53.

¹⁰ იქვე.

¹¹ ს ო ლ . დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი . ს . ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს შ ე ს ა ვ ა ლ ი წ ე რ ი ლ ო თ ა და შენიშვნებით, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944. ნაკვ. 2, თბ., 1945, გვ. 75.

ვი ცხოვრების დიდი აღმავლობის ვითარებაში ხდებოდა. ბაქრაძემ 80-ე წლებში დაასრულა თავისი მოღვაწეობა, ხოლო ექვთიმე მაშინ-ღა იწყებდა შემოქმედებით ცხოვრებას, რომლის დაბედებული ხანგრძლივობა ბედნიერად გასწვდა სოციალისტური კულტურული მშენებლობის 50-ე წლებსაც.

თავის დროზე დიმიტრი ბაქრაძე სახავდა წყაროთმცოდნეობითი, არქეოგრაფიული საქმის საერთო გეზსა და პროგრამას¹². რადგან ასეთ სამუშაოს ყოველთვის გარკვეული მარგანიზებული მნიშვნელობა აქვს, გაკერით აღვნიშნავთ, რომ თაყაიშვილს იმთავითვე არა ერთი გეგმა და პროგრამა დაუმუშავებია¹³. მაგრამ მკითხველის თვალში აქ უნდა შევაჩეროთ იმ გეგმის ხასიათზე, რომლის შინაგანი აზრი და მრავალმხრიობა განაპირობებდა თაყაიშვილის ცალკეული ნაშრომების ჩვეულებრივს წყაროთმცოდნეობითს თუ არქეოგრაფიულ არსსა და დანიშნულებას.

ჩვენი თემის ხასიათის შესაბამისად გვინტერესებს, თუ ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც წყაროთმცოდნე და პუბლიკატორი, რაოდენ რთულ საძიებელ კითხვებს აყენებდა ძეგლის შესასწავლად და გამოსაცემად, რა სიღრმის და სიგანის გეგმას მიჰყვებოდა გონების თვალთ, რა წონის და ფასისა იყო მისგან ამა თუ იმ შემთხვევაში დასახულ სარკვევ კითხვათა რიგი, ის სპეციალური პროგრამა, რომლის აღსანიშნავად სენიობოსმა გამოიყენა იურიდიული ტერმინი questionnaire („გამოსაკითხავი პუნქტები“)¹⁴.

ექვთიმე თაყაიშვილის „შრომათა ბიბლიოგრაფია“ (გამოსაცემად მოამზადა და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ე. კელენჯერიძემ)¹⁵ შეიცავს 278 დასახელებას. ასე რომ, ჩვენთვის საჭირო მასალა ულევია. მაშასადამე, ჩვენ აქ შეგვიძლია მხოლოდ ცალკეული სანიმუშოდ გამოსადეგი მაგალითები მოვიყვანოთ.

ამ მიზნისათვის საკმარისი იქნებოდა თუნდა მარტო იმ ნაშრომების მიმოხილვა, რომელნიც ჩვენმა მეცნიერმა უძღვნა „ქართლის ცხოვრების“ ვრცელ ტექსტებს, — მის მრავალრიცხოვან ვარიან-

¹² კერძოდ, იხ. მისი „პროფ. პატკანოვი და ქართ. ისტორიის წყაროები“, გვ. 33 და შმდ.

¹³ მაგალ., იხ. მისი წერილი სიძველეთა სამეცნიერო კატალოგიზაციის შესახებ (გახ. „იურია“, 1891, № 134). იხ. აგრეთვე რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე. „ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1962, გვ. 16—17.

¹⁴ იხ. Ланглюа и Сельебос, Введение в изучение истории, სპბ., 1899, გვ. 186.

¹⁵ ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 1963.

ტებს; მათ შესწავლას შედარებითი მეთოდით; მათ აღწერილობას და ა. შ. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ტექსტებიდან ზოგი დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწილები („სუმბატის ქრონიკა“. XI ს., და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) მისი ხანგრძლივი ზრუნვისა და კვლევის საგანი გახდა. ქვემოთ ისიც მოხსენდება მკითხველს, რომ არსებითად ამით დაიწყო თაყაიშვილმა თავისი მრავალწლოვანი სამეცნიერო სარბიელი და ამითვე დაასრულა: ეს იმდენად, რამდენადაც პირველი ფუძემდებლური ხასიათის მისი ნაშრომი მიეძღვნა სუმბატს და ამასთან დაკავშირებულ „ქართლის ცხოვრების“ კვლევას, ხოლო მისი ერთ-ერთი უკანასკნელ ნაშრომთაგანიც (1949 წ.) — იმავე საგანს.

უკვე პირველი ცდა მისი ბექდვითი გამოსვლისა („სამი ისტორიული ხრონიკა“, თბ., 1890; მის შედგენილობაში, როგორც ვიცით, შევიდა სუმბატის შრომაც და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—ც) მთელი თავისი სიუკარგით საინტერესო ჩანს და ერთგვარი სამანის დამდებია მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. ამ ნაშრომის უახლესი, მესამე გამოცემა (თბ., 1949) მკითხველს წარმოუდგენს თაყაიშვილის უკანასკნელი სამოღვაწეო წლების მონაბოვარს. მაგრამ ის პირველი გამოცემა ჩვენ გვესახება, როგორც დამწყები მკვლევარის პირველადი სამეცნიერო განწყობა—დაინტერესების და ცოდნის საცდელი ქვა, მის წამოწყებათა მიზანდასახულობისა და პერსპექტიულობის გარკვეული მოწმობა.

თვით ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მეცნიერის პირველი ცდები არქეოგრაფიას, წყაროთმცოდნეობითს ინტერესებს დაუკავშირდა, რომ ის იმთავითვე „ქართლის ცხოვრების“ კვლევის ძნელ საქმეში ჩაება, ობიექტურად მოწმობდა, თუ რა მიზანშეწონილად, საზოგადოებრიობის მოთხოვნათა ყურისგდებით ჰკიდებდა იგი საქმეს ხელს. ცნობილია, რომ დაახლოებით იმ ხანებში, წინმავალ წლებში (1883—1886) პეტერბურგელმა პროფესორმა კ. პატკანოვმა აღძრა თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხი წინა აზრის ისტორიის შესასწავლად. გამოსადეგ (როგორც ეს მას ჰქონდა წარმოდგენილი) წყაროთა მნიშვნელობაზე და ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროს, ძველ ქართველ მეისტორიეთა ძვირფას კრებულს — „ქართლის ცხოვრებას“ (Журнал Министерства народного просвещения 1883, დეკემბ.). როგორც ვიცით, თანამედროვე სპეციალისტების წრეებში საკვირველად დაურჩათ, კერძოდ, ის სისუსტე და მოუშაღებლობა, ჩვენ ვიტყვით, წყაროთმცოდნეობის დარგში, რომელმაც აფიქრებინა და ათქმევინა მას, თითქოსდა ქართული ისტორი-

ოგრაფია მოკლებულს ყოფილიყოს ტრადიციულობას, სიძველეს, თითქოსდა მას დასაბამი მიეცა აგერ მეთვრამეტე საუკუნეში და არა აღრეფეოდალური განვითარების პირობებში, როგორც ამას ლაღადებდნენ ქართული და სხვა სიძველენი.

წყაროებისადმი უყურადღებობის შედეგად მას, აღიარებულ არმენისტს, მის ვარაუდებში გამორჩა სომეხთა უკედავი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) მანიშნებელი, გამკვირვალე მითითებაც იმის შესახებ, რომ ორბელიანი ერთ-ერთ თავის წყაროდ სარგებლობდა ქართველთა „მატიანეთა წიგნს“, („ი ნოცინ ჟამანაკაგროცნ“), რომელსაც „ქართლის ცხოვრება“-ს უწოდებენ“-ო¹⁶. ამ მძიმე შეცდომამ ავტორიტეტიანი გველევარი, ბუნებრივია, ქმნა, ბიბლიის ენით თუ ვიტყვოდით, „საბასრობელად, და იგავად, და მისათხრობელად ყოველთა შორის“ (2. სჯულთა. 28, 37). ეს, რა თქმა უნდა, არ იყო წვრილი ინტრიგის გამოვლინება. ეს იყო სპეციალისტებისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის საკითხი, ამ შემთხვევაში, ქართველი ხალხის წიგნური მემკვიდრეობის წყაროთმცოდნეობითი ახალი და ახალი შეფასების საბაბი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე (1886 წ., მაისის ოცს) დიმიტრი ბაქრაძემ, აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, დარბაზს წარუდგინა ვრცელი მიმოხილვა ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის შესახებ. ეს მოხსენება დაიბეჭდა დასახელებული აკადემიის „Занекии“-ში¹⁷. იმავე საბაბით დაბეჭდა ქართულად დ. ბაქრაძემ ზემოდასახელებული შრომაც (ზემოთ, გვ. 169, შენ. 12). დ. ბაქრაძის საპაექრო მნიშვნელობის ეს გამოსვლაც დაარწმუნებს მკითხველს, რომ ქართველოლოგიური მიღწევები 80-ე წლებისათვის ამ სპეციალურ დარგშიც არ იყო მცირე. ქართლის ცხოვრების შესწავლის და პუბლიკაციის მთელი ეტაპი, რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ის, უკან დარჩა, როგორც პეტერბურგელ მეცნიერთა—თეიმურაზ ბაგრატიონის, დ. ჩუბინაშვილის და მეტადრე მ. ბროსეს დიდი საკვლევ-საორგანიზაციო მუშაობის გრძელი გზა. მაგრამ რაოდენ დიდი ედოთ წინ სავალი გზა საქმის გამგრძელებლებს, რა ნაკლოვანად ჩანდა მოღვაწენი და მონაპოვარი კვლევითი მუშაობისა, არქეოგრაფიისა, პუბლიკაციისა,

¹⁶ Уотсхонниа Орексхანი, Уаиомреჩინ Ухасхын („სისიკანის, სივნიეთის სახლის ისტორია“), 1910. გვ. 372; ეს საყურადღებო ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში თავის დროზე გამოიყენა აკად. ი. ჯავახიშვილმა (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფ., 1916, გვ. 264). პატივემული მეცნიერი ეწყარება ორბელიანის ისტორიის მოსკოვურ გამოცემას.

¹⁷ იხ. ტ. IV, დამატება, № 1, სპბ., 1887.

ეს, მიუხედავად ფერთა სიმუქისა, ჯეროვანი ობიექტურობითაა ასახული მაშინ დამწყები მეცნიერის მოსე ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორიის“ (1884 წ.) წინასიტყვაობაში. ის იწყებს ასე: „სიბნელე, წყუდიადი, მასალების უქონლობა: მათიანეთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპარ-თქმულებათა გამოუყვლეველობა. კრიტიკულად განუხილველობა“ და ა. შ.

ყველა ასეთ გამოსვლაში კარგად ჩანდა იმით გამოწვეული უკმაყოფილება, იმის მიხედვრა, რომ საისტორიო წყაროებს, „ქართლის ცხოვრებასაც“, ამ დიდებულ ძეგლს, აკლდათ ავტორიტეტული დაფასება, სპეციალური პატრონობა, რაც, დავსძენთ ჩვენ, დიდად ხელს უწყობდა იმ სკეპტიციზმისა და იმ ნიპილიზმის (ივ. ჯაბადარი) დაბადებას. ასეთ პირობებში „ქართლის ცხოვრების“ ირგვლივ კიდევ შენივთდა ისეთივე ატმოსფერო, როგორშიც თავის დროზე, პროგრესული რუსეთის სინამდვილეში, შეიქმნა, როგორც ეპოქის ნიშანი, საგულისხმო წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი, თითქოს სალაშქრო ტონზე მეღერი სათაურით: „Оборона летописи русской, Несторовой от навета скептиков“ („დაცვა რუსული მათიანისა, ნესტორისეულისა, სკეპტიკოსთა ცილისაგან“)¹⁸. „ობორონა“-ში კერძოდ, ისმის ჩივილი იმის გამო, რომ სხვადასხვა ჯურის ნიპილიზტების უვიცი შეფასებით, უკვდავი ნესტორის „ვრემენნიკი“ („Повесть временных лет“, XI—XII ს.) ვითომ წარმოადგენს (ეთარგმნოთ სიტყვასიტყვით) „ნამდვილისა და ტყუილის ქრელ ნარევს, თვითონ დაფუძნებული გადამახინჯებულ გადმოცემებზე, გამონაგონებზე, ნაყალბეებზე, ჩანართებზე, უცხოეთში მომხდარი ამბების რუსეთისათვის მიწერაზე“ (გვ. III). ამ „ობორონისთანა“ კაპიტალური მონოგრაფიული ხასიათის „დაცვა“ „ქართლის ცხოვრებისა“ ჩვენში არ შექმნილა. მაგრამ ისე, მნიშვნელოვანია იმდროინდელი დაცვითი ლიტერატურა, ნარკვევები, სტატიები, ცალკეული შრომების თავები. აქა და მეტადრე ი. ჰავკავაძის საიმისო წერილებში („აი ისტორია“, 1889 წ. და სხვ.) თითქოს პირდაპირ მეორდებოდა საკითხის შესასწავლად გამომწვევი ძველი სიტყვები: „სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი“ (მათე. 22. 29), აწორად ვერ მსჯელობთ, რადგან საკამათო საგანი საფუძვლიანად არ შეგისწავლიათ.

ქართველ ისტორიკოსთათვის, მაშასადამე, ეს ნიშნავდა საისტორიო წყაროების, „წიგნების“ შემდგომი, უფრო მეცნიერული გამოძიების აუცილებლობას და ამ გზით იმ ერთ-ერთი ფუძემდებელი საკი-

¹⁸ П. Б у т к о в, Оборона etc. СПб., 1840; I—VI+462+LXV стр.

თხის გადაჭრას, რომელსაც წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრების“, როგორც ნარატიულ წყაროთა თითქმის ყოვლის მომცველი კრებულის, დამაჭერებლად დათარიღება. უნდა დასაბუთებულყო და დაზუსტებულყო ის ქრონოლოგიური დებულება, რომ დ. ბაქრაძის ზემოთ მოხსენებული მტკიცების თანახმად, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები იქმნებოდნენ მე-XVIII ს-ის უადრეს. საკითხის ისტორიიდან ვიცით, რომ ასეთი მტკიცებისათვის ბაქრაძეს ყველასათვის ადვილდასანახი საფუძველი მისცა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთმა ხელნაწერმა, ე. წ. მარიამისეულმა ვარიანტმა (XVII ს.), რომელიც სამეცნიერო სამყაროსათვის ცნობილი გახდა (1884 წ.) სწორედ აკადემიაში ბაქრაძის მიერ წაკითხული მოხსენებიდან („ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში“-ო).

ექვთიმე თაყაიშვილი სხვებთან ერთად (მ. ჭანაშვილი, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძე და სხვ.) თავისი სიცოცხლის მანძილზე არ ანელებდა იმ დიდ მეცადინეობას, რომელიც ერთხელეე მოითხოვა წყაროების შესწავლამ. ის თავდადებით აგრძელებდა ადრე ცნობილი ვარიანტების კვლევას, მათი შინაარსიის, გადამწერელთა ზელების, მიწაწერების, თარიღების ან დამათარიღებელი არაპირდაპირი მონაცემების, კითხვასხვაობათა ანალიზს, და არსებითად პირველად იკვლევდა მარიამისეულ ვარიანტს სხვა ვარიანტებთან თუ ნუსხებთან შედარებით. ამ უკანასკნელთა შორის პირველ რიგში დავასახელოთ თეიმურაზისეული (თეიმურაზ ბაგრატიონის ნაქონი) ნუსხა, რომელიც საფუძვლად („base“) დაედო ბროსეს მიერ პირველად დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრებას“ (სპბ., 1849¹⁹), ხოლო რუმინცივისეული და ფლავიანდიშვილისეული ხელნაწერები იმ პუბლიკაციაში გამოყენებულ იქნა შესადარებელ მასალად²⁰. მიმოხილვა „ქართლის ცხოვრების“ ამა და სხვა, დღემდე მოპოვებული ნუსხებისა ერთობლივ, მათი შესწავლილობის ზოგადი ვითარება თუ მათი ადგილი მთელი კრებულის შესწავლის საქმეში მკითხველს შეუძლია მეტ-ნაკლები სისრულით და შემაჯამებელი სახით იპოვოს ადრინდელ გამოკვლევათა შორის — თ. ჟორდანიასთან²¹. საკითხის შესწავლის ახალ, მაღალ საფეხურს შეეფერება აკად. ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი ადრინდელი შრომა „ძველი ქართული საისტორიო მწერ-

¹⁹ და არა 1848, როგორც ეს მკითხველს ხელება სპეციალურ ლიტერატურაში. ბროსესეულმა გამოცემამ მისი სამეცნიერო აპარატი და ფრანგული თარგმანით მონდომა შეიღო ტომი in—^o (1849—1858).

²⁰ ბროსეს იგივე გამოცემა, გვ. 15, შენ. 1.

²¹ მისი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892, წინასიტყვაობა, გვ. I—IX.

ლობა²², სადაც „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი „გაგრძელების“ დახასიათებას ეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი. უახლოეს სერიოზულ ცდებს ამ დარგში წარმოადგენს ნაშრომები პროფ. კ. გრიგოლიასი²³ და პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა²⁴.

თაყაიშვილის ხელში გავლილ ნუსხათაგან, მარიაამისეული ვარიანტის გარდა, არა ერთი მისგანვე იქნა აღწერილი და აღწერითი სახით დაბეჭდილი მის კაპიტალურ, ორტომიან „აღწერა“-ში²⁵. მათ შორის:

ბარათაშვილისეული ქართლის ცხოვრება (1761 წ.); აღწ., ტ. I, ნაკვ. II, ხელნაწერის № 24; ტ., 1903;

დადიანისეული ქ. ცხ. („სპისოკ მინგრელი“, XVIII ს. უკანასკნ. მეოთხ.). აღწ., ტ. I, ნაკვ. III, ხწ. № 74; ტ., 1904;

თეიმურაზისეული ქ. ცხ. (XVIII ს. პირვ. ნახევ.); აღწ., ტ. II, ნაკვ. I, ხწ. № 130; ტ. 1906;

რუმინანტევისეული ქ. ცხ. (1703 წლამდე გადაწერილი); აღწ., ტ. II, ნაკვ. I, ხწ. № 130;

მარიაამისეული ქ. ცხ. (1633 — 1646²⁶), აღწ., ტ. II, ნაკვ. I, ხწ. № 133;

ჯანაშვილისეული ქ. ცხ. (XVIII ს. პირვ. მეოთხ.); აღწ., ტ. II, ნაკვ. I.

ჩვენ აქ თაყაიშვილის აღწერათა რამდენიმე ნიმუში დავასახელებთ. ისე კი, რა თქმა უნდა, აღნიშნულ ორტომეულში, სხვა უხე მასალას თავი რომ დავანებოთ, მართო საქართველოს ისტორიის შემცველი ძეგლები დიდი მრავალფერობით არის წარმოდგენილი. კერძოდ, აღწერილია არა ერთი მანუსკრიპტი ვახუშტის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობიდან, მე-XVIII ს. სხვა ისტორიკოსთა ხელნა-

²² გამოც. 1916, სპეტ. გვ. გვ. 251—283, 310—320; შიოხველის განკარგულებაში ნაშრომის მეორე, არასრული, და შესამე გამოცემები (1921 და 1945 წწ.).

²³ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. I. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.

²⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბ., 1955), შესავალი, სპეტ. გვ. გვ. 014—021 და შმდ. ტ. II (თბ., 1959), შესავალი, სპეტ. გვ. გვ. 031—034.

²⁵ Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, ტ. I (ოთხი ნაკვეთის შემცველი), ტფ., 1904., ტ. II, ნაკვ. 1—4, ტფ., 1906—1912 (ერთ წიგნად). ცალკეულ ნაკვეთებად აღწერები იბეჭდებოდა 1902—1912 წწ. კავკასიის სასწავლო ოლქის ორგანოში: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК).

²⁶ თაყაიშვილთან მიღებული თარიღი 1638—1646 ამ სახით დააზუსტა კ. გრიგოლამ.

წერებიც (სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და ა. შ.).

აღწერითი მუშაობა, გინდ კრიტიკული მიმოხილვა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს განუხორციელებია „ქართლის ცხოვრების“ შესასწავლად, დიად არ ამოიწურება აღნიშნული ნუსხებით. გზადაგზა თაყაიშვილს შესწავლის არეში შემოჰქონდა დამატებითი მასალები, მერმე და მერმე მეცნიერთაგან გამოვლენილი ნუსხები, მაგალ., „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხა, ან იგი თვისგანვე ერთხელ შესწავლილ-აღწერილს კვლავ უბრუნდებოდა სხვა დროს და სხვა პირობებში. ეს ხორციელდებოდა, თუ დავეყრდნობით მისივე ხელით შედგენილს მის ნაშრომთა სიაში აღნიშნულ წლებს, მთელი 61 წლის ფარგლებში (1890—1962)²⁷.

ცხადია, ის მრავალმხრივი გამოხმაურება, რეცენზიები, მეტნაკლებად ვრცელი შენიშვნები, ბიბლიოგრაფიული თუ სხვა რიგისანი, რომელიც რგებია თაყაიშვილის შრომებს, თავისთავადაც საინტერესო მასალას შეიცავენ ჩვენი საგნის შესასწავლად. ეს რეცენზიები თუ შეფასებანი სხვადასხვა დანიშნულების, ტონის, შემეცნებითი ღირებულებისანი არიან. ჩვენ აქ გვაინტერესებს განმარტოვებულ-ლი ხასიათის გამოძახილები. კერძოდ, ი. ჭავჭავაძის შრომებში ექვთიმე თაყაიშვილის აღწერათა ორტომეული ჯეროვნად ყურადღებულნი და შეფასებულნი, როგორც „ვრცელი გამოკვლევა ქცის (=ქართლის ცხოვრების) ყველა ხელნაწერების შესახებ“²⁸. აკად. ნ. მარის საამისო რეცენზიათა შორის აღვნიშნოთ თუნდ ის ერთი, რომელიც მიეძღვნა თაყაიშვილის „აღწერის“ პირველ ტომს და დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კრებულში²⁹. რამდენადაც, თაყაიშვილთან ერთად, ქართლის ცხოვრების ტექსტების კრიტიკულ შესწავლაში დიდი იყო მონაწილეობა კერძოდ თ. უორდანიასი და მ. ჯანაშვილისა, ბუნებრივია, რომ ამათ ნაშრომებშიც საკმაოდ მოიპოვება საგულისხმო გამოძახილები და შენიშვნები, არა ერთხელ მკვლევართათვის სწორი ორიენტაციის მიმცემი, თუმცა ბევრჯერ მწარე ტონით დაწერილი³⁰.

²⁷ იხ. ზემოთ მითითებული ბიბლიოგრაფია ე. თაყაიშვილის შრომებისა.

²⁸ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფ., 1916, გვ. 252.

²⁹ ნ. მ ა რ ი, Критика на работу Е. С. Такайшвили: Описание рукописей, etc, т. I, вып. 1—4, Т., 1902—1904, Сборник отчетов о премиях и наградах, присужденных Академией Наук за 1907 (მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1907 წლისათვის მინიჭებულ პრემიათა და ჯილდოთა შესახებ ანგარიშგების კრებული), СПб., 1909.

³⁰ თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წ. I, გვ. XVII, XX, XXII და სხვ. მ. ჭ ა ვ ა ხ ი ლ ი, აღვადგინე. (წიგნის სრული სათაური იხ. ქვემოთ).

მაგრამ რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ეს გამოძახილები, ისინი მაინც იმას მოწმობენ, რომ თაყაიშვილის პირველივე ნაშრომები იმ-სახურებდა სპეციალისტების ყურადღებას.

რამდენადაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა დათარიღება, მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“, როგორც საისტორიო შრომათა კრებულის, შემადგენელ ნაწილთა წლოვანების განსაზღვრაც, ექვთიმე თაყაიშვილსაც, მაშინ ჯერ კიდევ დამწყებ მეცნიერს, ამ საკითხისათვის გაუცია ძალისაებრი პასუხები თავის სადებიუტო შრომაში — „სამი ისტორიული ხრონიკა, — გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ“³¹. ამ წიგნმა ერთბაშად პოვა გამომხაურება მ. ჯანაშიელის წიგნში „აღუადგინე“ და ნ. მარის რეცენზიის სახით — „რუსული არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური განყოფილების წერილებში“³². მთავარი ის არის, რომ თაყაიშვილმა პირველმა გამოაქვეყნა ძვირფასი ძეგლები სათანადო მიმოხილვით, „სამი ხრონიკის“ სათაურში აღრიცხული „მოქცევა“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ და მესხური ქრონიკა.

დასახელებულმა ძეგლებმა, ბუნებრივია, ერთბაშად მოიპოვეს პოპულარობა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შეიცავს ანტიკური ხანის ქართველ მეფეთა უნიკალური მნიშვნელობის სიას, ქრონოლოგიური მიდევნებით — ადრეფეოდალური ქართლის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს და ბაგრატიონების სადინასტითო სახლის გენეალოგიურ მონაცემებსაც (XI ს-მდე). ი. ჯავახიშვილმა თავის ზემოთ დასახელებულ ისტორიოგრაფიულ შრომაში („ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა“. 1916, გვ. 38) ეს ძეგლი, მაშინ, 1916 წ. უკვე ორი ვარიანტის შეჯერების წესით გამოცემული (იხ. ქვემოთ), შეაფასა როგორც „უძველესი სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოები“, დღემდეც, დაჟდინოთ ჩვენ, უძველესობით გამორჩეული. ე. თაყაიშვილის ვარაუდით („ჩვენის აზრით“), ძეგლი შედგენილი უნდა იყოს VII ს., რომელი თარიღიც, მართალია, ყველასაგან არ იქნა გაზიარებული³³. თაყაიშვილმა ამასთან ერთად საბუთი-ანად გაასწორა დ. ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი ქრონოლოგიური

³¹ ტფილისი, 1890.

³² Записки восточн. отделения русск. археологич. общества, т. VI, 1891. გვ. 357—362; სპბ., 1892.

³³ შდრ. ი.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართ. საისტ. მწერლობა, გვ. 40.

მსაზღვრელი (826—876 წ.წ.) იმ ხელნაწერისა („შატბერდის კრებული“), სადაც აღმოჩნდა „ქართლის მოქცევის“ აღნიშნული ტექსტი და რომელსაც თაყაიშვილი ათარიღებს დაახლოებით 973 წლით. აკად. ს. ჭანაშიამ, საკმაოდ დაწვრილებით განიხილა რა ამ ძეგლის შესწავლის ისტორია, დაასკვნა, რომ თაყაიშვილის მიერ დადგენილი ეს უკანასკნელი თარიღი „მას შემდეგ ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში დიდად არ შეცვლილა“³⁴. მაგრამ ქრონოლოგიური კვალიფიკაციის გარდაც თაყაიშვილს, ცხადია, არა ერთი სხვა საზრუნავი ჰქონდა ძეგლის არქეოგრაფიული შესწავლისათვის, წყაროთმცოდნეობითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენი საერთო ამოცანის შესაბამისად, ჩვენი, ქვემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, ვცადოთ, უფრო დაუზღოვრედ თაყაიშვილის არქეოგრაფიული მუშაობის ხერხებს, მის წყაროთმცოდნეობითს მოთხოვნებს, სათანადო ტექნიკას და ა. შ.

ჯერ ყურადღებას იქცევს მაშინ დამწყები მკვლევარის, თაყაიშვილის, მიზანდასახული სწრაფვა — აღიქვას მოცემული ძეგლის, „ქართლის მოქცევის“, დამოკიდებულება მთელთან, „ქართლის ცხოვრებასთან“, რომელი კრებულიც, ზემოთ თქმულისამებრ, მისთვისაც ყოველთვის შეადგენდა ზრუნვის საგანს. ამასთან დაკავშირებულია ავტორის საგულისხმო შენიშვნა, რომ „ისტორიკოსმა ვახუშტიმ და თეიმურაზ ბატონიშვილმა სრულებით არ იციან ქართლის მოქცევა“. მსგავს შენიშვნას თაყაიშვილი აკეთებს იქვე დასახელებულ „ბროსეს, ჩუბინოვის, ბაქრაძის და სხვების“ მიმართაც: ამათ „არა ერთხელ ჩამოუთვლიათ ქართლის ცხოვრების წყაროები, რომელიც თვით ამ მართიანეში იხსენიებიან, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეუნიშნავს, რომ ქართლის მოქცევა, — სწერს თაყაიშვილი, — განცალკევებული წყაროა ჩვენი ისტორიისა“³⁵. ამ სიტყვების ავტორს ამ თვალსაზრისითაც განუხილავს რა „ქართლის ცხოვრების“ ყველა მაშინ არსებული ვარიანტი, შეუმიჩნევია, რომ „ცნობები მის შესახებ“, ჩვენი სიტყვით — მითითებანი „ქართლის მოქცევაზე“, „შეტანილია თვით ქართლის ცხოვრებაში, და არ მოიპოვება ისეთი ვარიანტი, — განაგრძობს სანაქებოდ ერუდირებული ახალგაზრდა შეცნიერი, — რომელიც ქართლის მოქცევას თავის წყაროდ არ უჩვენებდეს“³⁶. ამას მისდევს ავტორის აზრის დამადასტურებელი მითითებანი იმ ვარიანტებზე სათანადო სქოლიოებში.

³⁴ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, უძველესი ეროვნ. ცნობა ქართველთა პირველსა ცხოვრების შესახებ, შრომები. ტ. II, თბ., 1952, გვ. 28.

³⁵ სამი ისტორიული ზრონიკა, გვ. LXXXII და LXXX—LXXXI.

³⁶ იგივე, გვ. XXXI.

ავტორი წლების მანძილზე გულდასმით მუშაობს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებზე, ამ კრებულის, მისი ვარიანტების ქრონოლოგიაზე, აღებული მიმართულებით სხვათაგან წარმოდგენილი ცდებისა და დასკვნების შემოწმებაზე. ამ დარგში მისი წვლილის მნიშვნელობას არაპირდაპირ გვაძინებს „ქართლის მოქცევის“ შემფასებელი თაყაიშვილის ასეთი სიტყვები: „აქამომდე ჩვენ არ გვეჩინია არც ერთი ძველი ხრონიკის ვარიანტი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო შემოწმება ქართლის ცხოვრების ცნობებისა. ახლა კი, განაგრძობს ავტორი, ქართლის მოქცევის საშუალებით შეგვიძლია შევამოწმოთ უმთავრესი ცნობები ქართლის ცხოვრებისა და ვალია-როთ მათი სიძველე ანუ უარეყოთ ზოგიერთი მათგანი“³⁷.

თაყაიშვილმა მართლაც განახორციელა შემოწმებითი სამუშაო. „ქართლის მოქცევის“ აღნიშნულ გამოცემაში (მეორე, უფრო სრულყოფილი გამოცემის შესახებ იხ. ქვემოთ) სქოლიოებში „მთლად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, — წერს ის, — რომელნიც სიტყვასიტყვით ემთხვევიან ქართლის მოქცევის ხრონიკას, და აღვნიშნეთ განსხვავებანი“. ავტორის ერთი მიზანი ისიც იყო, რომ „თვალსაჩინოდ, დაგვენახებინა მკითხველისათვის“ განსხვავება³⁸. საერთოდ, ასეთი „შედარებითი გამოცემა“ მას სამართლიანად მიაჩნდა „ძრიელ საქიროთ“³⁹ და მან ამ წესის დაცვით კიდევ განახორციელა არა ერთი საისტორიო წყაროს პუბლიკაცია.

ამ პუბლიკაციათა შორის მოკლედ დავახსიანოთ, როგორც სანიმუშო, იმავე „ქართლის მოქცევის“ მეორე⁴⁰ გამოცემა (1912 წ.). გამოცემის საბაბი უთუოდ იყო 1902—1903 წ.წ. ა. ხელაიას მიერ ქელიშის უდაბნოში (რაჭა) „ქართლის მოქცევის“ ახალი ვარიანტის აღმოჩენა⁴¹. ახალ გამოცემაში ე. თაყაიშვილმა ორივე ვარიანტი, შატბერდისა და ქელიშისა, დაბეჭდა ერთად, მათი ტექსტების შეჯერების გასაადვილებლად. ეს ტექსტები მთლიანად არის მოთავსებული თაყაიშვილის „აღწერა“-ში (ტ. II, ნაკვ. IV, გვ. გვ. 708 —

³⁷ საბი ისტორიული ხრონიკა, გვ. LXXXIV.

³⁸ იგივე, LXXXVI და LXXXV.

³⁹ იგივე, გვ. LXXXV.

⁴⁰ თავისი ფასი აქვს თ. ჟორდანის მიერ („ქრონიკები“, წ. I, 1892) დაბეჭდილ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტს (ერთელი შენიშვნებით). ტექსტი ამ გამოცემაში დანაწილებულია ნაწევრ-ნაწევრად, გვ. 11-ისა და 79-ის ფარგლებში.

⁴¹ არხიმანდრიტი ამბროსი, ქელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, „ძველი საქართველო“. ტ. I., გვ. 1—29, ტფ., 1909; ცალკე ამონაბეჭდი, ტფ., 1911. არხ. ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, შემდგომ (1921—1927 წწ.) იყო „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“.

813). ვარიანტების აღწერა-შეთასება პუბლიკატორს მოკლედ აქვს წარმოდგენილი (იგივე, გვ. 704—708 და 813—815), რადგან შატბერდის ვარიანტი, როგორც ვნახეთ, მის პირველ გამოცემაშია დაწერილებით აღწერილი, ხოლო ქელიშისა მისი აღმომჩენის მიერაა აღწერილ-შეთასებული.

ცხადია, ტექსტების შეჯერებაზე რთული მუშაობისას თაყაიშვილს წინ ედო ისეთი შედარებით იოლი, მაგრამ ფაქიზად შესასრულებელი საქმეც, როგორც არის, მაგალითად, ხარვეზების, კითხვასვლობათა, მართლწერის დარღვევის შემთხვევათა გამოვლინება.

თაყაიშვილის მიერ ორივე ვარიანტის ტექსტების შეჯერებამ ცხადყო, რომ შატბერდისა, მეორესთან შედარებით, „სანიმუშოდ“ იყო დაცული („Представляется образцовым“). მეცნიერი გამოძეგელი იმასაც განმარტავს, თუ რატომ მოხდა ასე. იმიტომ, ბრძანებს სპეციალისტი, რომ შატბერდისეული ტექსტი, ერთხელვე შეტანილი მე-X ს-ის ცნობილ კრებულში, სამარადეამოდ ჩარჩა ხელუხლებელი, გადარჩა დროთა ბრუნვას შეუბღალავი, — გამოძეგმლის ლაკონიური სიტყვით — „შემოინახა X ს-ის ნუსხაში (список), რომელი საუკუნეც წარმოადგენდა ქართული მეწიგნეობის (книжного дела) საუკეთესო დროს“ (აღწ., II, ნაკვ. IV, 814), ხოლო ქელიშისეულმა კი „пережил период падения культуры Грузии“, ესე იგი, ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ქელიშისეული ვარიანტი, როგორც უწყვეტლავ ცოცხალი გამოყენების საგანი, არ გადაპყროლია საქართველოს კულტურის დაცემის უბედურ ამბებს, ის გამძლე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ხმარებაში დარჩენილი, იგი ისე გადამახინჯდა სხვადასხვა დროის გადამწერთაგან, რომ თუ არა შატბერდის ტექსტის დახმარებით, აღნიშნავს მეცნიერი, ისე ქელიშისეულში ბევრი რამე გაუგებარი იქნებოდა სპეციალისტისათვის (გვ. 814).

ამავე დროს ტექსტის საკუთარ კრიტიკას ექვეთიმე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მარცვლავს, მოსთვლის რა ტექნიკური, ტექსტოლოგიური თუ პალეოგრაფიული ხასიათის დაბრკოლებებს. მაგალითად, იმ ფაქტის ძალით, რომ შატბერდისა და ქელიშის ვარიანტების შემცველ ორივე ხელნაწერს აკლია ერთი საფურცლე ტექსტი (текст одного листа), თაყაიშვილს მსწრაფლ დაეხადა აზრი, რომ ამის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო ფურცლების დანაკლისი (не по дефектности листов), არამედ მიზეზი უნდა იყოს იმ დედნის დანაკლისი თუ დეფექტიანობა, რომლიდანაც ალბათ გადაწერილია მოცემული ხელნაწერის ტექსტი (იქვე). ეს იმასაც მოასწავებს, ცხადია, რომ მან შემოვლითი გზით დასახა იდეა იმ საძიებელი დედნის სიძველეთსაცავებში მოჩხრეკისა. „ხუტურში მსგავსი ასოების (схожих

რეკვ. ე. ი. თანამსგავსი მოხაზულობის ასოთა) აღრევისაგან წარმოდგარი შეცდომები ხელნაწერის ტექსტში ჩვეულებრივი მოვლენა არისო“, შენიშნავს ის (გვ. 815). ამ რიგის შეცდომებს იქვე ერთვის მეორე რიგის შეცდომებიც, ქარაგმათა ხმარების წესის დარღვევით გამოწვეული. თაყაიშვილის მუშაობის ამ მხარეს ქვემოთაც ექვევა ყურადღება. ქელიშის ტექსტში დატულ მართლწერაში მკვლევარმა შენიშნა ქართული ანბანის 22-ე და მე-8 ასოთა ნაერთი (უჭ), რომელშიც უ ქარაგმიანია. ამის მნახველმა თაყაიშვილმა აღნიშნული დაქარაგმებული ნაერთი მიიჩნია, როგორც წინამორბედი XVIII ს. ანტონისეული შენაერთისა (უჭ), რომელშიც უ-ბრჯგუა გამოყენებული (გვ. 815).

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში წარმოდგენილია ცნობილი ძეგლიც აღმავალი ფეოდალიზმის ხანისა — ზემოთ მოხსენიებული სუმბატის ქრონიკა, უფრო ზუსტად, სუმბატ დავითის ძის ბაგრატიონის (ბაგრატიონის; XI ს.) „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“. მსგავსად „ქართლის მოქცევისა“, ამ ქრონიკამაც, თაყაიშვილის შემოქმედ ხელში არა ერთხელ გავლილმა და გადასინჯულმა, ახალი მუქი შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების კრიტიკულ შესწავლაში, — ეს სრულიად დამოუკიდებელი იმისგან, თუ რა რჩებოდა ე. თაყაიშვილის ნაშრომებში, ადრე და მერმისში, გასასწორებელი, შესავსები, გადასასინჯი და ა. შ., ან კერძოდ, რა შენიშვნები გამოიწვია სუმბატის ქრონიკის პირველმა პუბლიკაციამ (1890 წ.) სამეცნიერო კრიტიკაში⁴².

სუმბატის ქრონიკის თაყაიშვილისეულ პირველ ორ გამოცემას (1890, 1906⁴³) საფუძვლად დაედო მაშინ ცნობილი მარიამისეული ქ. ცხ-ის ერთადერთი ვარიანტი. მაგრამ რადგან იგივე ქრონიკა შესწორებული სახით მოპოვებულ იქნა ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ ნარედაქციევ ქ. ცხ-ის ტექსტში, თაყაიშვილმა პირველ თავის გამოცემაში, სქოლიოებში, აღნიშნა „შესწორებული ქ. ცხ-ის ვარიანტები“ (საქმის ასეთი ვითარების შესახებ იხ. სუმბატის ქრონიკის მესამე გამოცემის გვ. 3).

აღნიშნული მეორე გამოცემის წლიდან (1906) მესამე გამოცემის წლამდე (1949) მთელმა ხანამ განვლო.

ამ უკანასკნელი გამოცემის განხორციელებისას თაყაიშვილი

⁴² ე. ო. რ. აქნია, ქრონიკები, წ. 1, წინასიტყვაობა, გვ. XXII—XXV; გვ. 138, ვარსკვლავიანი ვრცელი სქოლიო, და სხვ.

⁴³ 1906 წ. გამოცემული ტექსტი წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ვარიანტში (იხ. ქვემოთ).

თავს მოვალედ თელის გარკვეული წესის თანახმად გააცნოს მკითხველს ახალი მასალა, რომელიც დაგროვდა სუმბატის ქრონიკის საკითხის ირგვლივ განვლილი დროის მანძილზე. უკანასკნელ პუბლიკაციაში სათანადო სიზუსტით არის მოცემული მარიამისეული ქცხის გამოქვეყნების (1906) შემდეგ მოპოვებული ქ. ცხ-ის ხელნაწერების დახასიათება, მოკლე ტექსტოლოგიური შენიშვნები არსებული სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით (ჯავახიშვილი, ყაუხჩიშვილი, გრიგოლია).

სუმბატის ნაშრომისადმი მიძღვნილ აღრიხედელ გამოკვლევაში („სამი ისტორიული ხრონიკა“) მკითხველს ეუწყება, რომ მარიამის ვარიანტის აღმოჩენამდე „ჩვენ არა გვქონია წარმოდგენა სუმბატის (მიერ შედგენილ — ვ. დ.) ისტორიაზე, გარდა იმისა, რომ ცნობილი იყო მისი სათაური“ (გვ. CIII—CIV). აქ მითითებულია ქართლის ცხოვრების ის ადგილი, სადაც სქოლიოში, თეიმურაზისეული ნუსხის საფუძველზე, მოყვანილია ეს სათაური (იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 161, შენ. 3; იგულისხმება ბროსე, ქართლის ცხოვრება, ტ. I). ამ სათაურიდან, წერს მკვლევარი, ჩანდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ გამოყენებული იყო სუმბატის ისტორია, მაგრამ სახელდობრ რა ნაწილები იყო ამ ისტორიიდან ნასესხები, ამის შესახებ „არავითარი ცნობა არ გვქონდა“ (გვ. CIV). ამას მოსდევს დახასიათება თაყაიშვილის მიერ ზელნაწერზე ჩატარებული მუშაობისა, მისი დაკვირვებანი, მისგან დასმული კითხვები და პასუხები. დაახლოებით ამ გზით მარიამის ვარიანტის შემადგენლობაში, მკვლევარის მუშაობის შედეგად, მთლიანად გამოვლინდა ძვირფასი ძეგლი, სუმბატის ქრონიკა, როგორც „განცალკევებული“ (იქვე), დამოუკიდებელი თავი. თაყაიშვილი გულმოდგინედ ჩაუჯდა „ქართლის ცხოვრების“ მაშინ ცნობილ ნუსხებს და ახლად აღმოჩენილი სუმბატის ნაშრომის ტექსტობრივი შეჯერების წესით იმ ნუსხებთან დადგინდა ნათელი სურათი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ: 1. უმეტესი ნაწილი სუმბატის ისტორიისა ყოფილა შეტანილი აღნიშნულ ნუსხებში და თითქმის სრულად — მარტო თეიმურაზისეულ ნუსხაში; 2. სუმბატის ისტორია „დაგლეჯილია ფრაზებად და მკირეოდენ ნაწილებად და ისე შექსოვილი და ჩაკერებულია აქა-იქ ქართლის ცხოვრების ტექსტში“; 3. სუმბატის ცნობები უკრიტიკოდ, მექანიკურად არის ჩართული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში, და აქედან წარმოდგა ხშირად ძნელად დასაძლვევი წინააღმდეგობა მოწმობათა შორის, ფაქტობრივი შეუსაბამობა და ა. შ. 4. მკვლევარმა საჭირო აღდგენითი, ტექსტოლოგიური სამუშაო განახორციელა: „ჩვენ გამოვწვლილეთ და გამოვკრიბეთ ქართლის ცხოვრების ტექსტიდან ის

ფრაზები და მოთხრობანი, — წერს ის, — რომელნიც სუმბატის ისტორიას ეკუთვნოდნენ, და ამით თვით ქართლის ცხოვრებიდან აღვადგინეთ სუმბატის ისტორიის ვარიანტი. რომელიც მარიამის ვარიანტის შესადაარებლად ვიხმარეთ“ და ა. შ. (გვ. CIV და CV).

მიუხედავად იმისა, მაშასადამე, რომ სუმბატის ქრონიკა ცალკეული მთლიანი ნაშრომის სახით აღმოჩნდა XVII ს-ის „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობაში, მისმა მეცნიერმა მკვლევარმა საჭიროდ ჩათვალა არა მცირედი დრო და ენერგია შეეწირა და ამ ცხოვრებიდან გამოერჩია ის საკითხავები, რომელნიც შესასწავლი ქრონიკის კუთვნილებად იცნობოდნენ სპეციალისტის მიერ. ვარაუდრი სწორი იყო. იმ მწიგნობრებს, რომელნიც, ვინ როდის, — „ქართლის ცხოვრების“, თუ იქნება ასე ითქვას, უსუმბატო ტექსტების გასამდიდრებლად ესესებოდნენ სუმბატის ცალკე წიგნად მდებარე ქრონიკის — ცალკეულ ცნობებს, ფრაზებს, პასაჟებსა და ა. შ., არ შეიძლებოდა საკუთარი გაგება, „ხელი“, იერი, არ დაეჩნიათ ნახესხებისთვის მისი გამოყენების დროს. მაინც რაში გამოიხატა ესო, იკითხავს მკითხველი. ექვთიმე თაყაიშვილმა კითხვასხვაობა, საკითხავთა ვარიანტული თუ სხვა ხასიათის თავისებურებანი, ნაკი თუ ნამატი, შეჯერების გზით გამოვლენილი მის მიერ, სუმბატის ქრონიკის გამოცემული ტექსტის სქოლიოებში წარმოადგინა მკითხველისთვის მზამზარეულად, მისთვის ჩვეული სიბეჭითით. ეს სქოლიოები ძალზე საინტერესო სამეცნიერო აპარატს ქმნიან აღნიშნულ პუბლიკაციაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. იმ აპარატში წარმოდგენილი მასალა ჭერ გვიკარნახებს დავასკვნათ, რომ XVIII—XIX სს. მიჯნაზე და მერმე ძველი ხელნაწერის გამოყენებლებს, იმათ, ვის ხელშიც მისცემია ჩვენთვის ცნობილი სახე ე. წ. „ქართლის ცხოვრების“ თვითმურაზისეულ ნუსხას თუ რიგ სხვა ნუსხებს, ბუნებრივად მოუმარჯვნიათ თავისი დროის ქართული. ქრონიკის ძირითადი ტექსტის არქაული გამოთქმები: „ცხოვრება“, „სადათ“, „აბრაჰამ“, „სომხითს“, „გურამ“, „კაბეჩიანს“ „ძესა ნერსესსა“ და მრ. სხვ. — ზოგ ნუსხაში შეცვლილან ფორმებით: ცხოვრებაჲ, სადით, აბრაჰამ, სომხეთს, გურამ, კამბეჩიანს, ძესა ნერსესისა და ა. შ. ამავე დროს, აღნიშნულ პირებს, თავისი ხანის სპეციალისტებს, სუმბატის ქრონიკაში ერთხელ შერყენილი საკითხავები, სადაც შესძლებიათ, უსწორებიათ. მცდარი „სავანეთს“ (გვ. 44), „ასპორანგს“ (იქვე), „მოშალე“ (გვ. 45), „ვატ-ბოროტისანი“ და ა. შ. შენაბამისად შეცვლილია სწორით: სივინეთს (სივინეთს), ასპურაგანს (ვასპურაგანს), მუშელ, ვატ-ბოტის(ანი) და სხვ.

თაყაიშვილისეული სქოლიოები, მკითხველის თვალწინ დალაგებული შესადარებელი მასალა ირიბი გზით სხვა პრინციპული მნიშვნელობის დასკვნებსაც გვიკარნახებს. სუმბატთან, კერძოდ, აღნიშნულია, „რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალის მემკვიდრეებმა დაკარგეს მეფობა (VI ს.), ხელისუფლება ერგოთ „ქართლისა აზნაურთა“ და „ეპყრა“ მათ იგი „ვიდრე ამათამდე“ — ბაგრატიონთა დინასტიის დაწყებამდე, როდესაც „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“ (გვ. 44). სქოლიოში კი ნაჩვენებია, რომ ამ უკანასკნელ წინადადებას აკლია, თეიმურაზის ვარიანტში, სიტყვები: „დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა“. გამოდის, „ბოროტნი საქმენი“ მიეწერათ ვახტანგის მემკვიდრეებს. ყოველი ეს დამართეს ტექსტს იქნებ ცნობის სოციალურ-კლასობრივი ვაზრების გამო.

ფეოდალურ-აზნაურული ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგებში გარკვეულ რეაქციას იწვევდა აზნაურობის შემბლაღვი ლიტერატურული გამოსვლები. ამავე დროს, როგორც ივ. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნა, სუმბატ დავითის ძე აზნაურთა მოძულე ყოფილა (ძველი ქართ. საისტ. მწერლობა, გვ. 135). აქვე მოვიგონოთ, რომ ქართველ დინასტთა გვარი სუმბატის (თვითონ ამ გვარის წარმომადგენლის) მართლწერით, ისახელება, როგორც „ბაგრატიონიანი“, „ბაგრატიონიანთა“ (გვ. 43 და 45). ამის თანახმად გიორგი მერჩული (X ს.) იცავს მართლწერას „ბაგრატიონიანი“: „ქელმწიფმ დიდი ბაგრატიონიანი აშოტ კურაპალატი“ (აკად. ნ. მარის გამოც. გვ. იბ = 12⁴⁴). ცნობილია ფორმაც „პანკრატიონიანი“ (თამარის ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 210⁴⁵), რომლის პარალელურად მასთანვე ნახმარია, „ბაგრატიონი“ (გვ. 47. 11-12). ამ უკანასკნელი ფორმის მწარმოებელია -ო(ვ) სუფიქსი: ბაგრატიონი; თავისი მხრივ ბაგრატიონ/ონ-იან-ი წარმოგვიდგენს სომხურისა (ბაგრატიონი) და ქართულის (ბაგრატიანი; შდრ. „სასანიანი“, „გორგასლიანი“) კონტამინაციის მაგალითს. უგვიანეს წარმოებულ ჩანს ბაგრატიონი, რომელშიც გამოყენებულია იონ-სუფიქსი (შდრ. მეფიონი, საყდრიონი, დროშოინი, მაყრიონი, არიფიონი, დაფიონი, როშვიონი და მისთანანი) — მონაპოვარი აღმოსავლურ-ქართული

⁴⁴ Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского, Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с Дневником поездки в Шавшию и Кларджию, СПб., 1911. — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. VII.

⁴⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

ენობრივი წრისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ბაგრატიონნი“ პირველად კახეთის პოლიტიკურ ნიადაგზე გახდნენ „ბაგრატიონები“.

ზემოთ აღნიშნული მკითხველს აუწყებს იმასაც, რომ სუმბატის ქრონიკის პირველ გამოცემას მისი მესამე, უკანასკნელი გამოცემა შორავს მთელი 59 წლით. ვანა რამდენ მეცნიერს რგებია ბედი — თავისი ნაშრომი ამდენი ხნის შემდეგ თავისივე ხელით განეახლებია? ასეთი იშვიათი ბედი წილად ხვდა ექვთიმეს, ადრინდელი ლიტერატურული სტილით თუ ვიტყვოდით, დიდ ექვთიმეს. და ეს პასაკობრივი მისი სიძველე, ხალხურ ენაზე რომ ითქვას, არმად არ წამხდარა. სიძველე მას დიდად შველოდა სიახლის ძებნაში. როდესაც სუმბატის ქრონიკის მესამე გამოცემას ამზადებდა, აქ, როგორც ამას მოითხოვდა მისი წყაროთმცოდნეობითი და არქეოგრაფიული დიდი გამოცდილება, აღეძრა კითხვა, თუ „ქართლის ცხოვრების“ არსებულ, 1949 წლისათვის გამოვლენილ ხელნაწერთაგან რომელს შეეძლო დამატება, გინა შესწორება, სასურველი შუქი შეეტანა სუმბატის ადრე ორჯის გამოცემულ ტექსტში. თაყაიშვილისათვის საგულისხმო მონაპოვარი იყო ჯერ კიდევ 1942 წ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ „ძველ მანუსკრიპტებში გამოვლენილი არჩილისეული, იგივე მაჩაბლისეული, ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“. უკვე პირველივე გამოძახილები შეიცავდნენ სპეციალისტისათვის საგულისხმო ცნობას. ხელნაწერის პირველმა აღმწერმა აღნიშნა, ეს მანუსკრიპტი ძველი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ფარგლებში „ახლო ნათესაობას იჩენს“ მარიამისეულ ხელნაწერთან⁴⁶. სუმბატის ქრონიკის გამომცემლისათვის უფრო საინტერესო იყო სწორედ ამ ქრონიკის აღმოჩენა მაჩაბლისეულ ნუსხაში. ამ უკანასკნელში სავარაუდებელი იყო დამხმარე მასალის მოპოვება, სუმბატის ქრონიკის ტექსტოლოგიურ სიძნელეთა დასაძლევად. მონაცემების პოვნა. ერთი სიტყვით, მეცნიერი გამომცემელი ელოდა სუმბატის ქრონიკის ადრინდელ გამოცემათა „თვალსაჩინო შესწორებას“, რამდენადაც მარიამისეულ ხელნაწერში, მისივე გამოთქმით, „ზოგი სიტყვა და ფრაზა დამახინჯებულად არის წარმოდგენილიო“ (სუმბატის ქრონიკა, გამოც. მე-3, გვ. 10). ამავე დროს საგნის უახლესი განხილვა იძლეოდა საბუთს დასკვნისათვის, რომ საერთოდ მაჩაბლისეული ხელნაწერის ტექსტი, მთლიანად აღებულო, „საბედნიეროდ“ „იმ ზომამდე დამახინჯებული არ არისო“, როგორც მარიამისეულში (კ. გრიგოლია⁴⁷). მაგრამ ორივე ხელნაწერის შეჯერების

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1942, გვ. XXX.

⁴⁷ ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 120.

გზით (სუმბატის ქრონიკის შემცველ ნაწილში) აკადემიკოსმა თაყაიშვილმა ცხადყო, რომ სუმბატის ქრონიკის ტექსტი, მისი შეცდომებიანად, იქაც და აქაც, „თითქმის იდენტურად არის წარმოდგენილი“, რომ მაჩაბლისეულში „იგივე შეცდომებია, იგივე დამახინჯება სიტყვებისა და იგივე ნაკლოვანება ფრაზებისა“. ისე რომ, „მოლოდინი არ გაგვიმართლდაო“ (იქვე).

რაც უნდა იყოს, მაჩაბლისეული ხელნაწერი უგულვებელსაყოფი დიად არ იყო, და თაყაიშვილმა სუმბატის ქრონიკის ახალ გამოცემაში, სქოლიოებში, მთელი სისრულით გამოაჩინა იმ ხელნაწერის კითხვასხვაობანი, ოღონდ ამ სქოლიოებში მან განმეორების მორიდებით აღარ შეიტანა ის შესადარებელი მასალა, რომელიც, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, მკითხველს ეხმარება ქრონიკის პირველ გამოცემაში. სუმბატის თხზულების ირგვლივ დასმული საკითხები თაყაიშვილის შრომაში ამით არ ამოიწურება. კერძოდ, მტკიცედ დადგენილად არის, მაინცდამაინც ბოლო დრომდე, მიჩნეული ძეგლის მისეული დათარიღება, XI ს.⁴⁸ მაგრამ ისიც მართალია, რომ ყველა მისგან აღძრული საკითხი კერძოდ, სუმბატის ქრონიკის ურთიერთობის შესახებ ე. წ. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტთან, მის მიერ არ გადაწყვეტილა⁴⁹.

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილი თავის მუშაობაში საისტორიო წერილობითს წყაროებზე დიდ ადგილს უთმობდა როგორც „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებს მათ მთლიანობაში, ისე ცალკეული ვარიანტის თუ ნუსხის შემადგენელ ნაწილებს, რომელთა შესწავლა თანაბრად ამდიდრებდა მოპოვებულ ცოდნას „ქართლის ცხოვრების“ შესახებაც და, საერთოდ, ქართველი ხალხის მთელი ისტორიის სფეროშიც. დიდი თაყაიშვილის წელილი, „ქართლის ცხოვრების“ სხვა ვარიანტთა შორის, ზემოთ მოხსენიებული ნუსხების — თეიმურაზისეულისა და რუმინანცევისეულის შესწავლა-შეფასებაში. კერძოდ, მყარი გამოდგა თაყაიშვილის მიერ კვლევის შედეგად მოტანილი დასკვნა იმ დებულების (დ. ბაქრაძე) მიუღებლობის შესახებ, რომ თითქოს თეიმურაზის ვარიანტი ყოფილიყო ვახტანგ მეექვსის წინააღმდეგე წარმონაქმნი.

მაგრამ უშეტეს ეფექტიანი აღმოჩნდა ის შრომა მკვლევარისა, რომელიც მან გაწია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ვარიანტზე (XVII ს.) და მასში დაცულ „სუმბატის ხრონიკაზე“. ამ ქრონი-

⁴⁸ ივ. ჯ ა ე ბ ი შ ვ ი ლ ი, ძვ. ქართ. საისტორიო წერილობა, გვ. 133—135. გამოც. 3, 1945, გვ. 192. შდრ. კ. გრიგოლა, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

⁴⁹ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 226—227.

კისა და მასთან დაკავშირებული საეკთხეზის გამოკვლევა (მაგალ., „ქართლის ცხოვრების“ წარმოშობის ქრონოლოგიური თვალსაზრისით შემოწმება), ზემოთ თქმულისამებრ, აქტუალური საქმე იყო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „მარიამისეული ქართლის ცხოვრება“ სამეცნიერო ბრუნვაში მოხვდა (1884 წ.) დ. ბაქრაძის მეშვეობით („ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში“). პირველი სერიოზული ცდა ამ „ცხოვრების“ ისტორიის შესწავლისა განახორციელა ექვთიმე თაყაიშვილმა. მანვე პირველმა შეძლო მისი კრიტიკული გამოცემა (1906 წ.). ჯერ მას ამ ვარიანტის მოკლე დახასიათება დასჭირდა სუმბატის ქრონიკის პირველ კრიტიკულ გამოცემასთან დაკავშირებით (გვ. CXV და შმდ.). მერმე მეცნიერმა დაბეჭდა⁵⁰ ვარიანტის საკუთარი ვრცელი აღწერილობა. მკვლევარი დიდი სიფაქიზით აზუსტებს, ბაქრაძის შემდგომ, ძეგლის წარმოშობის გასარკვევად გამოსადეგ სინქრონულ მონაცემებს. ნაჩვენებია, რომ: 1. დედოფალი მარიამის სახელი (ამის ბრძანებით გადაწერილ იქნა ვარიანტი) ხელნაწერში იხსენიება „ოცს სხვადასხვა ადგილას“ (სუმბატის ქრონიკა, გვ. CXV); 2. „სამს ადგილს იხსენიება, როგორც ცოცხალი, პირმშო ძე მარიამისი, ოტია“; 3. ოტია იყო მარიამისა და სვიმონ გურიელის შვილი; 4. 1636 წ. მარიამი ცოლად გაჰყვა ქართლის მეფეს როსტომს, რომელიც ოტიას, ფარსადან გორგიჯანიძის (XVII ს.) სიტყვით, შვილსავით ზრდიდა; 5. ოტია მიიცვალა 1646 წ. დამარხეს მცხეთაში. სქოლიოში, მიღებული წესით, მითითებულია ამ ცნობების ლიტერატურული წყარო (ჩუბინაშვილის გამოც. „ქართლის ცხოვრება“⁵¹) და ა. შ. ეს მონაცემები საზღვრავენ ხელნაწერის გაჩენის დროს (1636—1646). ამ ფასდაუდებელი ძეგლის პუბლიკაციის საქმე ქვემოთ არის აღნიშნული.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ ე. თაყაიშვილი თავის კვლევა-ძიებაში არ იფარგლებოდა ტექსტების გარეგანი კრიტიკით. წყაროების შეფასებისას იგი, სადაც კი ამას ახერხებს, შინაგანი კრიტიკის მოთხოვნებსაც ყურს არ უყრუებს. ამ მხრივ საგულისხმო ჩანს შემდეგი მაგალითი, დაკავშირებული „ქართლის ცხოვრების“ რუმინანტევისეულ ხელნაწერთან და თეიმურაზ ბატონიშვილის, გიორგის ძის, სახელთან. ე. თაყაიშვილმა „ქართლის

⁵⁰ „აღწერა“ — Описание. ტ. II, ნაკვ. I, აღსაწერი ხელნაწერის № 133 (30). გვ. 27—114. თ., 1906. იხ. აგრეთვე „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, კოლექცია № 5, ტ. I, სსსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თ., 1960.

⁵¹ დამატებით ჩვენ ვუთითებთ: ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 43 (ამონაბეჭდი კრებულიდან „საისტორიო მოამბე“, წ. II, 1925).

ცხოვრების“ იმ ნუსხათა შესწავლის შედეგად, რომელიც თეიმურაზის ხელში ყოფილან გავლილი, ჯერ კიდევ 1906 წ. გამოქვეყნებულ „აღწერაში“ შენიშნა, რომ თეიმურაზს, სიცოცხლეშივე ქარველთმცოდნე სპეციალისტად კარგად ცნობილს, რედაქტორული კვალი დაუჩნევია ზოგი ხელნაწერისათვის. ასე, № 130 ხელნაწერში („აღწერა“, ტ. II, გვ. 5 და შდგ.), მის დასაწყის ნაწილში, რომელიც შეიცავს ოდესღაც გაჩენილ ლეგენდას — თითქოს ერთ დროს „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“ და მხოლოდ შემდგომში, ენათა ბიბლიური არევის შედეგად, „შეიქმნა ენა ქართული“-ო, თეიმურაზს შეუტანია გარკვეული შესწორება, ამოუშლია რა სიტყვები, მართალია, უალაგოდ სომხურის წინ წამოშვევი. ეს შესწორება, როგორც ჩანს, თეიმურაზს დიად შემთხვევით არ შეუტანია. მაგრამ მივყვით ექვთიმეს ძიებას. აღნიშნულ „აღწერაში“ მან მოიხილა „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხა (№ 132), რომელშიც მკვლევარმა შეიცნო რუმინანცევისეული ნუსხის პირი (იგივე, გვ. 18). მოცემულ აღწერაში ხაზგასმულია თაყაიშვილის დაკვირვება, რომ დედანიც (რუმინანცევისეული ნუსხა) და მისი ეს პირიც, ორივე იწყებს სამატიანეო თხრობას, სრულიად განსხვავებულად ყველა არსებულ ხელნაწერთან შედარებით: ორივე ნუსხაში ლეგენდარული თარგამოსის შეილთა შორის უპირატესობა ჰარსის, სომეხთა ეპონიმის, წინაშე ეძლევა ქართველთა მამამთავარს ქართლოსს (გვ. 10 და შდგ.). ამასთანავე, ამ ორ ხელნაწერში ქართული ენის თავგადასავალი სწორედ ისევე ჩანს განთავისუფლებული აშკარა პროარმენული ტენდენციისაგან, როგორც ზემოთ აღნიშნულ № 130 ხელნაწერში. მასასადამე, რუმინანცევისეული ნუსხა და მისი პირი (ხწ. № 132) თაყაიშვილს ობიექტურად აძლევდა საბაბს დაესვა კითხვა — იქნებ აქაც იგივე თეიმურაზის სწავლული ხელი ერია, რომელმაც № 130 ხელნაწერში შეიტანა შესწორება. არ იქნება, ასეთი ფიქრი თაყაიშვილს არ დაბადებოდა, რაკი მან იცოდა, რომ ეს ორივე ნუსხაც თეიმურაზის ხელში იყო გავლილი; რაკი იცოდა და აღნიშნა ისიც, რომ თვითონ დედანი, რუმინანცევისეული ნუსხა თეიმურაზმა მიართვა ძღვნად რუმინანცევს 1821 წ., ხოლო პირი, თაყაიშვილისავე ვარაუდით, შეკვეთილი უნდა ყოფილიყო გასამზადებლად, „სარწმუნოა, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ დედნის 1821 წელს გრაფი რუმინანცევისათვის მირთმევის წინ“-ო (აღწ. ტ. II, გვ. 18).

საკითხის ისტორიიდან ვიციტ აგრეთვე, რომ თაყაიშვილისათვის თანდათან ცნობილი გახდა ახალი მონაცემები, რომელთაც იგი უკანასკნელად გამოეხმაურა 1949 წ. და რომლებიც მოწმობს, რომ

რუმინანტევისეულ ხელნაწერს (გადაწერილს 1699—1703 წწ.⁵²) აქ-
ლია პირველი ორი რვეული ანუ 16 გვერდი, უკეთ, ის 2 რვეულს
გამოცვლილია ახლით, სხვა ხელით ნაწერი ტექსტით. ამას დავსაქი-
ნოთ ცნობა, რომ ხელნაწერში ნაკლულის აღდგენა, შეესება (იკუ-
ლისხმება, მაშინ ცნობილი ნუსხების მიხედვით) განუხორციელებია
თეიმურაზს, გადაუწერინებია რა ცნობილი მწიგნობარი ტარასია-
თვის⁵³. ამ ცნობებს დაერთო ახალიც (1944 წ.), როდესაც კ. გრიგო-
ლიამ მიაგნო რუმინანტევისეული ხელნაწერის დაკარგულ ადრინ-
დელ თავს⁵⁴, და ასე დაისაზა შესაძლებლობა შემოწმებულიყო ამ
მიგნებული თავის რაობა. რაც შეეხება თაყაიშვილს, იგი 1949 წელს,
როდესაც მან შესამედ გამოაქვეყნა სუმბატ დავითის ძის ქრონიკა-
კვლავ გამოეხმაურა საკითხს და საგულისხმო შენიშვნა გააკეთა.

მკითხველისათვის საქმის ნათელსაყოფად, ჩვენ თაყაიშვილის
შენიშვნას, ნაშრომში ასე შეკუმშულად მოცემულს, აქ წარმოვად-
გენთ საკირო სისრულით, შემდეგი დებულებების სახით. რადგან
შესაძლებელი გახდა ნაპოვნი, დედნისეული ორი რვეულის ტექსტის
შეჯერება მერმინდელი ორი რვეულის ტექსტთან; რადგან ამ შეჯე-
რების შედეგად გამოირკვა, რომ ადრინდელ ტექსტში დატულია
ძველად შემუშავებული „კონცეფცია“ ჰაოსისა და სომხური ენის
პრიმატის შესახებ საქართველოს პროტოსტორიაში; რადგან აღდ-
გენილ ტექსტში ამის საწინააღმდეგოდ, უპირატესობა მინიჭებული
აქვს ქართლოსსა და ქართულს; რადგან ეს ასეა, სწორედ ამიტომ
თაყაიშვილს საბაბი ეძლეოდა შემდეგნაირი მსჯელობისათვის: რო-
დესაც თეიმურაზი გრაფ რუმინანტევს უძღვნიდა „ქართლის ცხოვრე-
ბის“ ხელნაწერს (გაცემის მომენტიდან — „რუმინანტევისეულს“),
იგი, მიმძღვნელი, იქნება იმ ორი რვეულს დაკარგულად სთვლიდა.
(და ამიტომ, — შევაგოსოთ ჩვენ მკვლევარის აქ დაუმთავრებელი აზ-
რი, — მას უნდა გასჩენოდა ნაკლულის აღდგენის უბრალო წადილი
არსებული ნუსხის მიხედვით). მაგრამ წყაროთმცოდნეობის თვალ-
საზრისით უმეტეს საყურადღებო სწორედ ის არის, რომ თაყაიშვი-
ლი უფრო სხვას ვარაუდობს. მისი სიტყვით, „ეს უფრო საფიქრებე-
ლია“, რომ თეიმურაზმა დასაწყისი ორი რვეული „განზრახ მოაშო-
რა ძველ ხელნაწერს“, იმიტომ რომ სწორედ იმ რვეულების ტექს-
ტში გაზიარებულია ის ვერსია ჰაოსისთვის და სომხურისთვის ხე-

⁵² რუმინანტევისეულ ნუსხას თაყაიშვილი გაცნო პროფ. ი. ხაზანაშვილის მე-
შეობით, რომლის სათანადო აღწერა“ ზე (Описание рукописей Румянцевского
музея, 14, 1897) თაყაიშვილი უთითებდა (თაყაიშვილის Описание, II, გვ. 9).

⁵³ კ. გ რ ი გო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

⁵⁴ იგივე, გვ. 125.

ლოვნურად მიწერილი როლის შესახებ, რომელიც, წერს თაყაიშვილი, „არ შეესაბამებოდა მის (თეიმურაზის — ვ. დ.) რწმენას და პატრიოტულ სულისკვეთებას. ამითვე უნდა აიხსნებოდეს ყველაფერი ზემოჩამოთვლილის შეცვლა, ქართველთა სასარგებლოდ, დამატებულ ახალ რვეულში“⁵⁵.

აქ შეღავნდება ერთ-ერთი, თურმე შესაძლებელი, არგამორიციხული საშუალება საისტორიო წყაროების ქირისუფლობისა, რომელსაც, ჩანს, ყოველთვის თავს არ არიდებდნენ ასეთ წყაროთა დაცვის, გინა „ობორონის“, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავგამეტებული მონაწილენი. მაინცდამაინც, ეს ჩვენ უნდა მივაწეროთ იმ დროებში არქეოგრაფიული თუ წყაროთმცოდნეობითი საქმის მოუწყვარიგებლობას. რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, იმას, თუ საიდან გაინასკვა აზრი პაოსისა და შასთან დაკავშირებული სომხურის პრიორიტეტის შესახებ კავკასიისა და, მაშასადამე, საქართველოს ხალხთა ძველ ისტორიაში, მას საბჭოურ საისტორიო მეცნიერებაში, ვფიქრობთ, გაეცა სწორი პასუხი პროფ. კ. გრიგოლიას ნაშრომში⁵⁶. ჩვენთვის ცხადია, რომ ღუსხებში გამოყენებული საცილობელი ცნობები არის მარტო ქვეყნის ბრუნვის ბიბლიურ კალენდოსკოპში ჭვრეტის ნაყოფი, იმ ადამისდროინდელი საღვთო უბრალოების ბექდით დაბეჭდილი ქვაზიმეცნიერული მსოფლგაგების ნაქარნახევი, რომელმაც, ჩვენს შემთხვევაში, ქართველი ერის პროტოისტორია დაუკავშირა ბიბლიურ გენეალოგიას. თარგამოს (თორღამა; დაბადება, 10,3), ქართველთა და სხვა კავკასიელთა „მამა“, თვითონ „იყო ძე თარშოსი, ძის წული იაფეთისი, ნოეს ძისა“ და ა. შ.⁵⁷. რადგან ამავე დროს არარატი აღიქვეს როგორც ბიბლიური სამყაროს ნოეპატრიარქისდროინდელი კიბი, ხოლო არარატი კი ისტორიულად მოხვდა არმენიის მფლობელობაში, ამიტომ, გასაგებია, თუ კავკასიის ხალხთა გენეზისის ბიბლიური სქემის საფუძველზე გამართულ ლეგენდაში პრიმატი ერგო პაოსს (და არა, ვთქვათ, ქართლოსს, ლეკოსს, თუნდ კავკასს, ან სხვას) და მის ენას. კავკასიის ხალხების „მამათა“ — „ამათ ყოველთა იყო ერთი ენაჲ სომხური“-ო⁵⁸ და ა. შ.

ასეთი ფაქტებიც ხალხის კულტურის ძეგლთა თავგადასავლიდან გვაგრძნობინებს ჩვენ, რა მალალი აზრია დამარხული ამ ძეგლთა, მათ შორის ხელნაწერთა, მიზანდასახული მეცნიერული შესწავლის, მათი დიდი „ცხოვრების“ შესწავლის სპეციალურ საქმეში,

⁵⁵ ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 7.

⁵⁶ იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 6 და შმდ.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 3, 8.

⁵⁸ ი ქ ე ე, გვ. 3.

რომელსაც ვეცნობით წყაროთმცოდნეობის კვლობაზე. მაღალპატრიოტული დაცვა-„ობორონა“ ჩვენი ქვეყნის მატრიანეთა, საისტორიო საბუთთა, ქართველი ხალხის ცხოვრების, — როგორც იტყვოდა ვახტანგ ორბელიანი — „დიდი რვეულისა“ არა მაცდური, ერთხელვე ყველგან გმობილი ყალბმისმქნელობით, არამედ მეცნიერების აღმასი იარაღით, ცოდნის ნათელის მათზე მიფენით. ამ თვალსაზრისით ვაფასებთ ჩვენ მაღალი საფასით, ჩვენს შემთხვევაში, ექვთიმე თაყაიშვილის, გინა მის წინაპართა თუ თანამედროვეთა დაუღალავ შრომას, დახარჯულს საქართველოს მდიდარ სიძველეთსაცავთა საკეთილდღეოდ.

ხელნაწერებზე უშუალო მუშაობა, მათი შესწავლა-პუბლიკაცია მკიდრო კავშირში იყო სათანადო ძეგლების გამოვლინებასთან სიძველეთსაცავებში, კერძო სახლებში. ექვთიმე თაყაიშვილს ბედნიერი ხელით არაერთი ფასდაუდებელი ხელნაწერი შეუძენია, უპოვია, მართლაც რომ აღმოუჩენია ქართული მეცნიერების სასიკეთოდ, ამ მეცნიერების რაგინდარა ჰუმანიტარული დარგის გამამდიდრებელი. იმ ხელნაწერთაგან, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ისტორიოგრაფიასთან, მაგალითისათვის დავასახელებთ ხელნაწერს, რომელშიც წარმოდგენილია (სულ მცირე მოცულობის) ე. წ. „აფხაზეთის ისტორია ბაგრატისა“. ტექსტი აღმოჩენმა გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევის დართვით⁵⁹. ამ უკანასკნელ ნაწილში გამორკვეულია ჯერ საკითხები იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1641—1707) სახელთან დაკავშირებით, რადგან პირველმა დოსითეოსმა გამოხყენა ხელნაწერი, რომელსაც მან საქვეყნოდ რეკომენდაცია გაუკეთა, როგორც „ბაგრატის აფხაზეთის ისტორია“-ს, მისგან ემცნო ქვეყანას ამ ძეგლის არსებობის ამბავი. ნაშრომში გარკვეულია, რომ ბაგრატი არის ბაგრატ III (975—1014), რომ ძეგლი თავისი ხასიათით არის „აქტი, მანიფესტი“ (გვ. 48); აქვე თაყაიშვილის მიერ, ტექსტის საფუძველზე, შედგენილია „აფხაზთა მეფეთა“ „ნუსხა“ (გვ. 52—53). ავტორი აღგენს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებული წყარო აფხაზეთის ისტორიისა („ცხოვრება აფხაზთა მეფეთა“), ვრცელი მოთხრობა, — სხვაა, დღესდღეობით გაბნეული წყაროა, ხოლო დოსითეოსის მიერ ნახულ-გამოყენებული (ბერძნულზე სრულად ნათარგმნი) და ახლა თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი, მცირე ტექსტის შემცველი, სულ სხვა (გვ. 49—50).

⁵⁹ „ძველი საქართველო“, ტ. III, განკ. III, გვ. 28—54 (გამოკლევა; სპეც. გვ. 47—54), 46—47 (ტექსტი).

ისტორიოგრაფიული ხასიათის ძველთაგან თაყაიშვილის ნაპოვნია და შისგანვე დაბეჭდილი აგრეთვე „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“⁶⁰. ამ ძეგლის გამოცემასთან დაკავშირებით გამომცემელს კვლევითს ნაწილში მოცემული აქვს ერთი ახალი ცდა ქართული წელთაღრიცხვის საკითხების გამოშუქებისა (გვ. 56—59). რამდენადაც წინამდებარე წერილის საგანია ე. თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი ღვაწლის შეფასება, აქ ზაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული ჩვენი მეცნიერის ის დიდი შრომა, რომელიც მას შეუწირავს, საერთოდ, საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური შესწავლის საქმისათვის და რომლის მხოლოდ ზოგ-ზოგი ნაკვალევი აღვნიშნეთ ჩვენ ზემოთ.

ამავე დროს, რადგან აქ საგანგებოდ გვიანტერესებს თაყაიშვილის მიღწევა საერთოდ წერილობით წყაროთა გამოვლინება-შესწავლის და პუბლიკაციის დარგში, ამიტომ სანიმუშოდ დავასახელოთ ისეთი წყაროებიც, მისი ნარედაქციევი და გამოკვლევის დართვით მისგან გამომცემული, როგორც არის ე. წ. ქრონიკები, კინკლოსების ისტორიული მინაწერები და მისთანანი⁶¹. გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის ფასდაუღებელი წყაროებია მისი უზვად დაბეჭდილი, ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხიდან წარმოშობილი სტატისტიკური ცნობები⁶². საგანგებო შეფასებას მოითხოვს თაყაიშვილის ის დიდი სამუშაო, რომლის შედეგს წარმოადგენს მისი რედაქტორობით გამომცემული სამტომეული — „საქართველოს სიძველენი“⁶³, რომელიც ერთობლივ შეიცავს 1527 სიგელ-გუჯარს.

ე. თაყაიშვილის სანიმუშოდ შესრულებულ პუბლიკაციათა შორის მეტად მნიშვნელოვანია „ქელმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.)⁶⁴. ქართული კულტურის, ქართული სამართლის კარგად

⁶⁰ იგივე, გვ. 54—59 (გამოკვლევა), 59—66 (ტექსტი ერთ-ერთი შენიშვნებით).

⁶¹ ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალა, წ. 2, ტ., 1913; E. Takhiaishvili, Материалы для истории Грузии. Т., 1895, და სხვა მრავალი.

⁶² სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-XVIII ს., გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით. თბ., 1907, I—XX, 486 გვ.; ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თბ., სსხ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951, გვ. 1—68.

⁶³ ექ. თაყაიშვილი, ტ. I, ტფილისი, 1899, 528 გვ.; ტ. II, ტფილისი, 1909, VIII+600 გვ.; ტ. III, ტფ. 1910, XXXII+612 გვ.

⁶⁴ ექ. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტ., 1920, I—XXXVIII+32 გვ. სურათ; ქართული ძეგლები. IV, კანონმდებლობა. დედანი დაცულაა საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ცნობილი ფასდაუდებელი ძეგლი, თვითონ თაყაიშვილის მიერ უეცრად პოვნილი, ძეგლი — სპეციალურად სამეფო კარის შინაწესების ამსახველი სხვადასხვა ხასიათის შემთხვევათათვის. როგორც ვიცით, აქ მოცემულია მეფეთა დარბაზობის, საზეიმო პურობის, ელჩთა მიღების და სხვა სააქტო გამოსვლებისთვის დანიშნული რიგის, დიდი სიფაქიზით შემუშავებულ წესთა მთელი სისტემა. პურობის, ელჩთა მიღების, სადღესასწაულო მილოცვების რიტუალში გამოთვლილი ჩანს ცერემონიალის მონაწილე ვაზირებისა და კარის სხვა მოხელეთა ყოველი მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა, ადგომა და დაჯდომა თავისი ადგილის ცოდნით სუფრაზე და საერთოდ დარბაზობაზე. ძეგლში „გარიგებულია“ ყოველი ნივთი წვრილმანამდე, შეეხება ეს დარბაზის მორთულობას თუ პერსონაჟთა ჩაცმა-დახურვას, სუფრის მოკაზმულობას, სერვისს და ა. შ.

ე. თაყაიშვილმა დიდი გამჭრიახობით და სიბეჭითით კარგად დასძლია რედაქტირება-პუბლიკაციის სირთულე. თუმცა ძეგლი მნიშვნელოვანი ხარვეზებითაც მოღწეულა ჩვენს დრომდე, იგი დაუთარიღებელიც აღმოჩნდა და ამავე დროს უნიკალურ ხელნაწერშია დაცული. ექვთიმე თაყაიშვილმა ძეგლი დაათარიღა სინქრონიკული მეთოდის მომარჩევებით, შიგ დასახელებულ ისტორიულ პირთა ვინაობის დაზუსტებით. ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენასთან ერთად, პუბლიკატორმა განსაზღვრა ძეგლის დაწერის ადგილიც — იმერეთი (რომელიც ვახუშტისაც ასეთ ადგილად ესახებოდა), ვარაუდით — ქუთაისი თუ გელათი (გამოცემის გვ. XVI). როგორც აღნიშნულ საკითხებს (დრო, ადგილი კარის გარიგების დაწერისა), პუბლიკაციაში საგანგებო ქვეთავები აქვს დათმობილი კითხვებსაც: „ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი“ ძეგლი, „რა წყაროებით სარგებლობს ავტორი“; „ენა და ტექსტი კარის გარიგებისა“, — აქ ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი შესწორება: ტყის მცველი (დედანში: ტყვის მცველი), საწელოისა (სახლისა!), სამი სახელი (სამასი სახლი!) და სხვა. მომდევნო ქვეთავში რკვევის საგანს წარმოადგენენ „სასულიერო პირნი კარის გარიგებაში მოხსენებულნი და მოძღვართ-მოძღვარი“, რასაც მოსდევს ყველაფრის დაძმასკეხელი „მნიშვნელობა კარის გარიგებისა საქართველოს ისტორიისა და სამართლისათვის“. ტექსტს დართული აქვს საძიებელი-ლექსიკონი.

იმ დიდ სარედაქციო მუშაობას, იმ ნამდვილად შეუწელებელ მუშაობას, რომელსაც იგი ახმარდა წყაროთმცოდნეობას და პუბლიკაციას, რომლის შესახებ მცირედიც იყოს წარმოდგენას შეუქმნის ჩვენს მკითხველს ზემოთ აღნიშნული, — ერთოდა უთუოდ დი-

დი თარგმნითი მუშაობა. საკმარისი იქნება აღინიშნოს, კერძოდ, მის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი ზემოთ დასახელებული სამი ძეგლისა, რომელნიც შევიდნენ მეცნიერის „სამ ისტორიულ ხრონიკაში“⁶⁵. ზემოთ დასახელებულ ორტომიან „აღწერაში“ გამოტანილი ვრცელი ამონაწერები ტექსტებიდან რუსულ თარგმანშიც არის მოცემული. აქ საქმე ეხება თაყაიშვილის მთარგმნელობას ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მაგრამ იგი ჩვენ გვცხატება როგორც მთარგმნელი — სიტყვის ძველი გაგებითაც, ე. ო. როგორც კომენტატორი. მთელი ის ცოდნა, რომელიც მან გადასცა მკითხველთა თაობებს, მეცნიერული გამოცდილება, მრავალმხრივი შენიშვნები და ახსნა-განმარტება, ქრონოლოგიური კალკულაციები, ისტორიულ-ფილოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსიები, რომელთაც ადგილი ჰპოვეს მის დიდ და პატარა ნაშრომებში, ერთობლივ შეადგენენ დიდი მნიშვნელობის თარგმანს, ს.-ს. ორბელიანის განმარტებით — „იგავიანი სიტყვს გაცხადებას“. უასეთთარგმანოდ შესასწავლი წყაროები მიუწევდომელი დარჩებოდნენ მოსახმარად, როგორც ეს ძველადვე დაუდასტურებიათ ამ სიტყვით: „უკეთუ თარგმანი არა იყოს, მკითხველი დუშენ“ (პავლე = ათონის კრებული⁶⁶).

ზემოთ, ვფიქრობთ, საკმაო ცნობები ეძლევა მკითხველს იმის დასტურად, რომ ექვთიმეს არქეოგრაფიული მოღვაწეობა, რომელიც ასე მტკიცე კავშირშია მის წყაროთმცოდნეობითს მუშაობასთან, აგრეთვე მალალ შეფასებას მოითხოვს. თვით სიტყვა „პუბლიკაცია“ საერთოდ გამოქვეყნებასაც ნიშნავს და იმასაც, რომ გამოსაქვეყნებელი მასალა — იბეჭდება გაზეთებში, ჟურნალებში, წიგნებში. განმარტებას პირდაპირ პასუხობს ე. თაყაიშვილის პუბლიკატორობა, მისი პუბლიკაციები. მისი პირველი ნაშრომი (1890 წ.) დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“. სხვა — ჟურ. „მოამბეში“, ჟურ. „კვალში“, გაზ. „ცნობის ფურცელში“ სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში და ა. შ. აქვე შეენიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელია არა მხოლოდ ავტორის შრომის პროდუქტიულობის, არამედ ირიბი გზით იმის მოწმობაცაა, თუ რა ძნელი იყო პოლიგრაფიული და ნივთიერი პირობები. რაც შეეხება პუბლიკაციების ხარისხს, დამაკმაყოფილებლობას მეცნიერული გამოცემის თვალსაზრისით, ჩვენ რამდენადმე ზემოთაც ვუჩვენეთ მათი დადებითი მხარეები. აქ კი

⁶⁵ სათაური რუსული თარგმანისა: «Источники грузинских летописей. Три хроник», Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. В. XXVIII. Тб., 1900, гл. 1—216 (ვრცელს შენიშვნებით).

⁶⁶ ათონის ივერიის მონასტრის კრებული აღაპებით. თბ., 1901, გვ. 341.

მოვიგონოთ აკად. ი. ჭავჭავაძის კომპეტენტური აზრი ე. თაყაიშვილის მოღვაწეობის ამ თვისებაზედაც. „სამოქალაქო საისტორიო ძეგლების გამოცემა — წერს ი. ჭავჭავაძე 1916 წ. — შედარებით უკეთესს მდგომარეობაშია წინათ მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის და ეხლა ე. თაყაიშვილის გამოცემათა წყალობით. განსაკუთრებით მ-მ დ-ფლ ქც-ისა (=მარია მ. დედოფლისეული „ქართლის ცხოვრებისა“. — ვ. დ.), შატბერდისეულ და კელიშისეულ წ-ა ნინოს ცხოვრებათა, სუმბატის თხზულებისა; მესხურ დავითნის მატიანის და ქ-ცის გადაკეთებული გაგრძელების ტექსტები გამოცემით, — განაგრძობს ავტორი, — ე. თაყაიშვილმა თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია და ყოველს მკითხველს და მკვლევარს საშუალება მისცა ქართულ საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა“⁶⁷.

ჩვენ საპიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ასეთ მაღალ შეფასებაში იმ ფაქტს, რომ ჭავჭავაძის ეს „ეხლა“, ბროსეს (გარდ. 1880) და ჩუბინაშვილის (გარდ. 1891) მოღვაწეობის დრო-ჟამის დაბირისპირებით, ივსება ღვაწლმოსილი თაყაიშვილის სახელით. თაყაიშვილის სამეცნიერო-საპუბლიკაციო შემკვიდრება სავსებით იმსახურებს იმ დახასიათებას, რომელიც ეძლევათ სპეციალურ მეთოდოლოგიაში თანამედროვე მეცნიერების გარკვეულ მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელ პუბლიკაციებს; კერძოდ, ასეთი სიტყვებით გამოთქმულს დახასიათებას: „ახლა აღარავინ გამოსცემს წყაროს პირველსავე ნაოვნ ცალს, რომელიც აგერ ხელში მოხვედრილა, — ასე სჩადიოდნენ წინათ, — ახლა მკვლევარი ცდილობს ფართოდ წარმოებულ ძიებათა გზით იპოვოს, თუკი ეს შესაძლებელია, დედანი საბუთისა, პირვანდელი ხელნაწერი ან პირველნაბეჭდი ცალი (editio princeps)“⁶⁸.

ჩვენ შესაფერის პირობებში უფრო ვრცლად გვმართებს განვიხილოთ სათანადო კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მასალები, კერძოდ, ე. თაყაიშვილის პირველი სამეცნიერო ცდებით გამოწვეული რეცენზიები და გამომძახილები. მაშინ ახალ დონეზე აპყავდათ არქეოგრაფიული, ისტორიოგრაფიული საქმე, და შიგ ჩაბმული მუშაკნიც, რომელთაგან ზოგის სახელები ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, თანაწინათ საქმიან პაექრობაში საკმაოდ ამჟღავნებენ პირვეულობასაც, ნღლეჯარებასაც, მოსამართლეობის ჰარბ სურვილსაც. ჩვენ გვესახება გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფაქტად შემდეგი შემთხვევა თაყაიშვილის მოღვაწეობის ისტორიიდან. მისმა 1890

⁶⁷ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. XXX; იგივე, გამოც. 1945, გვ. 28.

⁶⁸ ბერნაიში, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

წელს გამოქვეყნებულმა „სამმა ისტორიულმა ხრონიკამ“ (იხ. ზემოთ), როგორც ვიცით, გამოიწვია გამოძახილები, როგორც დადებითი (ნ. მარი), ისე უარყოფითი. იმ კრიტიკის ნიმუშს, რომელიც, მართალია, გადადიოდა ჰიპერკრიტიციზმში, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა გარკვეულ შემეცნებითს ინტერესს, წარმოადგენს პროფ. მ. ჯანაშვილის ზემოთ მითითებული „აღვადგინე“, სრული სათაურით: „აღვადგინე, ანუ სამი ისტორიული ხრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრების გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო... დამატებით მე-IX—X საუკუნის სამეცნიერო ქრისტომატიიდან ამოღებულ სამკურნალო ტრაქტატისა და სასწავლო წიგნისა“⁶⁹. ჯერ სათაურის შესახებ. ის ირონიით იმეორებს ე. თაყაიშვილის მიერ თავისი შრომის დასახასიათებლად გამოყენებულ სიტყვას — „აღვადგინეთ“, ვითომ „ქართლის მოქცევაში“ დამახინჯებულ ადგილებს დაეუბრუნეთ წესიერი დაწერილობაო⁷⁰. თუ რამ გამოიწვია ასეთი თავშეუქავებელი ირონია (ცალკე დაბეჭდილი წიგნის სათაურში!), ამის პასუხი მოცემულია „აღვადგინე“-ს ფურცლებზე მოთვლილი იმ შეცდომების სიებში, რომელნიც მ. ჯანაშვილმა გულდასმით გამოავლინა თაყაიშვილის გამოცემაში. შეცდომები უმთავრესად და უპირატესად გამოვლინდა თაყაიშვილის, მაშინ დამწყები მეცნიერის მიერ მიღებულ მართლწერის ნორმებში, ზოგჯერ არქაული ფორმების მოდერნიზაციის გაუმართლებელ ცდაში. რაც შეეხება მ. ჯანაშვილის ტონს, საბაქრო ხერხებს, — იგი თუ რამით განსხვავდებოდა ძველ პრესაში საკმაოდ გავრცელებული სათანადო ტონისა და ხერხებისაგან, მხოლოდ თავის უჩვეულო უხამსობით, სწორედ კაცის შემაწუხებელი ზოგ-ზოგი კალამბურით⁷¹. მეცნიერის პაექრობაში „შეფარვით“ გამოყენებულია ცარიზმის უდროობის ვითარებაში გაჩენილი და მაშინ სავალალო პოპულარობით გამორჩეული „აკაკიები-ბაკაკიების“ ცნობილი მოტივებიც-კი. ექვთიმე თაყაიშვილი (შეგნიშნოთ: მსგავსად ნ. მარისა), კარგად ვიცით, პრინციპულად იცავდა ცოცხალ, სასაუბრო, კუთხურ ენას სიცოცხლის დასასრულამდე, ჩვენ დრომდე. აი რეცენზიაშიც „უყველეს“ დებიუტანტს, ქოქოლას სახით თავზე უხვად დააყარეს პროვინციალიზმები მისივე ნაშრომიდან: მხასვი (ხავსი); ნამეტარს; მაშვინ, კიდენები და სხვ. რიგ შემთხვევაში არ დაზოგეს რალაც „სამოსახლეო“ („ობივატელური“) ოხუნჯობაც. მაგალითად, „მანდა მა-

⁶⁹ ტ., 1891, გვ. I—III და 3—88.

⁷⁰ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორ. ხრონიკა, გვ. LXXXIV და LXXXV.

⁷¹ იხ. მთელი მისი გვ. 86.

ინც“ (ლიტ. მაინცდამაინც); ამ ფორმას წიგნში მოსდევს საოხუნჯო შეკითხვა: „მაინც, მანდა თუ აქა“. ე. თ.: „როგორ მოქცეულა (= მოხვედრილა... ვ. დ.) ზემო კალაში ეს სახარება“. ეს წინადადება იწვევს საოხუნჯო რეპლიკას ფრჩხილებში: „ალბად კვიანად იქცეოდა“. ე. თ.: ყავს (= ჰყავს); საამისო რეპლიკა: „ცოტა ნაკლებ ყვავსა ჰგავს“, და ა. შ. — მთავარი კი მოკამათეთათვის, ცხადია, ეს არ იყო.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ თაყაიშვილის საშვილიშვილო მონაპოვრებს პუბლიკაციის დარგში.

ერთგვარად არადასაიწყარი „აღვადგინე“-ს შექმნე მეტადრე საინტერესოა აღინიშნოს, რა სიფაქიზით და სიზუსტით სრულდებოდა თაყაიშვილის ყოველი მომდევნო პუბლიკაცია ძვირფასი ძეგლებისა. უკვე „სამი ისტორიული ხრონიკის“ ფურცლებზე გამოთქვა ექვთიმემ სახელმძღვანელო შეხედულება თავის როგორც პუბლიკატორის ვალდებულებაზე მეცნიერი მკითხველების წინაშე. სანიმუშოდ მოვიყვანოთ, სიტყვასიტყვით, ერთი ადგილი, გვეხსოვება რა, რომ იმ დროს ახალგაზრდა სპეციალისტი მხოლოდღა ებმოდღა (ანუ როგორც ალბათ იტყოდა შშობლიური დიალექტის მოყვარული ექვთიმე თაყაიშვილი, — „ემბოდღა“⁷²) საპუბლიკაციო საქმეში. „ჩვენი გამოცემის“⁷³ აზრი იყო, — წერს იგი, — პირველათ, აღგვედგინა ტექსტი ზოგიერთ ადგილას გაფუჭებული ზელნაწერისა და უცვლელად წარმოგვედგინა მკითხველისათვის. ამ საქმეს ჩვენ, — განაგრძობს ავტორი, — რაც შეგვეძლო, ძლიერ ყურადღებით მოვეყიდეთ. რიგი და წესი ტექსტისა და მართლწერა დედნისა სასტიკათ დავიცევით; გავხსენით მხოლოდ პატივქვეშ მყოფი სიტყვები, მაგრამ სადაც ცოტაოდნათ საექვო იყო მათი მნიშვნელობა, ან შესაძლო იყო სხვა მართლწერა დაგვეცვა გახსნილი სიტყვისა, ამგვარ შემთხვევაში დედნის სიტყვები პატარა ფრჩხილებში ჩავსვით. საზოგადოთ კი მართლწერა პატივგახსნილ სიტყვებისა ისეთი დავიცევით, როგორც უმეტეს შემთხვევაში თვით ტექსტში არის გატარებული. ეს საქიროთ მიგვაჩთა მისთვის, რომ ისტორიულ მნიშვნელობასთან ფილოლოგიური მნიშვნელობაც არ დაგვეკარგა ამ საყურადღებო წყაროსი. რადგანაც ზოგიერთი ადგილი ტექსტისა გაფუჭებული არის ჩვენს ზელნაწერში, ამისათვის ის ასოები და სიტყვები, რომელნიც კარგათ არ განიჩრჩევიან და რომელნიც ჩვენ

⁷² შდრ. მისი: „ვერცხლოს სამბულები ყდისა“ (ვითომ: ვერცხლოს სამბულები). — სამი ისტ. ხრონიკა, გვ. XLI.

⁷³ ივლისხმება „სამ ისტ. ხრონიკაში“ შეტანილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

თითო-ორი ანბნების ნაშთებით თუ აზრით აღვადგინეთ, ყველა ესენი, როგორც მიღებულია, დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. ამით მკითხველი დაინახავს, სად არის ტექსტი გაფუჭებული და საექვო“, — და ა. შ. ამას მოსდევს პუბლიკატორის მსჯელობა საპუბლიკაციო ტექსტების შედარებითი წესით გამოცემის შესახებ: „გეორგელ, ჩვენი გამოცემის აზრი იყო, შეგვედარებია ქართლის მოქცევის ხრონიკის ცნობები „ქართლის ცხოვრების“ ცნობებთან და თვალსაჩინოთ დაგვენახებინა მკითხველისათვის, რა მსგავსება და განსხვავება არის მათ შორის. ამგვარი შედარებითი გამოცემა ქართლის მოქცევის ხრონიკისა, — განაგრძობს ავტორი კუთხური ენობრივი ფორმების ჩართვით, — ძრიელ საჭიროთ მიგვაჩთა როგორც თვით ხრონიკის შესასწავლათ, ისე უმეტესად ქართლის ცხოვრების ცნობების შესამოწმებლათ და კრიტიკისათვის და აგრეთვე ამ ორი წყაროს ერთიერთმანეთის კავშირის და დამოკიდებულების გამოსარკვევად. ამისთვის ჩვენ შენიშვნებში მთლად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, რომელნიც სიტყვასიტყვით ემოწმებიან ქართლის მოქცევის ხრონიკას, და აღვნიშნეთ განსხვავებანი“⁷⁴.

ეს საკმარად გრძელი ამონაწერი მკითხველს აუწყებს, თუ რა მოთხოვნილებას უყენებდა დრო პუბლიკატორს. ამას გარდა და დამოუკიდებელი იმისგან, თუ „რა ნიშანზე“ შეასრულა დაშვებმა მეცნიერმა საკუთარი ხელით დასახული ასეთი პროგრამა იმ სამი ხრონიკის გამოცემისა, ჩვენ ჩვენი მიზნების შესაბამისად — აქ ვუკვირდებით საკითხის თეორიულ მხარეს და იმ გარემოებას, რომ ექვთიმეს საქმე მაშინაც, სამი ისტორიული ხრონიკის გამოცემის ხანს, დიდაც არ იყო „ოლოლო“-ს დასაძახებლად მიწურული. უკვე მოყვანილი პროგრამიდანაც ჩანს, რომ თაყაიშვილს შშვენიერად ჰქონდა გაცნობილი და შეგნებული ტექსტის აღდგენისათვის მაშინ მიღებული წესები; ხელნაწერის დეფექტების უცვლელი სახით დემონსტრირების საჭიროება; საქმის შესასრულებლად ძლიერი ყურადღებით მოკიდების აუცილებლობა; ტექსტის რიგისა და წესის და დედნის მართლწერის „სასტიკად დაცვის“ მნიშვნელობა; ნაწერში პატივის (ქარაგმის) გახსნის შესაწყნარებელი საჭიროება; საისტორიო ძეგლის ისტორიულთან ერთად ფილოლოგიური მნიშვნელობის წარმოჩენის აუცილებლობა; ტექსტში ძნელად ამოსაკითხავი ასოებისა და სიტყვების კვადრატულ („დიდ“) ფრჩხილებში ჩასმის წესი, მაშასადამე, საექვო საკითხავის უქვეელისაგან გარ-

⁷⁴ სამი ისტ. ხრონიკ., გვ. LXXXIV—LXXXVI.

ჩვეის რიგი; შედარების ხერხით ძეგლების სხვაობა-მსგავსების დადგენისა და ამ გზით მათი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისა, აგრეთვე მათი აღდგენა-შეკეთების მეთოდი, და ა. შ.

ყველაფერი ეს, თაყაიშვილის მიერ სადა, სასაუბროსთან დაახლოებული ერთად აღმოცემული დახასიათება არქეოგრაფის საპასუხისმგებლო მუშაობისა, კარგად გვიჩვენებს, რომ მის მუშაობაში ტექსტის „თითო-ოროლა ანბანების ნაშთებიც“ ცალკე ზრუნვის საგანს შეადგენდა და — მთელი ძეგლის რაობის სინთეზური აღქმით ნაკარნახევი განმაზოგადებელი აზრიც.

თაყაიშვილის ძვირფასი პუბლიკაციებიდან ჩვენ რამდენიმე დავასახელოთ, მათ შორის „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ვარიანტიც. აქ კი მოკლედ დავახასიათებთ ამ უკანასკნელის, როგორც პუბლიკაციის ნიმუშის, თვისებებს, რადგან აღნიშნულ ძეგლში, შეიძლება ითქვას, უმეტესი სიმკაცრით ჩანს, თუ რას ნიშნავს ხშირად სპეციალისტის ენაზე თაყაიშვილის მიერ მოხსენიებული „თითო-ოროლა ანბანების ნაშთები“⁷⁵. აი, რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა ძნელად მოსავლელი დამახინჯება განუცდია მარიამისეული ქართლის ცხოვრების შემადგენლობაში შეტანილ იმ ნაშრომს, კერძოდ, რომელიც ანონიმური ავტორის მიერ (XIII ს. მეორე ათეული წწ. მიძღვნილია, თამარ მეფისდროინდელი საქართველოს ისტორიისადმი. თამარის მეფური წარმომავლობის შესამკობად გამართულ სიტყვებს ტექსტში ასეთი უცნაური სახე მიუღია: თამარი იყო შთამომავალიო — „და: ვითანთაგან; და: ხუასროთანგიანთა: და: პანკრატონიანთა“⁷⁶ = „დავითიანთა, და ხუასროიანთა“, და ა. შ. მერმე: „რომელთა: შემსხმელად: კმსა: ომი: როსა: შერაბამე: იგ: ილიდა: სიტყუა: ალექსანდრისადმი: პალოტარახოს“⁷⁷. „რომელთა: შესნძაჲ ჟამს ჰომიროსისა მიერ. რაბამ იგი აღიდა სიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარხოს“⁷⁸... ომიანობის ვითარებაში თამარის მამამ გიორგიმ „მიმართა: დიდად: ქალაქად: და: სახელ: განთქმულად: და: აწ: რომელარს: არარატისა: ძირსა“⁷⁹ = „...სახელგანთქმულად: დვინად, რომელ არს“... გიორგიმ მერმე „მიმართა: დიდად: ქალაქ დანისად“⁸⁰ - „...დიდად ქალაქად ანისად“. ტფილისის გამართულ წვეულებაში მოხაწილე ხელმწიფეთა—ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე კო-

⁷⁵ სამი ისტ: ხრონიკა, გვ. LXXXVI—LXXXVI.

⁷⁶ ქართ. ცხოვრება, მარიამის ვარ., გვ. 363, 10—11.

⁷⁷ გვ. 363, 14—15.

⁷⁸ კონოქტურა აკად. ე. კეკელიძის (ისტორიანი და აზმანი, თბ., 1941, გვ. 54).

⁷⁹ ქართ. ცხოვრება, მარიამის ვარ. გვ. 366, 15—17.

⁸⁰ გვ. 367, 10.

შენის და შირვანშაჰის აღსართანის შესახებ იკითხება: თამარმა, ანდრონიკესთვის „შიშცემელმან: ქალაქთა: და: ციხეთამან: კაიათაოამან (უხნდა: კქასაყოფელთამან!): და: უღგან (უნდა: დაუდგანა): საჯლომი: სახლსა (უნდა: სიახლესა, ახლოს!): საყდრისა თვისისა“ და ა. შ. ასეთი გაუცნაურებული ამოსაკითხავებით ძალზე დატვირთულია მთელი წიგნი, თაყაიშვილის გამოცემაში შეიდას ოთხმოცდა ხუთი გვერდის შემკველი, მისი ვარიანტების უხვი დემონსტრირებით სქოლიოებში.

მარიამისეული ვარიანტის ასეთი შეცდომებით გაქედლილი ხელნაწერის ამოკითხვა, დამუშავება, გადაწერა, დაბეჭდვა, კორექტირება უნდა ყოფილიყო დაუვიწყარი მეცნიერისთვის უდიდესი და ზანგარძლივი ზრუნვის, თავადადებული მუშაობის დიადი საგანი. („მისი⁸¹ ისტორიის დიდი რვეული გრძელი და ბნელი ხშირათ წინ უდევს“). თუ არ მოვერიდებოდით ლირიკულ წიაღსვლას, ვიტყვოდით, რომ გაგვაოცა იმ პოლიგრაფიულ პირობებში ასეთი შრომატევადი წიგნის წუნდაუდებელი სრულყოფით გამოქვეყნების ფაქტმა (1906 წ.). გადავწყვიტეთ საგანგებოდ შეგვეჩერებინა დაბეჭდილი ტექსტი ხელნაწერთან, დაუმაღავი სურვილით, რომ ორიოდეც ყოფილიყო აღმოგვეჩინა გამოცემაში წანაკითხის მცდარობის ფაქტი. მგარამ ვერ შევძელით თვალდაუღალავი რედაქტორის „დაქერა“ რაიმე უზუსტობაში.

თუმცა, რა მალალ შეფასებასაც არ უნდა იმსახურებდეს დასახელებული ან სხვა მსგავსი ხასიათის ნაშრომები თაყაიშვილისა, ისინი მაინც და მაინც მხოლოდ ნაწილია მთელისა, ექვთიმე თაყაიშვილის ფასეული და მრავალმხრივი კვლევითი პროდუქციისა, იმ დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობისა, რომელთა სპეციალურ შეფასებაში, ისტორიკოსებს გარდა, ადგილი ეთმობათ არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს და ა. შ.

ვეცნობით რა ჩვენ მიერ ასახული მიმართულებით თაყაიშვილის შემოქმედებას, მისი დიდი სამეცნიერო გამოცდილების, მრავალმხრივი მეთოდოლოგიური თუ „მეთოდოლოგიური“ დაკვირვებების ხასიათს, მის უამრავ სპეციალურ შენიშვნებს, მითითებებს, ვასკვნით, რომ, მართალია, მას არ უკისრია — ერთი რამე სათანადო დანიშნულების სახელმძღვანელო შეედგინა, არ უცდია — დაეწერა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, მის თანამედროვე რუსეთის საისტორიო მეცნიერების სფეროში, შემაჯამებელი „მეთოდო-

⁸¹ მის — ივლისხმება საქართველო. ტაყები ეკუთვნის ვ. ორბელიანს, პოემა „განკითხვა“ (სერია „პოეტის ბიბლიოთეკა“, თბ., 1949, გვ. 44 22—23).

ლოგია“, მაგრამ მის შემოქმედებას უთუოდ კარგად უდგება ის დახასიათება, რომელიც თავის დროზე პრესნააკოვმა მისცა ცნობილ ლაპო-დანილევსკის შემდეგი სიტყვებით: რომ ეს მეცნიერი „იბრძოდა სრულყოფილი მეცნიერების მაღალი იდეალოთ აღძრული. არა იმდენად კონკრეტული საისტორიო კვლევის გზით, რამდენადაც მისი (მეცნიერების. — ვ. დ.) საფუძვლების და მისი — მეთოდოლოგიასა და წყაროთა კრიტიკაში მოსახმარი — ტექნიკის შესწავლის გზით“⁸².

ყოველივე აღნიშნულის შემდგომ გვრჩება ორიოდ სიტყვით გამოვხატოთ სურვილი. — ექვთიმე თაყაიშვილის შრომებში უხვად მოცემული წყაროთმცოდნეობითი ინტერესის შემცველი მასალა, კრიტიკულად ათვისებული, უთუოდ წარმოადგენს კარგ საფუძველს მეთოდიკური და მეთოდოლოგიური სპეციალური სახელმძღვანელო კურსის შესაქმნელად. ჩვენი მკვლევარის დიდ სამეცნიერო გამოცდილებას განაცისკროვნებს მისგანვე თავის დროზე პროპაგანდირებული პროგრესული, საისტორიო კვლევისთვის სასარგებლო აზრები, დასკვნები, იდეები, — მისი დადებითი შეზღუდვებანი, მაგალითად, ქართველთმცოდნეების ევროპულ მოწინავე მეცნიერებთან კავშირის აუცილებლობის შესახებ⁸³, ხალხური შემოქმედების ძეგლების მნიშვნელობაზე საისტორიო მწერლობაში⁸⁴. მეზობელი ხალხების ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების შესახებ⁸⁵, ანტიკური ხანის წარმონაქმნი წერილობითი წყაროების მნიშვნელობაზე⁸⁶, და ა. შ.

ჩვენი დეზიდერატი შეეხება აღნიშნული სახის, სპეციალური კურსის შექმნას. იდეა რომ მომწიფებულად ჩაითვლება, ამის საწინდარია ის წყაროთმცოდნეობითი და არქეოგრაფიული შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც დღემდე უნახავი მასშტაბით არის ორგანიზებული ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში და რომელიც აგრძელებს ქართველთმცოდნეობის სათანადო დარგის კარგ ტრადიციებს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოხსენიებულ იქნეს საქ. მეცნ. აკადემიის სისტემაში წარმოდგენილი აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის (პროფ. ი. აბულაძე) მიერ გა-

⁸² А. Е. Пресняков, Александр Сергеевич Лаппо-Данилевский, 33., 88; Пб, 1922.

⁸³ ძველი საქართველო, ტ. IV, განყ. 5, საქართვ. სისტ. და საეთნოგრ. საზი-სკრებათა ოქმები, გვ. 8.

⁸⁴ იგივე, ოქმები, გვ. 224.

⁸⁵ იგივე, გვ. 45.

⁸⁶ იგივე, ტ. I, განყ. ოქმებისა, გვ. 7.

მოქვეყნებულ „ხელნაწერთა აღწერილობის“ 14 ტომი (1946—1963); აკად. ი. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის (აკად. ნ. ბერძენიშვილი) კაპიტალური გამოცემები — „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ტ. I—II (1940—1953), „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“. I—III და ცალკე: დანართი (1938—1955) და სხვ.⁸⁷

დასასრულ, იმ ტრადიციების გაგრძელებად, რომელთა ერთ-ერთი ავტორიტეტით მოსილი მცველი და ძალის მიმცემი იყო ექვთიმე თაყაიშვილი, ჩვენ გვესახება ფაქტი „ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების“ შექმნისა, რომლის ამოცანები, თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის მიზანდასახულობა ექვთიმე თაყაიშვილისა და მის თანამედროვეთა კვლევითი მუშაობის ახალ, მაღალ დონეზე აყვანას გულისხმობს.

⁸⁷ „დოკუმენტები“ და „მასალები“ — შეკრება და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა.

პირველად დაიბეჭდა კრებულში „აკადემიკოსო ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1960.

ОСНОВНЫЕ ЭТАПЫ ИСТОРИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИНСКОГО НАРОДА

В числе братских народов Советского Союза, имеющих свою многовековую поучительную историю, издревле с успехом создававших свою государственность, свою самобытную культуру, почетное место занимает и грузинский народ.

О глубокой древности грузинской культуры одинаково красноречиво свидетельствуют как археологические находки, по своему характеру самые разнообразные, так и памятники письменности, включая сюда и исторические труды древнегреческих, латинских и других авторов, начиная с отца истории Геродота. На территории Грузии прослеживается бесперебойная преемственность культур от палеолита, через бронзу, к железу.

В этих разнохарактерных источниках нашли яркое отражение пути возникновения и развития двух древнегрузинских царств, Колхиды и Иберии. Памятники материальной культуры, сохранившиеся, в частности, на территории древнегрузинской столицы Мцхета, в виде, например, мощных каменных сооружений Армазского акрополя, также и памятники, откопанные из Мцхета-армазских и других могильников, будь то образцы высокоразвитой металлургии или высокохудожественной керамики; будь то предметы роскоши — золотые, серебрянные, стеклянные, усеянные драгоценными камнями; в том числе золотые диадемы, перстни с геммами, браслеты, серьги, разноцветные бусы и т. п., — все они в своем великолепном разнообразии подтверждают известный положительный отзыв греческого географа I-го века н. э. Страбона, в частности, о городах Иберии; эти памятники подкрепляют свидетельство географа о том, что в это время Иберия и ее города были густо населены, благоустроены, с домами, перекрытыми черепичными кровлями и т. д.

В археологических памятниках нашли свое обоснование известия Страбона, Тацита, Плиния и других древних писателей о том, что Колхида и Иберия были хорошо организованными государствами с сильной царской властью, основан-

ной на праве прямого престолонаследования; что Колхида и Иберия были рабовладельческими государствами, при том с сильными пережитками предшествовавшего в Грузии классовому обществу родового строя, первобытного коммунистического общества с его общинными институтами мамасахлисов («патер фамилиас»), эриставов («воевод») с советом старейшин и т. д.

Таким же образом подтверждается, что царская власть в этих государствах располагала прочной администрацией в лице питиахшей, эпитропов и др. членов; хорошо вооруженным и боеспособным войском, своим монетным двором, откуда происходят и известные колхидки. Армазская билингва, надпись на камне, высеченная в I в. н. э., свидетельствует, что иберские цари величались «великими царями».

Благоустроенность городов соответствовала оживленному межплеменному, международному обмену, в котором, по Страбону, принимали участие народы, говорившие на 72-х языках.

Хорошо известно, что советская наука основана на началах справедливого признания и уважения любого объема лепты, какую вносит тот или иной народ в сокровищницу общечеловеческой культуры; советская наука ревниво оберегает такой метод исследования, такие приемы исторической критики, которые способствуют целеустремленному выявлению и осмыслению фактов, так сказать, и положительных, и отрицательных; изучению природы как противоречий, разоблачавших народы, так и общности интересов, способствовавшей взаимному их сближению.

Известно, например, что грузинский народ в своем созидательном, творческом труде, должен был испытывать жестокости социальной борьбы в условиях господства рабовладения, потом феодализма (VI—XIX вв.), капитализма; он одновременно должен был выдерживать грабительские войны и длинные периоды вассальной зависимости от самых различных завоевателей, великих и малых; он должен был с великими жертвами отражать в известной хронологической последовательности — натиск полчищ урартских, парфянских, римских, хазарских, византийских, половецких и т. д.

В условиях векового господства права сильного, сначала рабовладельцев, потом крепостников, капиталистов, всеми этими эксплуататорами чужого труда, усердно наслаждались человеканенавистничеством, презрением к поработленным, обездоленным низам общества, жадность, взаимное недоверие между соседями, братьями, которых на протяжении веков науськивали одних на других, увлекали в корыстных целях в грабительские походы одних против других, племя против

племени, соседа против соседа, возбуждая тем самым взаимную ненависть между братьями, соплеменниками, соседями.

Это все так. Это факт, что история борьбы народа за свою независимость, за прогресс из века в век писалась кровью. Но, понятно, самого-то прогресса и не было бы, движение-то вперед не получилось бы, если бы в истории народа действовал один лишь волчий закон. При любых условиях осуществления эксплуататорскими классами законов насилия, в жизни народов действовали и положительные, созидательные силы, — народ в своем творческом большинстве умел все-таки хранить присущие, выработанные веками идеи о всеобщей солидарности, братстве, дружбе, — это идеи, которые, как это мы попытаемся показать на примерах, помогали превращать, в какой-то мере в реальность желанные связи с окружающим миром, удовлетворять элементарную потребность вести с соседями торговлю, поддерживать культурные взаимоотношения.

В самом деле, история Грузии, изобилующая фактами военного порядка — вместе с тем весьма привлекательно отразила в себе торговые, культурные, мирные отношения с соседями, народами Кавказа, Ближнего Востока, Западной Европы, Русской земли, Украины. Факты черпаются уже из древнейших времен существования на территории Грузии патриархальных родо-общинных союзов с их широкими торговыми связями; вспомним для примера из более поздней истории, именно эпохи античности, о находке одного сосуда, питоса из Колхиды — он был обнаружен в числе Нимфейских древностей. Начертанная на нем надпись гласит, что он был сделан «колхом». Питос найденный вместе с колхидкой датируется VI в. до н. э. О широких связях Грузии с внешним миром свидетельствует и многообразие форм этнических названий, под которыми издревле известны грузины народам мира. Самоназвание народа — картвели — происходит от племенного названия карти; отсюда же происходят название Картли — одна из областей Грузии, а исторически — и вся Грузия, ныне Сакартвело; картули — грузинский, осн. язык. основа карти, на мегрельском наречии — корту, в языках Востока приняла формы гурдж, джурдж, гурз, гург. (греч. георг.) — Сирийское название грузин «гурзан» в русский язык проникло в форме гурзы (XVI в), отсюда и грузины. К этим формам примыкает и тур. гюрджю — «грузин»; к греко-римской традиции Георгия восходят названия Георгиен (немецк.), Жоржи (фр.), Георгия (ит.), Джорджен (англ.), и т. д.

Торговые отношения с рабовладельческим Римом переросли в общекультурные с ним связи. Знаменитый Фемистий, представитель позднерабовладельческого Рима (V в. г.

м. э.), отмечал, что риторику он усвоил в одной из школ Колхиды.

А иберского царя Фарсмана (II в.), посетившего Рим в качестве союзного царя и «друга» римлян, сопровождали туда из Иберии конные стрелки, устроившие эффектные состязания на Марсовом поле. Там присутствовал и император. Ловкость, меткость в стрельбе, боеспособность, быстрота натиска, — эти добродетели грузинских воинов не раз отмечались современниками. Кстати сказать, когда римляне проводили военные операции для захвата Армении под стенами ее столицы, по свидетельству источника, армянский царь в составе своих многочисленных войск, наибольшее доверие оказывал именно иберийским стрелкам. Впрочем, главное здесь заключается в том факте, что иберийцы и армяне, перед лицом римских легионов, видно не впервые испытывали взаимную дружбу и преданность. Армяне, грузины, албаны, продолжителями которых впоследствии стал азербайджанский народ, — общими усилиями, как союзники, отражали нападение полчищ Помпея еще в 60-х годах I в. до н. э. И в дальнейшей истории этих трех братских народов не мало прослеживается красочных фактов, свидетельствующих, что они, в содружестве с другими народами Кавказа — осетинами, черкесами, с трудовым населением Дагестана, умели — для взаимной пользы и во имя прогресса — преодолевать тлетворное влияние племенных, религиозных и иных предрассудков, их разобщавших, умели противопоставлять общие жизненные интересы эгоистическим стремлениям и низменным инстинктам, и таким путем завоевывать себе право на свободу и независимость. Такие факты можно продемонстрировать, пожалуй, для всех основных отрезков исторического времени. Народы Кавказа в том или ином виде сотрудничали в сложных процессах организации грузинского царства еще в IV—III вв. до н. э. Народы Кавказа, сочувствуя делу укрепления грузинской государственности, в V в. н. э. в основной своей части объединились в рамках грузинского царства под властью популярнейшего из древнегрузинских царей Вахтанга I Горгасала. В годину больших потрясений, сопровождавших организованное Вахтангом восстание грузинского и армянского народов, оба эти народа — пишет современник, — действовали рука об руку ради освобождения своих земель от иностранного порабощения. В главном сражении, имевшем место на берегах Куры, в числе павших было много армянских воинов.

Подобные факты, отдельные эпизоды, отдельные штрихи и воспоминания о светлых проявлениях дружбы и благотворного сотрудничества братских народов, еще эффектнее выс-

тупают на страницах истории грузинского царства эпохи, когда оно в своих пределах объединяло, конечно, на разных политических условиях, все существовавшие до того феодальные государственные образования Кавказа, большие и малые, утратившие было свою независимость при нашествиях разных завоевателей, но теперь обрешие—под гегемонией грузинских царей—минимальные условия жизни, в которых они нуждались для дальнейшего своего развития.

Грузинские, армянские и другие историки выразительно отметили многие соответствующие факты. Из них видно, что были освобождены от чужеземного гнета Ширван и Арран в Восточном Закавказье, земли так наз. Великой Армении, трапезунтское наследство византийско-грузинских династов, и т. д. Их силы, объединявшиеся в политических границах грузинской монархии, долго обеспечивали за народами грузинского царства возможность ограждения пределов царства от посягательств извне, возможного в феодальном обществе развития культуры, укрепления государственной казны. Знаменитый Хамдаллах Казвини (XIV в.), персидский финансист, свидетельствует, что в хронологических пределах от XI до нач. XIII в. государственный доход Грузии составлял 3.750.000 зол. р. Другими словами, этот доход превосходил доходы тогдашних королей английского и французского (В. Бартольд).

В ту эпоху Грузия еще более, чем прежде, укрепила свои связи со многими отдаленными странами. Герой оды Чахрухадзе, например, мог пуститься в дальнее путешествие с Кавказа через Дарьяльские или Каспийские ворота по Волге (Атала) в Россию, в северные страны.

На западе географические горизонты открывались за пределами Трапезунта, Пицунды. Торговцы, воины, дипломаты, монахи на юге достигали стен Иерусалима, Антиохии, Синая.

Такому положению вещей вполне соответствовала целеустремленность гениального грузинского поэта той эпохи Шота Руставели, который своих героев одел в наряды арабского, персидского, индийского образца, привел их в соприкосновение с персами, хорезмийцами, индийцами, побудил их вступить для служения общим возвышенным интересам в тесное трехстороннее содружество, согретое возвышенной любовью трех влюбленных пар.

Идея дружбы, социальный альтруизм в самых различных их проявлениях, часто смягчали тяжелую участь угнетенных народов, воодушевляли на подвиги для пользы собственной и чужой.

По свидетельству армянского историка Матфея Эдесско-

го, грузинский царь Давид Строитель, завершив дело освобождения армянской столицы, славного города Ани, устроил торжественный ход к усыпальнице армянской царицы Катранитэ, супруги армянского царя Гагика I, и возгласил над ее могилой: «Радуйся царица, ибо пособил бог освободить страну от чужеземного ига!»

Такое обращение грузинского царя к останкам армянской царицы должно было символизировать признание Грузинскими политиками того времени общности интересов армянского и грузинского народов. Нельзя не отдать дани признания таким политическим деятелям феодальной Грузии, как царь Давид Строитель и царица Тамара, много содействовавшим поддержанию в стране относительно мирных условий, допуская развитие ее связей с внешним миром. Отметим, что хорошие традиции поддержания культурных, торговых, дипломатических отношений с соседями хорошо были оценены в разных концах Ближнего Востока, были удержаны в памяти у разных народов. Этому отчасти можно приписать то, что в XIV в. Египетские мамлюки, например, в своем обращении к грузинскому царю Георгию V, в истории прозванному Блистательным, украшали его пышной титулатурой, причем эта титулатура отражала успехи и подвиги царя Георгия и, очевидно, также и его предшественников. В титулатуре в частности, подчеркивалось, что грузинский царь являлся «львом, обладателем престола и короны, защитником своей веры... охраной стран румских и иранских... другом мусульман... другом царей и султанов» (Эль-Омари).

Вообще систематический обзор культурных связей Грузии со странами Востока мог бы представить значительный интерес. Такой обзор охватил бы, в частности, страницы истории грузинских монастырских центров — культурных очагов в Сирии (Черная Гора близ Антиохии), в Палестине (монастырь св. Креста, основанный в X в., где уцелело хранилище грузинских рукописей), на Синае (монастырь св. Екатерины, где также сохранились грузинские рукописи), на Балканах византийских времен, именно, на Афоне, где Иверский монастырь тоже сохранил грузинские рукописи. Кстати вспомним, что значительная часть творческой деятельности грузинского средневекового философа Иоанна Петрици протекла в Болгарии в монастыре, уцелевшем по настоящее время в с. Бачково. Первую грузинскую рукописную книгу, «Многоглав» 864 г. нам сохранил Синайский монастырь (Первые образцы грузинской письменности относятся к V в.).

После наступления в Грузии позднего феодализма сложившиеся в стране социально-экономические и культурно-политические условия стали настоятельно требовать от пра-

влящих кругов сближение с Европой. На такой путь в сильной степени толкали противоречия, которые возникли во взаимоотношениях между Россией и тяготевшими к ней грузинскими царствами с одной стороны, и Турцией и Ираном, с другой стороны. Связывая свои судьбы с судьбами великого русского народа, Грузия тем самым хотела решить все основные наболевшие вопросы своей внутренней и внешней политики, обеспечить за собой европейский путь развития, восстановить свою политическую независимость и свои перед тем нарушенные границы, сохранить самобытную культуру, религиозный язык, и т. д. Помимо того, что интересы России и Грузии в основном совпадали, Россия не могла не заинтересоваться Грузией и как страной с небольшой территорией, но с большой культурой. Русские еще в княжеские времена сталкивались с Кавказом. Походы Олега и Игоря в начале XI в. от Каспия распространились до Ганджи. Великий князь Киевский Изяслав Мстиславич (1146—1154), внук Владимира Мономаха, был женат на грузинской царице. В свою очередь, знаменитая грузинская царица Тамар была замужем за Георгием Андреевичем, сыном Андрея Боголюбского (в 1186—1189 годах). Известно, что имя царицы Тамар, как героической личности, сохранилось в памяти русских в форме Динары. Мнения специалистов сходятся на том, что в основу популярной древнерусской повести о Динаре был положен грузинский источник о жизни и деятельности царицы Тамар (Тр. отд. древнерусской лит-ры, IX)..

Но деловой характер взаимоотношения между Россией и Грузией приобретают начиная с XVI в. В жалованной грамоте 1589 г., исходящей от царя Феодора Ивановича, впервые нашел официальное выражение акт принятия грузинского царя под русское покровительство. В нем определялись права и обязанности обеих сторон. Реализация военно-политических условий, какие предусматривали повторно составляющиеся в последствии подобные документы, была связана с огромными трудностями. Основной смысл обращений грузинских, как и армянских и ряда других инациональных официальных кругов к России за военно-политической и финансовой помощью заключался в стремлении побудить Россию в своих отношениях с ближневосточными государствами учесть и политические интересы грузинских царств, армянских земель, и др., и добиться их освобождения от вассальной зависимости. Работа в этом направлении не прекращалась до большой исторической важности акта присоединения Грузии к России (1801 г.). А пока изучались способы решения вопросов, составляющих основное политическое содержание взаимоотношений России и Грузии, другими словами, на протяжении

XVI—XVIII вв., происходило к общей для сторон пользе, непрерывное взаимное сближение русских и грузин на почве общности культурных интересов, соответственное изучение ими истории, культуры, экономики грузинских земель, великих творческих сил России.

Между прочим, русские послы, довольно систематически посещавшие Грузию в XVII—XVIII вв., благодаря своему умению, составлять подробные отчеты о своих поездках в Грузию, внесли важную лепту в дело изучения социально-экономического, культурно-исторического положения современной им Грузии; они содействовали раннему пропикновению в Россию сведений из истории Грузии, из ее литературы (упомянутая выше повесть о Динаре и др.). Передовые люди Грузии, в свою очередь интенсивно работали над освоением достижений России в области науки, государственного строительства в эпохи Петра, Екатерины II и т. д. Известно, что в периоды больших политических потрясений, какие испытывали грузинские царства во время нашествий шахских, султанских армий, грузинские цари с их приближенными находили приют в Москве, Петербурге. С названиями главнейшим образом Москвы и Петербурга связана красочная история грузинских колоний в России. Колония в Москве в основном возникла в конце XVII в. с приездом туда царя Арчила. Он был отцом известного в истории Александра Багратиони, приближенного Петра, «судьи пушкарского (т. е. артиллерийского) приказа», первого в России генерал-фельдцейхмейстера. Впоследствии колония разрослась в связи с поселением там семьи царя Вахтанга VI (с 1725 г.) и его блистательной свиты в количестве 1200 человек. В списках выехавших в Россию грузин числился и грузинский ученый просветитель С.-С. Орбелиани. Известно, что грузинский поэт Давид Гурамшвили из Москвы навечно переселился на Украину, в Миргород.

После присоединения Грузии к России (в начале XIX в.) другая многочисленная колония основалась в Петербурге. Предшественники этой колонии поселились в городе еще в 30-х и 40-х годах XVIII в.

В Москве силами лучших сынов¹ тогдашней Грузии велась большая творческая работа. В подмосковном селе Все-святском царь Арчил основал грузинскую типографию (в Тбилиси печатное дело впервые было организовано в 1708 г.

¹ К ним принадлежат ученые, поэты, политические деятели, — ученый и поэт, царь Вахтанг VI, его сыновья, ученый филолог Бакар, историк и географ Вахушти и др. Все они приезжали из Грузии на север с решением, обогатить себя знаниями, содействовать популяризации русской науки, русской военной организации, основ государственных учреждений и т. д.

Вахтангом VI-м). Капитальным трудом, отпечатанным здесь в 1743 г., явилась Грузинская Библия, под редакцией царевича Бакара.

Грузины-поселенцы живо откликнулись на явления местной русской жизни, отражая отдельными штрихами особенности русской природы, русского быта, нравов; изучая русский язык, занимаясь переводами с русского и т. д.²

² Окончание статьи в архиве В. Д. Дондува не обнаружено (Р е д.).

რ ე ც ე ნ ზ ი მ ბ ი

ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარკაციის ცნობები საპარტველო სესხებზე. თბ., 1962.282 გვ.

ლ.-ნ. ჯანაშიას დასახელებული ნაშრომი უთუოდ კარგი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისა.

ნაშრომს მის მთლიანობაში, ვფიქრობთ, არ აკლია გეგმიანობის სისწორე, დასასმელ „საკითხთა პროგრამის“ სისრულე. წინასიტყვაობაც, სარჩევ-საძიებელთან ერთად, და — რაც მთავარია — სამეცნიერო აპარატი, ნაწილი სპეციალურ პარაგრაფებში გაშლილი (ნაშრომის ნაწ. პირველის §5 1, 3 და 4), ნაწილი სქოლიოებში მოცემული და მთელი ნაკვლევის მანძილზე მაღალი წიგნიერებით შესრულებული, შველის მკითხველს შედარებით ნაკლები ენერჯიის დახარჯვით გაერკვეს ავტორის მიერ პირველად აღძრულ თუ ახლებურად გაშუქებულ საისტორიო მნიშვნელობის რთულ საკითხებში. აქ თავის დადებით როლს ასრულებს, ცხადია, ავტორის სადა და დახვეწილი ქართული, მისი სტილი, რომელსაც, საქმის სასიკეთოდ, არსად არ ატყვია ხინჯი პროვინციული რამ ენობრივი პრანკიანობისა. ხოლო რადგან ენას შევეხებით, აქვე უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა სპეციალისტის მიღწევათა შორის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მისი წარმატება ძველსომხურის სრულყოფილად დაუფლებაში — მისი დიდი შრომისუნარიანობის შედეგად და მისი მასწავლებლის პროფ. ი. აბულაძის ხელმძღვანელი ხელისწყობით. გადაუჭარბებლად უნდა ვსცნოთ ლ. ჯანაშიას ახალი წვლილი ჩვენში არმენოლოგიური ცოდნის შემატების საქმეში.

კარგმა მეთოდოლოგიურმა გაწრთვანამ და სომხური ენის დაუფლებამ უზრუნველყო ავტორის წარმატება ჩვენი მშობლიური ისტორიოგრაფიის სასიკეთოდ. დღეს ჩვენთვის, შეიძლება ითქვას, პირველად გაცოცხლდა ადრეფეოდალური ხანის შესანიშნავი სომეხი მეისტორიე ლაზარ ფარაპეცი (V ს.), რომლის უკვდავი შრომა, ლ. ჯანაშიას მხრივ კრიტიკულად ათვისებული და მადანივით გამ-

დიდრებული, დიდი განძია ჩვენი წყაროთმცოდნეობის გასაღრმავებლად, — საზღვასმით ვთქვათ, — როგორც ქართულის, ისე სომხური ისტორიოგრაფიის შესავსებად.

ჩვენი მკვლევარი ლაზარ ფარპეცისთან მიიყვანა იმის შეგნებაში, რომ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „IV—V საუკუნეები ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ეპოქაა საქართველოს ისტორიაში. იგი ახალი საფეხურია ქართველი ხალხის განვითარების ისტორიაში“, რამდენადაც აქ აღრეიმონათმფლობელურს ენაცვლებიან ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი (წინასიტყვი, გვ. 7). ხოლო ამავე დროს ლაზარ ფარპეცი ამ საინტერესო ხანის თანამხვედლურიც იყო და დიდებული მემატრიანეც; მასთან ერთად თანამედროვეთაგან თითქმის ერთადერთი, მაინცდამაინც ყველაზე კარგად ინფორმირებული პირი V ს-ის საქართველოს თავგადასავლის შესახებ. ლ. ჭანაშიას ჭეროვნად აქვს შესმენილი ლაზარის, როგორც ისტორიკოსის, ასეთი მნიშვნელობა. მას კარგად აქვს წარმოჩენილი ლაზარის ბიოგრაფიაც (§ 2), თხზულებებიც (§ 3) და წყაროებიც (§ 4). მთელი ამ წრის საკითხები ავტორს მოქცეული აქვს თავისი შრომის პირველ ნაწილში (გვ. 13—70). ამას შოსდევს მეორე ნაწილი სათაურით: ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. ეს სათაური ხომ მთელი წიგნის სათაურიც არის. მით უფრო ჩვენ საბაბი გვაქვს აღვნიშნოთ — ესეც ჩვენი ავტორის სასარგებლოდ — რომ ავტორი ამ სათაურიდან მოკიდებული მთელი ნაშრომის დასასრულამდე არ ღალატობს სანაქებო მოკრძალებას, რა თქმა უნდა, არა უპრიციკოსს. (ნუ იყოფინ ესე!), არამედ სალსა და ადამიანურს. თუ არა ასეთი თავმდაბლობა, ავტორს საფუძველი ჰქონდა თავისი ნაშრომისათვის უფრო ხშიანი სათაური მიეცა.

ჭერ ერთი, ნაშრომის გარკვეული ნაწილი არსებობდა წარმოადგენს საისტორიო თხრობას, პრაგმატიკული წესით მოვლენათა სისტემატური გადმოცემის ერთგვარ ცდას, გზადაგზა წყაროების მითითებითა და კრიტიკული შეფასებით. რამდენადაც საქმე ეხება V ს., უფრო სწორად, IV—V საუკუნეებს. ლ. ჭანაშიას ეს ცდა უნდა ჩაეთვალოს საქართველოს ისტორიის სათანადო ნაკვეთის მეტყველები სისრულით და გადახალისებით შედგენის საესებო მისაღებ ცდად. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისევ და ისევ ლაზარის და მასთან ერთად ელიშეს (V ს.) ნაშრომების კრიტიკულად გამოყენებას. ამ ნაწილს წიგნში უჭირავს შვიდიოდე თავახი. აღებული თემატიკის შესაბამისად შრომაში განხილულია ქართლი-იბერიისა და მის შედგენილობაში, კერძოდ, ქვემო-ქართლის სა-

პიტიაზშოს ისტორია—ს თავგადასავალი. ჯერ მკითხელი ეცნობა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას უმეტესად ირანთან ურთიერთობის გათვალისწინებით. სავსებით გასაზიარებელია წიგნში გამოთქმული დებულება, რომ „ბევრი რამ, რაც (ლაზართან) ამ (პირველ) თავში ხათქვაძია სომხეთის მიმართ, ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ ქართლზეც“ (გვ. 86). სწორია ავტორის ცდა მოვლენები განიხილოს არა როგორც ნიაღვარი; არამედ განვითარების ეტაპების სახით, კერძოდ, ირანის ამიერკავკასიაში და, მთავსადაც, ქართლში მძლავრობის საფეხურები (გვ. გვ. 86, 87 და სხვ.). ავტორი გზადაგზა, ასე ვთქვათ, უნებლიეთ ხვდება „წინააღმდეგობებს“, რამდენადაც მის მიერ აღქმულ ზოგ-ზოგ საკითხს უწინ ხომ სხვა ავტორებიც შეხებიან და თავისებურად გაუშუქებიათ. ჩვენ აქ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს იმისას, თუ როგორი დაკვირვების უნარს იჩენს ჩვენი დაწესებები მეცნიერი აღნიშნული „წინააღმდეგობების“ გადალახვაში, რადგან ეს მოგვეცემს კარგ დამატებით მასალას, მიუდგომელი მსჯელობისათვის საკიროს.

დამაჯერებელია მოსაზრება, რომელიც უკარნახებს ჩვენს ავტორს მხარი დაუჭიროს აკად. ი. ჯავახიშვილის შეფასებას (ისტორიკოს ს. გორგაძის საპირისპიროდ) ირანის სამხედრო-პოლიტიკურ შესაძლებლობათა შესახებ ქართლში IV ს-ის დამლევს (გვ. 85—87).

საშრომში ნათლად იგრძნობა, რომ ავტორი შეუმოწმებლად არ იზიარებს სხვის აზრს. საბუთიანია მისი სკეპტიკური შეჩერება ასპაქურ-ვარაზბაკურის იგივეობის საკითხზე. მაგრამ უკეთესის უქობელი, უნებლიეთ ემხრობა გაბატონებულ აზრს (გვ. 81). მაინც, ვფიქრობთ, მას ყოველთვის ემახსოვრება მიღებულის პირობითობა. პასუხი უფრო იოლი მოსაძებნი იქნებოდა, რომ „ასპაქურ“-ის გვერდით არ მოიპოვებოდეს ძეგლებში დადასტურებული სახელები: ასპაქურუკი, თუ გნებავთ, ასპურაკესიტ. ავტორს შეეძლო იოლ გზას შესდგომოდა და სიტყვა უბრალოდ ჩამოეგდო ძეგლის ცთომილებაზე. მაგრამ მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი არსად არ იჩენს მისწრაფებას თავისი ნახელავის „ჯაყვაში გამოსაყვანად“ (თ. სახოკია) გახუსჯელად ძეგლს ეცეს! ჩვენ ვფიქრობთ, მორალური კმაყოფილება უნდა იგრძნოს პროფ. ს. კაკაბაძემ, როდესაც დაინახავს, რომ ლ. ჯანაშია ხელალებით არ ერწმუნა დაუმტკიცებელ მოსაზრებებს იმ თარიღების შესახებ, რომელნიც ვითომ განსაზღვრავენ ქართლის მოქცევის დროს (306 წ. I), ვახტანგის გარდაცვალებას (484 წ. I); რომ ჩვენი ავტორი, მით უმეტეს, არ ერწმუნა მოსაზრებას — ვითომ „მოქცევაა ქართლისაჲ“ შეიკავს ისეთ თარიღებს,

რომელნიც მკვლევარს ნება აქვს ნებისმიერად ასწოროს (იხ. ავტორის მიერ ჩაფიქრებით წარმოებული ქრონოლოგიური კალკულაციები, რომელნიც შეეხებიან აგრეთვე „აფხაზთა მეფეთა ქრონიკას“, — გვ. 166—167, და ვრცელი შენ. 215).

ლ. ჭანაშის არა ერთი შემთხვევა აქვს, არსებითი, ბევრჯერ პრინციპული და მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანოს იმ მკვლევარებში, რომელნიც დროთა დენაში როგორც ღვარძლი მოსდებია და დღესაც მთლად არ მოსცილებია ჩვენს ისტორიოგრაფიულ სამკალს.

ავტორმა, კერძოდ, დიდი სიცხადით გამოავლინა, უმთავრესად ლაზარ ფარპეცის შესწავლის შედეგად, რომ წყაროების შეუსწავლელობის მიზეზით, საოცარ გაუგებრობთა ძალით ზოგჯერ ამ ღვარძლის გავრცელებას ხელს უწყობდნენ გამოცდილი სპეციალისტებიც (მაგალ. იხ. გვ. 150, შენ. 189). ლ. ჭანაშის მიერ საკითხის კრიტიკული შესწავლა ახალ შუქს ფენს, კერძოდ, ქართველ-სომეხთა ურთიერთობის მეტად საინტერესო ისტორიას (§ 4, გვ. გვ. 136—138 და შდგ.), რომლის უშუალო მონაწილეებად გვევლინებიან მეფე ვახტანგ გორგასალი, საპიტიახშო სახლის გმირები და სხვ.

შრომაში ყურადღებას იმსახურებს ქართლის საპიტიახშოს და პიტიახშობის რაობის საკითხის გადასინჯვის ცდაც. ახალი მასალის მომარკვება და ფაქტების შეჯერება საფუძველს აძლევს ავტორს დაჯერებულს, მაგალითად, თავისი დებულება, რომ ქართლში არსებობდა ერთი (და არა რამდენიმე) საპიტიახშო (გვ. 173). გარკვეულია ერთობა ორი ცნებისა: ქვემო ქართლის საპიტიახშო და გუგარქის საპიტიახშო (გვ. 175—176); გამოვლენილია ის ცვლილებები ადმინისტრაციული შედგენილობის მხრივ, რომელიც განიცადა საპიტიახშომ იქ სომხეთისა თუ ქართლის სამეფო ხელისუფლების გავრცელების მიხედვით, და ა. შ. (გვ. 176 და შდგ.). მეტად საგულისხმოა დებულებაც, რომ ქართლის პიტიახშობა „აღმოცენებულია ადგილობრივ ნიადაგზე“ (გვ. 178); ვფიქრობთ, ავტორის განზრახვაში არ უნდა შედიოდეს იგივე აზრი გაავრცელოს გუგარქის პიტიახშობაზეც.

ავტორს რიგი ახალი საინტერესო დაკვირვება აქვს ქართლის სოციალური აღნაგობის მიმოხილვაშიც (გვ. 179 და შდგ.), ისე როგორც ჯერ კიდევ ასე ნაკლებშესწავლილ ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემთა გარჩევაში, რომელსაც მიძღვნილი აქვს გვ. გვ. 182—192 (ნომენკლატურაში მოქცეულია სწორედ ქვემო ქართლისთვის ცნობილი სახელები: ტაშირი, აშოცი, ტაო და სხვ.).

ავტორი შრომის კვლევისას ნაწილს ამთავრებს ლაზარის იმ

ცნობების სპეციალური მიმოხილვით, რომელნიც, ავტორისავე სიტყვით, „მოგვეთხრობენ ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთკავშირსა და მეგობრობაზე“.

შრომაში აქა-იქ ჩვენ ვხვდებით მსჯელობაში თანამიმდევრობის რამდენადმე დარღვევის კვალს. ავტორს მოსწრებულად აქვს ახსნილი, თუ რა მზაკერული განზრახვით აბრკოლებდა ირანის შაჰი ომგადახდილ ქართულ, ალბანელ, სომეხ ლაშქართა თავ-თავიანთ ქვეყნებში უკუქცევას (გვ. 111—112). მაგრამ მოსაზრებას, რომ ანგარიშში იყო მიღებული ამ საშუალებით ქრისტიანი ლაშქრის ერთობლივი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური გადამუშავებაც (გვ. 110, 111), თითქოს ეწინააღმდეგება მითითება, რომ „გაწვეულ მხედრობას ყოველ წელს (უკან) აბრუნებდენ“ (110); კიდევ მეტი, „ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია“ (გვ. 115). ქრისტიანობა აქი უმკვეთრესი საკუთრელი იყო ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი კლასისთვის (ლაშქარი!), და უცხოეთში ერთი დაკერით მათი გადარჩელება — ეს რა ქმედითი „პუნქტი“ (გვ. 110) უნდა ყოფილიყო სპარსთა პოლიტიკისა?

ავტორი საგულისხმო შედეგს აღწევს შრომის იმ ნაწილშიც, რომელიც ეხება სომეხთა და ალბანთა 450—451 წწ. აჯანყებას ირანის შაჰის წინააღმდეგ. (გვ. 124—132 და შდგ.). უარყოფს რა საკითხის დეტალურად განხილვის წესით, ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაციების ანალიზის საფუძველზე, სპეციალურ ლიტერატურაში ერთხელ მოცემულ შეფასებას (პროფ. ს. ერემიანი), ლ. ჯანაშია ამტკიცებს, კერძოდ, რომ აჯანყების პროცესში სომეხ-ალბანელთ ლაშქრობა ჰქონდათ სპარსთა წინააღმდეგ არა ქართლში (დარიალისკენ), როგორც ეს იყო წინათ ნავარაუდები, არამედ ჩრ. ალბანეთში.

ამ საკითხთან არის დაკავშირებული ავტორის ბეჭითი ცდა — ესა თუ ის შესწორება შეიძინოს ისტორიულ-გეოგრაფიულ ძიებებში, რომელთაც წლების მანძილზე აწარმოებს ცნობილი არმენისტი პროფ. ს. ერემიანი (ჭორის სიმაგრე, ჰონთა გასასვლელი და სხვ., გვ. 129—132), აქ ავტორს რჩება დასაზუსტებელი „პაპაკ ორმოჯან“-ის რეალური მნიშვნელობა. საინტერესოა დებულება ირანელების იმ ჩრდილო რაიონებში ბატონობისა და საქმიანობის დასაწყისის შესახებ (გვ. 131). ავტორს შეეძლო მიეთითებინა პროფ. ს. ერემიანის შრომაც — Сюния и оборона сасанидами кавказских проходов, стр. 34 и сл. = Известия Армянского филиала АН СССР, № 7 (12) 1942, Ереван.

ლ. ჯანაშიას მიერ შესრულებული თარგმანი ჩვენ მივიჩინეთ

მალაკვალისფერი თარგმანად. აქ საჭირო სიზუსტეც დაკულია და თარგმანის ენასაც არ დაჰკლებია თავისი (ლიტერატურული) სისწორე და ბუნებრიობა, რაც დედნის იდეალური სიზუსტით გამოცემის მძებნელს, ასე ვთქვათ, ზშირად ხელიდან ეპარება. ამავე დროს ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ სათუთ და ძნელ, „საჭირო“, თუ გნებავთ, მთარგმნელისთვის ზშირად სწორედ „ჭირის ოფლის“ მომგვარელ საქმესთან, როგორც არის სამეცნიერო მნიშვნელობის ძეგლის, ჰანსტორიო, ისიც კლასიკური სალიტერატურო, რთული ოსტატობით შესრულებული, ნაშრომის სათანადო ხელოვნებით გადატანა მთარგმნელის ენაზე. ერთია — მთარგმნელის შემოქმედებითი ძალა, მომზადება-გამოცდილება, მისთვის საჭირო საინსტორიო-ფოლოლოგიური სადრაგომანო მარაგი, რომელსაც მთარგმნელი საერთოდ კარგად ფლობს. მეორეა — მისი სიბეჭითე, გამარჯელობა, მისი ყუათი, რომელიც მთარგმნელს უბიძგებს კარგად მოჩხრიკოს თავისი ცოდნის სალარო, მოძებნოს ზშირად არაადვილად მოსაძებნი შესატყვისები სათარგმნელი გამოთქმებისა, ცნებებისა, ტერმინებისა; ისე, რომ ამ საძნელო, თანაც მომქანცველ ჩხრეკა-შერჩევაში არ შეეპაროს სიზარმაე და გულთან არ გაიკაროს სურვილი, რომ იოლი გზით გაეიდეს ფონს.

ჩვენი ასეთი მსჯელობა ლ. ჭანაშვიას ნაშრომის შესახებ არ არის გამიზნული მაინცდამაინც მის, ავტორის, შესაქებად. ჩვენ უფრო ის გვიანტერესებს, რომ ახალგაზრდა მეცნიერმა, რაკი მას სათანადო, კარგი მონაცემები აქვს, თავის მუოოფად შემოქმედებითს სარბიელზე არ შეანელოს გულისყური იმ დიდ და მძიმე საქმისადმი, რომელსაც მან დღეს სარეცენზიო ნაშრომით თავი მოაბა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სიახლე შესძინა, ჩადგა რა. იმ ქართველთმცოდნეთა რიგებში, რომელთაც დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვით საზოგადოდ ქართველი ზალხის მოძმე სომეხ ზალხთან მტკიცე და სასიკეთო და-ახლოების საქმეში ქართულ-სომხური საუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის გზაზე.

ვიძღვეით რა ლ. ჭანაშვიას შესრულებული თარგმანის ზოგად შეფასებას, ჩვენ სავანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მთარგმნელს ამ ნაშრომის შესრულებაში დასაყრდენი, შესამოწმებლად (საკონტროლოდ) ვარგისი თარგმნითი ლიტერატურა დიდი არაა ჰქონია რა, ვარდა იმ, დღესთვის საკმაოდ მოძველებული, თარგმანებისა, რომელნიც არსებობენ ახალ სომხურზე (ერთი) და ფრანგულზე (ერთი). (ამის შესახებ იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 199). ასე რომ, ავტორის თარგმანი ჰკითხველმა ამ მხრივაც უნდა მიიჩნიოს ფრიად მნიშვნელოვან საქმედ.

ლ. ჯანაშიას არმენისტული წარმატების შეფასება არ იქნებოდა სრული, თუ ხაზი არ გაყსმებოდა იმ სასიამოვნო ფაქტსაც, რომ მან ძველსომხურის პარალელურად დასძლია ახალი სომხურის სიძნელეც, ისე რომ იგი შეიკუთრება ისეთი იარაღით, რომელიც მას საშუალებას აძლევს, წყაროებს გარდა, თავი გაართვას სომხურ სამეცნიერო ლიტერატურასაც, საერთოდ, ახალსომხურ წიგნსა თუ ჟურნალს. მის გამოკვლევაში კარგად ჩანან არმენისტები აბელიანი, ხალათიანი, აკინიანი და სხვ.

